



**რამაზ სურგანიძე**

# **მკობელე ჯიფსქი I**

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

ბათუმი  
2014

გრიგოლ ვოლსკიზე სიცოცხლეშიც ბევრი იწერებოდა, გარდაცვალების შემდეგ კი ქართულ და რუსულ პრესაში მრავალი მასალა გამოქვეყნდა, მის შესახებ სამი მონოგრაფიაც გამოვიდა. მაგრამ მკითხველი საზოგადოებისათვის გრ. ვოლსკის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ უცნობი დარჩა.

ავტორმა შეკრიბა საქართველოს არქივსაცავებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში არსებული როგორც გამოქვეყნებული, ისე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ცნობები, რითაც შეძლებისდაგვარად შეავსო არსებული ხარვეზები და ასეთი სახით სთავაზობს მკითხველს.

რედაქტორი **ოთარ გობოლიშვილი**,  
პროფესორი

## შესავალი

თანამემამულეთაგან ბევრს არ ჰყვარებია ისე საქართველო და ქართველი ერი, თავისი ცხოვრება და კეთილდღეობა გაუწირავს მისთვის, როგორც გრიგოლ ვოლსკის. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა ბიჭმა იმერეთში შეითვისა ქართველი კაცის ხასიათი და წეს-ჩვეულებები. აქვე ეზიარა ქართულ პოეზიას, პუბლიცისტიკას და ლიტერატურულ კრიტიკას.

გრიგოლ ვოლსკი ხელმოკლეობამ აიძულა მოეარა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი: ნოვოროსიის (ოდესის), ყაზანის, მოსკოვის უნივერსიტეტები, მაგრამ ერთხელ არჩეულ გზას არ უღალატა, **ანტონ ჩეხოვთან** ერთად დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაზრის ექიმის დიპლომით ბათუმში ჩამოვიდა და თავისი შეგნებული ცხოვრების ოცი წელი ამ ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო წინსვლას, მის ევროპულ ქალაქად გადაქცევას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მოახმარა.

გრიგოლ ვოლსკიმ, როგორც პოეტმა, ექიმმა, განმანათლებელმა და მუნიციპალურმა მოღვაწემ ღირსეული კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის, მედიცინის და ქალაქთმშენებლობის ისტორიაში.

გრიგოლს ოჯახი არ შეუქმნია, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა და, როგორც ხდება ხოლმე, მოსალოდნელი იყო მისი ცხოვრებისა და ღვაწლის დავიწყება. თუმცა, საბედ-



ნიეროდ ეს არ მოხდა, რადგანაც მისი დამსახურება იმდენად დიდი იყო, ხოლო შემოქმედება იმდენად შთამბეჭდავი, რომ იგი თანამედროვეებმა არ დაივიწყეს, მის სიცოცხლეში და შემდგომაც მრავალი მოგონება გამოაქვეყნეს. მე-19 საუკუნის ბოლო წლების ქართული პრესა ხომ გამუდმებით ამხეურებდა გრიგოლ ვოლსკის ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს და რეცენზიებს. ჩვენს დროში კი მასზე სამი მონოგრაფიაც გამოქვეყნდა.




# ბიოგრაფია

## 1. დაშვებული შეცდომები

როგორც ზემოთ ითქვა, გრიგოლ ვოლსკის ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალი ავტორის ინტერესის საგანი გახდა. მასზე გამოქვეყნდა მოგონებები, მისდამი მიძღვნილი და მისივე პირადი წერილები, აგრეთვე სამი მონოგრაფია, ცალკე სტატიები და ა.შ. ავტორთა კეთილი სურვილების მიუხედავად, გრ. ვოლსკის ცხოვრების ზოგი ეპიზოდი არასწორად, შესაბამისი წყაროების მიუთითებლად, ზოგჯერ დაუდევრადაც არის გამუქებული, რის გამო ბიოგრაფია ზოგჯერ მის ცხოვრებასთან და მისწრაფებებთან შეუსაბამო საბუთის შთაბეჭდილებას ტოვებს.

დავიწყოთ გრიგოლ ვოლსკის მშობლებით. ცნობილია, რომ მისი მამა წარმოშობით პოლონელი იოსებ ვოლსკი იყო და ეს არავითარ დავას არ იწვევს. რაც შეეხება დედას, აქ, ჩვენი აზრით, უხეშ შეცდომასთან გვაქვს საქმე. დიდი ქართველი მწერალი და-ვით კლდიაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ „ვოლსკის მამა იყო პოლონელი, დედა კი ქართველი-კეჟერადის ქალი... ცოცხალი ბუნების, გონებაგახსნილი ადამიანი იყო



თურმე” (ჩემი ცხოვრების გზაზე. თბ. 1961 წ. გვ. 65). როგორც ამ ფრაზიდან ირკვევა, დავით კლდიაშვილი პირადად არ იცნობდა გრიგოლის დედას („იყო თურმე“), არც მისი სახელი იცის, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მან ეს ჩანაწერი გააკეთა, როგორც გრ. ვოლსკის, ასევე მისი დედის გარდაცვალების შემდეგ, სხვადასხვა მონაყოლის საფუძველზე.

დიდი მწერლის მოსაზრება, ბუნებრივია, აიტაცა ყველა მისმა მომდევნო მკვლევარმა და ქართველი მწერლების შემოქმედებით ბიოგრაფიით დაკავებულმა მეცნიერმა. ამჟამად გაბატონებულია აზრი, რომ გრიგოლ ვოლსკის დედა იყო ქუთაისელი კეჟურაძის ქალი.

საარქივო დოკუმენტები, რომლებიც გრიგოლ ვოლსკის სიცოცხლეში შეადგინეს და მან მისივე ხელით მიიტანა შესაბამის უწყებაში, ირკვევა, რომ ეს ასე არ არის. ჩვენ ხელთა გვაქვს მოსკოვის უნივერსიტეტის არქივიდან მიღებული გრიგოლ ვოლსკის 59-გვერდიანი პირადი საქმე (ფონდი №418, ანაწერი №298, საქმე №138.), სადაც უტყუარი სიზუსტით არის აღწერილი გრიგოლის უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდი, მისი დაძმის დაბადების თარიღი, მშობლების ვინაობა, აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის მომენტები და ა.შ. მეტი სიზუსტისათვის მოგვაქვს ერთი დოკუმენტი ორიგინალის ენაზე:

«Женат вторичным браком на девице Магдалине Иосифовне, дочери дворянина **Бодокева**; У них дети, сыновья: **Григорий**, родившийся в 1859 г. января 24 и **Владимир**, родившийся 1860 г. марта 1; дочери: **Леонида**, родившаяся в 1854 г. ноября 15 и **Варвара**, родившаяся 3 сентября 1863 г. Жена и дети вероисповедания православного».

უფრო მეტი სიზუსტისათვის ალბათ უადგილო არ იქნება ამ დოკუმენტის, რომელიც შედგენილია 1865 წელს, გრიგოლის მამის **იოსებ ვოლსკის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქართული თარგმანის მოტანაც: „დაქორწინდა მეორედ აზნაურ ბოდოკის<sup>1</sup> ქალიშვილზე, მაგდანა იოსების

<sup>1</sup> ბოდოკები იმერეთის სოფლებში, გეგუთში (სასულიერონი), ვარდიგორაში (საბატონო გლეხი) და ხონში (შინამოსამსახურე) ცხოვრობდნენ.




ასულზე; მათ ჰყავდათ შვილები; ვა-  
ჟები: გრიგოლი, დაბადებული 1859  
წლის 24 იანვარს და ვლადიმერი,  
დაბადებული 1860 წლის 1 მარტს;  
გოგონები: ლეონიდა- დაბადებული  
1854 წლის 15 ნოემბერს და ბარბაღე  
დაბადებული 1863 წლის 3 სექტემ-  
ბერს. მეუღლე და შვილები მართლ-  
მადიდებლები არიან“.

ამგვარად ნათელია, რომ გრიგო-  
ლის დედა არის არა კეჟერაძე, არ-  
ამედ **მაგდანა ბოდოკია**, რადგანაც  
საბუთში პირდაპირ მითითებულია,  
რომ მათ, ე.ი. **იოსებს და მაგდანა  
ბოდოკიას** ჰყავთ შვილები და ა. შ.

სხვათაშორის, მწერალი **დავით  
ნაცვალაძეც**, გრიგოლ ვოლსკიზე  
ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიის  
ავტორი, აღნიშნავს, რომ **იოსებ ლე-  
ონტის ძე ვოლსკის** „მეორედ შეურ-  
თავს ქართველი აზნაურის დიმიტრი  
ბოდოკიას ქალი მაგდანა, მესამედ  
დაქორწინებულა ქუთაისის მცხოვრებ  
მაგდანა ევსოფის ასულ კეჟერაძეზე,  
რომელისგანაც შესძენია სამი შვილი:  
ვლადიმერი, გრიგოლი და ბარბარე  
(ვარია)“ (**დავით ნაცვალაძე**, გრიგოლ  
ვოლსკი. ბათუმი. 1955. გვ. 5).

ეს ძალზე საინტერესო ცნობაა,  
მაგრამ სამწუხაროდ ავტორი არ  
მიუთითებს წყაროს. გარდა ამისა  
მასში გამოტოვებულია გრიგოლის



მოსკოვის არქივის  
ცნობა

უფროსი და ლეონიდა, რომელიც 1854 წლის 15 ნოემბერს დაბადებულია და ა. შ.

გრიგოლი მაგდანა ბოდოკიას შვილი რომაა, ამაზე ზემოთ მოტანილი უტყუარი დოკუმენტის გარდა, მეტყველებს მისი დეიდაშვილის, ცნობილი მოღვაწის, პუბლიცისტის და მთარგმნელის, პოლიტიკური ემიგრანტის **ივანე ზურაბიშვილის** მოგონება, სადაც იგი გრ. ვოლსკის დეიდაშვილს უწოდებს, ხოლო მისი დედა ანასტასია, **იესე (ეესოფ) ბოდოკიას** ქალიშვილი ყოფილა (**გურამ შარაძე**, მშობლიური ცის ქვეშ. თბილისი. 1991 წ. გვ. 134). აქ, შესაძლოა, გაუგებრობა გამოიწვიოს მამის სახელმა, თუმცა ცნობილია, რომ იესე, იგივე ეესოფ, რუსული წერილობით წყაროებში ყველგან იოსიფ-ად მოიხსენიება.

ამგვარად ნათელია, რომ გრ. ვოლსკის დედა ქუთაისელი ბოდოკიას ქალია. მაშინ საიდან გაჩნდა მის ბიოგრაფიაში დედის გვარი კეჟერაძე? იოსებ ვოლსკი ადრე (1865წ.) გარდაიცვალა. იგი ორჯერ დაქორწინდა. პირველი მეუღლის გვარი უცნობია და მისგან იოსებს შვილი არ ჰყოლია. მეორე მეუღლე იყო **მაგდანა ბოდოკია**, რომლისგანაც შეეძინა 4 შვილი. ვვარაუდობთ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მაგდანა გათხოვდა კეჟერაძეზე და მიიღო ეს გვარი; ამის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ როგორც ბოდოკიას, ასევე კეჟერაძეს ერთიდაიგივე სახელი მაგდანა და მამის სახელი იოსები აქვთ. თუმცა შესაძლოა დაგუშვათ მეორე, შედარებით ნაკლებად დამაჯერებელი ვარაუდი: მაგდანა კეჟერაძე არის **იოსებ ვოლსკის** მესამე ცოლი და გრიგოლის დედა-ნაცვალი.

ავტორთა დიდი ნაწილი (**სოფრომ მგალობლიშვილი. იაკობ მანსვეტაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, არტურ ლაისტი, დავით ნაცვალაძე, თეიმურაზ კომახიძე** და სხვ.) თავიანთ ნაშრომებში არასწორად მიუთითებენ გრ. ვოლსკის დაბადების ადგილს და თარიღს. მათი აზრით გრიგოლ



ქირის შეუტანლობის გამო, გარიცხეს მოსკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსიდან. 1883 წლის 8 ივლისით დათარიღებული თხოვნით დასტურდება, რომ გრ. ვოლსკის სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში, მაგრამ შემდეგ, როგორც სჩანს, ეს აზრი შეიცვალა და 1883 წლის 3 ოქტომბერს თავი აღიდგინა ყაზანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსზე. 1884 წლის 5 ოქტომბერს ყაზანიდან დაბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1886 წლის 13 დეკემბერს და მიენიჭა მკურნალის (лекарь) ხარისხი და მასრის ექიმის წოდება.

ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გადასვლა, შემდგომში რამდენიმე უნივერსიტეტში (ყაზანი, პეტერბურგის სამედიცინო აკადემია) კვლავ სამედიცინო ფაკულტეტზე შესვლის სურვილი და მისი განხორციელება, აგრეთვე 9 წლის მანძილზე ბათუმის რკინიგზაში და როტშილდის ქარხანაში ექიმად მუშაობა, ექიმთა საზოგადოების დაფუძნება, მასში აქტიური მონაწილეობა, მრავალი სამედიცინო და სანიტარიულ-საგანმანათლებელი სტატიის გამოქვეყნება ქართულ პრესაში, ადვილად აბათილებს ამ ავტორთა მოსაზრებას, რომ თითქოს გრ. ვოლსკის შემთხვევით ჰქონდა ექიმის დიპლომი და პატივს არ სცემდა თავის პროფესიას.

1895 წლიდან, როცა გ. ვოლსკი აირჩიეს ქ. ბათუმის თვითმმართველობაში, იგი თანდათან ჩამოშორდა პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას, მაგრამ თვითმმართველობის ტრიბუნას სისტემატურად იყენებდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების, ეპიდემიებთან ბრძოლის, სანიტარიული წესების დაცვის, გარემოს გაჯანსაღების და სხვა საკითხების მოგვარებისათვის. გრ.ვოლსკი ითვლება ბათუმის ექიმთა საზოგადოების დაარსების (1896 წლის 20 ნოემბერს) ერთერთ ინიციატორად და დამფუძნებლად. ამ



დროიდან იგი ბათუმში ყოფნის მთელს პერიოდში ე.ი. 11 წლის განმავლობაში იყო ამ საზოგადოების აქტიური წევრი.

როგორც ავღნიშნეთ, გრ. ვოლსკიმ შრომითი საქმიანობა დაიწყო ბათუმში. სამუშაოზე გაფორმების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ჩვენი აზრით ეს უნდა მომხდარიყო არაუადრეს 1887 წლის 23 აპრილისა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი განცხადება მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელითაც ახალგაზრდა ექიმი თხოულობს სასწრაფოდ გამოგზავნონ მკურნალის დიპლომი და ცნობა, რომ მას მიენიჭა მაზრის ექიმის წოდება. განცხადებაში გრ. ვოლსკი აღნიშნავს რომ იგი იწყებს "სახელმწიფო სამსახურს". განცხადება დაწერილია 1887 წლის 23 აპრილს ქ. ფოთში, **ნესტორ თავდგირიძის** ბინაში, რაც მეტყველებს გრ. ვოლსკისა და ფოთის მაშინდელი ქალაქისთავის, ცნობილი პედაგოგისა და იურისტის ნ. ა. თავდგირიძის ახლო ურთიერთობაზე.

მაინც როდის ჩამოვიდა გრიგოლი ბათუმში? ამის შესახებ ზუსტი მითითება არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება მიახლოებითი თარიღის დადგენა.



ძველი ბათუმი

1887-1889 წლებში ქართულ პრესაში გრ. ვოლსკის ავტორობით გამოქვეყნებული ყველა წერილი იწყება სათაურით: „ქუთაისიდან“, „ფოთის ამბები“, „ტფილისი“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ამ პერიოდში დასახელებულ ქალაქებში იმყოფებოდა. ბათუმიდან გაგზავნილი პირველი მასალა გრ. ვოლსკის ხელმოწერით „ივერიაში“ 1890 წლის 9 ივნისს გამოქვეყნა, თბილისის დრამატული თეატრის გამოსათხოვარ სადამოხე, ბათუმში გრ. ვოლსკიმ სტუმრებს სიტყვით მიმართაო. ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იგი ბათუმში სამუშაოდ ჩამოვიდა 1889 წლის ბოლოს ან 1890 წლის დასაწყისში.

ბათუმში ყოფნის ბოლო წლებიც გრიგოლმა ექიმობაში გაატარა. ცარიზმის ჩინოვნიკებთან ხანგრძლივი ქიში მათი გამარჯვებით დამთავრდა. გრიგოლი სათათბიროს წევრად აირჩიეს, მაგრამ იგი გუბერნატორმა არ დაამტკიცა, ამიტომ იგი დროებით გაეცალა თვითმმართველობას და **როტშილდის** ქარხანაში ექიმობას დაუბრუნდა. როდის უნდა მომხდარიყო ეს? **დავით ნაცვალაძე** წერს რომ გრ. ვოლსკი „ვინმე შიშკოვის მაგიერ დანიშნესო“ (გვ. 31). **ა.ს. შიშკოვი** ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი (1896-1903), ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე (1897-1903) და როტშილდის ქარხნის ექიმი 1903 წლის მარტის ბოლოს ვარშავაში გადაიყვანეს. ჰოსპიტლის უფროსად **ს.ტ. ტროიცი** დანიშნეს, ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ **ტ.პ. ტრიანტაფილდესი** აირჩიეს, ხოლო როტშილდის ქარხანაში ექიმის ადგილი გრ. ვოლსკიმ დაიკავა. ჩვენი აზრით იგი აქ 1903 წლის აპრილში დაინიშნა.

რამდენ ხანს დარჩა იგი როტშილდის ქარხნის ექიმად? როგორც ჩანს 1907 წლამდე, თბილისში გადასვლამდე. მართალია იგი 1905 წლის იანვარში კვლავ აირჩიეს ქალაქის თვითმმართველობაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, ქარხნის ექიმობა არ მიუტოვებია. ამაზე მეტყველებს ლიტერატურის მუხეუმში დაცული საბუთი (8700/2), სადაც იგი წერს: „აქ



## АТТЕСТАТЪ.

По Указу ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА, отъ Совета ИМПЕРАТОРСКАГО Московскаго Университета данъ сей аттестатъ ему коллежскаго ассессора Геннаю Вадковскаго, православнаго вѣроисповѣданія, въ томъ, что онъ, по аттестату архаиста Кузнецкаго гвардейскій, въ августѣ 1878 года принятъ былъ въ Императорскій Новороссійскій Университетъ; въ октябрѣ 1880 года по прошенію переведенъ былъ въ Императорскій Московскій Университетъ; въ октябрѣ 1883 года по прошенію переведенъ былъ въ Императорскій Казанскій Университетъ, откуда въ октябрѣ 1884 года вновь переименъ былъ въ Московскій Университетъ, гдѣ, при отличномъ поведеніи, окончилъ курсъ наукъ по Медицинскому факультету и, за отличное *удовлетворительные* успѣхи, опредѣленіемъ Университетскаго Совета, 13 декабря 1886 года состоявшимся, утвержденъ въ степени *Доктора*. Во время пребыванія въ Московскомъ Университетѣ получалъ съ 1-го іюля 1880 года по 1-е іюня 1882 года стипендію Кавказскаго Учебнаго Округа. Данъ въ Москвѣ, Апрѣля 18 дня 1887 года.

Ректоръ Университета *Николай Григорьевичъ*

Деканъ Медицинскаго Факультета *Николай Александровичъ*

Секретарь по студенческимъ дѣламъ *Е. Андреевъ*

### გრიგოლ ვოლსკის ექიმის დიპლომი

ბათუმში მაისამდის უთუოდ უნდა დაგვრჩე მაინც. მაისში ჯამაგირს გარდა მერგება ზავოდიდან კიდევ ორასი მანეთი, სამი თვე დარჩა რაღა, თუ ახლავე გამოვედი დამეკარგება ის ორასი მანეთი, რომელიც უნდა ავიღო პირველ მაისს. ან სად უნდა წავიდე, ეს როგორ უნდა მივატოვო”, სინანულით აღნიშნავს ბათუმთან განშორებას გრიგოლ ვოლსკი.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1907 წლის თებერვალში, ხოლო გრიგოლი ბათუმს იმავე წლის 1 მაისს შემდეგ გამოემშვიდობა.

\*\*\*

ამგვარად, ახლადმოძიებული დოკუმენტების, აგრეთვე დღემდე გამოცემული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება სრული და ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებასა და ნაყოფიერ და მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, ხოლო მისი ბიოგრაფია ასეთ სახეს მიიღებს.

## 2. დაზუსტებული ბიოგრაფია

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი დაიბადა 1859 წლის 24 იანვარს, ქალაქ თბილისში, სადაც დროებით ცხოვრობდა სამხედრო სამსახურში მყოფი მამა. 1868-1878 წლებში გრიგოლი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ბუნების მეტყველების განხრით. 1880 წლის ოქტომბერში გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსზე. 1882 წლის დეკემბერში არდადაგებიდან დაგვიანებით დაბრუნებისა და სწავლის ქირის შეუტანლობის გამო გარიცხეს მოსკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსიდან. გრიგოლს სურვილი ჰქონდა სწავლა განეგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს ვერ მოახერხა, შემდეგ იგი აღადგინეს ყაზანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსზე. 1884 წლის 5 ოქტომბერს გრიგოლ ვოლსკი ყაზანიდან კვლავ მოსკოვის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც დაამთავრა 1886 წლის 13 დეკემბერს. მიენიჭა მკურნალის ხარისხი და მასრის ექიმის წოდება. 1889 წელს ჩამოვიდა ბათუმში და რკინიგზის ექიმად დაიწყო მუშაობა.

1895 წლიდან, როცა გრ. ვოლსკი ქალაქ ბათუმის თვითმმართველობაში აირჩიეს, თანდათან ჩამოშორდა პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას, მაგრამ თვითმმართველობის ტრიბუნასა და მაღალ პოსტს იგი სისტემატურად იყენებდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების, ეპიდემიასთან ბრძოლის, სანიტარიული წესების დაცვის, გარემოს გაჯანსაღების, კურორტების მოწყობისა და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. გრ. ვოლსკი ითვლება ბათუმის ექიმთა საზოგადოების დაარსების ერთერთი, დამ-



როტშილდის ბიდონების ქარხნის ინტერიერი

ფუძნებლად (იგი 11 წელი იყო ამ საზოგადოების აქტიური წევრი) და ბათუმის საქალაქო საავადმყოფოს გახსნის ინიციატორად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ვოლსკის მუნიციპალური საქმიანობა, ბათუმის თვითმმართველობის შემოღებიდან (1888 წ.) იგი აქტიურად იბრძვის, რათა ამ ქართულ ქალაქს ქართველები პატრონობდნენ. გრიგოლი აშკარად ილაშქრებდა ზოგიერთი ჩინოვნიკის შოვინისტური ზრახვების წინააღმდეგ და ყოველმხრივ ცდილობდა ქალაქის თვითმმართველობაში ქართველების რიცხვის გამრავლებას. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდ ილიასთან და სწორედ მისი მეშვეობით ახერხებდა ახლად გათავისუფლებულ აჭარაში ქართული ეროვნული პრობლემის მოგვარებას.

სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით გახდა შესაძლებელი ქალაქის თავად ჯერ **ლუკა ასათიანის**, ხოლო მისი

გარდაცვალების შემდეგ **ივანე ანდრონიკაშვილის** გავგვანა. ამ ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად გრიგოლმა ბევრ ეროვნულ და სოციალურ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ბათუმში გაიხსნა ქართული საქალაქო სასწავლებლები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ქალაქის საავადმყოფო, ბიბლიოთეკა საზოგადოებები. ამ პერიოდში გაძლიერდა ჭაობების ამოშრობა და მაღარიის წინააღმდეგ ბრძოლა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბათუმის ქალთა გიმნაზიის გახსნა. ამ საქმის მოთავე გრ. ვოლსკი იყო.

გრიგოლ ვოლსკის მუნიციპალურ საქმიანობას ვრცლად ეხებიან **სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კლდიაშვილი, არტურ ლაისტი** და სხვა მისი მეგობრები და თანამედროვენი. ივანე ანდრონიკაშვილის მოგონებებში ნათქვამია, რომ გრიგოლ ვოლსკი იყო ბათუმში ქართული საზოგადოებრივი აზრის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, ამიტომ, ავტორის თქმით, კანონზომიერი იყო ქალაქის თავად მისი კანდიდატურის დასახელებაც. და თუ ეს არ განხორციელდა, მიეწერება მის ფიცხ ხასიათს.

გრ. ვოლსკი აქტიურად ებრძვის შავრაზმულ პრესას, განსაკუთრებით „ჩერნომორსკი ვესტნიკს“, რომელიც აქვეყნებდა ცილისმწამებლურ სტატიებს და სახელს უტეხდა ქალაქის თვითმმართველობას. გრ. ვოლსკიმ და **გ. შურულმა** თვითმმართველობის ტრიბუნიდან გააცამტვერეს შოვინისტური გაზეთი და მისი რედაქტორი **გ. პაღმი**. მათი დახასიათება იმდენად მომაკვდინებელი აღმოჩნდა, რომ იმავე დამეს რედაქცია დაარბიეს, ხოლო მისმა რედაქტორმა გაქცევით უშველა თავს.

გამოკვეთილი და პირდაპირი ცნობა გრიგოლ ვოლსკის მონაწილეობაზე 1905 წლის ამბებში არა გვაქვს, თუმცა არსებობს არაპირდაპირი მინიშნება ბათუმის სამხედრო გუბერნატორის **ბ.ს. რომანოვსკი-რომანკოსი**. იგი კავკასიის მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში,

რომელიც „ახალგაზრდა ქართველ მუსლიმანთა საქმედაა“ ცნობილი, ახასიათებს **მემედ, ზია, ასლან აბაშიძეებს**, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებებს და ერთგან ამბობს: „ზია ბეგ აბაშიძე ქართული ნაციონალური მიდრეკილების და რევოლუციურად განწყობილი ადამიანი იყო, რომელიც ქალაქ ბათუმის სათათბიროს წევრთან გრიგოლ ვოლსკისთან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა და მის იდეებს იზიარებდა“ (**ოთარ გოგოლიშვილი**. საზ.პოლიტ. ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910წწ თბილისი. 2011წ. გვ. 107)

ამ სიტყვებში თითქოს განსაკუთრებული არაფერია, თუმცა აშკარაა, რომ მუამბოხე და თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი გრიგოლ ვოლსკი ფარულად თუ ღიად კავშირში იყო მოქმედი ანტიიმპერიული ჯგუფის წევრებთან და იდეურად კვებავდა მათს მოსახზრებებს, რაც ცარიზმის უმადღესი მოხელისთვისაც ყოფილა ცნობილი.

გრ. ვოლსკი ქალაქისთავთან და სხვა მოწინავე ქართველებთან ერთად არაერთხელ აღუდგა წინ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას რევოლუციური გამოსვლების გამო დაერბიათ ქალაქი და მისი მცხოვრებნი. **იანდრონიკაშვილის** მოგონებით (იხ. ქვემოთ) ირკვევა, რომ ჟანდარმერიამ გადაწყვიტა მისი და გრ. ვოლსკის დაპატიმრება და ფიზიკურად მოსპობაც, მაგრამ ეს მათ აცნობა ქართველმა ოფიცერმა **იოსელიანმა**. ისინი ფარულდ თბილისში წავიდნენ და მთავარმართებლის კანცელარიაში შეაღწიეს. იქიდან კი ბათუმის გენერალ-გუბერნატორს დავალება მისცეს უზრუნველყო ქალაქის თავისა და მისი მოადგილის უშიშროება.

როგორც ვხედავთ, რევოლუციური სულისკვეთება უპართიო ადამიანებს, ქალაქის სათათბიროს ხმოსნებსაც გადაედოთ. ქალაქის თავი და მისი თანამოაზრენიც რადიკალურ ცვლილებებს, კერძოდ, მშრომელთა მოთხოვნილობების დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ. სწორედ ასეთმა იდეურმა

მიმართულებებმა გრ. ვოლსკის დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა ხალხის მასებში, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მთავრობისათვის არასაიმედო პიროვნება 1905 წლის 25 იანვარს ქალაქის გამგეობის წევრად აირჩიეს, ხოლო მისი კონკურენტი, მთავრობის სანდო კაცი **ი.ა. ივანოვი** გააშავეს.

მიუხედავად ამისა ქუთაისის გუბერნატორმა გრიგოლი არ დაამტკიცა და იგი იძულებული გახდა კვლავ თავის პროფესიას, მედიცინას დაბრუნებოდა. თუმცა ხელისუფლების თვალთვალს ვერც აქ დააღწია თავი.

ქართული ლიტერატურის ისტორია გრიგოლ ვოლსკის იცნობს როგორც პოეტსა და მთარგმნელს. მისი ლექსები ქვეყნდებოდა **უმწიფარბის** ფსევდონიმით. პირველი პოეტური ნაწარმოები გაზეთ „დროებაში“ გამოჩნდა 1879 წელს.

გრიგოლ ვოლსკის ლექსი, „შენ გეტრფი მარად“, დღემდე რომ შინარჩუნა პოპულარობა, შეიტანეს ქუთაისის ქართული მწერლობის მოყვარეთა კრებულში, სადაც დაიბეჭდა აგრეთვე **გიორგი წერეთლის, დავით კარიჭაშვილის, დუტუ მეგრელისა** და სხვათა ნაწარმოებები, ლექსებს მალე თარგმანები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები მოჰყვა. გრ. ვოლსკი თარგმნიდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს რუსულად, მრავალი უცხოელი კლასიკოსის ქმნილება მან ქართულად თარგმნა.

დემოკრატიული მიმართულების მწვერალი თავისი წერილებითა და ლექსებით აღვივებდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ სულისკვეთებას, მოითხოვდა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. რუსეთის პირველი რევოლუციის შემდგომ რეაქციის წლებში გრ. ვოლსკი აიძულეს ბათუმს გასცლოდა და საცხოვრებლად თბილისში გადასულიყო. აქ იგი ერთხანს სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია. 1909 წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა.

გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების მიხედვით მისი ბიოგრაფები არ აზუსტებენ. დეიდაშვილი ივანე ზურაბიშვილი იმეორებს გრიგოლის სიტყვებს: „ხშირად უთქვამს ავადმყოფობა რა არისო არ ვიციო, უეცარმა სენმა რამდენიმე დღეში გამოასალმა წუთისოფელს, მიუხედავად იმისა რომ თავს ადგა თბილისის მთელი ქართველი ექიმობა“, მაგრამ დაავადებას არ ასახელებს. ერთადერთი პიროვნებაა ივანე გოგეიშვილი, რომელსაც ამ ბურუსში სინათლე შეაქვს: „მუწუკი გამოუვიდა შუბლზე ინსტრუმენტებით გაიჩიქნა და სისხლი მოეწამლა“ (დ. ნაცვალაძე გვ. 44)


ამგვარად ნათელი ხდება, რომ გრიგოლ ვოლსკის მიხეზი იყო სისხლის მოწამვლა-სეპსისი, რომელიც სულფამიდებისა და ანტიბიოტიკების გამოჩენამდე, ყოველთვის სიკვდილით მთავრდებოდა.

გრიგოლ ვოლსკის ცხედარი ბათუმელთა თხოვნით აქ გადმოუსვენებიათ და ქართული ეკლესიის გალავანში (ამჟამად გორგილადის № 25) დაუკრძალავთ.

გრ. ვოლსკის აქ დასაფლავებაც არ არის შემთხვევითი, როცა ბათუმში, ქართული ეკლესიის აშენების საკითხი დადგა, თვითმართველობაში მყოფ გრიგოლს მისთვის შესაფერისი ადგილის გამონახვაზე უზრუნვია. დაუწყიათ მშენებლობა, მაგრამ, როგორც ჩანს იგი გაჭიანურებულა (ალბათ ომის გამო). ამის შესახებ 1916 წელს ჟურნალში, „თეატრი და ცხოვრება“, ვკითხულობთ: „განსვენებულ გრ. ვოლსკის მეცადინეობით ქალაქმა დაუთმო ქართულ ეკლესიას საუცხოლო ადგილი ქალაქის შუაგულში, დაიწყეს ტაძრის შენება, აიყვანეს კედლები სახურავამდის და წერტილი დაუსვეს, შენება შეჩერდა.“ ეკლესია მოგვიანებით აუშენებიათ.

როგორც აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული საბუთებიდან ირკვევა, გრიგოლ ვოლსკის ხსოვნის უკვდავყოფად დასაფლავების დღესვე დაირაზმა ბათუმის ინტელიგენცია.





ბათუმის ქართული ეკლესია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლის გამგეობამ აირჩია სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქალაქის თვითმართველობის წევრი **გიორგი ჟურული** და ქალაქის თვითმართველობის მდივანი **ივანე მესხი**. კომიტეტს დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა გრ. ვოლსკის ძეგლის გეგმა და შეეგროვებინა ამისათვის საჭირო თანხა.

ამ მიზნით **კილაძის** სტამბაში დაიბეჭდა ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა ინტელიგენციას, შეეტა-

ნათ თავისი წვლილი გრ.ვოლსკის ხსოვნის უკვდავყოფაში. დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილი გამოაქვეყნა 1910 წლის 31 მარტს „ბატუმსკიე ვესტი“ №98-ში.

**„მოწყალეო ხელმწიფეე!**

მოგესხენებათ, რომ ჩვენი ძვირფასი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გრიგოლ ვოლსკი დასაფლავებულია ბათუმის ქართველთა ეკლესიის გალავანში. ვინაიდან განსვენებულის დასაფლავების დღესვე დამსწრეთა შორის გამოითქვა სურვილი, რომ ვოლსკის საფლავი შემკული იქნეს ძეგლით, ამისათვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის სკოლის



გამგეობამ აირჩია ცალკე კომიტეტი, რომელსაც დაეკავლა შეიმუშაოს ძეგლის გეგმა და იმისი დადგმის ხარჯი. კომიტეტის გამომგარიშებით, ძეგლი დადგმით ეღირება არაუმეტეს 400-450 მანეთი; კომიტეტი სრული დარწმუნებულია, რომ განსვენებული ვოლსკის საზოგადო მოღვაწეობის და ლიტერატურის პატივისმცემლები ბრძანდებიან არა მარტო ბათუმის ქართველთა შორის, რომელნიც იმედია მოისურვებენ მატერიალური მონაწილეობა მიიღონ მის ძეგლის აგებაში.

ამისათვის კომიტეტი მოგმართავთ ამ ბარათით, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევე, უმორჩილესად გთხოვთ, გაავრცელოთ ეს მოწოდება თქვენს ნაცნობთა შორის, რომელნიც თუ კეთილ ინებებენ, თავიანთ წელილს ძეგლის ასაგებ ხარჯის დასაფრავად მოგვაწვდიან შემდეგის ადრესით: ბათუმი, **ექვთიმე სიმონის ძე ბერძენიშვილს** (კომიტეტის ხაზინდარი).



**გიორგი შურული**

კომიტეტის თავმჯდომარე გ. შურული,  
 კომიტეტის წევრი ი. მესხი“

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სიძულვილით გამსჭვალული ადგილობრივი ხელისუფლება გარდაცვლილმა გრიგოლმაც კი შეაშინა და ამ ცნობებმა ააფორიაქა. საბუთებით ნათელი ხდება, რომ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, პოლკოვნიკმა **რომანოვსკიმ** დაავალა პოლიცმეიტერს სასწრაფოდ აკრძალა ფულის შეგროვება, გაერკვია **კილაძის** სტამბის უკანონო მოქმედება და დამნაშავე პირების შესახებ დაუყოვნებლივ მისთვის ეცნობებინა.

10 აპრილს პოლიცემისტერმა **რომანოვსკის** შეატყობინა, რომ მოწოდებები დაბეჭდილია სტამბის მფლობელის დავალებით, დაკვეთა სტამბის სარეგისტრაციო წიგნში არ იყო გატარებული. ადგილზე შემოწმებისას პოლიციამ აღმოაჩინა 123 ფურცელი.

ჩვენთვის უცნობია, შემდგომში რა ბედი ეწია ამ საქმეს, ერთი კი ცხადია, ბათუმის პოლიციის „მეშვეობით“ შეწყდა ფულის აგროვება, აღარც ძეგლი დადგმულა და გრ. ვოლსკის საფლავი დაიკარგა.

თანამედროვე საზოგადოება პატივისცემით იხსენებს პოეტს, ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს. სახლს მარიას (მემედ აბაშიძის) პროსპექტზე (№54), სადაც ცხოვრობდა გრ. ვოლსკი, გაკეთებული აქვს მემორიალური დაფა, პოეტისა და მუნიციპალური მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველად 1955 წელს მოზრდილი მონოგრაფია გამოსცა ბათუმელმა პედაგოგმა და მწერალმა დავით **ნაცვალაძემ**.

პოეტის ნეშტი გორკის №25-ში ახალი სახლის მშენებლობის დაწყებისას 1928 წელს ბათუმის ახლანდელ სასაფლაოზე გადაასვენესო, მაგრამ ვისაც ვკითხეთ, ზუსტად ვერავინ მიგვითითა საფლავის ადგილმდებარეობა, ისიც არ არის ცნობილი, ქართული ეკლესიის ეზოდან გრ. ვოლსკის ნეშტი ქალაქის სასაფლაოზე ნამდვილად გადაასვენეს, თუ არა. ფაქტია, აქ იგი ვერ აღმოვაჩინეთ, რადგანაც ახალი 4-სართულიანი სახლის მშენებლობის დროს ეკლესიაც დაანგრიეს, ხოლო საფლავის ნიშნები და ეპიტაფიები მიწის პირისაგან აღგავეს. ჩვენს პუბლიკაციებში იმედს გამოვთქვამდით, რომ იქნებ ხანდაზმულთა შორის აღმოჩენილიყო ვინმე, ვისაც ახსოვდა ქართული ეკლესიის დანგრევა და მახლობლად მდებარე სასაფლაოების ბედ-იღბალი, თუმცა ასეთი ვერავინ ვნახეთ.

აუცილებელია ჩვენმა საზოგადოებრიობამ იზრუნოს გრ. ვოლსკის ძეგლის დადგმაზე. ქალაქის ახალმა ხელმძღვან-

ელობამ 2013 წელს დადგა **ლუკა ასათიანის ბიუსტი**. ეს ფაქტი იმედს გვისახავს, რომ დაწყებული საქმე გაგრძელდება და მალე ვიხილავთ ცნობილი ქართველი მუნიციპალური მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების **ივანე მესხის, ივანე ანდრონიკაშვილის, გრიგოლ ვოლსკის** და სხვათა ბიუსტებს.

### მუნიციპალური მოღვაწე

გრიგოლ ვოლსკი ბათუმში ჩამოვიდა იმ დროს, როცა ქალაქის თვითმმართველობა სრულიად ახლადშემოდებული იყო. მისი შემადგენლობა, ხმოსნები, ქალაქისთავი და მისი მოადგილეები თითქმის მთლიანად არაქართველები იყვნენ. გრიგოლისათვის ერთად-ერთი ნაცნობი და დასაყრდენი თვითმმართველობაში იყო ქალაქის მდივანი, მისი ძველი ნაცნობი ქუთაისიდან **ივანე მესხი** (1849-1931). ამ დროისათვის ბათუმში მსახურობდა აგრეთვე რუსეთის არმიის ოფიცერი, **დავით კლდიაშვილი** (1862-1931), შემდგომში გამოჩენილი კლასიკოსი მწერალი.

ბათუმში ჩამოსვლისთანავე გრიგოლი ექიმად დანიშნეს. მართალია კერძო პრაქტიკა არ ჰქონდა და ეკონომიკურ სიციწროვესაც განიცდიდა, მაგრამ მის ერთადერთ საარსებო წყაროს პროფესია და ექიმობა წარმოადგენდა, ამიტომ იგი ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამის გარდა ივანე მესხთან, დავით კლდიაშვილთან, **ექიმ კონდრატე მსეიძესთან** და სხვებთან ერთად იგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სიღარიბე და ხელმოკლეობა იმ დროს მისი მსგავსი მოღვაწეებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ გრიგოლს ეს ბევრად არ ანაღვლებდა. მისი მთავარი საფიქრალი იყო

ქალაქის თვითმმართველობა, რომელიც ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ქართველთა ინტერესები კი შეზღულ-შეგინებული იყო. ცარიზმის მოხელეები: ქალაქისთავები **გავრონსკი** და **კოიანდერი**, ნოტარიუსი **გრიელსკი**, დეკანოზი **რალცვეინი**, გახეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი **პალმი**, როტშილდის ქარხნის მმართველი **ზროდლოვსკი** და სხვები ფეხქვეშ თელავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, შუღლსა და შფოთს თესავდნენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

საჭირო იყო განსაკუთრებული ზომების მიღება, პირველ რიგში თვითმმართველობაში ქართველთა არჩევა, რაზედაც ბათუმის ინტელეგენცია **ილია ჭავჭავაძის** რჩევებს დებულ-ლობდა. იგი თვლიდა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა შექმნის სწავლა-განათლებისა და საერთოდ კულტურული მშენებლობის ეროვნულ ნიადაგს, ამასთან იგი გახდება ეროვნული სახალხო მმართველობაო“ (**დავით ნაცვალაძე**. გრიგოლ ვოლსკი. ბათუმი 1995 წ. გვ. 14).

ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების მეორე ოთხ-წლედში (1894-1898 წლები) გრ.ვოლსკი აირჩიეს ხმოსნად. ახლა მას ერთგვარად გაეხსნა ასპარეზი, რათა ფართოდ გაეშალა ბრძოლა არა მარტო ხმოსნებად, არამედ ქალაქის თავადაც საკუთარი კანდიდატურა გაეყვანა. მან, **ივანე მესხისა** და **დავით კლდიაშვილის**, აგრეთვე ადგილობრივი მუსლიმანი ქართველების დახმარებით, შეძლო არჩევნებისათვის მოსახლეობის დიდი ნაწილის დარაზმვა, რისთვისაც საკუთარ სახლში აწყობდა შეხვედრებს, მართავდა საღამოებს ცნობილ მოღვაწეებთან: **ილია ჭავჭავაძესთან**, **აკაკი წერეთელთან**, **გიორგი წერეთელთან**, **იაკობ გოგებაშვილთან** ერთად, რასაც მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა. ეს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობაში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებასა და ხელს უწყობდა ქართველთა გაერთიანება-შეკავშირებას.

დადგა ბათუმში შავრაზმელთა თარეშის აღაგმვის დრო და ეს მისია სწორედ გრ. ვოლსკიმ იკისრა. 1894-1898 წლების არჩევნებში 35 ხმოსნიდან 19, ე.ი. ნახევარზე მეტი ქართველი იყო. ამ მოვლენამ გაახარა ქართველი ინტელიგენცია, გამოსმაურებებსაც არ დაუყოვნებია: „ძნელი წარმოსადგენია, რა ჯაფა, შრომა დასჭირდებოდა ბათუმის ქართველობას საზოგადოდ და კერძოდ თვით ვოლსკის, თავისი თავგანწირული ამხანაგებით საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის... ქართველობამ ძირი მოიმაგრა და მას უკან დღემდე ბათუმს განაგებდა ქართველობა. მიზეზი ამისა იყო და არის გრიგოლ ვოლსკი, რომელსაც შინაურობაში გრიშას ვეძახდით“-ო, წერს მწერალი **სოფრომ მაგალობლიშვილი** („მოგონებანი“, ტბილისი. 1938 წ. გვ. 186, 187)

მართლაც **ივანე მესხსა** და გრიგოლ ვოლსკის, რომლებიც თავად იყრიდნენ კენჭს ხმოსნებად, ბეწვის ხიდზე არაერთხელ მოუხდათ გავლა. რათა ხმოსანთა უმრავლესობაში ქართველები მოხვედრილიყვნენ. თუმცა წინასწარი მონაცემებით ამ განზრახვას საფრთხე ემუქრებოდა. ი. მესხმა და გ. ვოლსკიმ ახლა სხვა გზა აირჩიეს. მათ შეძლეს ბერძენი ამომრჩევლების გადაბირება, რამაც განაპირობა ბათუმის თვითმართველობაში ქართველების უმრავლესობაში მოსვლა.



**ივანე მესხი**

ჯერი ქალაქისათვის კანდიდატურაზე მიდგა. იმდროინდელი დებულებით ქალაქ-

ისტავი, მისი მოადგილეები, მდივანი და სხვა არჩევითი თანამდებობრივი პირები საბოლოოდ გუბერნატორების ბრძანებით ინიშნებოდნენ.

ქალაქისათვის კანდიდატის შესარჩევად სასწრაფოდ შეიკრიბნენ ბათუმის ახლად არჩეული თვითმმართველობის ხმოსნები და დიდი სჯა-ბაასი გამართეს. სამწუხაროდ აქ არ იყო ერთსულოვნება. განხეთქილება თვით ქართველ დეპუტატებსაც გადაედოთ. ზოგი თვლიდა, რომ ქალაქისათავი უეჭველად რუსი უნდა ყოფილიყო, რათა მას გაადვილებოდა ხელისუფლებასთან ურთიერთობა. სხვები კი მიიჩნევდნენ, რომ რაკი უმრავლესობაში ქართველები მოვიდნენ, აუცილებლად ქალაქისათავიც ქართველი უნდა იყოსო: „ერთგული აღმასრულებელი დასახული მიზნებისა, გამოცდილი, საქმის მცოდნე, ისეთი პირი, რომელსაც შეჭირს ქართველობის მდგომარეობა და ერთგულად გაუძღვებოდა საზოგადო ასპარეზზე ახლად გამოსულ, გამოუცდელ ხმოსნებს“.

ქართველი ხმოსნებისთვის, თვით გრ. ვოლსკისა და **ი. მესხისათვის** ცნობილი იყო ვის უჭერდა მხარს **ილია ჭავჭავაძე. ლუკა ასათიანის** გვარი ხმოსანთა პირველ შეკრებაზეც გაისმა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ საფრთხის წინაშე დააყენა ეს მოსაზრება. თუმცა მისი მომხრეები უკან არ იხევდნენ.

დრო რომ არ დაკარგულიყო, ინიციატორებმა გადაწყვიტეს პირველ რიგში მიეღოთ თვით ლუკა ასათიანის თანხმობა. შეიკრიბნენ **მელიტონ ლორთქიფანიძის** სახლში, შეადგინეს ლუკასადმი მიმართვის წერილი, ოცდაერთმა კაცმა ხელი მოაწერა და ამ თხოვნით **დავით კლდიაშვილი** ქუთაისში აფრინეს.

გაცხარებული ბრძოლა გაიმართა ბათუმის ქალაქისათვის არჩევნებზე. ლუკა ასათიანმა ორ სხვა კანდიდატს მხოლოდ ერთი ხმით აჯობა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო გამარჯვებისთვის. ქართველებს და მათს მომხრე ბერძნებს იმ დღეს დიდი ზეიმი ჰქონდათ.

მოწინააღმდეგეებს ახლა ერთად-ერთი იმედი დარჩენოდათ გენერალ-გუბერნატორისა, რომელსაც შეეძლო რაღაც მიზეზით არ დაემტკიცებინა არჩევნების შედეგები. მიზეზებიც გამოიგონეს. გუბერნატორამდეც მიაღწიეს, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს იყო წყალწადებულის ხავსზე მოჭიდება. გენერალ-გუბერნატორმა **მიხეილ შალიკაშვილმა**, რომელიც მაღალჩინოსნებს შორის გამოირჩეოდა თავისი ლიბერალობითა და ქართული ორიენტაციით და რომელიც ძალიან კარგად იცნობდა **ლ. ასათიანს** და პატივისცემითაც ეპყრობოდა, ყველა მიზეზს, სწორსა და ცრუს, წაუყრუა და დაუყოვნებლივ დაამტკიცა ბათუმის ქალაქისთვის არჩევნების შედეგები.

ადრე ბათუმში ქოლერის ეპიდემიის დროს (1892წ.) საჭირო ზომების მიუღებლობის გამო კავკასიის მთავართმართებელმა სერიოზული შენიშვნა გამოთქვა. ქალაქისთვის **კ.დ. გაგრონსკი** თანამდებობიდან გადადგა, ამიტომ არჩევნების ჩატარებამდე ბათუმის ქალაქისთვის მოვალეობას დროებით ასრულებდა მისი მოადგილე **ა.ი. კოიანდერი**. როგორც ირკვევა იგი ქალაქისთვისად დანიშვნას ელოდა. **ლ. ასათიანის** დამტკიცებით განაწყენებული ჩინოვნიკი დაუყოვნებლივ გადადგა მოადგილის თანამდებობიდან, ამიტომ ქართველებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ადგილზე გაეხსნათ გზა. ორ მოადგილეთაგან ერთი ადგილი გრ. ვოლსკიმ, ხოლო მეორე **ი.ა. ივანოვმა**, გარუსებულმა ლეკმა დაიკავა. მდივნად კვლავ ლუკა ასათიანთან ერთად ქუთაისის თვითმმართველობაში მდივნად ნამყოფი და მისი ძველი მეგობარი **ივანე მესხი** (1849-1931) დანიშნეს.

1894 წლის არჩევნებში მონაწილეობა 239-მა ამომრჩეველმა მიიღო. სულ აირჩიეს თვითმმართველობის 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ვფიქრობ უინტერესო არ იქნება მათი გვარების გაცნობა, თუნდაც იმისათვის, რომ ვიცოდეთ ვისთან უხდებოდა გრ. ვოლსკის ბათუმში მუშაობა.



**სმოსნები:**

- |                     |                        |
|---------------------|------------------------|
| 1. გრიელსკი ვ.ფ.    | 18. ნიკოლაძე მ.ი.      |
| 2. სევერინი კ.ა.    | 19. ივანოვი ი.ა.       |
| 3. ლოპატო ბ.ა.      | 20. ვაკიე მ.პ.         |
| 4. ერისტოვი ნ.ბ.    | 21. ნეკლუდოვი ა.ა.     |
| 5. გედევანოვი ი.ზ.  | 22. დე-პოლინი ბ.რ.     |
| 6. ვოლსკი გრ. ი.    | 23. მესხი ი.ს.         |
| 7. ელიავა გრ. ლ.    | 24. სელიტერინკოვი მ.ა. |
| 8. ბიკოვი დ.ი.      | 25. გუგუშვილი ა.პ.     |
| 9. დუმბაძე ნ.ა.     | 26. ზროდლოვსკი ს.ე.    |
| 10. სიმეონიდი პ.ს.  | 27. ბარათოვი დ.ი.      |
| 11. მხეიძე ს.ი.     | 28. ბერძენიშვილი ე.ს.  |
| 12. ბენელისი ი.ე.   | 29. სემიონოვი ა.დ.     |
| 13. ყურბანოვი გ.ი.  | 30. საბაშვილი ს.ს.     |
| 14. შერვაშიძე პ.ლ.  | 31. მიხაილიდი მ.თ.     |
| 15. დიმიტრიადი ა.დ. | 32. მგელაძე რ.კ.       |
| 16. საბაევი ნ.ა.    | 33. ლომინაძე ი.კ.      |
| 17. კონტეცოვი გ.ე.  | 34. ბეთანოვი მ.ს.      |
|                     | 35. პოლსკი ა.მ.        |

**კანდიდატები:**

- |                        |                           |
|------------------------|---------------------------|
| 1. მჭედლიშვილი ლ.ლ.    | 6. ჯაყელი თ.ვ.            |
| 2. აბაშიძე დურსუნ      | 7. ოდაბაშოვლი ხუსეინ-აღა  |
| 3. გეგენავა პ.ს.       | 8. აბაშიძე ხუსეინ-აღა     |
| 4. იაკალისი ნ.ე.       | 9. კაკაბაძე ი.დ.          |
| 5. საბახტარიშვილი ი.ბ. | 10. ქიქოძე ლ.ს. (მღვდელი) |

ამგვარად, ამ არჩევნებში სმოსნის 18 ადგილი ე.ი. 54% ქართველებს ერგოთ, ხოლო კანდიდატად, გარდა ერთი-სა, ყველა ქართველი აირჩიეს. ეს იმ დროისათვის მართლაც დიდ გამარჯვებას ნიშნავდა და ამაში დიდი წვლილი



სწორედ გრიგოლ ვოლსკის და მის ქართველ მეგობრებს მიუძღოდნენ.

**ლუკა ასათიანის** ქალაქისთავად დანიშვნამ გრიგოლ ვოლსკის ახალი ძალები შემატა. მას ახლა გაუადვილდა ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც ბათუმში არ ერიდებოდა ქართველთა დაჩაგრვას, აუგად ხსენებას და დამცირებას. გრიგოლის ქალაქისთავის მოადგილედ დანიშვნამ გააცოფა ნოტარიუსი **გრიელსკი**, დეკანოზი **რალცევიჩი**, გაზეთის რედაქტორი **პალმი**, როტშილდის ქარხნის ინჟინერი **ზროდლოვსკი** და სხვა შავრაზმელები.



**ლუკა ასათიანი**

საჭირო იყო მათი მხილება და ალაგმვა. ეს არცთუ ისე ადვილი მისია გრ.ვოლსკიმ იკისრა. იგი არ ერიდებოდა საკუთარ თავსა და კარიერას, ოღონდ ეს შოვინისტების საზოგადოების თვალში გამოეაშკარავებინა.

ქართველთაგან ჯერ დაეთანხმა ბათუმში ქალთა სასწავლებლის გახსნას და თვითმმართველობისათვის ახალი შენობის აგებას, ხოლო შემდეგ განაცხადა: „ქალაქის თვითმმართველობის შენობისათვის პროექტი არაა შედგენილი, მშენებლობისათვის ფული არაა, შენობის აგების საკითხი გამგეობის სხდომაზე არ განხილულა და არავითარი დავალება ამ საკითხზე არც გამგეობას კოლექტიურად და არც ბატონ ვოლსკის არ ჰქონია. ძალიან ბევრს ჩემობს ბატონი ვოლსკი, რომ ასე ოპერატიულად და წინასწარ სწყვეტს მშენებლობის სერიოზულ საკითხს“.

გრიგოლ ვოლსკი ილიასებური სარკაზმითა და არგუმენტებით ააშკარავებს **გრიელსკის** ორპირობას: „პირველ ყოვლისა ვპასუხობთ, პროექტი მომავალი შენობისათვის შედგენილია ჯერ კიდევ თვითმმართველობის ძველი შემადგენლობის დავალებით აწ გარდაცვლილ ინჟინერ **ლენჩევსკის** ხელით, მშენებლობის საკითხი არაერთხელ არის განხილული... ახლანდელმა გამგეობამ, რომელსაც გრიელსკიც მიეკუთვნება, მიმდინარე წლის 26 ივნისის სხდომაზე 30 ხმოსნის შემადგენლობით, რომელთა შორის გრიელსკიც იყო, ერთხმად მიიღო რეზოლუციის შესამე პუნქტი მშენებლობის შესახებ“ (газета «Новое обозрение», 17 октября, 1895 г.). შემდეგ ვოლსკი თავის მოპაექრეს უცხო ენით გატაცებასაც უწუნებს: „ეს ძალაუნებურად მაგონებს ქუთაისის პოპულარული კლუბის ერთი ყოველდღიური დამსწრის ანეკდოტს, რომელიც ისევე შეუბრალებელია რუსული ენის მიმართ, როგორც ბატონი გრიელსკი ლათინური ენის გრამატიკისადმი და რომელმაც ეშმაკურად გადააკეთა რუსულ «Цыплят по осени считают» და შექმნა ახალი ორიგინალური ანდაზა: «Цыплят вовсе не считают». ეს გრიელსკის სრულ განადგურებას ნიშნავდა. მომდევნო სხდომებზე იგი ცდილობდა მორიდებოდა გრ. ვოლსკის და საერთოდ მასთან კამათს.

ბათუმელი მრეწველი და სომეხთა კომერციული ბანკის გამგებელი **აღ. მანთაშევი** ცდილობდა ქართველებსა და სომეხებს შორის შუღლის ჩამოგდებას, რაც ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ მიზნით ა. მანთაშევი ქართველებს აუკრძალა ბანკიდან ფულის გატანა, რასაც გრ. ვოლსკის მკაცრი პასუხი მოჰყვა. ამ ფაქტს **დავით კლდიაშვილი** შემდეგნაირდ ეხმაურება: „სომხის კომერციული ბანკის გამგეობამ ქართველ ვაჭრებს დაუპირა ბანკიდან ფულის გატანის საშუალების მოსპობა. რასაკვირველია ეს საიდუმლო გან-

კარგულება იყო. ვოლსკიმ ვრცელი, დაღაგებულნი, მამხილებელი წერილი მისწერა **ალ. მანთაშევს** კომერციული ბანკის სრულ გამგებელს. ბრალს მანთაშევს სდებდა, რომ იგი თავს ნებას აძლევდა ამგვარი მოქმედებისათვის, რაც უქველად გამოიწვევდა მეტიხმეტ გამწვავებას ქართველებსა და სომხებს შორის“. ასეთმა პირდაპირობამ, კაპიტალისტის ზრახვების გამოაშკარაებამ ეტყობა, შეაშფოთა ალ. მანთაშევი და ის იძულებული გახდა ჯერ წერილი მოეწერა და უარყო ასეთი განკარგულება, შემდეგ კი ბათუმში ჩამოსულიყო, მოენახულებინა გრ. ვოლსკი და შესაბამისი განკარგულებაც გაეცა, „რომ ბანკის განყოფილებას გაეძლიერებინა ქართველ მსესხებელთათვის კრედიტი“ (**დავით კლდიაშვილი**. ჩემი ცხოვრების გზაზე. თბილისი. 1961 წ. გვ. 68-74).

დავით კლდიაშვილი ხატოვნად აგვიწერს გრ. ვოლსკის გააფრთხულ ბრძოლას რედაქტორ **გრიგოლ პალმის** წინააღმდეგ; ბოლოს ამ ბრძოლამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ პალმი, როგორც ხმოსანი, გაკიცხეს, რაც მისი გაზეთის თარეშის დასასრულსაც უდებდა სათავეს; გაკიცხვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა: რუსეთის პირველი რევოლუციის დროს რედაქცია დაარბიეს, ხოლო პალმმა გაქცევით უშველა თავს.

დავით კლდიაშვილმა, მემატინანეთაგან ერთადერთმა, დაგვიტოვა გრ. ვოლსკის ძალზე მოხდენილი და დროული ფრაზა, რომლითაც მან როტშილდის ქარხნის ინჟინერს **ზროდლოვს**კის მიმართა; თურმე ამაყი და მიუკარებელი ინჟინერი გაუგებარი მიზეზით ამცირებდა ქართველობას, იგი ხმოსანი იყო და იმდენად მედიდურად იქცეოდა, რომ ხმის გაცემას ვერავინ უბედავდა: „საჭირო იყო ამ პირის ალაგმვა, მისი მძლავრობის შერყევა“ (გვ.73) და ეს მისია მასზე უფრო მამაცმა და გაბედულმა გრ. ვოლსკიმ იკისრა. თურმე გამგეობის მიერ გამოცემული რომელიღაც განკარგულება



ლიტერატურული ცხოვრებისაკენ” (არტურ ლაისტი. საქართველოს გული. თბილისი, 1963 წ. გვ. 13, 14.)

კი ბატონო, მართლაც დიდად ისწრაფოდა გრიგოლი ლიტერატურისაკენ, მაგრამ იმ დროს არავინ იყო ისეთი, ვინც ლიტერატურითა და ლექსებით ირჩენდა თავს, ამიტომ ყველას თავისი პროფესიის ინტერესი გააჩნდა, საქმიანობდა და თავსაც ამით ინახავდა, აკი თავად ა. ლაისტიც აღიარებს: „ბედად ქარხნის ექიმის ადგილი იშოვა, თორემ სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნდა; როგორც ქარხნის ექიმს შეეფერებოდა, თავისი მცირე ჯამაგირით ღარიბულად ცხოვრობდა” (იქვე).


ალბათ ა. ლაისტის სიტყვების გამოსმაურებაა, როცა გრიგოლ ვოლსკის ერთ-ერთ ყველაზე გულითადი ბიოგრაფი და პირველი მონოგრაფიის ავტორი, მწერალი **დავით ნაცვალაძე** წერს: „ცოტა დროს ანდომებდა თავის სპეციალობას... თავისი სპეციალობა არ იზიდავდა... მედიცინით სრულებით არ იყო დაინტერესებული” და ა.შ. მწერალი **სოფრომ მგალობლიშვილი** უფრო შორს მიდის და ამბობს: „წავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ არ ექიმობდა”-ო („მოგონებანი”, ტფილისი. 1938წ.გვ.). სინამდვილე კი სხვაგვარია.

როგორც გრ.ვოლსკის ბიოგრაფიაში ავლნიშნეთ, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, 1880 წელს გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ კვლავ შეიცვალა სასწავლებელი და 1883 წელს გადავიდა ყაზანის უნივერსიტეტში, ხოლო 1884 წელს კვლავ მოსკოვის უნივერსიტეტში დაბრუნდა.

ამგვარად გრ. ვოლსკიმ სამი უმაღლესი სასწავლებელი გამოიცვალა, თუ ექიმობა არ სურდა, მას შეეძლო შეეცვალა ფაკულტეტიც, მაგრამ სამივეგან იგი სწავლას აგრძელებს სამედიცინო ფაკულტეტზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ

მედიცინა ახალგაზრდა კაცისათვის მოწოდება იყო და ეს პროფესია მისთვის თავზე არავის მოუხვევია.

მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს 1886 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით გრ. ვოლსკის მიენიჭა მკურნალის ხარისხი და მასრის ექიმის წოდება. იგი ჩამოვიდა ბათუმში და რკინიგზის ექიმად დანიშნეს.



**ბათუმის რკინიგზის ვაგზალი**

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დაწყებამდე, ლიტერატურულ კრიტიკოსად და პოეტად უკვე ცნობილი გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე) სამედიცინო დარგში გამოქვეყნებული შრომების კრიტიკოსადაც გვევლინება. 1887 წელს იგი „ივერიაში“ გამოდის საგარეჯოს მასწავლებლის **ალექსანდრე ცხვედაძის** წიგნაკის კრიტიკით (№220, 1827 წ. გვ. 2, 3). წიგნის ავტორს მედიცინის რთული დარგის, მეან-გინეკოლოგიის საკითხებზე გამოუშვია საგანმანათლებლო ბროშურა ორსულთა და მელოგინეთათვის, სადაც გრ. ვოლსკიმ მრავალი შეცდომა აღმოაჩინა და ავტორს მოუწოდა „დაანებოს თავი იმას, რაც ცხადია, მასწავლებლის საქმე არაა“.



გრ. ვოლსკის კრიტიკის საგანი გახდა აგრეთვე ფარმაცევტი **ილია ალხაზიშვილი**, რომელსაც შეუდგენია წიგნი, „სამკურნალო წამალთა სწავლა“ კრიტიკოსი იწონებს ავტორის იდეას, გამოსცეს ასეთი წიგნი, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ „არა აქვს საჭირო ნივთიერი შეძლება ამ საქმის რიგისამებრ დამთავრებისათვის“ და ურჩევს მას „გადაათვალიერებინოს თავისი შრომა ჩვენს ნასწავლს ექიმებს და ეცადოს, რომ ჩაწერის ენა იყოს წმინდა ქართული, კანონიერი და ადვილად გასაგები“ („ივერია“, №160, 1888 წ. 31.07.გვ. 1, 2).

გრიგოლ ვოლსკის კრიტიკული კალამი ცნობილ უცხოელ მეცნიერებსაც მიწვდა. მან თარგმნა იტალიელი მეცნიერის, ფსიქოლოგისა და კრიმინალის **ჩეზარე ლომბროზოს** (1835-1909) ნაშრომი „გენიოსების სქესობრივი გადაგვარება“, რომელსაც „საყურადღებოს“ უწოდებს მაგრამ დაასკვნის, რომ „ბევრში არ ვეთანხმებით პატივცემულ მეცნიერის ახირებულს აზრს“-ო. („ივერია“, №132, 1895 წ. 24.I. გვ. 1, 2).

ჩვენ აქ ზოგადად შევეხეთ გრ. ვოლსკის, როგორც კრიტიკოსის რამდენიმე გამოსვლას. ამ სფეროში მის საკმაოდ ნაყოფიერ შემოქმედებას მკითხველი გაეცნობა თავში, „გრიგოლ ვოლსკი-კრიტიკოსი“. ამჯერად ჩვენი მიზანი იყო მკითხველი ერთხელ კიდევ დაგვერწმუნებია, რომ იგი არასოდეს მოწყვეტილა პრაქტიკული და თეორიული მედიცინისაგან და პარალელურად თვალს ადევნებდა მედიცინის საკითხებზე გამოცემულ ლიტერატურას.

\*\*\*

1894-1902 წლებში, ქალქ ბათუმის საკრებულოში ორგზის ხმოსნად და ქალაქისთავის მოადგილედ არჩევის დროს, გრ. ვოლსკი დროებით ჩამოშორდა საქმიანობას.

ჩინონიკებთან პრინციპულ საკითხებზე ხშირი დავაკამათის გამო გრ. ვოლსკი ხელისუფლების მიმართ არა-

კეთილსაიმედოთა სიაში მოხვდა, რის გამოც იგი, ორგანოს არჩეული ქალაქთაგვის მოადგილედ, ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა და გრიგოლ ვოლსკი 1903 წელს კვლავ დაუბრუნდა თავის პროფესიას. ამჯერად იგი **როტშილდის** ქარხნის ექიმა, სადაც შეცვალა აქ შეთავსებით მომუშავე ბათუმის სამხედრო პოსპიტლის უფროსი **ა.ს. შიშკოვი** (1846-1909 წწ.), რომელიც სამუშაოდ ვარშავაში გაიწვიეს.


1905 წელს ბათუმის საქალაქო გამგეობის ხმოსნების დაქინებული მოთხოვნით გრ.ვოლსკიმ კვლავ იყარა კენჭი გამგეობის წევრობაზე. 15 ხმით, 8-ის წინააღმდეგ გრ. ვოლსკი აირჩიეს, მაგრამ გუბერნატორმა მისი დამტკიცება ექვსი თვე გააჭიანურა, ხელოვნურად შექმნილი უკანონობის ამბავმა, ბათუმის ინტელიგენციის მეცადინეობით, კავკასიის მეფის ნაცვლამდე მიაღწია; ეს დიდი გამოსვლების და დემონსტრაციების პერიოდი, ამიტომ მთავარმართებელმა ცოტა ყური აუწია გუბერნატორს და მისწერა: „ახალი არჩევნები არაა საჭირო, აცნობეთ ქალაქისთავს, რომ ვოლსკი დამტკიცებულია“. ამის შემდეგ გრიგოლი კიდევ ერთხელ და საბოლოოდ ჩამოშორდა მედიცინას, თუმცა ცარიზმის აგენტების მუდმივი დევნისა და სასტიკი მეთვალყურეობის პირობებში შეუძლებელი იყო ქალაქის გამგეობაში მუშაობა და იგი **როტშილდის** ქარხანაში ექიმობას დაუბრუნდა. ორი წლის შემდეგ კი 1907 წელს საერთოდ გაეცალა ბათუმს, თბილისში გადავიდა და სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლობას მიჰყო ხელი. აქ იგი 1909 წლის 5 ოქტომბრამდე (გარდაცვალებამდე) დარჩა.

\* \* \*

გრიგოლ ვოლსკის სამედიცინო საქმიანობაზე მისი ბიოგრაფები მხოლოდ ზემოთ მოტანილი ზერედე ფრაზებით შემოიფარგლებოდნენ და მისი მოღვაწეობის ეს მხარე საფუძვლიანად არავის შეუსწავლია. ჩვენ შევეცადეთ შე-



ძლებისდაგვარად შეგვეკრიბა ყველა მასალა, გრ. ვოლსკის პროფესიულ საქმიანობას რომ შეეხებოდა.



**ბათუმის ქსენონი**  
(გაიხსნა 1887 წ.)

როგორც ზემოთ ითქვა, გრიგოლ ვოლსკი ბათუმში ჯერ რკინიგზის, ხოლო შემდეგ **როტშილდის** ქარხნის ექიმი იყო. სავარაუდოდ იგი ბათუმში 1889 ან 1890 წლის დასაწყისში ჩამოვიდა. ამგვარად გრ. ვოლსკი ითვლება პირველ ქართველ და პირველ სამოქალაქო ექიმად ბათუმში. მანამდე აქ მომუშავე ექიმები (**კ. სევერინი**, **ფ. შეფერი**) ითვლებოდნენ სამხედრო უწყების ჩინოვნიკებად.

ერთერთი საბუთით ირკვევა აგრეთვე გრ. ვოლსკის მოსკოვური მისამართიც, სადაც იგი სტუდენტობის დროს ცხოვრობდა: Москва, III участок Тверской части, Неглинный проспект №25, дом Харитова.

ქართულ პრესაში გრ. ვოლსკის მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების სათაურების ჩამოთვლაც საკმარისია დაგრწმუნდეთ, რომ მედიცინასთან კავშირი არასოდეს

გაუწყვეტი: „ექიმობა და დარიგება ქალის სვადმყოფობისა და ორსულობის დროს“ (1887), „სამკურნალო წამალთა სწავლა ექიმ **ალხაზიშვილისა**“ (1888), „ქოლერიანი ავადმყოფის პირველი დახმარების წესები“ (1892), „გენიოსების სქესობრივი გადაგვარება“ (1895) და ა.შ.

1898 წელს გრ. ვოლსკიმ პეტერბურგში ჩატარებულ კურორტოლოგთა ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ბათუმისა და მახინჯაურის საკურორტო მნიშვნელობაზე.

ეს ნაშრომები დაწერილია იმ დროისათვის აღიარებული მეცნიერული დაკვირვებების დონეზე, თუმცა ისინი დღესაც იწვევენ მედიკოს - ისტორიკოსთა ინტერესს. 1892 წელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში, მათ შორის ქალაქ ბათუმშიც, ქოლერიის ეპიდემიამ იფეთქა. ბათუმის ქარხნების მეპატრონეები შეაშფოთა ამ მდგომარეობამ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი მუშახელისათვის აეცილებინათ საშიში სენი, რადგანაც ამას შესაძლოა ქარხნის მუშაობის შეჩერება მოჰყოლოდა. **როტშილდის** ქარხნებში გრიგოლს უმძიმეს პირობებში უხდებოდა დავადების თავიდან აცილების წესების განმარტება; მან მუშების სასარგებლოდ გამოიყენა ქოლერიის ეპიდემია და ქარხნის ადმინისტრაციასთან მიაღწია იმას, რომ 1892 წელს ბარცხანაში მუშებისათვის სასწრაფოდ აეშენებინათ ორი ბარაკი. ექიმ **მ. სეგალის** თქმით, ამ ბარაკების ოთახები ნათელი და მშრალია. თითო ოთახში არა უმეტეს სამი მუშა ცხოვრობს, აქვე აქვთ გათბობა, კარგი სასმელი წყალი, ერთი სასადილო და ორი დიდი სამზარეულო. ეზოც ფართო და კარგად მოვლილია. (**М. Л. Сегаль** . Жилища рабочих в г. Батуме. Кутаис. 1903 г. стр. 22). ამ საქმეში დიდი იყო გრ. ვოლსკის როლი. თუმცა ის ამით არ დაკმაყოფილდა და ჩაერთო ექიმთა საერთო მოძრაობაში, რაც მიზნად ისახავდა მთელი ქალაქის დაცვას უკიდურესად სახიფათო ეპიდემიისაგან.



გრიგოლ ვოლსკი მეგობრებთან: პირველი ზის დავით კლდიაშვილი, დგანან: კონდრატი მხეიძე და გრიგოლ ვოლსკი.



როტშილდის ქარხანა (ეზო)

ამავე პერიოდს მიეკუთვნება გრ. ვოლსკის ორიგინალური ნაშრომი „ქოლერის დაავადებულთა პირველადი დახმარების შესახებ“, რომელსაც საგანმანათლებლო ხასიათი აქვს. დასაწყისში ავტორი ჩამოთვლის ქოლერის ნიშნებს, რათა ყველას, მათ შორის არა მედიკოსებსაც გაუადვილდეთ მისი გამოცნობა და არ აერიოთ ნაწლავთა სხვა დაავადებებში. შემდეგ ექიმი-პრაქტიკოსი ურჩევს სნეულის მოვლის წესებს: წოლით რეჟიმს, ტანის თბილად შენახვას, სასმელების მიღებას (ღვინო, ჩაი), ოფლის მოდენას, ხელ-ფეხზე თბილი საგნების (ბოთლების) დადებას, სხეულის დახედვას, მღოვივის საფენების შემოდებას, თბილ წყალში ბანაობას, პირღებინების დროს ყინულის ნაჭრების ჩაყლაპვას, ზოგი წამლების (ინოზემცევის, ვალერიანის, ბოტკინის, გოფმანის წვეთები, ქინაქინა) მიცემას. ავტორი არც მომვლელების და მკურნალებისათვის დაავადების გადადების საშიშროებას ივიწყებს და ურჩევს მათ, დაიცვან თავი სნეულის გამონაყოფებისაგან (ექსკრემენტი, პირნაღები მასა) და ჩაატარონ გულმოდგინე დეზინფექცია. თავის რჩევა-დარიგებებს გრ. ვოლსკი პუმანური სიტყვებით ამთავრებს: „ქოლერით ავადმყოფს თავისი მზრუნველობა არ მოაკლონ, შეუშვოთებლად და დაწყნარებით აღასრულონ წმინდა ვალი კაცთმოყვარეობისა და საზოგადოების სამსახურისა“ („ივერია“ № 162, 1892წ. 1 აგვისტო გვ. 3).

როგორც ვთქვით, 1898 წელს პეტერბურგში კურორტოლოგთა ყრილობაზე გრ. ვოლსკიმ წაიკითხა თავისი კოლეგის ბათუმელი **ტ.პ. ტრიანტაფილიდესის** ნაშრომი ბათუმისა და მისი შემოგარენის საკურორტო მნიშვნელობაზე. რომელსაც გრ. ვოლსკი ზოგადად ემხრობოდა, მაგრამ პრინციპულ საკითხებზე ჰქონდა შენიშვნებიც. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ეს საკითხი ავტორმა წარმოადგინა ექიმთა საზოგადოების სხდომაზე, სადაც გრ. ვოლსკიმ სხვა თავის მომხრეებთან ერთად გამოთქვა თავისი შენიშვნები.

კერძოდ : „აუცილებელია შრომა დამუშავდეს და მას დაემატოს მონაცემები, რომელიც დაგვარწმუნებენ იმაში, რომ ბათუმის კლიმატური და სხვა პირობები მართლაც შეიძლება განვიხილოთ კლიმატურ-სამკურნალო სადგურის გახსნის პირობად“ (ПТОВБ. Батум. 1904 г. стр.27).

სამწუხაროდ ბათუმის რკინიგზისა და **როტშილდის** ქარხანაში გრ. ვოლსკის საექიმო პრაქტიკულ საქმიანობაზე ჩვენს არქივებში ვერაფერი აღმოვაჩინეთ. სამაგიეროდ, როგორც ვთქვით, ჩვენს გაზეთებში შემოგვრჩა მისი ნაწარმოებები თეორიულ მედიცინაზე, რომლებიც ეხმაურება იმ დროისათვის არსებულ პრობლემებს, ეპიდემიას, მოსახლეობის ჰიგიენურ არზრდას, სხვა ავტორების ნაშრომთა კრიტიკულ განხილვებს და ა. შ.


\*\*\*

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ცენტრალურ და პერიფერიაზე მდებარე ქალაქებში დაიწყო სამედიცინო საზოგადოებების დაფუძნება. კავკასიაში პირველი ასეთი საზოგადოება დაარსდა 1864 წლის 5 აპრილს თბილისში, რომელიც მთელს იმპერიაში 25-ე იყო. 1892 წელს ექიმთა საზოგადოება დაარსდა ქუთაისშიც, სადაც ძირითადად ქართველი ექიმები გაერთიანდნენ.

ბათუმში სამრეწველო კაპიტალის განვითარებას, ახალი ფაბრიკა-ქარხნების გახსნასა და თვითმმართველობის შემოღებას თან ახლდა მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა. ოსმალთა იმპერიისაგან განთავისუფლებულ ქალაქს, რომლის ნავსადგური ევროპისთვის მნიშვნელოვან საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენდა და დღითიდღე იზრდებოდა მისი ტვირთბრუნვა, დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან მოაწვდა სამუშაოს და ლუკმა პურის საშოვრად ჩამოსული



მოსახლეობა. ქალაქის მცხოვრებთა ზრდის კვალობაზე იზრდებოდა როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო ექიმთა და ფარმაცევტთა რიცხვიც. ამ მდგომარეობამ ბათუმშიც დააყენა ექიმთა საზოგადოების დაარსების საკითხი, რაც 1896 წლის 20 ნოემბერს განხორციელდა კიდევ, საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ 37 წევრი – დამფუძნებელი, 7 ნამდვილი წევრი, 4 წევრ-კორესპოდენტი და ორი წევრი – მოპაექრე (კანდიდატი).



ბათუმის ექიმთა საზოგადოების წევრის დიპლომის ასლი. 1897 წ.

დამფუძნებელთა შორის იყო ექიმი – 25, ფარმაცევტი – 7, ვეტერინარი-3, უწყებათა ჩინოვნიკი – 2. ექიმთა შორის ქართველი ოყო მხოლოდ 4 (**გრ. ვოლსკი**, **გრ. ელიავა**, **კ. მხეიძე**, **დ. ნაზარიშვილი**), რაც ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა ქალაქის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას და ქალაქის თვითმართველობაში (სადაც გრ. ვოლსკიც იყო დეპუტატად) ქართველ ხმოსანთა რაოდენობას.

საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს სასაზღვრო დაცვის ბრიგადის ცალკე კორპუსის ექიმი, კოლეგიის ასესორი **გ.ი. პუზირევსკი**, ხოლო მდივან-მოლარედ სამხედრო ჰოსპიტლის უმცროსი ორდინატორი **რ.ფ. გუნდრიზერი**, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ექიმთა საზოგადოება იმპერიის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის ერთ ერთ დანამატს წარმოადგენდა.

საზოგადოების სხდომებზე განიხილებოდა მედიცინის აქტუალური საკითხები, აგრეთვე საზოგადოების საქმიანობის მიმდინარე მომენტები, მომხსენებელთა და მოკამათეთა გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერები შექონდათ ოქმში. ქალაქის გამგეობაში დიდი დატვირთვის გამო, გრ. ვოლსკი ექიმთა საზოგადოების სხდომებს ზოგჯერ ვერ ესწრებოდა, ყველა ოქმიც არ შემოგვრჩა, რის გამო მისი გამოსვლების სრული სურათი ვერ აღვადგინეთ, თუმცა შემორჩენილი ოქმები საშუალებას იძლევა დავრწმუნდეთ, რომ გრ. ვოლსკი ითვლებოდა ექიმთა საზოგადოების აქტიურ წევრად და მონაწილეობდა, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ მედიცინაზე მიძღვნილი საკითხების განხილვაში. გრ. ვოლსკის დასწრება ექიმთა საზოგადოების სხდომებზე და მისი გამოსვლები გახშირდა მას შემდეგ, როცა ის იძულებული გახდა წასულიყო ქალაქის გამგეობიდან და კვლავ პრაქტიკული მედიცინით დაკავებულიყო.

1904 წლის 5 მარტს ჰოსპიტლის ექიმმა **ს.პ. ტროიცკიმ** საზოგადოების სხდომაზე წარმოადგინა მოხსენება ჯარისკაცებს შორის სისხლიანი დიარეის თაობაზე და ყველა შემთხვევა დიზენტერიას მიაწერა.

გრ. ვოლსკიმ თავის გამოსვლაში მომხსენებელს მრავალი შენიშვნა მისცა და განუმარტა, რომ ძალზე მკაცრად უნდა გაგარჩიოთ ნამდვილი დიზენტერია, როგორც სპეციფიკური ინფექციური სნეულება მისთვის დამახასიათებელი კლინიკური მიმდინარეობით. თქვენს შემთხვევაში არაა დამახასიათებელი არც კლინიკური სურათი და არც პათოლოგანატომიური მონაცემები. მსხვილი ნაწლავების მრავალ



დავადებას იწვევს მაღარია, რომელიც ამავე დროს დიზენტერიის სიმულიაციაა და ამ მდგომარეობას გამოუცდელი ექიმი ჩიხში შეყავს. მაღარით დასნეულებულთა 10% ავადდება კოლიტით, რომელიც დიზენტერიას გავს, თუმცა თავისი ბუნებით და დამახასიათებელი გამოვლინებით სრულიად უცხოა («Протоколы и труды Общества врачей в г. Батуме. (ПТОВБ) 1903-1904 гг. Батум. 1905 г. стр. 35).

ეს ციტატა შემთხვევით არ მოვიტანეთ, მასში ნათლად გამოსჭვივი ვრ. ვოლსკის როგორც პრაქტიკოსი ექიმის დიდი დაკვირვება და გამოცდილება, ისე თეორიტიკოსის მსოფლმხედველობა, რაც აგრერიგად აუცილებელია მკურნალი ექიმისათვის.

1904 წლის 28 სექტემბერს საზოგადოების სხდომაზე ექიმმა **ა.გ. მაღალაშვილმა** (შემდგომში ცნობილი პროფე-



**ბათუმის ექიმთა  
 საზოგადოების შრომათა  
 კრებული**

სორი) წარმოადგინა მოხსენება, „ინფექციური სნეულებით შეპყრობილთა მონაცემების ბარათის პროექტი“, რომელიც უნდა დაგზავნოდა ყველა ექიმს და რომელშიც სნეულებათა სიაში შეტანილი იყო მაღარიაც. გრ. ვოლსკიმ დაჟინებით მოითხოვა ბარათიდან ამოეღოთ „მაღარია, რომელიც არ მიეკუთვნება მწვავე გადამდებ დაავადებას“.

გრ. ვოლსკის შენიშვნა იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მომხსენებელი დაეთანხმა მის სამართლიან მოთხოვნას. რასაც სხვა ექიმებმა დაუჭირეს მხარი (იქვე გვ. 110).

ამავე წლის 19 სექტემბერის სხდომაზე საზოგადოების თავმჯდომარემ **ტ.პ. ტრიანტაფილდესმა** შემოიტანა წინადადება, მედიცინის საკითხებზე შემოდებულყოფილ საჯარო ლექციების წაკითხვა.

ექიმმა **ს ნ. კალინოვსკიმ** აუცილებლად მიიჩნია სპეციალური კომისიის შექმნა, რომელსაც ყველა ლექტორი წარმოუდგენდა გასაცნობად თავის ლექციას მანამ სანამ საჯაროდ გამოვიდოდა (გვ.120). კომისია მართლაც შეადგინეს, რომელშიც საზოგადოების თავმჯდომარისა და მდივნის გარდა, შეიყვანეს გრ. ვოლსკი, რაც ამ დარგში მის მაღალ მომზადებაზე მეტყველებს.

ანალოგიურ კომისიაში 1905 წლის 2 მარტს შეიყვანეს **გრ. ვოლსკი**. (ნ. სოკოლოვსკისთან, მ. ფენსტერთან და ა.შატილოვთან ერთად), **ა.ი. ნოვიკოვის** სტატიის, „ქალაქისათვის ჩანაწერები“ განხილვა-შეფასებისათვის (ИТОВЕ ბათუმი. 1908 წ. გვ. 18,19).



საზოგადოების წევრების აზრით, ა. ნოვიკოვის სტატიამ, რომელიც **ალექსანდრე შატილოვი**


მელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ობრაზოვანიეს“ ბოლო 4 ნომერში, ლაფში ამოსვარა ერთერთი ჩვენი ამხანაგის **ს.ნ.კალინოვსკის** ღირსება, აგრეთვე თვით საზოგადოებაც, ამიტომ იგი საყოველთაო განხილვის საგანი უნდა გახდეს. სწორედ ასეთი რთული საკითხის გარკვევისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიც შეიყვანეს გრ. ვოლსკი.

იმავე დღეს საზოგადოების სხდომაზე **ა.გ. მაღალაშვილ-მა** წარმოადგინა მოხსენება „1900-1904 წლებში სიკვდილიანობა ბათუმში, რომელიც დაკავშირებულია გადმოსახლებასთან“. საუბარი იყო რუსეთის გუბერნიებიდან კავკასიაში და კერძოდ ბათუმის ოლქში მოსახლეობის გადმოსახლებაზე, რასაც უცხო, შეუჩვეველ გარემოში მათი მასობრივი დაავადება და სიკვდილიანობა მოჰყვა, სხვათაშორის ამ მოვლენას ასევე უარყოფითად აფასებდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა და გმობდა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში რუსული კოლონიების შექმნას. მათ შორის იყვნენ მოხსენების ავტორი ა.გ.მაღალაშვილი და თვით გრ. ვოლსკი.

მომხსენებელმა ექიმთა საზოგადოების სხდომას წარმოუდგინა შემდეგი რეზოლუცია: „ბათუმის ექიმთა საზოგადოება თვლის, რომ ყუბანის და თერგის ოლქებიდან და რუსეთის შიგა გუბერნიებიდან წამოსული მოსახლეობის მიერ კავკასიის განაპირა მხარეების კოლონიზაცია სახელმწიფოსათვის საზარალო, ხოლო თვით კოლონიზებისათვის ძალზე სავალალოა, რადგანაც ისინი იღუპებიან ამიერკავკასიაში მძვინვარე შებრუნებითი ცხელების ენდემიის შედეგად. საზოგადოება თხოვს მინისტრთა კომიტეტს, შეაჩეროს გადმოსახლებულთა მოძრაობა და გააუქმოს ის დაწესებულება, რომელიც ამ საქმითაა დაკავებული“ (ИТОВБ. 1905 г. Стр. 15).

რეზოლუციამ საზოგადოების ზოგიერთ წევრის გულისწყრომა გამოიწვია. ისინი ყველანაირად ამართლებდნენ საქართველოში რუსული კოლონიების წარმოქმნას და

იწუნებდნენ მომხსენებლის დასკვნებსა და რეზოლუციას. კამათში გრ. ვოლსკიც გამოვიდა. ის მხარს უჭერდა რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის გადმოსახლების შეჩერებას. მისი არგუმენტები იმდენად ძლიერი და დამაჯერებელი იყო, რომ რეზოლუციის პროექტის სარეცენზიოდ იგი შეიყვანეს სპეციალურ კომისიაში, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ მომხსენებელი **ა.გ. მაღალაშვილი** და ბათუმის ოლქის უფროსი ექიმი **ი.ნ. სოკოლოვსკი** (ИТОББ,



**ალექსანდრე მაღალაშვილი**

გვ. 15, 16). კომისიამ მოიწონა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც წარედგინა პეტერბურგში ცენტრალურ მთავრობას. მალე მართლაც შეწყდა რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის მიგრაცია.

პრაქტიკულ მედიცინის სხვადასხვა დარგში გრიგოლ ვოლსკის ღრმად წვდომაზე მეტყველებს მისი აქტიური გამოსვლა და კამათი **გ.ნ. პრიანიშნიკოვთან**, მისი მოხსენებების: „ბეჭის, მხრისა და ლავიწის ამოკვეთა სარკომის გამო“ და „საყლაპავსა და კუჭში გადაყლაპული ნემსის მშვიდობიანად გავლის შემთხვევა“ (გვ. 47).

გრ. ვოლსკიმ მწვავე კამათი გამართა ისეთ მაღალკვალიფიციურ მედიკოსებთან, როგორც იყვნენ იგივე: **გ.ნ. პრიანიშნიკოვი**, **ტ.პ. ტრიანტაფილიდესი**, **დ.მ. კუზიატინი** და სხვა, რომლებსაც დაუსაბუთა, რომ მუცლის სიმპათიკური ნერვული სისტემის ნევროზები ჩვენში ხშირია იმის გამო,

რომ ამ სიმპტომის განვითარებას ხელს უწყობს მაღარ-ია. თითქმის ყველა ადადმყოფს, ვისაც ამ სახის ნევროზი აწუხებს, გადატანილი აქვს მაღარია. გრ. ვოლსკის ამ მოსაზრებამ მხარდაჭერა ჰპოვა (გვ. 48).

განსაკუთრებით მწვავე იყო გრ. ვოლსკის გამოსვლა 1907 წლის 22 იანვარს, როცა საზოგადოების სხდომაზე მოისმინეს ექიმ **ა.ს. ბეთანელის** მოხსენება „ბათუმის 1906 წლის სანიტარული ანგარიში“ (გვ. 49).

უკანასკნელად ბათუმის ექიმთა საზოგადოების სხდომას გრ. ვოლსკი დაესწრო 1907 წლის 24 მარტს (73-ეხსდომა), ხოლო მორიგ 74-ე სხდომიდან (1907 წლის 10 აპრილი) მისი გვარ-სახელი ოქმებში აღარ გვხვდება.<sup>1</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია გრ. ვოლსკის დვაწლი ბათუმში საქალაქო საადმყოფოს აშენებისა და გახსნისათვის როგორც ცნობილია ბათუმს უცხოელთაგან გათავისუფლების შემდეგ 10 წლის მანძილზე არ გააჩნდა სასწრაფო. 1887 წელს ქალაქის ექიმის **ფ.ა. შეფერის** ინიციატივით გაიხსნა 25 საწოლიანი ქსენონი, თუმცა იგი ნაწილობრივადაც ვერ აკმაყოფილებდა მზარდი ქალაქის მოთხოვნებს.

1896 წელს ქსენონი ხანძარმა გაანადგურა; იმავე დღეს გრიგოლ ვოლსკიმ კატეგორიულად მოითხოვა ახალი სავადმყოფოს მშენებლობა, რასაც მხარი დაუჭირა ქალაქისთავმა **ლუკა ასათიანმა**. მათი არაერთგზის წერილობითი თხოვნის და იმპერიის დედაქალაქში ჩასვლის შემდეგ, ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ბათუმელთა თხოვნა. 1898 წელს დაიწყო მშენებლობა, რაც 1902 წ. დასრულდა და იმავე წლის 2 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის საქალაქო საადმყოფო.

---

<sup>1</sup> გრ. ვოლსკიმ ბათუმი 1907 წელს დატოვაო, წერს ყველა მისი ბიოგრაფი, მაგრამ რიცხვს არ მიუთითებს. ეს მიახლოებითი რიცხვი ექიმთა საზოგადოების ოქმებმა შემოგვინახა. დაზუსტებით კი მისი ბათუმიდან წასვლის თარიღია 1907 წლის 1 მაისი, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.



კონდრატე მშვიდე



ბათუმის ქალაქის საავადყოფის ერთ-ერთი კორპუსი.



## განმანათლებელი

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გრიგოლი ექიმის დიპლომით დაბრუნდა სამშობლოში და ჩაება საზოგადო საქმიანობის ფერხულში. მისი ყოველდღიური საზრუნავი გახდა ქართული ენის დაცვა და პედაგოგიური საქმე.

1882 წელს გაზეთ „შრომაში“ გრ. ვოლსკიმ გამოაქვეყნა წერილი, „თორმეტი შავი დალი“, რომელშიც იგი იცავს მშობლიურ ქართულ ენას და დაუნდობლად ილაშქრებს იმ გადაგვარებულ თავადაზნაურთა წინააღმდეგ, რომლებმაც თავისი საქციელით ხელყვეს ერის ერთ-ერთი საუნჯე-ენა.

გრ. ვოლსკი იბრძოდა ქართულ ლიტერატურაში გრამატიკული ენის დანერგვის, მისი სიწმინდის დაცვისა და ჟარგონებისა და ბარბარიზმებისაგან გათავისუფლებისათვის. იგი ამ ბრძოლაში იღგა **ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის** და **ი. გოგებაშვილის** გვერდით. ჯერ კიდევ სტუდენტმა გაზეთ „დროებაში“ (1880 წელი), დაბეჭდა წერილი, რომელშიც იგი გამანადგურებელი ირონიით მიმართვდა ყველას, ვინც უსულგულოდ ეპყრობოდა მშობლიურ ენას. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ამ ქვეთავში შემთხვევით არ შეგვიტანია. გრიგოლ ვოლსკი ენას და ზოგადად განთლებას ერთ საერთო მცნებად თვლიდა და ენის დაცვას პირველ რიგში სკოლებიდან მოითხოვდა.

მკაცრი რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, ქართველ მოღვაწეთა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. 1883 წლიდან სკოლებში შემოიღეს ქართული ენის სწავლება, რასაც კმაყოფილებით გამოეხმაურა გრიგოლ ვოლსკი: „დღეიდან ქართული ენა შტატის საგნად იქნა ჩარიცხული და მისი მასწავლებელი-შტატის მასწავლებლად.



ახლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პროგრამა ექნება ქართულ ენას და როგორი მასწავლებელი ეყოლება, მეტადრე ამ პირველ ხანს. დიდი მოვალეობა ედება კისრად და დიდი შრომა მოელის ქართული სიტყვიერების მასწავლებელს, თუ რიგიანად ესმის დედაენის მასწავლებლობის მნიშვნელობა საზოგადოდ და მისი სიმძიმე და დვაწლი. ჩვენში, კერძოდ, მეტად და ამჟამად... მან უნდა იცოდეს, რომ მას ადევნებს ყურადღებას და მოითხოვს ზნეობის ანგარიშს ყველა, სამშობლო ქვეყნის წარმატების მსურველი“ („დროება“, 1883 წ. 24 სექტემბერი. №189, გვ. 2).


მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ **ილ. ჭავჭავაძის** მეთაურობით აჭარის დაწინაურების უმთავრეს პირობად მიიჩნია ამ მხარეში სწავლა-განათლების შეტანა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა გრ. ვოლსკი ბათუმში, მისი ინიციატივით ბათუმში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილება, რომელსაც თავად თავმჯდომარეობდა. გრ. ვოლსკი აირჩიეს ბათუმის ქართული სკოლის სამხრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელობდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელსაც ატარებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია აჭარის კულტურული წინსვლისათვის.

გრიგოლ ვოლსკის თაოსნობით ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, საიდანაც შემოსული ფული მასწავლებლებს და სკოლებს ხმარდებოდა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო გახდა სხვა საშუალებების გამოძიება. გრ. ვოლსკი **ივანე მესხთან** ერთად, ყოველწლიურად თოთხმეტ იანვარს ატარებდნენ ნინობას, სასწავლებლის სასარგებლოდ, რომელზეც იწვევდნენ ცნობილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, **ილიას, აკაკის** და სხვებს.

ბათუმის სკოლას არ გააჩნდა საკუთარი შენობა იგი ფართობს ქირობდა, რაც სკოლას ძვირი უჯდებოდა.

იმისათვის, რომ სკოლას საკუთარი შენობა ჰქონოდა, გრ. ვოლსკიმ მიწერ-მოწერა გააჩაღა ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან - **ნიკო ცხვედაძესთან**. იგი საგანგებოდ ესტუმრა ბათუმს, შეარჩიეს ადგილი და უკვე მეორე წელიწადს სასწავლებელს ჰქონდა საკმაოდ დიდი შენობა, მშვენივრად მოწყობილი კლასები და ბინები მასწავლებლებისათვის.

ქალაქის თვითმმართველობის დღის წესრიგში ვოლსკის თაოსნობით მუდამ იყო საკითხები, რომლებიც სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებას ეხებოდა, იგი არასოდეს ეძლეოდა სკოლაში არსებული მდგომარეობით თვითკმაყოფილებას. პირიქით, ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის შესახებ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ გაუგზავნია ვრცელი საანგარიშო მოხსენება, რომელშიც გრ. ვოლსკი პირუთვნელად მიუთითებს ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით სკოლებში აჭარელი მოზარდების რიცხვის შემცირების გამო: „მაჰ-



პირველი ქართული სკოლა ბათუმში. 1898 წ.

მადიანთა რიცხვი, სამწუხაროდ, შედარებით შცირქვა ბათუმის სკოლაში. მწუხარება მით უმეტესია, რომ აგერ ათი წელიწადია, რაც გამაჰმადიანებული საქართველო შემოუერთდა დედა-ნიადავს და ჩვენი ბათუმის სკოლა მხოლოდ ერთად-ერთი ქართული სკოლაა მთელს სამაჰმადიანო საქართველოს მხარეში. ამგვარად ეს სკოლა თითქოს ვერ ეწევა სასურველად თავის პირდაპირს დანიშნულებას. უნდა უმატოთ ცოდნას, რომ მოვიგოთ მაჰმადიან მოძმეთა გული და განვუცხოველოთ საერთო სამშობლოს სიყვარული“ – წერდა გრ. ვოლსკი (საისტორიო არქივი, ფონდი481, საქმე №208, ფურ. 35-38, 40).

გრ. ვოლსკი პედაგოგს დიდ პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებდა: „მან უნდა იცოდეს, რომ მას აღევნებს ყურადღებას და მოსთხოვს ზნეობითს ანგარიშს ყველა, სამშობლო ქვეყნის წარმატების მსურველი“.

გრ.ვოლსკის ზრუნვის საგანი იყო სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები: „ამჟამად სასულიერო სასწავლებელში არც გარკვეული პროგრამაა და არც გარკვეული სახელმძღვანელო, არც სისტემატური მასალა და გამოცდილება“ (გაზეთი „დროება“ №189 1883 წ. 29 სექტემბერი). გრ. ვოლსკის არ მოსწონდა სახელმძღვანელოები და აღშფოთებული იყო იმ მდგომარეობით, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის იბეჭდებოდა სავსებით უვარგისი წიგნები, რომლებიც თუ ვნებას არა, სარგებლობას ვერაფერს მოუტანდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მისი წერილი **იაკობ გოგებაშვილისადმი**, რომელსაც სთხოვს საიდუმლოდ ხულოს სკოლას გაუგზავნოს „დედ-ენა“ და „ბუნების კარი“ (წერილი იხ.ქვემოთ).

პატრიოტული აღზრდის უდიდეს საშუალებად გრ. ვოლსკის მიანხნდა ისტორიის სწავლება და საჭიროდ თვლიდა მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად სცოდნოდა თავისი ქვეყნის წარსული და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვ-

ლენები. გრ. ვოლსკი საჭიროდ თვლიდა, რომ შექმნილიყო საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერთა წრე, რომელიც ახალგაზრდობას დაეხმარებოდა თავისი ქვეყნის ისტორიის შესწავლაში: „მეცნიერული შრომა და ყველაზე უწინარეს ისტორიულად ჩვენი წარსულის შესწავლა და გაგება უპირველესი ვალია, რომელიც კისრად სდევს ჩვენს დაწინაურებულ ახალგაზრდობას“ – წერდა იგი ჟურნალ „კვალში“. ისტორიის სიყვარულით იგი პირად მაგალითს იძლეოდა, იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი და მონაწილეობდა მრავალი საკითხის გადაწყვეტაში.

გრ. ვოლსკის, **ი. მესხსა** და **ლ. ასათიანს** დიდი ჯაფა დასჭირდათ ბათუმის ქალთა გიმნაზიისა და საქალაქო სასწავლებლის დაარსებისათვის. გრ. ვოლსკისა და ლ. ასათიანის დაუღალავი შრომის შედეგად ორივე სასწავლებლისათვის ააგეს კარგი შენობა, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქალაქს. 1899 წელს გრ. ვოლსკიმ ქალაქის თვითმმართველობაში გააკეთა მოხსენება ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის აუცილებლობაზე. ამის შესახებ გაზეთ „ივერიაშიც“ (10 XI, №242, გვ. 2) გამოქვეყნდა, რამაც გადაწყვიტა ქალთა გიმნაზიის გახსნის ბედი. გრ. ვოლსკის ინიციატივით ბათუმში სხვადასხვა ერის ხალხებისათვის დაარსდა რამდენიმე დაბალი ტიპის სკოლა: „უეჭველი და შეურყეველია ის ფაქტი, რომ – წერდა 1909 წ. გაზეთი „დროება“ (№225) თუ ბათუმისა და მისი მიდამოების კულტურულ ზრდა-განვითარებაში ქართველებს უპირველესი ადგილი უჭირავთ, ეს გრ. ვოლსკის წყალობით“.

1907 წლის ზაფხულში ბათუმიდან ქ. თბილისში იძულებით წასული გრ. ვოლსკი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც მან განსაკუთრებული ცოდნა გამოავლინა, ამჯერად პრაქტიკულ პედაგოგიკაში. ხანმოკლე დროის მანძილზე მან განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა მოსწავლეთა შორის,

ხოლო მისმა ნაყოფიერმა შრომამ თვალსაჩინო კვალი დააჩნია გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას.

სად მდებარეობდა ქართული გიმნაზია, სადაც გრ. ვოლსკიმ სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა? ამის შესახებ მისი ბიოგრაფები არაფერს ამბობენ. ჩვენ შევეცადეთ დაგვეზუსტებინა გრ. ვოლსკის ცხოვრების ეს მომენტიც..

თბილისის ქართული გიმნაზია, რომელსაც სათავადაზნაუროსაც უწოდებდნენ, 1879 წლის 6 თებერვალს, ახალგაზრდული სათავადაზნაურო სკოლის სახელით გაიხსნა კუკიაში თუმანიშვილის ქუჩაზე, **თაქთაქიშვილის** სახელში, შემდეგ იგი გადაიტანეს **ჩითახოვის** სახელში.

1892 წელს ეს სასწავლებელი პროგიმნაზიად გადაკეთდა და მან ახლანდელი შიო ჩიტაძის ქუჩაზე, **სელიკოვის** სახელში დაიდო ბინა. (**სეით იაშვილი**. ჩემი წარსულიდან. თბილისი. 1965 წ. გვ.165).

1904 წლამდე სასწავლებელს სათავეში ედგა დიდი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე (აწ უკვე წმინდანად შერაცხული) **ეჭეთიმე თაყაიშვილი**. მის შემდგომ სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა **შიო ჩიტაძე**, რომელმაც ღირსეულად დაასრულა ე. თაყაიშვილის წამოწყება და პროგიმნაზია გიმნაზიად გადააკეთა.

როგორც ცნობილია, შიო ჩიტაძე 1906 წელს კაზაკებმა მოკლეს და გიმნაზია დაარბიეს.<sup>1</sup> (**ვ. ქაჯაია**. ქართველი პედაგოგები. თბილისი. 1955 წ. გვ. 167-178).

ამ დროისათვის ვაკეში შენდებოდა გიმნაზიის ახალი ნაგებობა, მაგრამ მზად იყო მხოლოდ რამდენიმე ოთახი. ქართული გიმნაზიის დარბეულ შენობაში დატოვება შეუძლე-

---

<sup>1</sup> მკვლევლების დღეს შიო ჩიტაძე სასწავლებლის მესამე სართულზე თავის ბინაში იმყოფებოდა. სასწავლებელში კი იყვნენ მასწავლებლები **იუსტინე აბულაძე** (შემდგომში პროფესორი), **სერგო გორგაძე** (ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი), რომლებიც სროლის დროს დაიჭრნენ. ისინი, **ხარლამპი ღლონტოან** ერთად, კაზაკებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

ბლად მიიხნიეს, ამიტომ 1906-1907 სასწავლო წელს გიმნაზია  
 ვაკეში, დაუმთავრებელ შენობაში გადაიტანეს. საყურადღე-  
 ბოა, რომ ამ სასწავლებელში გამგეობად და პედაგოგობად  
 მუშაობდნენ ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომად-  
 გენლები, მეცნიერები, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები:  
**ნიკო ცხვედაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ჭიჭინაძე,**  
**ლუარსაბ ბოცვაძე, ალექსანდრე მდივანი, სეით იაშვილი** და  
 სხვ. თბილისის ქართული გიმნაზია ქართული კულტურისა  
 და განათლების ინტელექტუალურ ცენტრად იქცა. შემთხ-  
 ვევითი არ იყო, რომ ამ თვალსაჩინო გუნდს 1907 წლიდან  
 შეემატა უკვე საკმაოდ ცნობილი ქართველი მწერალი, პუბ-  
 ლიცისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, განმანათლებელი და  
 მუნციპალური მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი. მისი თბილისში  
 გადასვლა დაემთხვა გიმნაზიის ახალ, დაუმთავრებელ შენო-  
 ბაში (ახლანდელი უნივერსიტეტი) გადატანა.

ამგვარად დადგენილია, რომ გრიგოლ ვოლსკიმ სიცოცხ-  
 ლის ბოლო ორი წელი გაატარა ამჟამინდელი თბილისის  
 ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კედლებში.



ტიფლისის გიმნაზია



## გრიგოლ ვოლსკის შემოქმედება

გრიგოლ ვოლსკის სამედიცინო და მუნიციპალური საქმიანობა ორგანულად დაკავშირებულია მის საზოგადო მოღვაწეობასთან, ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, არსებული უკანონობისა და ძალმომრეობის, აგრეთვე აღვირახსნილი ჩინოვნიკების მხილებასთან. ყოველივე ეს მან თავის პროფესიად გაიხადა და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა.

გრიგოლის მოღვაწეობის მეორე და მნიშვნელოვანი მხარეა ლიტერატურული საქმიანობა. აქაც იგი მრავალმხრივ განვითარებულ და განსწავლილ მოღვაწედ გვევლინება. ილიას იდეების ერთგული და ეროვნულ-განმანათლებლებელი ბრძოლის თავგამოდებული და აქტიური წევრი ერთნაირად ბრწყინავს პოეზიის, პუბლიცისტიკის, ლიტერატურულ კრიტიკის და თარგმანების ასპარეზზე. ამ ტრიბუნასაც გრიგოლ ვოლსკი მოხერხებულად იყენებდა თვითმპყრობელობის და მისი დამქაშების ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

### პოეტი

გრიგოლ ვოლსკი სამწერლი ასპარეზზე გამოვიდა მე-19 საუკუნის 80-ანი წლების დასასრულს, როცა ქართველი სამოციანელები აქტიურად წავიდნენ რეალისტური ლიტერატურის მიმართულებით. მისი პირველი ლექსი „ელეგია“ 1879 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (№1), ამას მალე მოჰყვა „კენესით, ზუზუნით დაჰქროლა ქარმა“ (№37). ამავე ნომერში გამოჩნდა **სერგეი მესხის** წერილი, რომლითაც გაზეთის რედაქტორმა საზოგადოებას გააცნო ახალგაზრდა, 20 წლის შემოქმედი და წერილი ასევე დაასათაურა, „ახალი ქართველი პოეტი“.



გრიგოლ ვოლსკის ნაყოფიერებით მისი თანამედროვენი **აკაკის** ადარებენ, ეს არაა გადაჭარბებული. ამაში დავრწმუნდებით, როცა მის ლექსებს გავეცნობით. აშკარა გახდება, რომ საქმე გვაქვს აკაკის სკოლიდან გამოსულ პოეტთან. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი აქტიური პოეზია სამწუხაროდ მხოლოდ 15 წელს გაგრძელდა, ე.ი. მანამ, სანამ იგი ჩაერთვებოდა ინტენსიურ მუნიციპალურ და საზოგადო საქმიანობაში.

გრიგოლის პოეტური შემოქმედება განსაკუთრებით გამოჩნდა გაზეთ „შრომაში“, რომელშიც იგი გაზეთის დაარსებიდან თანამშრომლობდა, იყო რედაქტორის **ესტატე მჭედლიძის** უახლოესი მეგობარი და გამოსაქვეყნებლად სისტემატიურად აწვდიდა ლექსებს და სხვა პოლემიკურ მასალებს.

ამ გაზეთში გამოქვეყნებულ ლექსებში, განსაკუთრებით ლექსში „ჩემო მუზავ“, იგრძნობა საბრძოლო სული, განწყობილება, თავისი იდეებით საკუთარ დროზე წინ გასწრება. ამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები დაიწერა რუსეთში, თუმცა ავტორი თვითმხილველსავეთ აღწერს სისხლიანი ტერორის წლებს, ნაროდნიკების დარბევას, ტრიბუნალებსა და სახრჩობელებს, რომლებმაც დაფარა მთელი იმპერიული რუსეთი.

ავტორი თავის მუზას თხოვს:

...არ მიმუხთლო, არ გამშორდე, შენში ვპოვე მე დიდება,  
შენში ვპოვე ზეცის ალი, ზეციური სიტკბოება,  
მომეც სიმხნე და დამლოცე, ვით სიმართლის მეომარი,  
გულს აღმინთე ცეცხლი მწვავეი, სიკვდილამდის უშრეტარი...  
ოხ! არ დასცხრე, ჩემო მუზავ, ჩაგრულთ მოძმევ, მეტიხარა,  
მომასწარი მზე ბრწყინავდეს, სცემდეს ბუკი და ნადარა“

„შრომა“, №9, 1881 წ.2 8 ოქტომბერი. „ჩემო მუზავ“

პოეტი ქედს არ უხრის უსასტიკეს ძაღვს და იგი კვლავინდებურად ბედნიერებისაკენ ისწრაფვის, მისი ლექსები ნასაზრდოებია ჰუმანურობით, ზოგადი იდეალებით და კარგი მომავლის ოცნებებით:

აი, ამ ველად ბურჯი უძღვევი თავისუფლების იდგა ტაძარი:  
ძმობის, კეთილის ისმოდა ქება, სიბრძნე-მხნეობის ამკობდა  
ქნარი.

კაცთა მონობის, ძაღვს დამჩაგვრელს იქ არ უკმევდნენ  
მონურ საკმეველს.

ხატი მონობის იყო დამსხვრეულ, ხალხთ-ძმობის ენთო  
მარად ღამპარი.

**„შრომა“, №3, 1882 წ. 20 იანვარი „სიზმარი“**

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გრ. ვოლსკის ლექსი, „შენ გეტრფი მარად“, რომელიც მან 1888 წელს დაწერა. იგი სამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ქუთაისის მწერალთა კრებულში, რომელსაც ავტორებმა „ცდა“ უწოდეს, ამ ლექსში განუზომელია ის დიდი სიყვარული, რომელიც გრიგოლ ვოლსკიმ სამშობლოსადმი გამოხატა:

„სიკვდილის ჟამსაც მექნება ნატვრად,  
რომ შენი ცრემლი ციურ საჩუქრად  
ჩემს ობოლ საფლავს დაეცეს ცვარად,<sup>1</sup>  
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!“

ლექსში მთლიანად ასეთი პატრიოტული პათოსია გატარებული, ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ იგი იმთავითვე აიტაცა და გაითავისა მკითხველმა. კომპოზიტორმა

---

<sup>1</sup> რა მწარე წინასწარმეტყველებაა, ავტორი „ობოლი საფლავზე“ წერს, ჩვენ კი მისი საფლავი დაგვარგეთ და საერთოდ არ ვიცით სად განისვენებს იგი.

**მელიტონ ბალანჩივაძემ** არ დააყოვნა და ამ ტექსტზე 1891 წელსვე შექმნა შესანიშნავი რომანსი, „შენ გეტრფი მარად“, რომელიც დღესაც არ ჩამოდის ქართულ კლასიკური მუსიკის პარნასიდან. პროფესორ **დიმიტრი არაყიშვილის** თქმით, ეს დამოუკიდებელი რომანსი გამოსცა ექიმმა **ილია კოპაძემ**, რაც იმ მიყრუებულ დროს შუქურ ვარსკვლავს მოასწავებდა ქართული მუსიკალური ცხოვრების კაბადონზე“ (ქართული მუსიკა. მოკლე ისტორიული მიმოხილვა თბილისი. 1925 წ. გვ. 54).

ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი გრიგოლ ვოლსკის ყველა გამოქვეყნებული ლექსის განხილვა-შეფასებას. მათი ნაწილი შეგვაქვს ამავე წიგნში და მკითხველი თავადვე დარწმუნდება, ჭაბუკობიდანვე რაოდენ დიდი პატრიოტული გრძნობებით იყო დამუხტული გრიგოლის გონება.

თუმცა შეუძლებელია არ შევეხოთ გრ. ვოლსკის გამოუქვეყნებელ ლექსებს, რომლებიც მაშინდელმა სასტიკმა ცენზურამ დაიწუნა, ახლა კი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში ინახება.

გრ. ვოლსკის ამ ლექსებში აშკარად იგრძნობა მოწოდება ეროვნული ჩაგვრის, ადამიანთა დამცირება-დაბეჩავების, ღირსებების შელახვის წინააღმდეგ:

ჰოი, ხალხო უსამართლო  
ცხოვრებისა მომჩივარო,  
ამა ქვეყნის მტარვალთაგან  
ნაგვემო და განამწარო.  
კმარა ოხვრა, კმარა მოთქმა,  
სავალალო სამწუხარო,  
ზე აღსდევ და კვლავ წინ გასწი  
საბრძოლველად ჩაგრულთ ჯარო!...

(ლიტ. მუზეუმი, №6148/4)

კითხულობთ ამ სტრიქონებს, თითქოსდა გამოუქვეყნებელს, უცნობს, მაგრამ გექმნებათ რაღაც ნაცნობის შთაბეჭდილება. გაგახსენებთ, გრიგოლ ვოლსკის ლექსები წინ უსწრებს დროს და 1905 წლის ამბებს ეხმიანება, იგი ცნობილი ქართველი პოეტის **იროდიონ ევდოშვილის** წინამორბედი.

ლიტერატურის მუზეუმში იმავე ნომრით ინახება გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელიც ასევე თვითმკვრობელობის წინააღმდეგ პროტესტითაა გამსჭვალული, აქ პირდაპირ საუბარია „ორთავა არწივზე“, მის „ვერაგ, ბასრ ბრჭყალებზე“ და ა.შ. ბუნებრივია, ამ ლექსს მაშინ არავინ გამოაქვეყნებდა და ავტორიც „შავ სიაში“ მოხვდებოდა (თუ უკვე არ იყო).

მართალია დღეს დიდი ზეიმი  
აქვთ გამართული მტარვალ ჯაღათებს  
და ომში ბევრი გმირიც ემსხვერპლა  
ორთავ არწივის ვერაგ, ბასრ ბრჭყალებს,  
მაგრამ მოვა დრო, ხალხი აღსდგება,  
ამაყ დროშას კვლავ ააფრიალებს  
და მის მახვილ ქვეშ უსამართლობა  
სასიკვდილოთა დაიხრიალებს.

აქაც პოეტი წინასწარმეტყველებს, რომ მოსალოდნელი იყო დიდი ბრძოლა, რომელიც დაჩაგრული ხალხის გამარჯვებით უნდა დასრულდეს.

მკითხველს გრიგოლ ვოლსკის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ:

## ელგობა

გუნდ-გუნდ ვარსკვლავნი,  
ანგელოზთ თვალნი  
ემხით დამზერენ ტურფა გარემოს,  
მთები მაღალნი,  
უზარ-მაზარნი  
ადიან ზეცას, ისვრიან ჩეროს,  
წყარო მჩქეფარე,  
ვითა მწყრომაღე  
ჩამორბის კლდიდამ ვარსკვლავთ მჩინარი,  
ძირს ველს გადაშლილს,  
ვარდნართ ფენილს,  
ბუღბუღი კენესის ნაზი, ნარნარი  
კოშკნი ნგრეულნი,  
მოხუცებულნი,  
თეთრი თმის გაშლით ჩაფიქრებულან,  
წარსულის, ძველის  
გულის მომწველის  
ვერ მპოვნი მწარეთ ჩაღონებულან,  
ქცევა კაცური,  
ზნე მამაცური  
მათ გარს ეხევეათ, ვით რომ სიზმარი...  
მათ არ ამხნევებს,  
მათ არ აღელვებს  
ცეცხლის მომდები იმედი მტკბარი.

(„დროება“. 1879 წ. 4 იანვარი, №2, გვ. 2)

გრ. უმწიფარიძეს უნარი ჰქონდა განწყობილებით შე-  
ექმნა შთამბეჭდავი, ნათელი სურათი:

კენესით, ზუზუნით დაჰქროლა ქარმა,  
სუსხმა გადაჰკრა, დადგა ზამთარი,  
არე შემოსა თეთრმა სუდარმა,  
ყინვამ შებოჭა წყარო მდინარი!  
...დაჭკნა სიცოცხლე, დაჭკნა ყვავილი,  
სუსხის შებერვით შენაჩვენები!  
...სუსხმა გაჰყინა გული ვნებული,  
შხამით მოწამლა ფიქრი ყოველი!  
...აჰა, ეს რაა, რა მეჩვენება?  
ხალხი ირევა... ჭექს ბარაბანი...  
ბოძები, თოფი, სუდრის ქანება...  
ზე დასტრიალებს, სჩხავის ყორანი.

## სიზმარი

ენახე სიზმარი, უცხო ჩვენება, ტკბილი, საამო მოსაგონარი,  
ტოკავს კვლავ გული, იმედით სავსე, ოცნების მწარე მონაპ  
ოვარი  
ენახე მე არე, უცხოდ შემკული, ზეცა ლაჟვარდი გადაფენოდა,  
ვარდი თავდახრით იას დასცქერდა, სტვენდა ბუღბული  
ეშხით დნებოდა.  
წყარო, მთა-კლდიდან ჩამომრბენალი, ცეკვაავდა, ხტოდა  
ცელქად გიჟურად,  
და მის აღერსით აღსავსე შრიალს შეველი ფეხ-მარდი  
უსმენდა ძმურად,  
მუხას ასწლოვანს გადაჰკიოდა ვაზი მომღსენი ქარვის  
მტევანი,  
სიო აღერსით ჰკოცნიდა ყვავილთ, ყვავილთ გაჰქონდათ  
ნაზი რხევანი...



მწვანე ხავერდის ტურფა ხალიჩა ზურმუხტი იყო გაშლილი  
ველი,  
ბედით დამტკბარი ფეთქავდა ძარღვი, სულთქმა ბუნების იყო  
ცხოველი!  
აი, ამ ველად ბურჯი უძღვევი, თავისუფლების იდგა ტაძარი:  
ძმობის, კეთილის ისმოდა ქება სიბრძნე-მხნეობის ამოვბდა  
ქნარი:  
კაცთა მონობას, ძალას დამჩაგვრელს იქ არ უკმევდნენ  
მონურ საკმეველს,  
იქ არ ისმოდა უგნურთ ხარხარი, პატივს არ სცემდნენ  
გრძნობის გამყიდველს,  
არ აშფოთებდა გულის მშიდობას პირმოთნე ლოცვით  
ფარისეველი,  
ქალწულოვანი იყო გულისთქმა, წმინდა უმანკო ზრახვა  
ყოველი !  
არა ჰყინავდა ცხარ აღტაცებას, რევეკენტ ყიჟინი ენა  
მქირდავი,  
არ დასცინოდა ცრემლს აღტაცებულს მოძმე უგნური,  
უგულო, ავი.  
მებრძოლთ განწირულთ, ძმობის მოციქულთ დროშა ესვენა  
სხივ-მოფინარი,  
ხატი მონობის იყო დამსხვრეულ, ხალხთ ძმობის ენთო  
მარად ღამპარი.  
გაჰქრა სიზმარი... უცხო ჩვენება, ტკბილი, საამო მოსაგონარი!  
და ძგერს გლახ-გული მოტყუებული, ოცნების მხარე  
მონაპოვარი.

(გაზ. „შრომა“, 20 იანვარი, 1882 წ., №3, გვ. 1  
უმწიფარიძე (გრ.ვოლსკი).



## ჩემო მუზავ!

ჩემო მუზავ – ჩაგრულთ ფარო, ჩემო მუზავ – მეტიხარა,  
ან მეგობართ რათ მირჩიე, ან რათ დასცხრი,

აგრე ჩქარა!

გულს იარით დაიწურე, შემოგაკლდა სიმხნე,

ძალი,

ადარ ღვივის ცეცხლი გულში, არ გიტაცებს

იდეალი.

თუ შეგიპყრო სოფლის ჟანგმა, დაგატყვევა,

დაგიმონა,

დაგავიწყდა ჩაგრულთ კენესა, გულს სხვა ხმები შეაგონა?

არ მიმუხთლო, არ გამშორდე, შენში ვპოვე მე დიდება,

შენში ვპოვე ზეცის ალი, ზეციური სიტკბოება,

მომეც სიმხნე და დამლოცე, ვით სიმართლის მეომარი,

გულს აღმინთე ცეცხლი მწვავის, სიკვდილამდის უშრეტარი,

შემადულე საძულველი, მასთან ბრძოლა ,მიჩნდეს არად,

შემაყვარე საყვარელი, მას ვადიდებ ათას გვარად!

სიყვარულის ნაზ გრძნობასთან შხამით სავსე მომეც ენა,

მოეუწამლო მჩაგვრელს ღვიძლი, ნასისხლარზე

ცეკვა-ღხენა...

გრძნობის ცეცხლით მორთე ქნარი, აკანკალდეს, იწყოს

ქღერა.

გააჩუმე გლოვის ზარი და ქორწილის ადგზნე მღერა!

თვით მოხუცსაც წასკდეს ცრემლი, სიყვარულის

ნაკურცხალი.

კვლავ უყვარდეს მას სიცოცხლე, კვლავ უყვარდეს მომავალი!

მხნედ გავშალოთ ბრძოლის დროშა, თავისუფლად

მოფარფარე,

მან ადიდოს ხალხთა ძმობა, მან აკურთხოს ჩვენი მხარე...  
ოს! არ დასცხრე, ჩემო მუზავ, ჩაგრულთ მოძმევ, მეტიხარა,  
მომასწარი, მზე ბრწყინავდეს, სცემდეს ბუკი და ნადარა!..

### შენ გეტრფი მარად...

ოდეს მეწვევა სევდა დამწველი,  
და გულ-ღვიძლს მიღრღნის, ვით მეგსლი გველი,  
შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ ფარად...  
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

რა წამსაც გეტყვი საქმეს საგმიროს,  
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას, გამგმიროს,  
შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ არად...  
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

სიკვდილის ჟამსაც მექნება ნატვრად,  
რომ შენი ცრემლი ციურ საჩუქრად  
ჩემს ობოლ საფლავს დაეცეს ფარად,  
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

ჭირსა და ღხინში, ყველგან ყოველთვის  
გული, გონება შენკენ მომელტვის,  
მარტო შენ მწამხარ ხატად და ჯვარად...  
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

1888 წ.  
(ღეჟსების კრებული „ცდა“. ქუთაისი 1891 წ.)

გრიგოლ ვოლსკის ლექსები უმეტესწილად დაწერილია 1879-1893 წლებში. მისი პოეზია /გამოქვეყნებული/ ნათლად გვაგრძნობინებს იმას, რომ მათი ავტორი მკვეთრად იმადლებდა ხმას არსებული უსამართლობის წინააღმდეგ და დიდ პროტესტსა და აღშფოთებას გამოხატავდა, მას სძაგდა და ეზიზღებოდა ყოველი მტაცებელი, მუქთახორა, წამგლეჯი თუ ავაზაკი. გული სწყედებოდა იმაზე, რომ ის, ვინც არაფერს აკეთებს და, უკეთ, განცხრომით ცხოვრობდა, ვიდრე უბრალო მშრომელი, გლეხი, თუ მუშა. გრიგოლ ვოლსკი, როგორც პოეტი, შეურიგებელ ბრძოლასა და სრულ პროტესტს უცხადებდა ნაციონალურ ჩაგვრას, ეკონომიკურ დაბეჩავებას, სამაგალითოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საქართველოს ლიტერატურის ინსტიტუტში (6148/4) დაცული გრიგოლ ვოლსკის ლექსი:

მართალია, დღეს დიდი ზეიმი  
 აქვთ გამართული მტარვალ ჯაღათებს,  
 და ომში ბევრი გმირიც ემსხვერპლა  
 ორთავ არწივის ვერავ, ბასრ ბრჭყალებს.  
 მაგრამ მოვა დრო, ხალხი აღსდგება,  
 ამაყ დროშას კვლავ ააფრიალებს  
 და მის მახვილქვეშ უსამართლობა  
 სასიკვდილოთა დაიხრიალებს.  
 დიას! სულ მალე რევოლუციის  
 მრისხანე ცეცხლი კვლავ ადინთება  
 და განთიადიც ძველის გვირგვინით  
 ლაჟვარდის ცაზე აღიმართება.

## როს საუკუნოდ დავდუმდე...

როს საუკუნოდ დავდუმდე, გულმა შესწევითოს ძგერანი,  
სიყვარულისა შესწევითონ სიმთა მკრთოლვარე ჟღერანი,  
ვეღარ ვხედავდე მშობელ ცას, მომაკლდეს სატრფოს მზერანი,  
აღსრულდეს აღსასრულია, გარდუვალ ბედის წერანი, –  
ნუ დამიტირებ, მუ მიგლოვ, ცრემლსა ნუ დაღვრი მწარესა,  
სახეს ნუ იხოკ ლამაზსა, ჩემის სიცოცხლის მთვარესა,  
თმას ნუ გაიშლი, გიშრის თმას, მოთქმას ნუ მასმენ მწარესა,  
რომ შენს სიკვდიმდე ტრფიალსა გულს მიწა წამაყარესა!..  
გულსა, სად დუღდა სისხლ-ცრემლი, დე დაესიონ ჭიანი,  
ოღონდ საფლავზე ყვაოდენ ვარდნი ფურჩქენილი, იანი,  
დაეხსენ მოგკვდე, დავმიწდე, მატლთა გულს მისცენ ზიანი,  
ოღონდ შენ, სატრფოვ, ხარობდე და ცა სხივს გფენდეს მზიანი.

„მოამბე“, 1984 წ., №2.

\*\*\*

ჰოი, ხალხო უსამართლო,  
ცხოვრებისა მომწივარო,  
ამა ქვეყნის მტარვალთაგან  
ნაგვემო და განამწარო.  
კმარა ოხვრა, კმარა მოთქმა,  
სავალალო, სამწუხარო,  
ზე აღსდექ და კვლავ წინ გასწი  
საბრძოლველად, ჩაგრულთ ჯარო!  
დიახ, შეწყდი, ნუღარ ჰრეკავ,  
გოდების და გლოვის ზარო,  
დასტექე და დაიგრგვინე,  
ხმავე ბრძოლისავ, ხმავე მედგარო!

(ხელნაწერი, ლიტ. მუზეუმი №6148/4)

## ქუჯის ციხეზე

მდინარის პირად მფრინავი,  
 გრილი ნიავი მეაღერსება,  
 სევდით მომითხრობს სამშობლოს ამბებს  
 და მით მეც გული ჭმუნვით მევსება.  
 თვალწინ მიდგია ღიხი, გადაღმით –  
 დედა-ქალაქი, მისი სიონი,  
 უკნით კი დამცქერს მარად გულ-ცივი  
 ყინულ- მოსილი კავკასიონი.  
 ჰოი, კავკასო, მადლი თუ ჰქენი,  
 რატომ მარილიც არ მოაყარე.  
 რაღა ერთ ადგილს საბედისწეროთ  
 ჩემი მტარვალი გადმოატარე?!  
 თუ შენ გეგონა, რომ სამმა-მოყვროთ,  
 კავშირთან ერთად გადევი ხიდი?–  
 წაგიხდა, ვაჟო, ნაფიქრ-ნაზრახი  
 და ჩაიღინე შეცდომა დიდი!..  
 მაგრამ რას აქნევ შენ ჩემს ტკივილებს?..  
 ჰე, დატკბი ჩემის უბედურებით!  
 მე რით მოგიზღო სამაგიერო,  
 თუ არა მსგავსი საყვედურებით!..

\*\*\*

მწარ საგონებელს მივეცი თავი:  
 ერის ძალ-ღონე როს განახლდება...  
 აველ მთის წვერზე „ფიქრთ გასართველად“,  
 მაღალ ადგილას სულიც მაღლდება.  
 იქ, ნაპრალიდან, შორით-შორს სჩანან  
 ჩემი ქვეყნისა ველნი, არენი,

ჰიპპუს<sup>1</sup>, ფაზისი, ტეხურ-აბაშა –  
ცელქათ ჩუხჩუხით მომდინარენი,  
ოცნება არსათ შეზავებული,  
ხშირად შორს მჭვრეტი ვარსკვლავი, მზეა:  
აგერ ჩემ თვალწინ გადაიშალა.  
სიცოცხლით სავსე ქალაქი ეა!..  
ზღვათა სივრცეზე ნავთა სრიალი,  
მოგზაურობა უცხო ერების, –  
ნიშანი ჩვენთა ძველთა რაობის –  
კოლხთა დიდების და ძლიერების!..  
უცხო შენობა არეას ტაძრის,  
ცეცხლ-მფრქვევი ხარი, მხმილავი მისი,  
იქვე კი განძი რამ უღეველი –  
ხეზე ჰკიდია ოქროს საწმისი!..  
ეტლს მოაგელვებს მეფე აეთი,  
შეფოლადებულ-შენაჭედია;  
აგერ მცენარეთ ესაუბრება  
გრძნეული ქალი – ტურფა მედია!..  
და, საამქვეყნოს აღარ დამჯერე  
მცოდნე ქურუმი ვარსკვლავებსა ჰკრებს,  
ცაში კითხულობს მსოფლიოს ამბებს  
და კოლხიდის ბედს ზეცით განაგებს!..  
იქით ისწრაფის ჩემი გრძნობაცა,  
რაკი ერთხელვე აზვავებულა;  
აქ განათლება პირველ-შობილა,  
აქ ხელოვნება აყვავებულა!..

---

<sup>1</sup> ცხენის წყალი.

\* \* \*

აქვე მომესმის ხმა ერთობისა:  
ფარნავაზ, ქუჯი შეერთებულან,  
და სამშობლოს ხსნის მძიმე უღელში  
განუყრელ ძმებად ერთად შებმულან.  
აბჯართ ჩხარუნი მათ გულის ნადებს  
ეხმატკბილება, ბანს ეუბნება;  
მკვეთრი ისარიც ძაღზე მოზიდვით  
ჰაერსა ტყორცნით ეზუზუნება;  
შეკაეშირებით ძალ-მოკრებილებს  
გულს ცეცხლ-მოდებულ მამულიშვილებს  
საერთო მიზნის მისაღწევ შრომას  
ვერარა ძალა ვერ გაუწბილებს!..

\* \* \*

ნუთუ ვერ ვნახოთ კვლავ ის ერთობა,  
რომ გვიანდერძეს ფარნავაზ, ქუჯმა,  
და ჩამიაროს მეცა ამაოდ –  
როგორც ამბობენ – ოცნებამ ფუჭმა!

(აღმანახი, „ქართველი ერი“ №1, 11/X-1909 წ.)



## პუბლიცისტი

გრიგოლ ვოლსკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პუბლიცისტიკას. იგი არასოდეს ჩამორჩენია საზოგადოებრივ- პოლიტიკურ საქმიანობას და შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა საქართველოს ცხოვრებაში 1880 – 1909 წლებში რაიმე აქტუალური საკითხი, გრ.ვოლსკი რომ არ გამოსმაურებოდა. ეს საკითხები კი მის შემოქმედებაში ძალზე მრავალფეროვანია.

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რომ საქართველოს ცხოვრებაში არსებულ ყველა უმსგავსოებას გრ. ვოლსკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა და ეს ასახულია კიდევ მის წერილებში, თუმცა შემოქმედი ამით არ კმაყოფილდება და ზოგ საკითხებზე შერეულ ვრცელ პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებს. ასეთებია: „რა უფრო საჭიროა?“, „ზღვის გადაღმიდან საუბარი ქართველ პატრიოტებსა და სლავიანოვილებზე“, „ებრაელების საქმე ჩვენში“, „სკოლა და ლოლიკა“, „წერილები ქუთაისიდან“, „წერილები ბათუმიდან“ და ა.შ.

**ილიას** ერთგული თანამებრძოლი და მისი იდეების პრინციპული დამცველი, დიდი მოწიწებითა და ყურადღებით იყო გამსჭვალული საქართველოს ისტორიისადმი, იგი კატეგორიულად მოითხოვდა ქვეყნის წარსულის შესწავლის გაუმჯობესებას და თანაც ამას უნდა მისცემოდა საყოველთაო ხასიათი.


„არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს დაძაბუნებას და დავრდომილებას, როგორც ის გარემოება, რომ აქამდის არ მოგვეძევა არც ისეთი სისტემატური და მეტ-ნაკლებ ისტორიულ კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მოთხრობა იმის შესახებ, თუ რანი ვყოფილვართ, როგორ გამოგვივლია გასულ საუკუნეთა გრძელი მანძილი, რა დაგვიკარგავს, რა შეგვიძენია და რა სასიცოცხლო ნაბიჯი გვაქვს დღეს, განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე წარსადგენი.

კრიტიკის ცეცხლს და მეცნიერულ კვლევას ვინ ჩივის,-  
წარსულთა საქმეთა და დღაწლთა ქრონოლოგიურად მოამბე,  
კარგი, გასაგები ენით დაწერილი, უბრალო მატიანეც კი არ  
გვაქვს! ცალკე ეპოქის გამოკვლევანი, ცალკე ისტორიულ  
პირთა შესახებ მაინც, როგორც არიან მაგალითად, **ბაგრატ  
III, თამარ-მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე,** –  
შედგენილი მონოგრაფიებიც ნატვრის თვალივით გაგვკვი-  
რებია“. აი ასე მწარედ გვიხატავს ჩვენში არსებულ ვი-  
თარებას გრ. ვოლსკი და იგი ამით ხსნის, რომ რუსეთის  
მეფის სატრაპები ქართველებს ვერ არჩევდნენ ჩამორჩენილ  
და გაუნათლებელი ერებისაგან. სკოლებში არ ასწავლიდ-  
ნენ საქართველოს ისტორიას და ეს კეთდებოდა იმისათვის,  
რომ გაადვილებულიყო საქართველოს ანექსია და ასიმილა-  
ცია. ამიტომ გრ. ვოლსკი აუცილებლად მიიჩნევდა ქვეყნის  
გმირული წარსულის, მდიდარი კულტურის გამომზეურებას  
და პირველხარისხოვან საქმედ თვლიდა ერის ისტორიის  
ცოდნას.

„თავის ისტორიის უცოდინარი ერი გავს იმ უგვარო  
კაცს, რომელსაც არ გაეგება თავისი დაბადების ამბავი, არ  
იცის სადაურია. ჩვენს გარემოებაში მყოფ ერისათვის ისტო-  
რიასა და წარსულს, თუ მეტადრე ეს წარსული დიდებული  
და დიდად თავმოსაწონია, – განსაკუთრებული და უაღრესი  
მნიშვნელობა აქვს. შეიძლება თამამად სთქვას კაცმა, რომ  
ისტორიას ჩვენთვის ახლა პირველი ადგილი უჭირავს ლიტ-  
ერატურაში“. (კვალი №11, 1893 წ.)

ავტორს ასევე აუცილებლად მიაჩნია ქვეყნის ისტორია  
გაიტანონ რუსეთის იმპერიის გარეთაც, ევროპისა და სხვა  
ქვეყნებში, რათა ამაღლდეს ქართველი ხალხის ეროვნულ-  
კულტურული სიამაყე, ხოლო მეფის ხელისუფლების აგენ-  
ტები ვაიძულოთ სცნონ ქართველი ხალხის მდიდარი ის-  
ტორია და ტრადიციები. ქართულმა ინტელიგენციამ კი

დაძლიოს გულცივობა, პირველ რიგში თავად იცოდეს სა-  
 კუთარი წარსული, ამით იამაყოს კიდევ.



**გრიგოლ ვოლსკი**

გრიგოლ ვოლსკის მწ-  
 ვავე კრიტიკის საგანი გახდა  
 ცნობილი რუსი ისტორიკო-  
 სის ჟურნალ „რუსსკაია  
 სტარინას“ რედაქტორის,  
**ნიკოლოზ დუბროვინის** (1837-  
 1904) ნაშრომი „Закавказье в  
 1803-1806г“. თავის წერილში  
 ავტორი მკაცრად აკრიტიკებს  
 რუს ჩინოვნიკს, რომელმაც  
 კავკასიის ხალხების ისტო-  
 რიაში, ნებით თუ უნებლიეთ,  
 უცოდინრობა გამოიჩინა, მას  
 წარმოუდგენლად მიაჩნია ის  
 უმეცრება, რაც გაბატონე-  
 ბულია რუსეთის მწიგნობარ

ფენებში: „წარმოუდგენელია უმეცრება, რომელიც სუფ-  
 ევს ჩვენი ქვეყნის შესახებ რუსეთის ე.წ. განათლებულ  
 საზოგადოებაში, არამედ ზოგიერთ კავკასიის ვითომც  
 მცოდნე და არამკითხე ისტორიკოსებს შორის, მაგრამ  
 დვთის წინაშე, რა გასაოცარია ამგვარობაში სხვისი  
 უმეცრება ხან ნებით, ხან უნებური, თუ ჩვენ თითონ, ჩვე-  
 ნი განათლებული საზოგადოება და ახალგაზრდობა არა-  
 ვის ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყნის წარსულზე და აწმყოს  
 სრულ უცოდინრობაში და უმეცრებაში. სხვა რა გასაწ-  
 ბილებელია, თუ ჩვენ თითონ გვაწევს კისრად ეს დიდი  
 ცოდვა, თუ თითონ გულაცრუებით შევყურებთ წინაპართ  
 ნაანდერძევის გაქილვას. დაგვკარგვია ნაციონალური თავ-  
 მოყვარეობა და ქალაჩუნა მონებად გადავქცეულვართ“  
 (ლიტ. მუზეუმი 6165/4).

გრიგოლ ვოლსკის ეს წერილი იმდენად შკაცრი და ხელისუფლების აშკარა გამათრახება იყო, რომ იგი არ გამოქვეყნებულა. მაშინ საკმაოდ ნიჭიერ, მაგრამ ცარიზმის აპოლოგეტ **ნ. დუბროვინს** არავინ აწყენინებდა და ვერც გაუბედავდნენ ასეთ მხილებას. ასეთივე მიდგომა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც, როცა დუბროვინსა და მის მსგავს ისტორიკოსებს გუნდრუკს უკმევედნენ, მათ შორის ქართველებიც. დღეს კი ამისათვის ჯერ არავის მოუცლია. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ვოლსკის ეს გამოუქვეყნებელი წერილი ერთადერთია, რომელშიც მხილებულია რუსი მეცნიერის, გენერლისა და ისტორიკოსის ნებით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს.

გრიგოლ ვოლსკის აღშფოთება ამის გამო არც მომდევნო წლებში განელებია. ამჯერად მან დაწერა წერილი, რომელშიც ზემოთთქმულს თვით ქართველებს, მათ დაუდევრობას და ბედოვლათობას მიაწერს: „გულსაკლავია ჩვენი ამ მხრივ სიდატაკე და ფუქსავატობა. რა აზრი რა პრინციპები, რა კრიტიკული მიმდინარეობა და გავლენა იყო ჩვენს წარსულში, რით ვსულდგულობდით, რა გვზრდიდა, რას ვშვრებოდით ან ჩვენთვის, ან კაცობრიობისთვის? ყველაფერი წყვედიადითაა მოცული, თითქმის სრული წყვედიადით. უისტორიოდ, ჩვენის კულტურის შეუსწავლელად განა შეგვიძლია, რომ ევროპის წინაშე ხმა ავიმადლოთ და ვახსენოთ ჩვენი სახელი? განა უპასპორტოდ მოსიარულეს – მაწანწალას, ველურს არ დაგვიძახებენ?

გვეძახიან კიდევ და, თუ გვეძახიან, ჩვენი ბრალია და არა სხვისი. თუ ჩვენ თვითონ არ შეგვისწავლია და აქამდის ვერ შეგვიტყვია რიგიანად ჩვენი ვინაობა, თუ კი თვითონ არ ვიცით, ვინა ვართ და სადაური, სხვას როგორდა ვაცნობოთ ჩვენი თავი და სხვას რას უწბილებთ ჩვენს შესახებ უმეცრეობას და ამ უმეცრეობაზე აგებულს უშვერობას.“

აქ უკვე ქართველთა ფუქსავატობასა და ინდიფერენტულობაზეა ლაპარაკი, ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცენზურამ ამ წერილს გზა გაუხსნა და იგი კიდევ გამოქვეყნდა 1893 წელს ახლად დაარსებულ გაზეთ „კვალში“ (№11).

გრიგოლ ვოლსკის ძალზე აღონებს ქართველი ინტელიგენციის უმოქმედობა, საზოგადო საქმეებით დაუინტერესებლობა და მცონარობა: „...ასეთი სიცარიელე და ფუქსავატობა... არასოდეს არ ყოფილა. თითქო ყველას წელი მოსწყდა და აღარ იცის რა ქნას, სად წავიდეს. ჩვენი უწინდელი მოქმედება უფრო ლაპარაკსა და ქადაგებაში, ლექსით თუ პროზით ისახებოდა, ახლა ზოგს თითქოს ენის დანძრევაც ეზარება და აღარ აქვს ლაპარაკის თავი... რაც უნდა სხივოსანი და ცხოველმყოფელი იყოს აზრი, თუ ურიცხვჯერ განმეორდა და თან არ მოყვა ნაყოფი, ჰკარგავს თავის ძალასა და ფერს, ხელსახოც მჩვრად გადაიქცევა. უიმედობა უნაყოფობის შვილია და თითონაც ვერ მოიტანს ნაყოფს. ამ ყოფაში ჩაყენებულ აზრს, როგორც არტახებში გაკრულ ყმაწვილს, ეკარგება მოძრაობა და ან ძილს უნდა მიეცეს, არ მორთოს შეწუხებულის ხმით ჩივილი“. (ლიტერატურის მუზეუმი, 6171/4).

გრიგოლ ვოლსკი დიდად შეაშფოთა თბილისის თავადაზნაურთა ქმედებამ, როცა მათ უარი თქვეს სკოლებში ქართული ენის სწავლებაზე. „თოთხმეტი შავი დალი“ უწოდა ავტორმა თოთხმეტი თავადის ამ ქმედებას: „ყველასათვის ნათელი გახდა და ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოს თავადაზნაურობას ურევია თოთხმეტი იმისთანა სულიერი (კაცს უკაცრავად მათ ვერავინ დაუძახებს), რომელთაც არ აეწვათ პირის კანი და ხელის გული იმ წამს, როცა გაშაგება დაუპირეს თავის წმინდა წინაპართ ენას. ეს თოთხმეტი შავი კენჭი თოთხმეტი შავ დალად აზის დღეიდან მოკიდებუ-

ლი საქართველოს თავადაზნაურობას“. (გაზ. „შრომა“, 1883 წ. 2 ივნისი, №21, გვ. 3).

აი ასე გაბედულად გაილაშქრა სტუდენტმა გრ. ვოლსკიმ იმ გადაგვარებული მაღალი წოდების წარმომადგენლთა წინააღმდეგ, რომელთაც ლაფში ამოსვარეს თავისი ერთ-ერთი საუნჯე მშობლიური ენა.

პუბლიცისტიკის სფეროში ერთ-ერთ სანიმუშო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ გრ. ვოლსკის „ებრაელების საქმე ჩვენში“, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. წერილის შინაარსი სცილდება საქართველოს ფარგლებს („ჩვენში“) და იგი ზოგადსაკაცობრიო პრობლემის სახეს ღებულობს. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი სიძულვილით ეპყრობოდნენ ებრაელებს, არ ერიდებოდნენ მათ მიმართ ათვალწუნებას, შეურაცხყოფას, დამცირებას, ეს უძველესი ერი მუდმივი უუფლებობისა და დაბეჩავების მსხვერპლი იყო. ანტისემიტიზმი მთელს რუსეთში იყო გაერცვლებული და გრ. ვოლსკიც გაბედულად გამოდის ამის წინააღმდეგ.

„მაშინდელი სენის ფესვებმა, – წერს ვოლსკი, – ჩვენ დრომდის მოიტანა და ჯერადაც არ ამოვარდნილა ძირიანად, რაიც მტკიცდება სამხრეთ-რუსეთში ამ უკანასკნელ ხანს ებრაელების წინააღმდეგ მომხდარი მოძრაობით... აქ შუა საუკუნეებისაგან დანატოვარს უმეცრებას და სარწმუნოებრივ სიკერპეს გარდა მოქმედებს აგრეთვე ეკონომიკური და საზოგადოებრივი მიზეზები. რუსეთში ებრაელები არ არიან გათანასწორებულნი კანონის წინაშე დანარჩენ ქვეშევრდომებთან და მოკლებულნი არიან ბევრს უპირატესობას. ებრაელი იჩაგრება და კანონი მას არ ესარჩლება, რაც უნდა დიდის ნიჭისა და მშვენიერი ხასიათის პატრონი იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელად დაბადებულა ქვეყანაზე“. („დროება“, 1883 წლის 24 სექტემბერი, №189, გვ. 2).

ებრაელების ჩაგვრაში ავტორი ნაწილობრივ ადანაშაულებს სამღვდლოებას, რომლის მიერ წაქეზებული ბრბო ყველგან, შუა ევროპაშიც მათ შავ დღეს აყენებდა. მაშინ მოდაში იყო ბედკრულ ებრაელებზე ისეთი წარმოდგენელი ჭორის დაბრალება, როგორცაა: კუდიანობა, როკაპთან მრუშობა, კვერცხების დება და სხვა სიბინძურეები: „სძულდათ ებრაელები და ისე იქცეოდნენ, როგორც შეეფერება გულგაქცევებულ მხეცს...“

ებრაელებს ეკონომიკური მიზეზებითაც ჩაგრავენ, თითქოს ისინი ფლობენ მთელს ვაჭრობას, მაგრამ „არც აქ არიან ებრაელები დამნაშავენი, რადგანაც მარტო მათ ხელთ არ არის მათი მოსპობა და თითონ ებრაელები არიან მხოლოდ მათგან უძლეველის ეკონომიურის ძალის ბრმა და უგუნური იარაღი. ქართველი... თუ ცუდად ახსენებს ხანდახან მათს ვერცხლის მოყვარეობას და ჩარჩულ ზნეს, აქ ებრაელობა არაფერ შუაშია... იმას როდის ვაქცევთ ყურადღებას, აქვს თუ არა ამას გარდა სხვა რაიმე ცხოვრების სახსარი.“

აი ასე, ებრაელთა მიმართ წაყენებული ყველა პრეტენზიები გრ. ვოლსკიმ ახსნა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა ჭეშმარიტ ჰუმანისტს, შემწყნარებელს, საქართველოს შვილს, სადაც 2600 წლის წინ ნაბუქოდონოსორის რისხვას განრიდებულმა ებრაელებმა შეინარჩუნეს რწმენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. მსოფლიო ცივილიზაციისათვის ესაა კაცთმოყვარეობის და ტოლერანტობის ერთი უიშვიათესი და ნათელი მაგალითი.

გრ. ვოლსკი მოუწოდებს ებრაელობას ჩაებან საერთო ცხოვრების ფერხულში, დაეწაფონ განათლებას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი ამით დაკარგავენ სარწმუნოებას. რწმენა სინდისის საქმეა, რაშიც ვერავინ ჩაერევა, ხოლო „რაც უფრო მეტი განათლების პატრონია ადამიანი, უფრო მეტი სიფრთხილით და პატივით ექცევა



სინდისს და სარწმუნოებას, სხვის გულისფეთქვას და გრძნობას.“

ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა ისტორიული საქართველო, ტაო-კლარჯეთი, ლივანა, აჭარა და სხვა მხარეები 5 წლის გათავისუფლებულნი იყვნენ უცხოთა ძალადობისაგან. გრ. ვოლსკის, სარწმუნოებრივი ფაქტორების გავლენის დასახასიათებლად, ებრაელების გასაგონად სწორედ აჭარის მაგალითი მოყავს: „ქართველობა აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით შეეგება ბათუმის მაზრის შემოერთებას, რადგან იქ დიდი ხნით დაკარგული ძმა-ქართველები სახლობენ. არაკაცს არ უთქვამს ისინი ქართველები როდი არიანო, რადგან მაჰმადი სწამთო და არა ქრისტე.“

პუბლიცისტიკის ჟანრს მიეკუთვნება აგრეთვე გრ. ვოლსკის „ზღვის გადაღმიდან საუბარი ქართველ პატრიოტებსა და სლავიანოფილებზე“, რომელიც ეხებოდა ერთ დროს რუსეთში ყველაფერ რუსულის ძაგებას და ყველა საზღვარგარეთულზე ხეპრულ აღტაცებას („დროება“, 1880 წლის 28/III, №68, გვ. 1, 2). ამ წერილის დაწვრილებით განხილვას აღარ შევუდგები, რადგანაც ჩვენს სხვა შეფასებებშიც ნათლად ჩანს გრ. ვოლსკის, ჯერ კიდევ სტუდენტის, საოცარი, ასაკთან შეუდარებელი პუბლიცისტური ნიჭი და იმდროინდელ უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში ჩაკარგული საქართველოს ყოველდღიური ცხოვრება.

## კრიტიკოსი

ბუნებით მემამბოხე გრიგოლი ვერ ეგუებოდა უსამართლობას, დაუმსახურებლად ადამიანის გააკიცხვას, მით უმეტეს შეურაცხყოფას, მხატვრულ ლიტერატურაში დაშვებულ შეუსაბამობას, ენის დამახინჯებას.

მხატვრულ ლიტერატურაში მისთვის მთავარი იყო ნაწარმოების ეთიკურ-მორალური მხარე. მისი აზრით მწერალმა მთლიანად უნდა დაუხატოს მკითხველს მოქმედი გმირი, ასახოს მისი სახე და ხასიათი.

გრიგოლ ვოლსკი სამწერლო და კრიტიკის ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა საქართველოში ძველი, დრომოჭმული ებროდა ახალს, თერგადაღეულთა აზრებსა და იდეებს. მათი, შეიძლება ითქვას, არ ესმოდა არა მარტო ძველ თაობას, არამედ ახალსაც, რომელიც „მამათა“ სკოლაში აღიზარდნენ.

ერთ-ერთი ასეთი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და პუბლიცისტი, 1897 წლიდან გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი **ალექსანდრე სარაჯიშვილი** (1851-1914), რომელმაც ა-ს ფსევდონიმით ვრცელი კრიტიკული წერილი უძღვნა **ილია ჭავჭავაძის** პოემას, „დიმიტრი თავდადებული“ (ქ. „ივერია“, 1879 წ. თებერვალი, №9, №34).

ეს ნაწარმოები ქართულ მწერლობაში ისტორიული თემის შემოტანის დასაწყისად ითვლება. დიდი ილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, პატრიოტული გრძნობის და შეგნების გაღვივებას ისახავდა მიზნად, ბუნებრივია ამას უნდა მოჰყოლოდა კრიტიკული რეალიზმის განვითარებაც.

**მეფე დიმიტრი თავდადებული** იმთავითვე ცხარე პოლემიკის საგანი გახდა. მის მიმართ გულგრილად არცერთი გაზეთი არ დარჩენილა. მასალები გამოქვეყნდა: „დროებაში“, „აღმანახში“, „ობზორში“, „იმედში“, „შრომაში“.

სამწუხაროდ პოემის ირგვლივ კამათი წლების მანძილზე გაგრძელდა და იგი იმდენად არ იყო გამოწვეული ლიტერ-

ატურული გემოვნებით და პოლიტიკური მრწამსით, რამდენადაც თვით ილია ჭავჭავაძის მიმართ ნეგატიური განწყობილების შექმნით.

**აღ. სარაჯიშვილი** რეცენზიის თავშივე გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, მას არ მოსწონს მთავარი გმირი **დიმიტრი თავდადებული**, რომლის „გუნებაში მხოლოდ ერთი აზრია – მამულის დახსნა და ...სიცოცხლის სიყვარული“. კრიტიკოსის აზრით მეფე სხვების მოსაზრებას ემორჩილება და არა საკუთარ მრწამსს. იგი „გმირი არაა, ეს მამულის მსხვერპლია, მოწამე“-ო ამბობდა ა. სარაჯიშვილი. ბოლოს იგი კიდევ უფრო ამწვავებს თავის შეფასებებს, რაც ახირებისა და ჭირვეულობის სახეს იძენს: „მეფე დიმიტრის არავინ არ უყვარს, არავის არ ემშვიდობებოდა წასვლის წინ, არც საყვარელი ჰყავს და არც მეგობარი“.

მწვავე გამონათქვამებს ახლდა აგრეთვე პოემის კრიტიკის დადებითი შეფასება. „**მგონი რუსთაველიც** არ დაიწუნებდა ამ ლექსსა და ყველა „პოეტი დიდის სიხარულით დაიხეიმებდაო“.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საკადრისი პასუხი გასცა ა-ს, იყო გრ. ვოლსკი. მან დამაჯერებლად თქვა, რომ კრიტიკოსს (აღ. სარაჯიშვილს) ვერ გაუგია ეს პოემა. გრ. ვოლსკიმ დაასაბუთა, რომ „პოეტმა (ილია ჭავჭავაძემ, რ.ს.) გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვრულ-პოეტური გულთმისნობა“.

აღ.სარაჯიშვილს საკუთარ ჟურნალ „აღმანახში“ კვერი დაუკრა **გ. თუმანიშვილმაც**. გრ. ვოლსკის ახლა ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, 20 წლის ყმაწვილმა ქვა ქვაზე არ დატოვა ილიას „დიმიტრი თავდადებულის“ კრიტიკოსთა ახირებული შენიშვნებიდან: „პატივცემულ კრიტიკოსს თავის მრწამსად მიუღია იმ რუსის მწერლების თხზულებანი, რომელთაც იგი ხშირად ახსენებს თავის ახალ წიგნში. მას არ მოსწონს, რომ

ჩვენმა მწერლებმა არ შესწირეს თავისი შრომა მხოლოდ რუსის მწერლების აზრების ჩვენში გადმოცემას და მოჰყვნენ იმისთანა აზრების ქადაგებას, რომელთაც რუსეთში მართლაც არ ექნებოდა მნიშვნელობა და ამიტომაც ახალ რუსის მწერლებს იგინი არ უქადაგნიათ“ – სწერდა გრ. ვოლსკის თანამოაზრე **ალექსანდრე ჭყონია-მაჭახელიაძე**. (ქ. „დროება“. 1879 წ. №33. „ორიოდე სიტყვა **გ. თუმანიშვილს**“).

ეს ის პერიოდია, როცა ქართული კრტიკული აზროვნება ორად გაიყო: „ივერიის“, ე.ი. **ილია ჭავჭავაძის** მხარეზე აღმოჩნდნენ ალ. ჭყონია და გრ. ვოლსკი, ხოლო „აღმანახის“ ე.ი. **გ. თუმანიშვილს** გვერდში ამოუდგნენ **ალ. სარაჯიშვილი** და **დ. ერისთავი**.

ასეთი განსხვავებული პოზიციების მიუხედავად ალ. სარაჯიშვილი ყოველთვის იყო ილიას დიდი პატივისმცემელი და მისი შემოქმედების დამფასებელი. თანამედროვენი მას ილიას ნაწარმოებების ნათლიას უწოდებდნენ. ალ.სარაჯიშვილი მათი მეგობრულ წრეში განხილვისათვის საკუთარ სახლში იწვევდა იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებას. აქ ადრე წაუკითხავთ და შეუფასებიათ ილიას „განდეგილი“. ასეთივე შეხვედრა მოეწყო „ოთარაანთ ქვრივის“ გამოსვლის შემდეგ. ალ. სარაჯიშვილის სახლში იმ სადამოს მოსულან: **რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ნიკო ერისთავი და იაკობ მანსვეტაშვილი**.

ილიას თვითონ წაუკითხავს საკუთარი მოთხრობა. ჩამოვარდნილა სიჩუმე. ილია დამსწრეთა სიტყვას ელოდებოდა. ეს შეხვედრა ზუსტად აღწერა თავის მემუარულ წიგნში იაკობ მანსვეტაშვილმა: „პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ და ასე სთქვა: მაგ მოთხრობას მე ოთარაანთ ქვრივს კი არა, ობოლ მარგალიტს დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა

ხომ ისეთია, რომ აქ **ილიამ** თვით ილიასაც კი გადააწყეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდბუნებოვანება, მისის სულიერი დიადობა არა სჩანს. მეჯინიბეს მაღლიანად სცემათ და მოჯამაგირეს ტყეში გვერდები ჩაამტვრიათ. – ეს მაინც და მაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდ-სულოვნება. მაშ, რაზე ჰკიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდათ. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სილამაზე, გონების წარმტაცებლობა, რომ კესოს თავი დაჰვიწყებოდა და გული შესტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი. იგი ღანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანიო“.  
**(იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ტფილისი. 1936 წ. გვ. 116, 117).**

როგორც დავინახეთ, ილიას თანამებრძოლი, მისი იდეების ერთგული და მოკავშირე ობიექტურად აფასებს მოთხრობას, თუმცა, თვით ილიასაც კი არ ერიდება და საკმაოდ მწვავე შენიშვნებსაც გამოთქვამს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს გრ. ვოლსკი როგორი მართალი გულით, მოქალაქეობრივი სისპეტაკით უდგებოდა სხვა ავტორების ნაწარმოებებს და არასოდეს არ ღალატობდა თავის პრინციპებს. იგი თვლიდა, რომ ლიტერატურამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის სულიერ ამაღლებას და მის გონებრივ განვითარებას, მის სულში კეთილშობილური გრძნობების აღმოცენებას.

იმ საღამოს სხვებიც გამოსულან **(ნიკო ნიკოლაძე, რაფიელ ერისთავი)**, ყველამ აღნიშნა უმნიშვნელო ნაკლი, რაც მოთხრობას გააჩნდა, მაგრამ „საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხრობისა დიდი იყო, მომხიბლავი“, – სწერს იაკობ მანსვეტაშვილი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ხალხნოსური მოძრაობის გაძლიერების კვალობაზე დაისვა საკითხი, რა

დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარეებს შორის და ბრძოლა როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: პოლიტიკური თუ ეკონომიკური გზით.

ამ საკითხზე გამოქვეყნდა ცნობილი ხალხოსნის გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩის) წერილი, რომელშიც ავტორი უპირატესად ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა.




**გიორგი ზდანოვიჩი  
(მაიაშვილი)**

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც გამოეკამათა მაიაშვილს, იყო გრ. ვოლსკი. 1882 წელს გაზეთ „შრომაში“, (24 ნოემბერი, №46, გვ. 1, 1.) მან გამოაქვეყნა წერილი „რა უფრო საჭიროა“, სადაც მისი კამათის მთავარი დერძი იყო ცხოვრების ორი მხარე: სულიერი და მატერიალური, რომელთა შორის არსებობს მჭიდრო კავშირიო. პოლიტიკური უფლებები, თავისუფლება, თანასწორობა სულიერი მხარეა, ხოლო სხვა დანარჩენი, რაც ამ უფლებების ძალით შეიძინება ნივთიერი ქონება,

საზრდო და ა.შ. ეკონომიკური. რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარეებს, ისინი გრ. ვოლსკის აზრით, „იმგვარად გადაბმულია ერთმანეთზე, ისე მტკიცედ შეკავშირებული, რომ გიჭირს კაცს მათი ერთმანეთში გარჩევა... ხალხის კეთილდღეობისათვის უსათუოდ საჭიროა ორივე მხარე თანასწორად და ჰარმონიულად დაკმაყოფილებული იქნეს“.

გრიგოლ ვოლსკის, როგორც კრიტიკოსის დახასიათებისას მისი ბიოგრაფები მხოლოდ ორ მოთხრობის რეცენზიებზე მის გამოსვლას ასახელებენ („მეფე დიმიტრი ტავდადეზული“ და „ოთარაანთ ქვრივი“). პოეტის ბიბლიოგრაფიის გაცნობისას, რომელიც 100-მდე პუბლიკაციას ითვლის, თვით სათაურებიც მეტყველებენ, რომ მათი დიდი ნაწილი კრიტიკის ჟანრს ეკუთვნის. ესენია: ენის დაცვა, განათლება, ეთნიკური უმცირესობანი, პრესის საქმიანობა, საჯარო გამოსვლები, თეატრალური წარმოდგენები, სამედიცინო წიგნებზე რეცენზიები (აღ. ცხვედაძე და ილია ალხაზიშვილი), საქართველოს ისტორია, საქალაქო ცხოვრება, მეცნიერება და ა.შ.



ალექსანდრე სარაჯიშვილი

ჩვენი წიგნის მოცულობა არ იძლევა ყველა ამ საკითხის გაშუქების საშუალებას. მომავალში ალბათ საჭირო იქნება გრიგოლ ვოლსკის შემოქმედების ამ მხარის დეტალური შესწავლა და ცალკე მონოგრაფიის გამოცემა. თუმცა მივიჩნევთ, რომ მკითხველისათვის ურიგო არ იქნება კრიტიკულ-პუბლიცისტურ სფეროდან გრ. ვოლსკის რამდენიმე წერილის შემოკლებული ვარიანტების გაცნობა. თუნდაც იმიტომ, რომ ამ წერილების ავტორი სულ რაღაც 20-23 წლის ჭაბუკია.



**შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე, შესახებ პოემისა:  
„დიმიტრი თავდადებული“**

უფ. ა-მა თავის „დიმიტრი თავდადებულის“ გარჩევაში უპოვნა ამ პოემის ასეთი ნაკლულევენება, რომლითაც „ხდება მისი მშვენიერება“. ეს ნაკლულევენება, რეცენზენტის აზრით, გახლავსთ იმაში, რომ პოემის პირველი პირი **დიმიტრი თავდადებული**, ვერ იჩენს ხასიათის სიმტკიცეს, რომ ის რაღაც „უცნაური გმირია“. დიახ, თუ ხასიათი ვერ არი ნამდვილათ, გულთ-მისნურად გამოხატული, თუ გმირი გმირათ ვერ უდგა მკითხველს თვალწინ, ეს იქნება დიდი, ძლიერ დიდი შეცოდება, დიდი წაბორძიკება პოეტის მხრით, რადგან პოეტობის უპირველესი და უარსებითესი პირობაა ხასიათისა ნამდვილათ, ბუნებურათ გამოხატვა, და აქ, ამ გამოხატვაში, გამოჩნდება ხოლმე, ერთი არაკისა არ იყოს, ვინაა ნამდვილი და ვინ ცრუ პოეტი. თუ პოეტმა დიდი, სამაგალითო რამ გმირის გამოხატვა დააპირა და ამის მაგიერათ გამოუვიდა „შეცოდების ღირსი“ მომაკვდავი, მამულიშვილისა და გმირის ხასიათის მაგიერ „გულშემატკივარი ხუცესის საქციელი“, ეს, რაღა თქმა უნდა, ვერაფერი პოეტობაა, ეს იმას ემსგავსება, რომ თქვენმა მზარეულმა (უკაცრაგად მდაბიო შედარებისათვის) პიროვნას გამოცხობა რომ დააპიროს და სუფრაზე კი მჭადი მოგართვათ. ყველაფერს ამოებაში, რასაკვირველია, ყველა დამეთანხმება.

მაშ თუ **ილ. ჭავჭავაძის** გმირი ვერაფერი გმირია, ორში ერთი უნდა იყოს: ან ილ.ჭავჭავაძე ვერაა ნამდვილი მხატვარი პოეტი, ან ამ უცნაურობას რამე ახსნა უნდა ჰქონდეს, უფ.რეცენზენტს ისევ ახსნის მოძებნა აურჩევეა და ამ გაუგებარი უცნაურობის კლიტეს ჰპოვებს იმაში, რომ პოეტი ამბავს ბრმა მეფანტურეს მოაყოლებინებს: „მეფე დიმიტრი დიახაც გმირი და დიდი კაცი გამოვიდოდა“, ამბობს უფ. ა- „თუ თვითონ პოეტს ეამბნა მეფის თავდადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც დიმიტრის გულში უც-

ნობი და მიუხვდომელია(?), მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთმისანია, მაგრამ რაკი პოეტი ბრმა მეფანტურეს უთმობს სიტყვას, იძულებულია თავის გმირი დაამდაბლოს(?). მეფანტურეს, დაბალ ხალხის კაცს არ ძალუძს(?) დიმიტრის გულისთანა გამირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტად მიუწვდომელი (!) და მაღალი ტანისაა, მისი გულჩვილობა და მამაცობა ვერა თავსდება (!) მეფანტურეს გონებაში და იმიტომაც იმის ნაამბობით დიმიტრი გმირათ კი არ მოჩანს, არამედ მხოლოდ მხდალ და გაუბედავ კაცად (!)“.

უკაცრავად არ ვიყო და მე გაკვირვებული ვარ, რა ლოდიკური მოსაზრებით და რანაირათ თავსდებიან თქვენს გონებაში ამისთანა აზრები, უფ, ა-(ბოდიშს ვითხოვ, რომ ასე უცებ პირდაპირ თქვენ მოგიბრუნდით). თქვენ სცდებით, ერთი იმაში, რომ ხედავთ უცნაურობას, გაუგებრობას იქ, სადაც არაფერია არც უცნობი და არც გაუგებარი, მეორეთ თავის უცნაურს ახსნაშიაც. ამ პოემას კარგი, რიგიანი გარჩევა ეკადრება, მაგრამ საუბედუროთ „დროება“ ისეთი პატარა გაზეთია, რომ ჩემი სიტყვა მოკლე უნდა იყოს; მე ვეცდები ოღონდ თქვენი აზრის დარღვევას, თქვენ ამბობთ დიმიტრი მეფის „გონებაში მხოლოდ ერთი აზრია – მამულის დახსნაო და გულში ერთი გრძნობა სიცოცხლის სიყვარული“, სწორი ბრძანებაა; რაც უფრო გმირია კაცი მით უფრო უყვარს მას ქვეყანა და სიცოცხლე! ხშირად გმირული გული იწვის და იდაგვის ცხოვრების შემხედვარე, ხშირათ ისმის იმისგან მწარე, გულ-გამხეთქავი გაკიცხვა, შეუბრალებელი კრულვა, ამ წუთისოფლის, ხშირად გადმოსდის მღუღარე, მწვავე ცრემლი, მაგრამ დიდათ შემცდარი იქნება ის და ცუდი გულთმისანი, ვინც იფიქრებს, რომ იმას სძულს, ეზიზღებაო წუთისოფელი და სიცოცხლეო, ან და, თუ უყვარს ვერ არი გმირი და ვერ შესწირავს ყოველს წამს, საყვარელ სოფელს თავსაო. თქვენ ამბობთ, რომ, როცა ყვენის ბრძანება მოუვიდა, მეფემ თვითონ ვერაფერი ვერ გაარიგაო, სხვას ეკითხებოდა, თითქო

ამ გმირისათვის ფიქრი და არჩევანი შეიძლებოდა, თითქმის არ იყოს ცხადი, რომ თავი უნდა შესწიროს, თუ მოიხმობს ყრილობას ისევ ნების გამოსაცხადებლად და არა რჩევისათვის (კეთილი და პატიოსანი!), მაგრამ მეფე უფრო რჩევას ემორჩილება, ვიდრე თავის წადილსაო.

ამაზე მიბოძეთ ნება მოგახსენოთ, რომ თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოსატყული **დიმიტრი**. დიმიტრი არ იყო ერთი დესპოტაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლად იმის დაუკითხავად, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელმთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემოებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელმთავრისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიიჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, რომ ვერას გავა, მზათაა შეაკვდეს გმირულად მამულის მტერს, მეფე ცხადათ, გარკვევით აღიარებს თავის აზრს და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება, რა არის აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუბედაობა?! პირიქით, კრებას რო დაემორჩილებოდა, უნდა დარჩენილიყო, და ან სადაურია, საქართველოს მეფე კრებას ემორჩილებო?! „ერთს აზრს დაუპყრია მისი გონება – საქართველოს სიკეთე და მეფე ვერ მიმხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთია; ხალხი თავის მეფის გამცემი თავის უძღურებას აჩენს და მას იგივე დღე მოეღის, რაც ბატონს გადახდაო“, ამბობთ თქვენ. მიკვირს და გამკვირვებია, რათ ბრძანებთ ამას, ბატონო! აქ რამდენიც აზრია, იმდენი შეცდომაა, საქმეც იმაშია, რომ გარემოებისა და ვიღაც ხეპრე დესპოტის კაპრიზის წყალობით ორში ერთი უნდა მომხდარიყო: ან მეფეს შეეწირა თავი, ან ქვეყანას ადენოდა ნაცარ-ტუტა: ვინ მოგახსენათ, რომ მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთიაო? ისტორიაში ძლიერ ხშირათ სულ წინააღმდეგი ხდება ხოლმე, გადაშალეთ ის-

ტორიის პირველი ფურცლები, მოიგონეთ საბერძნეთის ძველი ისტორიიდან მეფე კოდრის თავ-განწირვა და დამეთანხმებით, რომ თქვენი აზრი ვერც საზოგადოთ და ვერც რჩეული პოემისათვის განსაკუთრებით ვერ აუვა კრტიკას, რომ „ხალხი თავის ბატონის გამცემი თავის უძღურობას აჩენს“. ამაში ყველა დაგეთანხმებათ და იმას კი, რომ „მას იგივე დღე მოეწიოს, რაც ბატონს გადახდაო“, რა მოგახსენოთ!

ერთიც უკანასკნელი „უცნაურობა“, „**დიმიტრი** თუმცა კეთილი და რბილი გულის კაცია – არავინ არ უყვარსო“. აცხადებთ თქვენ. „ის არავის ესალმება წასვლის დროს, არცა დედა აგონდება, არც ცოლშვილიო“... ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რათ იხინთ უცნაურს იქ, სადაც არაფერია უცნაური! კაციაო და გუნება: ვის ხუცესი მოსწონს და ვის ხუცის ცოლიო. ერთი იტყვის, დედას არ გამოეთხოვაო, მეორე – ცოლი რათ გადაპროშნაო, მესამე- მეძებრებს უნდა გამოემშვიდობებოდეს და მესამე- ხატებსაო... ეს ადამიანის გემოზება და პოეტი ყველას ვერ გაწვდება. განა გმირისათვის მოიძებნება თავის ხალხზე უსაყვარლესი სატრფო და მეგობარი? იმაზედ უკეთესი გამომშვიდობება და სიყვარულის გამოცხადება, რომელსაც მეფე უცხადებს ხალხს, განა შეიძლება კიდევ?! არა დემეტრიანი, უცნაურია თქვენი კრიტიკა, უცნაური! ძალას ატანთ პოეტს, რომ მას მაინცა და მაინც ამისთანა გამოთხოვება უნდა მოეხატაო... პოეტმა ამოარჩია რამოდენიმე საუკეთესო წუთი (მომენტი) თავის მხატვარ-პოეტური მიზნისათვის. ქვეყნის დიდ-კაცობასთან თათბირი, ხალხთან გამოთხოვება, გამოგზავნილის ჯართან შეყრა, ყვენის წინაშე წადგომა, სატყვეოში ყოფნა და თავსაკვეთი მოედანი. როგორ თუ გმირი არაა ის მეფე, რომელსაც დარჩენას ვევედრება მთელი ხალხი, რომლის გულისათვის სამარეში ფეხჩამდგარი მოხუცი, როგორც მთელი ხალხის სურვილის და გრძნობის გამომთქმელი, მზათ არის შვილები მტერს შეაკლას და რომლის რკინა გული (თუმც სტირის და ვაებს) უცვლელათ ადგია ერთხელვე გადაჭრილ-გამოზომილ აზრს?! მან კარგათ იცის, რა თავდადებასაც

იჩენს, მან იცის, რა მეფეცაა ის თავის ხალხისათვის და სწირავს თავს სწორედ გამირულად, ის თვითონ ევედრება მხლებლებს ნუ გააჯავრებენ კარს და ნუ გამოიღებენ ხელსაო, თუ ვინცობაა რამე უკადრისობა აკადრეს, ის გამირულათ, ნამდვილ მეფურად უპასუხებს ამაყ ყვენს; ის მაღალ-სულოვნებით აღსავსე რკინა-გული ეუბნება უარს, როგორც მაუღურებას (sic, რ.ს.), ერთგულ მხლებლებს, რომელთაც როგორც არა გამირებს, ვერც უცვნიათ თავისი გამირი მეფე, თუ დააპირეს მისი გულის გატყევა: ოღონდ, ჰე, უკანასკნელათ ტანჯულ-წამებულმა, ღონე-მიხდილმა ხორცმა კინაღამ სძლია მაღალ სულს და დაამტკიცა, რომ რაც უნდა გამირი ადამიანი იყოს, ადამიანი მაინც ადამიანად რჩება, უბრალო სიკვდილის შვილსა და ნამდვილ გამირს შუა ამ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ გამირი გამირობას მაინც ბოლომდე გაიტანს, მაშინ როდესაც უბრალო მომაკვდავი მოულოდნელად, საცოდავით იჩენს, რომ წუთისოფელს მაინც ვერ მოსცილდება...

აქაც, ჩემის აზრით, საქებურმა პოეტმა გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვარ-პოეტური გულთმისნობა. ნუ დამარწმუნებთ, რომ დიდს რომაელს **ბრუტს** (თუ კი ის ჭეშმარიტი გამირი იყო და არა ფანატიკოსი), ხელი არ უკანკალებდაო, როცა ხანჯალს იცემდა გულში, **იულიუს კეისარი** დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული თვის ბანაკში, სანამ გადააბიჯებდა რობიკონს. ოღონდ იმ შემთხვევაში დაგეთანხმებით მე თქვენ იმაში, რომ **ილ. ჭავჭავაძის** „ღმიტრი თავდადებული“ ვერაა გამირი, თუ კი თქვენ იტყვით, რომ ის არ არის გამირობა, როცა კაცი შვრება იმას. რაც უნდა ჰქნას კაცურმა კაცმა, როცა სწირავს თავს იქ, სადაც უნდა შესწიროს. ერთი სიტყვით თქვენგან შემჩნეული ამ პოემის ნაკლი მდგომარეობს მეფის ხასიათის გაორებაში და შეუსრულებლობაში (двои́ственностъ и невы́держкка характера), მაგრამ ამაში ცდებით და პირველი პირის ხასიათი მთელ პოემაში ერთიანი და ერთნაირად შესრულებულია. რაც შეეხება იმას, რომ პოეტი მეფანტურეს უთმობს სიტყვას, ეს ერთი იმ ხერხთაგანია,

რომელსაც ხმარობენ პოეტები პოეზიის გაჩენიდანვე. მაგრამ, ეს სულაც არ გაძღვეთ, ნებას რომ თავგანწირული, სამაგალითო გმირი „გულშემატკივარ ხუცესად“ გამოახატვინონ და ამგვარად სულ წინააღმდეგი შთაბეჭდილება დაბადონ მკითხველის გონებაში. თქვენი რა ვიცი და მედარწმუნებული ვარ, რომ ამ პოემის კითხვაზე არა ერთს და არა ორს მკითხველს აებურძგა თმა და ჟრჟოლამ გაურბინა ტანში. „თვითონ პოეტს რომ ეამბნა, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა, რაც **დიმიტრის** გულში უცნობი და მიუხვდომელიაო“, ამბობთ თქვენ. ერთი, რომ აქ (ვიმეორებ კიდევ) არაფერია არც უცნობი და არც მიუხვდომელი და მეორე დიდი შეცდომაა ამ შემთხვევაში თქვენის მხრივ პოეტისა და მეფანტურესი გაცალცალკეება. აქ ეს ორი პირი განუსაზღვრელი და განუყოფელია და პოეტი, მეფანტურეც რომ თავიდან მოეცილებინა, ერთს ნამცეცს არ აგიხსნიდათ და არ გამოთქვამდა იმაზე მეტს, რაც ახლა არის გამოთქმული. პოეზიის ემგვარ დარგში, რომელსაც ეკუთვნის პოემა, რაც უფრო უჩინარია პოეტი, რაც უფრო ნაკლებადაა მისი პირადი ახსნა და გამოთქმა, მით უფრო დიდი დვაწლი მიუძღვის პოეტობის წინაშე. აქ პოეტი კი არა, არამედ თვით გმირის ხასითი, საქციელი, თვით იმ გარემოებათა ბრუნვა, რომელშიაც ჩააყენებს პოეტი თავის გმირს, უნდა გვეუბნებოდნენ გვიმხელდნენ უჩინარი პოეტის აზრს, ახსნას, იდეას და სუყველაფერს, რაც გნებავსთ. თქვენ ძლიერ ცუდი აზრი გქონიათ შედგენილი დაბალი ხალხის პოეტურ ნიჭზე. თუ გგონიათ, რომ მისი გონება ვერ გაიგებს, ვერ მიწვდება გმირის გულს, უნებურად დაადაბლებს და, როცა ლომის გამოხატვას დააპირებს, კატა გამოუვა ხოლმე.

მე აქ არ შევდივარ მდაბიო ხალხის უხელოვნური პოეზიის გარჩევაში, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ პირიქით უბრალო ხალხის პოეზიური ნაწარმოები არასოდეს არ ჩამორჩებიან უკან ასე დარქმეულს ხელოვნურ პოეზიას წმინდა პოეზიური ელემენტებით. ხალხი ვერ აგიწობსთ ლექსს, გამოიჩენს თავის გამოუცდელობას, უხელოვნობას, გარეგან

ფორმაში, გამოიჩინეს სილატაკეს, ვიწროობას მადლ და ფართო იდეებისა ფრენაში. აურეგ-დაურეგს ისტორიულ პირებს და გარემოებას. ხანდახან სიცილსაც მოგვეგვრისო, თუ გნებავთ, თავის ბავშვური შეხედულებით, მაგრამ ნუ იტყვიო, რომ იმან გმირი დაამდაბლოს და სახელოვანი მამულისშვილი გამოხატოს ისე, რომ ის ემსგავსოს მტირალა ხუცესს, მხდალ და გაუბედავ კაცს. მე გთხოვთ მოიგონოთ **ლერმონტოვის** ჩინებული ლექსი: „Песня про царя Ивана Васильевича и купца Калашникова“. აქაც პოეტი უთმობს სიტყვას მეფანტურეს, და თქვენ, თუ გააყოლებთ პარაღელს ამ ორ ლექსს შუა, უთუოთ ლერმონტოსაც შესწამებთ ნაკლულოვანებას: **ივანე მრისხანეს** ხასიათი ვერ გამოხატა რიგიანათო. როგორ თავსდება თქვენს აზრში ის უცნაური გარემოება, რომ მეფანტურე, დაბალი ხალხის კაცი, რომლისთვის გმირული გული „მეტად მიუწვდომელია“, ხანდახან წარმოსთქვამს ამგვარ აზრს:

გულის სიღბო სიტურფეა,  
თუ კაცია სხვაფრივ ღომი...  
მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,  
როცა გულითაც ღბილია,  
რკინის კაცის თვალში ცრემლი  
დიდ-სულოვნობის შვილია.

მაგრამ უბედურებაც ესაა, რომ თქვენ ვერ ხედავთ აქ ვერაფერ წინააღმდეგობას, ვერ მიწვდარხართ აქ გამოთქმულს მადალს და სამღვთო აზრს და იმიტომაც მთელი პოემა ყირაზე შეათამაშეთ. ყველაფერში, ყველაფერში და გმირული გულის გაგებაში არ არის ისეთი განსხვავება „დაბალ“ და „მადალ“ ხალხს შუა, როგორც თქვენ პოვეთ.

გრ. უმწიფარიძე

„დროება“, 1879 წ. №53 და 54



## უმწიფარიძე გრიგოლ (ვოლსკი) ებრაელების საქმე ჩვენში

„დროება“. 1883 წ. 21 ნოემბერი, №186 გვ. 1-3

ყველამ, ვინც ცოტად მაინც იცნობს ისტორიას, იცის თუ რა შავ დღეს აყენებდა საწყალ ებრაელებს გააქვრებული და უმეცარ სამღვდელთაგან წაქეზებული ხალხი ყველგან ევროპაში შუასაუკუნეების დროს. რას არ სწამებდნენ, რაგვარად არ სტანჯავდნენ ამ ებრაელთ უბედურ შვილებს, ვითომც მათ მამა-პაპის რაღაც ცოდვისათვის...სწავდნენ ცეცხლზე დედაკაცებს იმიტომ, რომ აბრალებდნენ კუდიანობას, როკაპთან მრუშობას, ქათამივით კვერცხების დებას და სხვა ამგვარის უმეცარის ტვინისგან შეთხზულ სიბილწეს... სძულდათ ებრაელები და ისე იქცეოდნენ, როგორც შეეფერება გულგაქვავებულ მხეცს! მაგრამ გავლენ საუკუნენი, იცვალენ დრონი: დარბილდა ზნე, იკლო სიკერპემ, ნელა განიფანტა უმეცრების ბურუსი და უფრო და უფრო იმატა ძმობისა და ერთობის ქადაგებამ და საქმემ...მაშინდელი სენის ფესვებმა ჩვენ დრომდის მოატანა და ჯერადაც არ ამოვარდნილა ძირიანად, რაიც მტკიცდება სამხრეთ რუსეთში ამ უკანასკნელ ხანს ებრაელების წინააღმდეგ მომხდარი მოძრაობით... აქ შუა საუკუნეებისაგან დანატოვარს უმეცრებას და სარწმუნოებრივ სიკერპეს გარდა მოქმედებს აგრეთვე ეკონომიური და საზოგადოებრივი მიზეზები. რუსეთში ებრაელები არ არიან გათანასწორებულნი კანონის წინაშე დანარჩენ ქვეშევრდომებთან და მოკლებულნი არიან ბევრს უპირატესობას. ებრაელი იჩაგრება და კანონი მას არ ესარჩლება, რაც უნდა დიდის ნიჭისა და მშვენიერი ხასიათის პატრონი იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელად დაბადებულა ქვეყანაზე... რაც შეეხება ეკონომიურს, არც აქ არიან ებრაელები დამნაშავენი, რადგანაც მარტო მათ ხელთ არ არის მათი მოსპობა და თითონ ებრაელე-

ბი არიან მხოლოდ მათგან უძლეველ ეკონომიურის ძაღლის ბრმა და უგუნური იარაღი. ჩვენი დრო კაპიტალისტური წარმოების დროა: ეხლა ის კი არა სარგებლობს ნაშრომით, ვინც შრომობს, სარგებლობს ის, ვინც არ შრომობს, მაგრამ აქვს ფულად ქცეული სხვისი შრომა, ანუ კაპიტალი. ამ წესწყობილებას, ამ ახლანდელ ეკონომიური საქმის ბრუნვას ებრძვის პირმოუფერებელი მეცნიერება და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრით ვერაფრით მოუტრიალებიათ წაღმა. სხვა და სხვა მიზეზების მეოხებით ჩვენში დიდი კაპიტალი ჯერ არ გაჩენილა, ე.ი. სხვისი ოფლით გვერდზე წოლისა და ქეიფის მოყვარეს, თუ ბევრია ჩვენში, ფულად ნაქცევი სხვისი ოფლი აკლიათ ჯერ და მადაც ვერ გახსნიათ იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებს აქვთ მადა გახსნილი, ჩვენში ჯერჯერობით მხოლოდ გაიძვერა ვაჭრები, ჩარჩები და მოვახშენი გამოჩევილან, მათი კაპიტალიც, მადაც და ასპარეზიც ჯერ, რასაკვირველია, ვიწროა და სიხმარშიც თუ ელანდებათ ხანდახან, როცა ფიცხი ფანტაზია ნამეტნავად აუთამაშდებათ, ინგლისის მსუქანი მილიონები...

მევახშე და ჩარჩი ვერაფერი საყვარელი სულდგმულია... ზიზღს შეიქს მოქმედება და არა გვარი სარწმუნოება... ახლანდელი ქართველი ახალგაზრდობა და მწერლობა ყოველთვის ესარჩლებოდა ებრაელებს. არღვევდა მათ შესახებ გაერცვლებულს მრავალგვარ ცრურწმენობას და ჭორს... თუ ცუდად ახსენებს ხან-და-ხან მათს ვერცხლის მოყვარეობას და ჩარჩულ ზნეს, აქ ებრაელობა არაფერ შუაშია... ჩვენ ვერაფრად მოგვწონს ებრაელების ახლანდელი ხელობა და იმას როდი ვაქცევთ ყურადღებას, აქვს თუ არა ამას გარდა სხვა რაიმე ცხოვრების სახსარი.

რუსეთში... ებრაელები მაინც მიმხვდარან თავის გაძაღლებულ ყოფას, აპირებენ დაბრკოლების თავიდან აცილებას... რუსეთში ყოველ საზოგადო მოძრაობაში და საქმეში

ამ ბოლო დროს ურევია ებრაელი და არ არწევს თავის თავს დანარჩენ რუსეთის ხალხში, ის აღიარებს რუსეთს თავის სამშობლოდ, გრძნობს მის ტკივილს და ცდილობს გაფანტოს სიბნელე, შეაგონოს, შეცვალოს ცუდი წესი და დააწესოს სამართლიანი წყობილება. რუსეთში ბლომად არის ამჟამად განათლებული ებრაელი, რომელიც თავისი განათლების ძალითა და გონებით ეხმარება რუსეთის პროგრესის საქმეს და უმატებს გამარჯვების იმედს დანარჩენ მამულისშვილებს.

...ჩვენ ვანებებთ თავს ისტორიულ ცნობებს იმაზე, თუ როდის და რა მიზეზის წყალობით გამოიხიზნენ ებრაელები საქართველოში. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ მათი გადმოსახლება პაღესტინიდან კავკასიაში მოხდა ძალიან ძველის დროიდან. ქრისტეს დაბადების წინათ, ათასგვარის გასაჭირის და უბედურების დროს, თავის საკუთარ სამშობლოში... აქ, საქართველოში ეძებდნენ ისინი თავშესაფარს და ახალ სამშობლოს ...საქართველომ, რაც უნდა იყოს, შეიფარა და იშვილა... მათ იპოვეს აქ ახალი სამშობლო, დასახლკარდნენ, სცხოვრობენ აგერ რამდენიმე საუკუნე, შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, ბევრი ზნე და ჩვეულება, ერთი სიტყვით, გაქართველდნენ და წმინდად შეინახეს მხოლოდ თავისი სარწმუნოება. ჩვენს დროში სარწმუნოება სინდისის საქმედ მიაჩნიათ, სხვის სინდისის საღვთო საგანთან არავის ხელი არა აქვს. კაცი იწონება მხოლოდ საქმით, მისი კაცური კაცობით. იმით, თუ როგორი მოქალაქეა, რის მოქმედია საზოგადო საქმეში და საზოგადოდ როგორი მამულისშვილია.

...ჩვენებური ებრაელები კი გაქვავებულან მამაპაპური ყოფაცხოვრების კალაპოტში და აქამდის ვერ შეუგნიათ ახალი მეცნიერებისა და სწავლა-განათლების საჭიროება, მათ ეშინიათ განათლებისა და არ აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაში, თუნდ შეძლებაც აძლევდეს ამის ნებას, ჩაუკე-

ტიათ სახლის კარები და არ ეკარებიან დანარჩენ ქვეყნიერებას, ასე ჰგონიათ, რომ განათლება, მეტადრე გიმნაზია და უნივერსიტეტი გარყვნის მათ შვილებს, წაართმევს სარწმუნოებას და შეაძულებს ებრაელის სახელს. ის როდი იციან, რომ პირიქით, რაც უფრო მეტი განათლებული ებრაელი იქნება, მით უფრო მალე შეიცვლება მათი დაჩაგრული ბედი და უფრო მეტი გონების ძალით შეიარაღებული მოსარჩლე ეყოლებათ. რამდენი სწავლული და უმაღლესი განათლების პატრონი ებრაელია ეხლა რუსეთში, მაგრამ არც იცვლის სარწმუნოებას და არც ეთაკილება, რადგან არაფერია სათაკილო, რაც უფრო მეტი განათლების პატრონია ადამიანი, უფრო მეტი სიფრთხილით და პატივით ექცევა სხვის სინდისს და სარწმუნოებას, სხვის გულისფეთქვას და გრძნობას...

ქართველობა აღტაცებით და უსახდგრო სიხარულით შეეგება ბათუმის მაზრის შემოერთებას, რადგან იქ დიდის ხნით დაკარგული ძმა-ქართველობა სახლობენ. არა კაცს არ უთქვამს, ისინი ქართველები როდი არიანო, რადგან მაჰმადი სწამთ და არა ქრისტე.

ქართველ დაწინაურებულ საზოგადოებას სურს და ყოველთვის ესურვება, რომ ებრაელებსაც, ვითარცა კაცს, მიენიჭოს სრული საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი უფლება. ის ყოველის ღონისძიებით, რომელიც კი მის ხელთ არის, ცდილა და ეხლაც ეცდება თავის წადილის განხორციელებას.

დროა, დიდი ხანია დროა, რომ ჩვენებური ქართველი ებრაელები დაუკვირდნენ თავიანთ მდგომარეობას... შეცვალონ შეხედულება, შეუერთდნენ დანარჩენ ქართველებს... შეიგნონ სწავლა-განათლების საჭიროება, იცნონ ახალი დრო და მიანებონ თავი თავის კარჩაკეტილობას და იმ უსაფუძვლო შიშს, ვითომც თანამედროვე ევროპული განათლება სარწმუნოებას და მამა-პაპურ სიმწმინდეს წაბილწავსო“.

## წერილები გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა

„ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ეკლითა და ღვარძლით მოფენილს მწირ ყანას მოაკლდა ერთი მხნე და დაუღალავი მესვეური, ამ ყანის მუშაკთა ისევ მცირე გუნდს - ერთგული მუშაკი და ცხოვრების უმადურ ვითარებასთან მებრძოლ რაზმს - გულგაუტეხელი მებრძოლი. თუ ძნელია და თითქო დაუძღვეველიც ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ვითარება, თუ ძნელია და ხან და ხან აუტანელიც ამ ვითარებასთან მისი და ძირეულ შესაცვლელად პირახდილი და პატიოსანი, თავისი აზრისა და რწმენის დაგვარი გამკლავება, იერიშის რაინდულად მიტანა, ადვილი წარმოსადგენია, რატომ ძნელი უნდა ყოფილიყო ამ გვარის ბრძოლის გამოცხადება ამ ოცდაათ-ორმოციოდე წლის წინათ. ამ ბრძოლის სიმწვავე, გულის ჭრილობა მწარე, ნაღვლიანის ამონაკენესით ახლაც გვათქმევინებს ხოლმე გუნებაში: „მიუტევე უფალო, რამე თუ არ იციან, რასა იქმან!“ თუ ხშირად ახლაც ეძლევა ჩვენის ცხოვრების მოღვაწე სასოწარკვეთილებას, ადვილი წარმოსადგენია რაოდენი სულის სიმხნე და სიმდიდრე იყო საჭირო იმ დროს, როცა პირველად გამოდიოდნენ ჩვენში საასპარეზოდ ნეტარ-ხსენებული გიორგი და მისი ამხანაგები, მაშინ ნორჩი და ძალით აღსავსენი, აწ უკვე მხცოვანნი.

საკმაოა გავიხსენოთ, რომ იმ დროს სახელმწიფო ავად მოსაგონარი ბატონყმური კავშირი იყო იმისი სრული განუყოფელი ძალი და სუფევა. ასეთ ვითარებაში მყოფს დიდი სულის ძალა-ნიჭი სჭირია, დიდი რწმენის აზრის სიმდიდრე - მზეობა, დიდი შარავანდელით მოსილი ბუნება, რომ სამარის კარამდის შერჩეს სასოება და გაუტეხელი გული.

სწორედ ასეთი ბუნების კაცი იყო განსვენებული გიორგიც. უამური და საგმობია კერძო ადამიანი, როცა ძველის აღთქმის ქამისებრ, სიამით ხედავს და სწსრეკს სხვის მოქმედება-ცხოვრებაში მარტოოდენ კაცურ ბუნებასთან დაყოლილს წვრილმან ნაკლსა და ცხოვრების გზაზე ძალა-უნებურ ბორძიკს.



**გიორგი წერეთელი**

უმაღურობა, მადლის დავიწყება კაცთა ბუნების უსაზღვრო თვისება საზიზღარია და გადაშენების ღირსი ის ერიც, რომელიც დაივიწყებს თავის ერთგულ შვილთა სულიერ ნამუშააკევს და განწირულს სულის კვეთებას. წმინდაა მცირედი ღვაწლიც სამშობლოს საკურთხეველზე წმინდის გულით შენაწირი, ხოლო განსვენებულს გიორგის ღვაწლი არა მცირედია. ჩვენის ცხოვრების ყანაში, სადაც სამკალი მრავალია,

ხოლო მუშაკი ყოვლად არა, გიორგი იყო მამულის ერთგული და მადლიანი მოჭირნახულე. მე არ შეგვხები იმის მრავალ გვარს მონადვაწევს, ვახსენებ ოღონდ ღვაწლს იმ კუთხის შესახებ, რომლისგანაც მხვდა წილად უკანასკნელს გამოსათხოვარის საღამის მიძღვნა.

საქართველოს ეს კუთხე გახლავთ აჭარა-ქობულეთი ანუ ბათუმის მხარე, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ ქართველობას დაკარგული ეგონა და თვისას მამულის საზღვრად რიონის შესართავი მიაჩნდა. განსვენებულმა გიორგიმ, მარადის ჩვენის ერთობის მქადაგებელმა თითქო ხელახლად კოლუმბივით აღმოგვიჩინა ეს მხარე და ღვაწ-

ლი დაგვლო იმის შემოერთების დროს ორ სხვა პატიოსან მამულიშვილებთან ერთად, თავის სეხნია **გიორგი ყაზბეგთან**, ნეტარ ხსენებულ **გრიგოლ გურიელთან**, რომელიც წარმოადგენდა ნამდვილ ტიპს ძველებურის მადლიანის ქართველისას.

ფიზიკურად შემოერთების შემდეგ ის მუდამ სცდილობდა დანარჩენ მოძმეებთან ამ მხარის სულიერად შემოერთებასაც.

ყველაფერი რომ დაივიწყოს ქართველმა ერმა გიორგის ნამუშავეიდან ეს კუთხე მარადის მადლობით მოიხსენიებს იმის სახელს, საუკუნო იყოს ხსენება მისი!

*(„ივერია“, 1900 – 27 იანვარი. №20, გვ.2)*



ბათომი. „კვალის“ რედაქციას

„ბათომის ქართველი საზოგადოება და კერძოდ მე, უდრმეს თანაგრძნობასა და მწუხარებას გიცხადებთ დაუვიწყარი გიორგის, სამშობლო ლიტერატურისა და პროგრესის ნიჭიერი და დაუღალავი მუშაკის გარდაცვალების გამო“.

*გრიგოლ ვოლსკი*



## „აქეთური-იქეთური“

„ნება მიბოძეთ ბ. რედაქტორო, რომ ხანდახან გამოვეხმაურო „ივერიის მკითხველებს და გთხოვთ ეს სათაური დარჩეს წერილების საზოგადო სათაურათ.“

...თუ დააკვირდებით, მკითხველო, უთუოდ შენიშნავდით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთს საყურადღებო მოვლენას. მე მოგახსენებთ იმ მიძინებულს და მდორე მიმდინარეობაზე, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია ეტყობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ვთქვათ მომეტებული მოძრაობა არც უწინ იყო, ვერც უწინ იტყოდა კაცი, რომ ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო, მაგრამ სიცარიელე და ფუქსავატობა, მგონია ყველა დამეთანხმება, არასოდეს არ ყოფილა: თითქო ყველას წელი მოსწყდა და აღარ იცის რა ქნას, სად წავიდეს. ჩვენი უწინდელი მოქმედება უფრო ლაპარაკსა და ქადაგებაში, ლექსით და პროზით ისახებოდა, ახლა ზოგს თითქო ენის დაძვრაც ეზარება და აღარ აქვს ლაპარაკის თავი. რა ვთქვათ, რისთვის, ვისთვის? ისეთს რას ვიტყვით ცხოველს და პატიოსანს, რაც ათი ათასჯერ არ თქმულიყოს და ყველას არ გაეგონოს, ვისაც ყური აქვს სმენად, ლაპარაკით, ცარიელი სიტყვით რა გამოვა, თუ დონე არ შეგწევს სიტყვა საქმედ აქციო და აზრს ხორცი შასხა? სიტყვა უსაქმოდ ხომ ფუჭია და რაც უნდა ცხოველი იყოს იგი, თუ მარად უნაყოფოდ ჰკვეთს ჰაერს მედგარს, გულადტაცებულ მოუბარსაც კი დაღაღავს, და გულს გაუტეხს და ბოლოს, რაც უნდა სხივოსანი და ცხოველმყოფელი იყოს აზრი, თუ ურიცხვჯერ განმეორდა და თან არ მოყვანაყოფი, ჰკარგავს თავის ძალასა და ფერს, ხელსახოც მჩვრად გადაიქცევა, უიმედობა უნაყოფობის შვილია და თითონაც ვერ მოიტანს ნაყოფს. ამ ყოფაში ჩაყენებულ აზრს, როგორც არტახებში გაკრულ ყმაწვილს, ეკარგება

მოძრაობა და ან ძილს უნდა მიეცეს, ან მორტოს შეწუხებულის ხმით ჩივილი... დაუკვირდით გარშემო ცხოვრებას და რაც უნდა ნათელმოსილის თვალით უცქერდეთ ქვეყანას, შეუძლებელია ცოტათი მაინც არ გვეჩვენოს ბნელში- ბურვილად... ავიღოთ მაგალითად ლიტერატურა, ეს, როგორც ამბობენ, სულიერი ცხოვრების საღარო და სარკე, რა სურათს ჩვენი სულიერი ცხოვრებისას გგვიხატავს იგი? წინ წავედით, ახალი რამ შევიტანეთ საშვილიშვილოდ საღაროში, თუ გაჩერებული ვართ ერთ ადგილას და მითაც ძალიან კმაყოფილი ვართ, თუ გადავარჩინეთ ხრწნისაგან მამაპაპის ნაღვაწალი?...ჩვენ გვიხარია ბავშვივით, თუ ვიპოვეთ ამ ღვაწლის რომელიმე ნაშთი, რომელიც ვერ უქცევია სულ მტვრად და გადარჩენილა რაღაც სასწაულით, ნურავინ იფიქრებს, ვითომც მე იმათ ვესაყვედურებოდეთ, ვინც ამ ნაშთს უგლის და ეფერება, თუ ძველთაგან ნაღვაწევი სამკვიდრო დაეფანტეთ და ვერ მოუარეთ, რაღა ხეირი მოგველის მომავალში, რა დარბაზი აგვიშენდება უსაძირკვლოდ?... მაგრამ ეგ ხომ მაინც სხვისი ნაღვაწი და სულიერი ცხოვრების ნაყოფი, სხვისი შრომაა, ჩვენ რას ვშვრებით?...რა უსახსრობა უნდა სუფევდეს გარშემო, რომ ძველის გადარჩენის შენახვით მორჩეს და გათავდეს საქმე?“ (საქ. ლიტ. მუზ. 6171/4).

## ისტორია და მეცნიერება

არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს დაძაბუნებას და დავრდომილებას, როგორც ის გარემოება, რომ აქამდის არ მოგვეძევა არც ერთი სისტემატური და მეტ-ნაკლებად ისტორიულ კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მოთხრობა იმის შესახებ, თუ რანი ვყოფილვართ, როგორ გამოგვივლია გასულ საუკუნეთა გრძელი მანძილი, რა დაგვიკარგავს, რა შეგვიძენია და რა სასიცოცხლო ნაბიჯი გვაქვს დღეს, განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე წარსადგენი.

კრიტიკის ცეცხლს და მეცნიერულ კვლევას ვინ ჩივის, – წარსულთა საქმეთა და ღვაწლთა ქრონოლოგიურად მოამბე, კარგი, გასაგები ენით დაწერილი, უბრალო მატთანეც კი არ გვაქვს! ცალკე ეპოქის გამოკვლევანი, ცალკე ისტორიულ პირთა შესახებ მაინც, როგორც არიან მაგალითად, **ბაგრატ III, თამარ-მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე**,- შედგენილი მონოგრაფიებიც ნატვრის თვალისით გაგვიძვირებია... – თავისი ისტორიის უცოდინარი ერი გავს იმ უგვარო კაცს, რომელსაც არ გაეგება თავისი დაბადების ამბავი, არ იცის სადაურია, ჩვენ გარემოებაში მყოფ ერისათვის ისტორიასა და წარსულს, თუ მეტადრე ეს წარსული დიდებული და დიადი თავმოსაწონია, განსაკუთრებული და უადრესი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება თამამად სთქვას კაცმა, რომ ისტორიას ჩვენთვის ახლა პირველი ადგილი უჭირავს ლიტერატურაში: გულსაკლავია ჩვენი ამ მხრივ სიდატაკე და ფუქსავატობა, რა აზრი და პრინციპები, რა კრიტიკული მიმდინარეობა და გავლენა იყო ჩვენს წარსულში, რით ვსულდგმულობდით? რა გვზრდიდა, რას ვშვრებოდით ან ჩვენთვის, ან კაცობრიობისათვის? ყველაფერი წყვიდადითაა მოცული, თითქმის სრული წყვიდადით. უისტორიოდ, ჩვენი კულტურის შეუსწავლად განა შეგვიძლია, რომ ვერო-

პის წინაშე ხმა ავიმადლოთ და ვახსენოთ ჩვენი სახელეო? განა უპასპორტოდ მოსიარულეს, მაწანწალას, ველურს არ დაგვიძახებენ.

გვეძახიან კიდევ და თუ გვეძახიან, ჩვენი ბრალია და არა სხვისი, თუ ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია და აქამდის ვერ შეგვიტყვია რიგიანად ჩვენი ვინაობა, თუკი თვითონ არ ვიცით, ვინა ვართ და სადაური, სხვას როგორდა ვაცნობოთ ჩვენი თავი და სხვას რას უღბილებთ ჩვენს შესახებ უმეცრებას დ უმეცრებაზე აგებულს უშვერობას...

ცხადია, რომ მეცნიერული შრომა და ყველაზე უწინარეს ისტორიულად ჩვენის წარსულის შესწავლა და გაგება უპირველესი ვალია, რომელიც კისრად სდევს ჩვენს დაწინაურებულ ახალგაზრდობას. (გაზ. „კვალი“, №11, 1893წ).

## მთარგმნელი

გრიგოლ ვოლსკის შემოქმედებაში თარგმანებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამწუხაროდ მათი სრულყოფილი შესწავლა პოეტის ბიოგრაფებს არ უცდიათ და ყველა იმეორებს, რომ გრ. ვოლსკიმ თარგმნა მხოლოდ **ჩეხოვის** მოთხრობები და **ანდერსენის** ზღაპრები (**იაკობ მანსვეტაშვილი**, **სოფრომ მგალობლიშვილი**, **დავით ნაცვალაძე**, **თეიმურაზ კომახიძე** და სხვ.). სინამდვილეში გრიგოლმა თარგმნა სულ ცოტა რვა უცხო მწერლის, მათ შორის კლასიკოსთა: **ანტონ ჩეხოვის** („დათვი“), **ლილი მორიცის** („სული და სხეული“), **მ.ვ. სალტიკოვ-შჩედრინის** („ფუჭი ლაპარაკი“), **ბიორსონ-ბიოსტერნეს** („ერთი წაჩხუბების ამბავი“), **გი დე მოპასანის** („მთვარის შუქი“), **მარკ ტვენის** („კანდიდატობის სიამე და სიხარული“), **ლევ ტოლსტოის**, **ჰანს კრისტიან ანდერსენის** („ლოკოკინა და ვარდის ბუჩქი“) და სხვათა ნაწარმოებები. ყველა მათგანი, გარდა ერთისა გამოქვეყნდა

ქართულ გაზეთ „ივერიაში“, ხოლო ის ერთი ივერსე-  
**ნის** ზღაპარი, რომელიც 1884 წელს ჟურნალ „ნობათის“ 10-12  
 ნომრებში დაიბეჭდა.

რაც შეეხება **ლევ ტოლსტოის** მიერ ამერიკული ჟურ-  
 ნალიდან რუსულად თარგმნილ მოთხრობა „კარმა ვანუ  
 ცოდვა-მადლი“, გრ. ვოლსკიმ გადმოაქართულა, მაგრამ იგი  
 არ დაბეჭდილა. ხელნაწერი ამჟამად საქართველოს ლიტერ-  
 ატურის მუზეუმში (8776/2) ინახება. ამ მოთხრობას თან ერთ-  
 ვის მთარგმნელის განმარტება: „კარმა ბოდვით მოძღვრე-  
 ბაა, რომელიც ასწავლის, რომ თითოეულ ადამიანს არამც  
 ზნე-ხასიათი, არამედ მთელი იმისი სვე-ბედი ამ სოფლად  
 უწინდელი ცხოვრების ზნე-საქციელის შედეგია და რომ  
 ჩვენთვის საიქიოს ცხოვრებისათვის ავი და კარგი იმაზედ  
 იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შევეცადეთ სააქაოს  
 კეთილის ქმნასა და ბოროტის განჩინებას. ერთი სიტყვით  
 ამ მოძღვრებაში ამ სოფლად ცოდვა-მადლი არ იკარგება“.


გრ. ვოლსკის მიერ 1889 წელს გადმოქართულებული **ან-  
 ტონ ჩეხოვის** ვოდევილი „დათვი“ 1891 წლიდან იდგმებოდა  
 თბილისის სცენებზე. მასზე გამოქვეყნდა **გიორგი შერვა-  
 შიძის** (გადახვეწილის), **გრიგოლ აბაშიძის** (მენავე) და სხ-  
 ვათა რეცენზიები (იხ.ქვემოთ გრ. ვოლსკის ბიბლიოგრაფია).



ანტონ ჩეხოვი




მ.გ. სალტიკოვა-შჩედრინი




ლევ ტოლსტოი



გი დე მაჰასანი



მარკ ტვენი



ჰანს ანდერსენი

გრ. ვოლსკის მთარგმნლობითი საქმიანობა ამით არ ამოიწურება. მან მრავალი ქართული ნაწარმოები რუსულად თარგმნა და ამით ისინი გაიყვანა ევროპულ მკითხველზე. ისინი უპირატესად ქვეყნდებოდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“: „სამი ცოდვა“, „ოსური ლეგენდა“ (1891 წ. №2619), **შიო არაგვისპირელის** „ესაა ჩვენი ცხოვრება?“ (1892 წ. №2801), **ეკატერინე გაბაშვილის** „სახრჩობელაზე“ (1892 წ. №2905), **დუტუ მეგრელის** „ბაბუა სვიმონი“ (1895 წლის №3936), **ილია ჭავჭავაძის** „კაცია ადამიანი?!“ (1897 წელი №4515, 4518).

საყურადღებოა, რომ „კაცია-ადამიანი?!“ გრ. ვოლსკიმ 1891 წელს თარგმნა, მაგრამ მისი დაბეჭდვა მაშინ გაურკვეველი მიზეზებით არ მოხერხდა. ამ საქმესთან დაკავშირებული მოვლენები ასე განვითარებულა: „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს **გიორგი თუმანიშვილს** გრიგოლისათვის მიუწერია, რომ ჩვენს გაზეთს ქართულიდან თარგმნილი მოთხრობის მკითხველი არ ყავს, ამიტომ „კაცია ადამიანის?!“ მხოლოდ ერთ თავს ვბეჭდავთ. მომდევნო წერილში მთარგმნელს რედაქტორმა საერთოდ გადაუწურა წყალი: „კაცია ადამიანი?!“ -ს თარგმანი წარმოადგინა **ივანე პოლტორაკიმ**, ამიტომ თქვენ ამ მოთხრობის თარგმანი შეწყვიტეთ.

როგორც ჩანს, საქმე კვლავ გრიგოლ ვოლსკის სასწარგებლოდ შემობრუნდა. რედაქცია გაეცნო ივ. პოლტარაცკის თარგმანს და იგი დაიწუნა, რის შესახებ რედაქტორმა გ. თუმანიშვილმა გრ. ვოლსკის 1891 წლის 27 ნოემბრის წერილით აცნობა: „ამასწინათ ილია ჭავჭავაძე შემხვდა, საუბარი გვქონდა „კაცია ადამიანის?!“ თარგმანის შესახებ და ილიამ მითხრა: პოლტარაცკის თარგმანი არ მომწონსო, შემდეგ ილიას ვაჩვენე თქვენი თარგმანი და იგი მას მოეწონა. პოლტარაცკიმ გადაწყვიტა თავისი თარგმანი გაუგზავნოს “ვესტნიკ ევროპის“ რედაქციას, მაგრამ მე ეჭვი მეპარება მისი „კაცია ადამიანი?“-ის თარგმანი<sup>1</sup> სხენებულმა გაზეთმა გამოაქვეყნოს. ამიტომ საჭიროა გამოგვიგზავნოთ სამი თავი, რათა თარგმანი სრული შთაბეჭდილება იყოს“.

ფრთხილი რედაქტორი, რომელიც ადრე მკითხველის არყოფნაზე ჩიოდა, ამჯერადაც მკითხველს უწევს ანგარიშს და ითხოვს გრ. ვოლსკიმ თარგმნოს არანაკლებ სამი თავისა, რათა სრული შთაბეჭდილება შეიქმნას.

გრიგოლ ვოლსკი დაჰყვა რედაქტორის კეთილ ნებას და მართლაც სამი თავი თარგმნა და გამოაქვეყნა. მას შეეძლო ესარგებლა რედაქციის დადებითი დამოკიდებულებით და მისთვის მიეწოდებინა მოთხრობის სრული თარგმანი. თუმცა მან ეს რატომღაც არ გააკეთა და 1897 წლიდან საერთოდ შეწყვიტა მთარგმნელობითი საქმიანობა. ჩვენი აზრით ეს არის გრიგოლ ვოლსკის ლიტერატურული საქმიანობის შეწყვეტის ერთი ნაწილი, რაც მუნიციპალური მოღვაწეობის სირთულითა და სიმძიმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

---

<sup>1</sup> ივანე ევანტეს ძე პოლტარაცკი ეროვნებით პოლონელია, მაგრამ დაიბადა და გაიზარდა თბილისში, კარგად ფლობდა ქართულ ენას, იყო ილია ჭავჭავაძის მეგობარი გიმნაზიიდან. ილიამ მას მიუძღვნა თავის პოემა „ანრდილი“.



## ჟურნალისტი

### ჟურნალ-გაზეთები და კრებულები, რომლებშიც თანამშრომლობდა გრიგოლ ვოლსკი

1. გაზ. „დროება“
2. გაზ. „შრომა“
3. ჟურ. „ივერია“
4. გაზ. „ივერია“
5. გაზ. „ცნობის ფურცელი“
6. კრებ. „ცდა“
7. ჟურ. „ნობათი“
8. გაზ. „კვალი“
9. ჟურ. „ეშმაკის მათრახი“
10. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“
11. გაზ. „მომბე“

### გრიგოლ ვოლსკი და ქართული პრესა

ქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიების გაცნობით ირკვევა, რომ გრიგოლ ვოლსკი თანამშრომლობდა ყველა იმ გაზეთში, ჟურნალსა და კრებულში, რომლებიც მისი მოღვაწეობის დროს გამოდიოდა. მათი რიცხვი 10-ს აღემატება, ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ მხოლოდ ოთხი, რომლებიც მაშინ პრესის ფლაგმანებად ითვლებოდა; ესენია: გაზეთები „დროება“, „შრომა“, „ივერია“ და „კვალი“. წიგნს თან ერთვის „გრიგოლ ვოლსკის ბიბლიოგრაფია“, სადაც მკითხველი იხილავს ავტორის ყველა პუბლიკაციას, აგრეთვე მასზე გამოქვეყნებულ მასალებს.

## გაზეთ „დროება“

გრიგოლ ვოლსკის თანამშრომლობა ქართულ პრესასთან გაზეთ „დროებით“ დაიწყო. მისი პირველი წერილი, „მგზავრის შენიშვნები“ ამ გაზეთის 1878 წლის 6 ოქტომბრის №202-ში დაიბეჭდა. **ს. მესხის** გაზეთი იყო ერთადერთი, რომელშიც თითქმის ყველა მწერალი, ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი პიროვნება რაღაც მონაწილეობას დებულობდა. თანამშრომლობდნენ ყველა კუთხის, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. მათ შორის იყო გრიგოლ ვოლსკი. თავის წერილში, რომელიც უმწიფარიძის ხელმოწერით გამოქვეყნდა, გრ. ვოლსკი ერთმანეთს ადარებს მშობლიურ ქუთაისსა და ქოდესას, სადაც ის-ის იყო დაადგა ფეხი.

პატარა ჩაბნელებულ ქუთაისთან შედარებით ქვაფენილებით დამშვენებული, გაზით განათებული ოდესა, მაღალი სახლებით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მოსკოვისკენ წასულ მომავალ სტუდენტზე. იგი ოცნებობს, რათა „იმერეთმაც შორს გაშალოს ფრთები, ქუთაისი გახდეს მდიდარი, ამაყ ქალაქათ, მოაგოს ნათალი ქვებით ქუჩები, გაიყვანოს არხები, გაჩაღდეს გაზით, გამოიჭიმოს დიდებული მარმარილოს კოშკები, გამართოს დიდი ქებული უნივერსიტეტი, თავისი გიმნაზიებით და შკოლებით, ამასთან შესაფერისი თეატრი, ოპერა, გაიჩინოს ჟურნალ-გაზეთები“.

გრიგოლის ამ ოცნებებში აშკარად გამოსჭვივის მომავლის რწმენა და ფიქრი მოქმედებებისკენ, რომლებიც ასეთად აქცევს მის ქუთაისს.

ჭაბუკ ვოლსკზე აშკარად ჩანს თერგდალეულთა მისწრაფებების გავლენა, როცა შრომა<sup>1</sup> ითვლება ყველაფრის საწყისად, სიხსლე საფუძვლად.

---

<sup>1</sup> სხვათაშორის ამ გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომ გრ. ვოლსკიმ და მისმა თანამოაზრეებმა ქუთაისის გაზეთს „შრომა“ უწოდეს.

გრიგოლმა „დროებაში“ რამდენიმე ლექსიც გამოაქვეყნა. ერთ-ერთი პირველი იყო „ელეგია“ (1879 წლის 4 იანვრის №1) ამ ლექსით ნათელი ხდება, რომ ვოლსკიმ ჯერ კიდევ ბავშვობაში მძაფრად განიცადა ეროვნული ჩაგვრა, ამიტომ მთელი სიძლიერით გრძნობდა საკუთარი მშვენიერი, მრავალფერად მოხატული სამშობლოს ტკივილებს:

„...კოშკნი ნგრეულნი,  
მოსუცებულნი  
თეთრი თმის გაშლით ჩაფიქრებულან,  
წარსულის ძველის,  
გულის მომწველის  
ვერ მპოვნი მწარეთ ჩაფიქრებულან.  
ქცევა კაცური,  
ზნე მამაცური  
მათ გმირს ეხვევათ, ვით, რომ სიზმარი  
მათ არ ამხნევენს  
მათ არ აღელვენს  
ცეცხლის მომდები იმედი მტკბარი“.

ეს ლექსი ნათლად გამოხატავს საქართველოს იმდროინდელ ეროვნულ ტკივილებს. გეუფლება გრძნობა, რომ ავტორს თითქმის ხელი ჩაუქნევია და პესიმიზმს მისცემიაო, თუმცა არა, იგი ელის ნათელ მომავალს:

„ვჭვრეტ ჯერ მე წყვიდადს,  
მაგრამ განთიადს  
მაინც კი ველი, ვიყო გინდ მკვდარი“-ო

ამ დიდი წინასწარმეტყველებას ავტორი ვერ მოესწრო, თუმცა ბედნიერება ძალზე ახლო ყოფილა. მისი გარდაცვალებიდან სულ რაღაც 8-9 წლის შემდეგ დაემხო თვითპყრობელობა, ხოლო საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.



**სერგი მესხი**

ამგვარად გაზეთი „დროე-  
 ბა“ და მისი რედაქტორი **სერგი  
 მესხი** იყვნენ გრ. ვოლსკის პოე-  
 ზიის პირველი კვალგამტანნი.  
 რედაქტორმა იმთავითვე იგრძნო  
 19 წლის ჭაბუკის პოეტური ნიჭი  
 და გზაც დაულოცა: „მიუულო-  
 ცავთ ჩვენს ახალგაზრდა პოეტს  
 ასე, ჩინებულად, ასე ნიჭიერად  
 გამოსვლას სალიტერატურო  
 ასპრეზზე და ვინატროთ, რომ  
 შემდეგი ნაბიჯებიც ისეთივე  
 მარჯვე, ისეთი ბრწყინვალე ყო-  
 ფილიყოს იმისი, როგორც ეს  
 პირველია. ვინატროთ, რომ ეს

ნიჭი ისე უდროვოთ, ისე „დაუმწიფებლად არ დაჩაგრუ-  
 ლიყოს და არ დამჭკნარიყოს, როგორც დაჭკნა ზოგიერთი  
 ჩვენი ახალგაზრდა მწერლის ნიჭი...“ წერდა სოლოლაკელი  
 (**სერგი მესხი**) თავის მილოცვაში. „ახალი ქართველი პო-  
 ეტი გრიგოლ ვოლსკი („დროება“, 1879 წ. 18 თებერვალი,  
 №37, გვ. 1. 3).

რედაქტორმა გაზეთის ამავე ნომერში გრიგოლ ვოლსკის  
 მეორე ლექსი, „მოტყუებულს“ მოათავსა.

ეს ლექსიც ასეთვე პათოსითაა დაწერილი. იგი ერთ-  
 გვარად „ელეგიის“ გაგრძელებას ჰგავს. მტერი ცდილობს  
 მეოცნებე პოეტს ოცნებები გაუქროს, მაგრამ იგი ამ ვე-  
 რაგობას არ ეპუება, იგი თავისი მამულის ერთგული დამ-  
 ცველი და ერის თავგანწირული ქომაგია. თუ დავეცეო,  
 მიმართავს მტრებს პოეტი:

მაშინ დამცინე სულით უძღურო,  
 როცა გამიქრეს სიცოცხლის აღი,

საფლავს ჩამძახე ხმა უგემური

„განქრა ოცნება, გაჰ შენი ბრალი“.

„დროებაში“ გამოქვეყნებულ მორიგ ლექსში, რომლისთვისაც პოეტს „მეგობარს“ უწოდებია, გრიგოლ ვოლსკი ამჯერად მიმართავს იმედდანთქმულ თავისიანს, რომელსაც სასო წარუკვეთია, მხრები ჩამოუყრია და არარაობად ქცეულა; მას ამხნევებს და მოუწოდებს სიკვდილამდე გულმაგრად იყოს:

მაგრამ შენ, ძმაო, ისევ იმედით,

ისევ გულმაგრად ჰკაფე ეკალი!

ჯვარზე რომ გაკრან კრულვა-გინებით,

მაინც არ შეკრთე, თქვი: „ვარ მართალი“.

*(„დროება“, 1879 წ. 23 თებერვალი, №40, გვ. 3, 4).*

გრიგოლ ვოლსკი მედროვეებისათვის იცლის, იგი უზომო ზიზღით უცქერის ყველას, ვინც თავისიანზე ილესავს კბილებს, გაუტანელი და ფარისეველია. მხოლოდ თავის კუჭზე ფიქრობს და მხოლოდ ეგოიზმი ამოძრავებს. მისთვის სულ ერთია, მომავალში რა მოხდება და გულშიც კი არ გაივლებს მამულის, ერის სატკივარს:

„ვაი საწყალს და ბნელ მხარეს,

სად ძმა ძმაზე ლესავს კბილებს,

სად ძვალ-რბილში გასჯდომიათ

„კუჭის“ მრწამსი თვით ყმაწვილებს.

იმ წაწემედის, კრულის აზრის

სად ტაძარი აგებულა,

რომ „მე ვიყო, თვარა მერე

ქვა ქვაზე დადუღებულა“.

სად ემაწვილიც ბერიკაცობს,  
კუჭზე ფიქრით გადამკვდარი  
და გულის მძინარს არ უღვიძებს  
პოეზიის ტკბილი ქნარი!“

**(„გაი საწყაღს და ბნელ მხარეს“. გაზ. „დროება“. 1870 წ.  
25 მარტი, №66, გვ. 1).**

ღექსების გარდა, „დროებაში“ გრიგოლ ვოლსკიმ მრავალი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილები: ქართველ პატრიოტებსა და სლავიანოფილებზე, ქართველ ებრაელებზე, ქართული ენის სიწმინდეზე, ქალთა განათლებაზე, სკოლებზე და მოსწავლეთა სახელმძღვანელოებზე, ლიტერატურულ კამათზე, გაზეთების საქმიანობაზე და ა. შ.

პუბლიკაციების საერთო რიცხვი, მარტო ამ გაზეთში 20-მდე აღწევს.

### გაზეთი „შრომა“

1881 წელს ქუთაისში დაარსდა გაზეთი „შრომა“. მისი პირველი ნომერი 1 სექტემბერს იხილა მკითხველმა. ოთხგვერიანი გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა. გაზეთს რედაქტორობდა ცნობილი მოღვაწე **დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი** (1843-1895), ხოლო გამომცემელი იყო ცნობილი ქუთაისელი ექიმი **დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილი** (1854-1928). გაზეთის ტირაჟი 500-ს არ აღემატებოდა. გაზეთი ხალხოსნური მიმართულებისა იყო. მისი ყველაზე უაქტიურესი თანამშრომელი იყო **ესტატე მჭედლიძე**, რომელიც წერილებს ზოგჯერ „თანამშრომელის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. გაზეთის პროგრამის ჩამოყალიბებაც მან იკისრა, რომელშიც დაგმობილია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ქვეყა-

ნაში გამეფებული ძაღმომრეობა. **ესტატეს** გვერდში ჰყავდა უახლოესი მეგობარი გრიგოლ ვოლსკი.

უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში „შრომის“ მესვეურებს პირველ რიგში ჟურნალ-გაზეთები და მისი თანამშრომლები ეგულეობდათ. თანაც მიაჩნდათ, რომ ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ დემოკრატიული იდეალების ერთგულნი, უანგარონი, პრინციპულნი და თავდადებულნი. მათ სარგებლობა უნდა



**დიმიტრი ნაზარიშვილი**

მოუტანონ ხალხს: „ამის იმედი რომ არ გვექონოდა, მაშ რა ძალა გვაიძულებდა ამ მძიმე და უსასყიდლო საქმის აღებას, როგორც გაზეთის გამოცემა... შიშის და შრომის მეტს არა-რას მოველით... თუ შევეუდექით ამ განსცდელს, მხოლოდ მისთვის, რომ ვემსახურით სამშობლოს... მისთვის არ ვზოგავთ ჩვენს ქონებას და სიცოცხლეს“.

ასეთი გაბედული განცხადება, რასაც მისი შესაფერისი მასალების გამოქვეყნება მოსდევდა, ავტორებს სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა. ამიტომ იყო, რომ მათ რამდენიმე ფსევდონიმი ჰქონდათ. გრ. ვოლსკის **უმწიფარიძე**, ე. მჭედლიძეს: **მანელი**, გარეშე მაყურებელი, **ბოსლეველი** და სხვა.

გაზეთ „შრომაში“ გრიგოლ ვოლსკის ლექსებიც შეესაბამებოდა გაზეთის პროგრამას და მის ძირითად იდეურ მიმართულებას. სტუდენტის პირველი ლექსი, „ჩემო მუზავ ჩაგრულთ ფარო“, გაზეთში 1881 წლის 28 ოქტომბრის №9-ში დაიბეჭდა, პირველ გვერდზე. რამდენიმე თვის შემდეგ რედაქცია მოსკოვიდან კვლავ ღებულობს **უმწიფარიძის** ლე-



ქსს, „სიზმარი“ (1882 წ. 20 იანვარი, №3), რომელმაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა და გრ.ვოლსკი პრაქტიკულად დაამკვიდრა ქართველ პოეტთა რიგებში. ამ ლექსს მოჰყვა კრიტიკული წერილი, „თოთხმეტი შავი დაღი“. იგი ეხება თბილისის თავადაზნურთა კრებას, რომელიც მიექდგნა საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას. კრებაზე ეს საკითხი კენჭის საყრდელად გამოიტანეს. 14 პიროვნებამ საჭიროდ არ მიიჩნია ქართულ ენაზე მსჯელობა, რამაც გრ. ვოლსკის აღშფოთება და ამ წერილის გამოქვეყნება გამოიწვია („შრომა“, 1882 წ. 2 ივნისი, №21, გვ. 3).

გაზეთ „შრომის“ 1882 წლის №48-ში და 1883 წლის №1-№3-ში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ **გიორგი მაიაშვილმა** გამოაქვეყნა, „წერილი ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა მიმართ“, რომელშიც ავტორმა დააყენა საკითხი ქვეყნის განვითარების გზების შესახებ. წერილის ავტორი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა, მას დიდი რევოლუციური გამოცდილება ჰქონდა და წერილის გამოქვეყნებისას გადასახლებაში იმყოფებოდა, ცნობილი 50-ის პროცესის გამო. მის გარდა ქართველთაგან საქმეში ირიცხებოდნენ: **ივანე ჯაბაძარი, მიხეილ ჩიკოტიე და ალექსანდრე ციციშვილი.**

გ. მაიაშვილის წერილი ერთმანეთისაგან ღრმად განასხვაებდა „ძველ“ ე.ი. სამოციანელ და „ახალ“, ე.ი. ოთხმოციანელ მოღვაწეებს.

გრ. ვოლსკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „ახალთა“ სახელით გამოეხმაურა გ. ზდანევიჩის „წერილს“. თავის სტატიაში, „რა უფრო საჭიროა?“ გრ. ვოლსკი ერთგვარად თითქოს დაუპირისპირდა გ. ზდანევიჩს, მაგრამ მის წერილს თუ კარგად დაუფიქვრდებით, დავრწმუნდებით, რომ გრ. ვოლსკიმ გ. ზდანევიჩის მიერ დასმული საკითხები შეავსო ახალი იდეებით და პრაქტიკულად ისინი ეროვნული სულით გაამდიდრა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ გ. მაიაშვილმა საკითხი დააყენა, ხოლო გრ. ვოლსკიმ ამ საკითხში დასახა

მისი გადაწყვეტის ხერხები და გზები („შრომა“, 1882 წ. 24 ნომბერი, №45).

**ილია ჭავჭავაძის** აზრობრივ სკოლაში აღზრდილი და **აკაკი წერეთლის** პოეზიის ფორმებში გაწვრთნილი გრიგოლ ვოლსკი საქართველოს ვითარებას განიხილავდა, მის ბედსა და მწუხარებაზე საუბრობდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ამიტომ იგი, პირველ რიგში წინა პლანზე პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას აყენებდა.

1883 წლის 5 იანვარს „შრომაში“ (№1) დაიბეჭდა გრ. ვოლსკის წერილი, „ქალების საექიმო კურსების ბედი“. მე-3 კურსის სტუდენტს, მომავალ ექიმს აინტერესებს რა ბედი ეწევა ქალთა სამედიცინო განათლების ერთ პატარა მძუჭავ ცენტრს. იმ დროისათვის სამედიცინო განათლებამიღებულთა რაოდენობა შეიძლებოდა თითოებზე ჩამოგეთვალა. მათ შორის ქალი ერთიც არ იყო და ამ სასწავლებელს ქვეყნის მომავლისთვის საკმაოდ დიდი როლი ეკისრებოდა.

გრიგოლ ვოლსკის უკანასკნელი პუბლიკაცია გაზეთ „შრომაში“ იყო ლექსი, „კენესით ზუზუნით დაჰქროლა ქარმა“, რომელშიც პოეტმა თავისი განწყობილებით მოხერხებულად შექმნა ბუნების შთამბეჭდავი და ნათელი სურათი. („შრომა“, 1883 წ. 26 იანვარი, №4, გვ. 1).

ამგვარად, გაზეთი „შრომა“ გრიგოლ ვოლსკის შემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი პოპულარიზატორის როლში გვევლინება, თუმცა აქ თანამშრომლობა ყოველთვის მშვიდი არ იყო. 1882 წლის 27 ოქტომბერს გაზეთში (№42) ანონიმ ავტორს გამოუქვეყნებია წერილი, „შენიშვნა უმწიფარიძის წერილზე“, რომელიც ჩვენი აზრით გამოიწვია გრ. ვოლსკის წერილმა **დ. კეზელის** ლექციასთან დაკავშირებით. უცნობ ავტორს გრ. ვოლსკის ნაწერებისათვის „ლიტერატურული ნაცოხარი“ უწოდებია. ამას მისი მწვავე პასუხი მოჰყვა გაზეთ „დროებაში“ (1882 წ. 4 ნომბერი, №230, გვ.2),

„გაზეთ „შრომის“ პასუხად“, რომელშიც გრიგორლმა ნიდაბი ჩამოხადა მისდამი მტრულად განწყობილ ადამიანებს, ამასთან ერთად იგი საყვედურობს გაზეთ „შრომის“ რედაქციას, რომელმაც ასეთი ტენდეციური მასალა დაბეჭდა. გრ. ვოლსკის გამოესარჩლნენ ქუთაისელი მეგობრები, მაგრამ ეს წერილი გაზეთში არ გამოქვეყნებულა, ამჟამად ლიტერატურის მუზეუმში ინახება (8754/2), რომლის გაცნობა მკითხველს ამ წიგნის დანართში შეუძლია.

სხვათაშორის გაზეთ „შრომის“ მიმართ საყვედურს გრ. ვოლსკი სხვა დროსაც გამოთქვამს („სიუცრუე რაღა „შრომის“ საკადრისია“. გაზ. „დროება“, 1882 წ. 21 ოქტომბერი, №219, გვ. 3. 4), უკმაყოფილება საკმაოდ ღრმა იყო, მაგრამ როგორც გაზეთის რედაქცია, ასევე თვით გრიგოლ ვოლსკი საკუთარზე მადლა ეროვნულ ინტერესებს აყენებდნენ და შეიძლება ითქვას გრ. ვოლსკის „შრომასთან“ ურთიერთობა არ გაუწვევტია და მის თანამშრომლად თითქმის გაზეთის გაუქმებამდე დარჩა.

### გაზეთი „ივერია“

გრიგოლ ვოლსკის შემოქმედების დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი) გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ამ გაზეთში იგი მისი დაარსების პირველივე დღიდან თანამშრომლობდა. აქვეყნებდა კრიტიკულ, პუბლიცისტურ წერილებს, ლექსებსა და ჩანახატებს. მასალების ნაწილი დაბეჭდილია ფსევდონიმებით. დღემდე ცნობილი ფსევდონიმების: უმწიფარიძის, „გ-კი გრ-ს“ გარდა, შეგვხვდა უცნობი ფსევდონიმიც „იმე“, რომლითაც ხელმოწერილია 1887-1888 წლებში ქუთაისიდან გაგზავნილი წერილები. ისინი გვეხმარებიან ქუთაისიდან გრიგოლის ჯერ ფოთში, შემდეგ ბათუმში გადმოსახლებისა და დამოუკიდებელი შრომის დაწყების თარიღების დადგენაში. ასე მაგალითად, 1887 წელს გამოქვეყნებულ წერილებს

სათაურად უძღვის „წერილი ქუთაისიდან“. 1888 წლის პუბლიკაციებს „ტფილისი“ და „ვოთის ამბები“. ბათუმიდან გაგზავნილი პირველი წერილი 1890 წლითაა დათარიღებული („ივერია“, 1890 წელი 19 ივნისი №128, გვ. 20). იგი თბილისის დრამატული თეატრისთვის ბათუმში გამართულ გამოსათხოვარ სადამოს ეხება. ზემოთხსენებული გვაფიქრებინებს, რომ გრ. ვოლსკი ბათუმში ჩამოვიდა და და რკინიგზაში ექიმად მუშაობას შეუდგა. არა უადრეს 1889 წლისა<sup>1</sup>.

ყურადღებას იქცევს „ივერიაში“ გამოქვეყნებული **უმწიფარბიძის** მოთხრობა „თორნიკეს დარდი“, მასში მკაფიოდ ჩანს მხოლოდ პირად ინტერესებზე გადაყოლილი თორნიკე ფაშვადის ოცნებები. მისთვის არარაობაა დემოკრატია და თავისუფლება. მისი შვილი გიმნაზიაში სწავლობს, მამა კი მხოლოდ იმას შეუშფოთებია, რომ ბიჭი ახალი ახალგაზრდული იდეების ფერხულში არ ჩაებას: „თუ სდიე ყველას კუდში და ჩაყვი დღინში, ვერ მოჭამ წუთისოფელს, სული აღმოგხდება. ყველა ასე შოულობს ფულსო“ – ამბობს ეგონისტი ფაშვადე და შვილსაც ასეთი ცხოვრებისაკენ უბიძგებს („ივერია“, 1888 წ. 5 ივლისი №139, გვ. 1. 2). ამ მოთხრობაში გრ.ვოლსკის თავისი თავი ჰყავს გამოყვანილი. გოგიტას არ აინტერესებს შინაარსიდან დაცლილ, დაკნინებული, უმოქმედო „კუჭის ცხოვრება“. იგი სწორედაც რომ სდევს კუდში და დღინშიც ჩაყვება. ისიც კარგად იცის, რომ ასეთი მოქმედება ძნელად სავალ, სუსხიან გზაზე ატარებს, მაგრამ თავისი დროის ღვიძლ შვილს ეს არ აშინებს.

გრიგოლ ვოლსკი **აკაკის** იდეების ერთგული პოეტია. მისი აზრით ლიტერატურამ განსაკუთრებით პოეზიამ აღამიანი სულიერად უნდა აამაღლოს განუვითაროს ახალი აზრი და ცოდნა, გამოუმუშაოს კაცთმოყვარეობა და მამულიშვი-

---

<sup>1</sup> ჩემს ადრინდელ პუბლიკაციებში მივინიე 1887 წ., რაც არასწორია.

ლობა: „ლიტერატურა მაშინ მტკიცედ შეჭველს წარმატების გზას როცა ითვისებს, ბედავს და ანეთარებს აზრსა და ახალ ცოდნას, თუ ჩენი არა გვაქვს, სხვისი მაინც უნდა გადმოვწეროთ ღონისა და ნიჭისდაგვარად“ („ივერია“, 1888 წელი 31 ივლისი №160, გვ. 1, 2).



აკაკი წერეთელი

ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებს, ძველ ადათ წესებს გრ. ვოლსკი დიდ როლს ანიჭებს. მშობლიური ენა, ხომ მისი საფიცარია, მისი სიწმინდე კი ყოველი ქართველის საპატიო მოვალეობად მიაჩნია: „გვიზიდავს ჩვენი ქვეყნის ეთნოგრაფია და არქეოლოგია, ჩვენი ბუნება და გრამატიკული აგებულება, ქართული იურიდიული ყოფა, საერო პოეზია, მუსიკა და სიმღერა და ამასთანავე უფრო და უფრო გვებადება სურვილი, რომ ჩვენ შრომას ეტყობოდეს მეც-

ნიერების სხივი, მისგან აღიარებული დედა-აზრი და ძიებაკვლევის საღსარი“. (იქვე). ენის სიწმინდე იმდენად აღელვებს გრიგოლს, რომ იგი „კვალში“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მასალებსაც კი ასწორებდა. აკეთებდა შენიშვნებს და აჭრელებულ გაზეთის ფურცლებს მის რედაქტორებს, **ილია ჭავჭავაძეს** და **გიორგი წერეთელს** უგზავნიდა. **დავით კლდიაშვილის** თქმით, ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ გრიგოლს ხშირ-შირად მოეწოდებინათ ამგვარები” („ჩემი ცხოვრების გზაზე” თბილისი, 1961 გვ. 85).

ამ მხრივ საინტერესოა „ივერიის” თანამშრომლის **გიორგი ლასხიშვილის** მოგონება, რომელშიც ნათლად ჩანს გრ. ვოლსკის მოურიდებელი, პირდაპირი და მამაცური ბრძოლა

ენის სიწმინდისათვის: „პირველ ხანებში ჩემი ნაწერების ენას ასწორებდნენ, სალაშინს გადაპკრავდნენ, როგორც მაშინ ამბობდა რედაქციაში **არტემ ახნაზაროვი**. შემდეგ აღარავინ მისწორებდა, მაგრამ სამაგიეროდ, გარედან მოდიოდა შენიშვნები. მასსოვს: ერთხელ მოვიდა ჩვენი მოღვაწის და მგოსნის გრ. ვოლსკის ბათუმიდან წერილი და „ივერიის“ ნომერი, რომელშიაც ჩემი ფელეტონი სულ წითელი მელნით იყო აჭრელებული. გრიგოლ ვოლსკი წერდა, სასიამოვნოა შენი გამოსვლა



**გიორგი ლასხიშვილი**

ვლა სალიტერატურო ასპარეზზე. „ივერია“ გაცხოველდა, მაგრამ ქართული ენა ღმერთმა შეინახოსო. მირჩევდა-ბევრი იკითხე ქართული წიგნები უმთავრესად ძველი ქართულიო”. (**გიორგი ლასხიშვილი**. მემუარები ტბილისი. 1934 წ. გვ. 83).

„ივერიის“ ფურცლებს გრიგოლ ვოლსკი ხშირად იყენებდა ბათუმში გამართულ საღამოების და გათამაშებული ლატარიის გასაშუქებლად. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხებოდა სკოლების სასარგებლოდ ჩატარებულ საქველმოქმედო საღამოებს. გაზეთის ინფორმაციებს ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგანაც გრიგოლი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა იმ პიროვნებებსაც, ვინც რამდენიმე კაპიკი გაიღო. მას კარგად ესმოდა, თითოეული გვარის გამოქვეყნებას ისეთ პოპულარულ გაზეთში, როგორც „ივერია“ იყო, რაოდენ დიდი შემეცნებითი და გადამღები როლი ექნებოდა. („ივერია“ 1897 წლის 4. XII, №251, გვ. 4-13 XII, №258, გვ. 4; 1899 წ. 28. X; 1902 წ. 10. X; 1902 წ. 13. II. №36).

1890 წლის 30 დეკემბერს სრულიად შორეულდნედად გარდაიცვალა ბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებელი **მოსე ნათაძე**, დეაწლმოსილი მასწავლებელი, რომელმაც **ალ. ნა-ნეიშვილის** შემდეგ დაიკავა ეს ადგილი და მოკლე ხანებში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნდობა და სიყვარული მოიპოვა. ხელმოკლე და მიუსაფარ მოსეს პირველი ჭირისუფალი გრიგოლ ვოლსკი იყო. მან სასწრაფოდ აფრინა დეპეშა „ივერიის“ რედაქციაში, რათა მთელ საქართველოს გაეხიარებინა თავდადებული პედაგოგის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება. 1891 წლის 4 იანვრის „ივერიის“ №2-ში (გვ.3) წერია: „ჩვენ მოგვივიდა ქალაქ ბათუმიდან შემდეგი დეპეშა გრ. ვოლსკიდან. გამოუცხადეთ უდროოდ გარდაცვალების, პატიოსანი და თან წყნარი, მშრომელის მოსე ნათაძის სახლობას გულითადი მწუხარება ბათუმის ქართველის საზოგადოებისა და აგრეთვე დაობლებული ბათუმის სკოლისაგან, რომელიც აგრე დიდად და მხურვალედ უყვარდა განსვენებულს“.

მადლიერმა ბათუმელებმა თბილისამდე გააცვიფეს საყვარელი მასწავლებლის ცხედარი. დელეგაციას გრ. ვოლსკი მეთაურობდა, მან მოსე ნათაძის საფლავთან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა.

გრიგოლ ვოლსკი ერთ-ერთ ინიციატორია ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნისა, თუმცა მის წინადადებას შავრაზმელი ხმოსნები წინ აღუდგნენ და არაერთხელ დასმული საკითხი ჩააგდეს. სწორედ ასეთ დროს იყენებდა გრიგოლი ისეთ მძლავრ იარაღს, როგორიც **ილიას** „ივერია“ იყო. მან ამ თემაზე ბათუმში ჯერ ვრცელი მოხსენება მოამზადა, ხოლო შემდეგ იგი „ივერიის“ რედაქციას გაუგზავნა. მოხსენება მისი მოცულობის გამო გაზეთმა ვერ დაბეჭდა. მაგრამ გამოაქვეყნა მცირე ცნობა: „ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი ბატონი ვოლსკი ამჟამად მოხსენებას თურმე ამზადებს ბათუმში საქალებო გიმნაზიის დაარსების შესახებ. მოხსენება საბჭოს 15 ნომბერს წარედგინება განსახილველად“ (1899 წელი 10.XI.



№242, გვ. 2). ამ ცნობამ ფეხზე დააყენა ქართველი ინტელიგენცია და მრავალი პაექრობა-კამათი გამოიწვია.

კავკასიის განათლების ოლქის მზრუნველი **კირილე იანოვსკის** აზრით ქალთა გიმნაზიის გახსნა სასწავლებელში მოამრავლებდა დაბალი ჩინოვნიკების, საშუალო მენარდების, მედუქნეების ფენას, რომელთა შვილები დიდ ზიანს აყენებენ გიმნაზიებში აღმზრდელობით საქმიანობას (**В.Д. Чантурия. Просвещение в Аджарии. Батуми. 1956 г. стр.134**).

მეფის ჩინოვნიკის ამ თავხედურ გამოხდომას გრ. ვოლსკომ, **ლ. ასათიანმა ი. მესხმა, დ. კლდიაშვილმა** და სხვა მოღვაწეებმა ერთგვარი ულტიმატუმით უპასუხეს. თუ ხელისუფლება არ დათანხმდება ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნას, პეტერბურგში წავა განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილი დელეგაცია, რომელიც შეხვდება თვით იმპერატორსო (**რ. სურმანიძე, ლუკა ასათიანი. თბილისი 2011 წელი გვ. 158, 159**).

მუქარამ გასჭრა და ბათუმმა მიიღო ქალთა გიმნაზიის გახსნის ნებართვა. 1900 წლის 26 სექტემბერს გაიხსნა ქა-



ბათუმის ქალთა გიმნაზია

ლთა გიმნაზია, რომელიც 1904 წელს გადავიდა მისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში, (ამჟამინდელი მე-2 სკოლა).

გაზეთ „ივერია“ საქართველოს ბიბლიოთეკა სამკითხველოების გახსნის ინიციატორადაც გვევლინება. ერთ ერთ წერილში, რომელსაც ბათუმში სახალხო სამკითხველოც ეხებოდა, აღნიშნული იყო: „სახალხო სამკითხველო ისეთი საჭიროებაა ხალხის განათლებაში, როგორც სახალხო სკოლა. ორივე დაწესებულება ერთსა და იმავე წმინდა საგანს, ხალხის განათლების საქმეს ემსახურებიან. სკოლის მნიშვნელობა, თუ მასთან სამკითხველოც არ არის დაარსებული, ერთიორად მცირდება“ („ივერია“ 1894 წელი 27 იანვარი №20 გვ. 12). წერილს ხელს აწერს „ნ.პ“. რომლის ვინაობა ვერ დავადგინეთ, თუმცა სტატიის შინაარსი, მისი პათოსი მთლიანად ემთხვევა გრ. ვოლსკის მიზანსა და მოსაზრებებს.

მრავალი საარქივო მასალა მეტყველებს, რომ ბათუმში სამკითხველო-ბიბლიოთეკების გახსნის მოთავეებად ითვლებიან: გრ. ვოლსკი, **დავით კლდიაშვილი, მიხეილ შარაშიძე, ტერენტი წერეთელი**. ამ საქმისთვის ზრუნვამ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოგვცა შედეგი. 1899 წლის ოქტომბერში ქალაქის მოწინავე საზოგადოება შეიკრიბა, შეხვედრა ბიბლიოთეკის დაფუძნებას მიეძღვნა. კრებას ამ საქმის სულის ჩამდგმელი გრ. ვოლსკი თავმჯდომარეობდა. დამფუძნებელი იყო აგრეთვე **ნინო ქიქოძე**. ბიბლიოთეკის გახსნამდე აირჩიეს მისი საპატიო წევრები: გრ. ვოლსკი, **ქნი პ.ლომინაძე, ზია ბეგ აბაშიძე, ექვთიმე და ყარამან ბერძენიშვილები, გრ. თოიძე**, რომლებმაც ბიბლიოთეკისათვის 25-25 მანეთი გაიღეს. ნინო ქიქოძე მზრუნველად აირჩიეს, კომიტეტს ყავდა 7 წევრი.

გაზეთი „ივერია“ აშუქებს აგრეთვე გრ. ვოლსკის მეცადინეობას ბათუმში დრამატული დასების ჩამოყვანისა და ადგილზე სცენისმოყვარეთა საქმიანობის მხარდაჭერისათ-

ვის. ერთ ერთ საღამოზე, რომელიც თბილისის დრამატული დასის საპატივცემულოდ გაიმართა, სიტყვით გამოსულან გრ. ვოლსკი და ბათუმის ქართული სკოლის გამგ-მასწავლებელი **მოსე ნათაძე**: „ორივენი იმას ამბობდნენ, რომ ქართველი არტისტების სიარული დაბა-ქალაქებში დიდი საქმეა ხალხის თვითცნობიერებისათვის. ეს საქმე იგივე საზოგადო მოღვაწეობააო. სასურველია, ბათუმს, ამ ახლად შემოერთებულს ქვეყნის ქალაქს, ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე ჩვენი არტისტები, რადგანაც წარმოდგენებზე დადიან აქაური გამაჰმადიანებული ქართველები, რომელთაც დიდად მოსწონთ ასეთი სასიამოვნო გართობა” („ივერია” 1890 წელი 19 იანვარი №128).

1900 წლის 12 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი **გიორგი წერეთელი**. დაკრძალვაზე ბათუმიდან ჩასულ დელეგაციას გრ. ვოლსკი მეთაურობდა. მან თქვა გამოსათხოვარი სიტყვაც, რომელიც ”ივერიაში” გამოაქვეყნა. იგი არის არა უბრალო სამგლოვიარო გამოსვლა, არამედ ქართველი მწერლობის, განათლებისა და კულტურის განვითარებაში არსებული სიძნელეების ერთგვარი გამოძახილი, მოწოდება ერისადმი, პატივი მიაგონ ყველა მოღვაწეს, ვინც ამ საქმეს საკუთარი ძალა და ენერჯია, ზოგმა სიცოცხლეც კი შესწირა. გრიგოლი გამოდიოდა იმ კუთხის სახელით, რომლისგანაც მას ხვდა წილად „უკანასკნელის გამოსათხოვარის საღამის მიძღვნა. საქართველოს ეს კუთხე გახლავთ აჭარა-ქობულეთი, ანუ ბათუმის მხარე, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ ქართველობას დაკარგული ეგონა და თავისი მამულის საზღვრად რიონის შესართავი მიაჩნდა. განსვენებულმა გიორგიმ, მარადის ჩვენის ერთობის მქადაგებელმა, თითქო ხელახლა კოლუმბივით აღმოგვიჩინა ეს მხარე და ღვაწლი დაგვდო იმის შემოერთების დროს სხვა პატიოსან მამულიშვილებთან ერთად, თავისს სეხნია **გიორგი ყაზბეგთან**, ნეტარსენებულ **გრიგოლ გურიელთან**, რომელიც

წარმოადგენდა ნამდვილ ტიპს ძველებურის მადლიანის ქართველისას. ფიზიკურად შემოერთების შემდეგ ის მუდამ სცდილობდა დანარჩენ მოძმეებთან ამ მხარის სულიერად შემოერთებასაც. ყველაფერი, რომ დაივიწყოს ქართველმა ერმა **გიორგის** ნამუშავებიდან, ეს კუთხე მარადის მადლობით მოიხსენებს იმის სახელს, საუკუნო იყოს ხსენება მისი” („ივერია” 1900 წელი 27 იანვარი №20. გვ. 2).

„ივერიის” ფურცლებით საზრდოობდა გრიგოლ ვოლსკის მხატვრული სიტყვა; უპირატესად მოთხრობები, თარგმანები, კრიტიკული წერილები და რეცენზიები. გაზეთმა არაერთი წერილი მიუძღვნა **ანტონ ჩეხოვის** მოთხრობა „დათვის” ვოლსკისეულ თარგმანს, კომედიის დადგმას, მასზე დაწერილ რეცენზიებს და ა.შ. გაზეთში გაგზავნილი წერილები დასათაურებული იყო „აქეთური-იქეთური”. ავტორი რედაქტორს თხოვს „ეს სათაური დარჩეს წერილების საზოგადო სათაურად”.

გრიგოლ ვოლსკის სისტემატური მიმოწერა ჰქონდა გაზეთ „ივერიის” თანამშრომლებთან. შემორჩენილია მისი და მისდამი გამოგზავნილი პირადი წერილები, რომელთა გაცნობით ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი ინტერესს იჩენდა იგი გაზეთის ბედის მიმართ. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ნაყოფიერი პოეტი რატომღაც ლექსებს არ უგზავნიდა „ივერიას”, ხოლო 1893 წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, სრულიად შეჩერდა გრიგოლ ვოლსკის პოეტური კალამი. ამას ყველა გრძნობდა, განსაკუთრებით „ივერიის” თანამშრომლებიც, კერძოდ **არტემ ახნაზაროვი** თხოვდნენ კვლავ დაბრუნებოდა თავის პოეზიას; 1893 წლის 30 ოქტომბერს არტემ ახნაზაროვი წერდა: „დროა უწინდელი მუზა მოიხმო და იმას გაუზიარო სულის მქენჯავი და გულის ამაფორი-აქებელი ფიქრები... მოგვაწოდე რამე, ნუ ზარმაცობ...”

ანალოგიურია, ცნობილი მოღვაწის **ივანე მაჩაბლის** 1893 წლის 24 ოქტომბრის წერილი, რომლის სრულ ტექსტს ვაქვეყნებთ ქვემოთ.

„ივერიის“ რედაქციის მიმართ ეს ერთგვარი გულცივობა, როგორც ჩანს ჩაცხრა და გრიგოლი გაზეთს კვლავ „დიდის ინტერესით“ კითხულობს, ხოლო „გული სიამით და იმედით უძგერს, ვაშა, ბიჭებო ვაშა!“ ასეთი შეძახილით თავდება წერილი **არტემ ახნაზაროვისადმი** (წერილი იხ. ქვემოთ).

ბოლოს აღბათ საჭიროა ვიცოდეთ რას წერდა თავის აქტიურ თანამშრომელზე, გრ. ვოლსკიზე გაზეთი „ივერია“. აქ მასზე ხშირად ქვეყნდებოდა მასალები, მისივე მეგობრებისა და ახლობლების ავტორობით.

გრიგოლ ვოლსკის პიროვნებაზე, მის ნიჭსა და უნარზე, გაბედულებასა და მამულიშვილობაზე წერს გაზეთში **ანტონ ფურცელაძე**. მისი თქმით, გრ. ვოლსკის სასახელოდ, საუკეთესო ბათუმის ქართველობა და მეტადრე მდაბიო ხალხი მას თავის გრიშას ეძახის... ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველობა, რუსობა, ბერძნობა ხომ სწორედ თაყვანებით იხსენიებდნენ ამას და მასში ჰხედავდნენ როგორც წმინდათ და მაღალი გრძნობით აღსავსე საზოგადო საქმეების გულის შემატკივარს... ღმერთმა ჰქნას, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ასრეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორც ვოლსკი...“ („ივერია“, 1898 წ. 10.XI, №241, გვ. 3).

ამავე წერილში საუბარია აგრეთვე ჭორებზე თითქოს „გრიგოლ ვოლსკის უნდოდა ბათუმის თავობა და ამიტომ ის ჰმართავდა ინტრიგებს დღევანდელი ბათუმის თავის **ასათიანის** წინააღმდეგ“. ანტონ ფურცელაძე თავადვე უარყოფს ვოლსკის მიმართ გავრცელებულ ჭორებს. მართლაც, ლუკა ასათიანის ქუთაისიდან ბათუმის ქალაქისთავად გადმოყვანას თვით გრ. ვოლსკიმ რაოდენ დიდი ძალისხმევა მოახდინა. გარდა ამისა არცერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი ბათუმის ცხოვრებაში არ გადაწყვეტილა ამ ორი მოღვაწის ერთხლოვანი მოსაზრებებისა და პირადი მეგობრობის გარეშე. უნდა ვიფიქროთ, რომ ბათუმში ჩაბუდებულ რეაქციულ ძალებს და პრესას სწორედ მათი ასეთი ურთიერთობა აღიზ-

იანებდათ და ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორებს, რათა ამ ურთიერთობაში ბზარი შეეტანათ.

გრ. ვოლსკის მიმართ ხალხის დიდი სიყვარულის შედეგიც სახეზეა. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად იგი ერთსულოვნად აირჩიეს ბათუმის თვითმართველობის წევრად. ამას ადასტურებს გაზეთი „ივერია“, რომელიც ვრცლად ეხება ბათუმის საქალაქო არჩევნებს და ერთგან ამბობს: „ვოლსკის ამორჩევას ხალხი დიდი ტაშისკვრით და ვაშას ძახილით მიეგება“. (1898 წ. 19 ნოემბერი, №248, გვ. 3).

ვფიქრობ ეს სიტყვები განმარტებას არ საჭიროებს, რამეთუ ისედაც ნათლად მეტყველებენ გრ. ვოლსკის დიდ მამულიშვილობაზე, საზოგადო მოღვაწეობაზე და იმ დიდ სიყვარულზე, რაც მან ხალხში თავისი პატიოსნებით დათესა.

### გაზეთი „კვალი“

ჩვენ ქვემოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი წარმომადგენლის, **ისიდორე რამიშვილის** და გრიგოლ ვოლსკის ურთიერთობაზე ვისაუბრებთ. სხვებზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. თუმცა თვით ამ პარტიის დოკუმენტების, მისი ორგანოს, გაზეთ „კვალის“ გაცნობით, ცხადი ხდება რომ ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულების ამ გაზეთმა დაარსების პირველივე დღეებიდან აქტიური ბრძოლა გაშალა გაზეთ „ივერიის“ და მისი დამაარსებლის **ილია ჭავჭავაძის** წინააღმდეგ.

ბუნებრივია, გაზეთი ილიას ყველა თანამებრძოლსა და მიმდევარს ებრძოდა. მათ შორის გამონაკლისი არ იყო გრიგოლ ვოლსკი-ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის მამაცი, შეუპოვარი და პრინციპული მოღვაწე, ილიას ერთგული თანამოაზრე.

გაზეთ „კვალის“ 1899-1901 წლების ნომრების ანალიზით ცხადი ხდება, ამ გაზეთის თანამშრომლები, როგორც



რი გააფთრებით ებრძოდნენ გრ. ვოლსკის, ზმისათვის არ იშურებდნენ შეურაცმყოფელ ფრაზებს, ირონიას და ლანძღვა-დამცირებას. გააკვირვებას იწვევს ახირებული ტონი, მიკერძოებული მსჯელობა, უსუსური არგუმენტები.

„კვალის“ მესვეურებს ვერ აუტანით, რომ ქ. შ. წ. კ.გ. ს-ის ბათუმის განყოფილების ჩამოსაყალიბებლად გამართულ კრებაზე გრიგოლ ვოლსკი ვრცელი სიტყვით გამოვიდა, შეაფასა საზოგადოების მუშაობა, შეაქო „წერა-კითხვის გამგეობა“, **ილია ჭავჭავაძეს** „ჩვენი სასიქადულო პოეტი“ უწოდა, ასევე დადებითად დაახასიათა **ნიკო ცხევდაძე, დავით კარიჭაშვილი** და სხვები, რომელთაც მართლაც დიდი ღვაწლი დასდევს საზოგადოების საქმიანობას. ამ სიტყვებში გაზეთის კორესპოდენტი, ვინმე „თაიგული“ იმდენ ცინიზმს და სიძულვილს აქსოვს, რომ მისი სიტყვების მოტანა ზედმეტად მიმაჩნია („კვალი“, №3. 1899 წ. გვ. 37, 38).

წერილის ავტორს არ მოსწონს არამარტო ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ვოლსკი, არამედ ილიას თანამოაზრენი და ქართული კულტურისა და განათლების მოამაგენი: ნიკო ცხევდაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ვინმე „ვანელი“, რომელიც ყველა თავის გამოსვლაში საზოგადოების მუშაობას ეჭვის ქვეშ აყენებს. გრ. ვოლსკისაგან იგი სკოლისათვის გაღებულ 15 მანეთსაც სამასხარაოდ ხდის და ბათუმში ქართული ეკლესიის კურთხევისათვის (1895 წელი 15 ოქტომბერი) **ეპისკოპოსის გრიგოლის** მოწვევის ხარჯებსაც სასაცილოდ იგდებს. (№10, გვ. 152).

როგორც ჩანს, არც გრ. ვოლსკის მომხრეები რჩებოდნენ ვალში. „თაიგულის“ აგდებულ გამოსტომას ირონიულად პასუხს აძლევს „ბათუმელი“ „...იმ წერილიდან ცხადად ჩანს „თაიგულის“ ცალმხრიობა, ანდა უყურადღებობა. მაგ. იგი წერს: „**ბერძენიშვილს** კამათში მონაწილეობა არ მიუღია და არც ვიცით სხვა წევრების აზრი იყო თუ არაო. ნამდვილად კი ასე არ ყოფილა, საოცარია ღმერთმანი „თაიგულის“



მეხსიერების საქმე! თუ იმან ბატონების: გრ. ვოლსკის, **ივ. მესხის და მ. ნიკოლაძის** სიტყვები და კამათი გაიგონა, რატომ **ბერძენიშვილის** სიტყვებიც ვერ გაიგონა? ნეტავი რომელი ჰაეროსტატით მიფრინავდა „თაიგულის“ ოცნება მაშინ, როცა ბერძენიშვილმა სიტყვა თქვა?“ (№14, გვ. 220).

ჩვენთვის უცნობია „ბათუმელის“ ვინაობა, თუმცა პასუხის შინაარსი გვაძლევს იმის უფლებას, ვთქვათ, რომ ეს გრ. ვოლსკის ფსევდონიმი უნდა იყოს.

\*\*\*

„კვალში“ აქა-იქ გრ. ვოლსკის დადებით შეფასებასაც წავაწყდით. როგორც ცნობილია, 1899 წლის 3 მაისს ჩატარდა ბათუმის თვითმმართველობის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქალაქისათვის მოადგილის არჩევას. „კენჭი იყარეს საბჭოს წევრებმა ბატონმა **ივანოვმა** და ვოლსკიმ. არჩეული იქმნა ივანოვი (ეს წინათაც იყო ამ თანამდებობაზე) 22 თეთრით წინააღმდეგ 17 შავისა. ვოლსკიმ მიიღო 21 შავი და 18 თეთრი, ყველა ხმოსანთათვის ცხადი იყო რომ, გრ. ვოლსკი უფრო მეტად მშრომელი, უფრო მეტად საქმის მცოდნეა, ვინემ ბატონი ივანოვი, მაგრამ რაღაც ახირებული მოსაზრებით ყოველივე ეს უკუაგდეს“. (№19, გვ. 300). ამ წერილს ხელს აწერს x, რომლის ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

ერთ-ერთ სარედაქციო ინფორმაციაში გრიგოლ ვოლსკიზე ნათქვამია: „ჩვენ გრიგოლ ვოლსკის ვიცნობდით როგორც პირდაპირ და გუელწრფელ კაცს, რომელსაც შეუძლია იცნოს როგორც თავის შეცდომა, ისე თავის ღირსება“ (№20, გვ. 321). შემდეგ საუბარია იმაზე, რომ მას მოუვიდა რაღაც მარცხი, მაგრამ იგი არ აღიარა, ამიტომ მისი გულახდილობა შედარებულია „ამირან გულში მღეროდა, ყმანო ბანი მითხართო“, ჩვენი აზრით, აქ საუბარი უნდა იყოს ქალაქის თავის მოადგილედ ივანოვის არჩევაზე, მაგრამ ეს „მარცხი“ როგორ უნდა ედიარებინა გრ. ვოლსკის, ამაზე წერილში არაფერია ნათქვამი.

საინტერესეოა „კვალის“ კორესპოდენცია, რომელიც ბათუმში ქალთა გიმნაზიისათვის შენობის აგებას ეხება. გრიგოლ ვოლსკიმ და **ნიკო დუმბაძემ** თვითმმართველობას წარუდგინეს შენობის პროექტი, რომელიც სანახევროდ ეკონომიური იყო (80000 მანეთი), მაგრამ მას არ ეთანხმებოდა **ივანოვი**. მოხსენება წაიკითხა გრ. ვოლსკიმ რომელმაც გამოთქვა ნ. დუმბაძესთან სრული თანხმობა და აღნიშნა: „ცხადზე უცხადესია, პანსიონი, პარალელური კლასები და სხვა ამგვარები ფრიად სასარგებლონი არიან, მარა სახეში უნდა ვიქონიოთ მცხოვრებლების ინტერესი, რომლებიც უამისოდაც დატვირთულნი არიან სხვადასხვა გადასახადებით. დუმბაძის მოხსენება თუ გავიდა, საქმე არ ბრკოლდება და ქალაქს კი ოთხმოცი ათასი მანეთი და უფრო მეტიც გადაურჩება“ (№21, გვ. 333).


თვითმმართველობის წევრი **ე.ა. ბოგოსლოვსკი** გრ. ვოლსკის წინადადების წინააღმდეგ წავიდა და განაცხადა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას პანსიონი აუცილებლად სჭირდებაო, ეს მოსწავლეების განთესვას გამოიწვევსო, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს დემაგოგია იყო და ამ ხმოსანს ადილობრივ მცხოვრებთა გასაჭირი სულაც არ აწუხებდა. მან კარგად იცოდა რომ 190 000 მანეთს ხელისუფლება არ გაიღებდა და ქალთა გიმნაზიის მშენებლობა ჩაიშლებოდა.

ქალთა გიმნაზიის მშენებლობაზე გაიმართა კენჭისყრა, გრ. ვოლსკის და ნ. დუმბაძის წინადადებას 32-მა ხმოსანმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი იყო 5 ხმოსანი და ეს პროექტი გავიდა. თუმცა ქუთაისის საგურბენიო საქალაქო, საქმეთა საკრებულო ამ პროექტს არ დაეთანხმა, ამის გამო ბათუმის საკრებულომ მიანდო ქალაქის თავს **ასათიანს**, ეს საქმე პეტერბურგში სენატში გაასახივროს. (№41, გვ. 706- 708).

ძალზე საინტერესეოა „კვალის“ კორესპოდენცია, რომელიც ბათუმში ბიბლიოთეკის გახსნას ეხება, მასში წარმოდგენილია ყველა ის პიროვნება, რომლებიც ითვლებიან ბიბლიოთეკის დამფუძნებლად, აგრეთვე, ისინი, ვინც ამ

საქმისათვის საკუთარი სახსრები გაიღო. წერილში ნათქვამია: „ბიბლიოთეკის საქმე ისეთი სისწრაფით მიდის, რომ ბათომი მალე ბიბლიოთეკას იხილავს. გასულ კვირას მოიწვიეს ქართული სკოლის დარბაზში საზოგადოების კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ-ნ **ნინო ქიქოძე**. იგი ბიბლიოთეკის დამფუძნებლად ითვლებოდა. კრებაზე წვევრებათ 105 ჩაეწერა, რომელთა შორის ექვსი პატივცემული პირი ბიბლიოთეკის საპატიო წევრათ ჩაეწერა და 15-15 მანეთი შემოიტანა, ეს პირებია: ქ-ნი **პელაგია ლომინაძისა**, ბატონები: **გრ. ვოლსკი**, **ზია-ბეგ აბაშიძე**, **ექვთიმე ბერძენიშვილი**, **ყარამან ბერძენიშვილი** და **გიორგი თოიძე**“ (1899 წ. №41, გვ. 706).

შემდეგ ჩატარებულა ბიბლიოთეკის მზრუნველთა საბჭოს არჩევნები. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო ქიქოძე, წვევრებად: **ქალბატონები ეფემია საბავეისა, ანა სოლორაშვილი, ფ. მგელაძე, კ. ჩხეიძე, ნ. ცეცხლაძე, ნ. გაბუნია, და გ. ტუსკია**.



ბათუმის სათათბიროს შენობა

\*\*\*

დაეუბრუნდეთ **ისიდორე რამიშვილისა** და გრ. ვოლსკის შორის არსებულ უთანხმოებას, რომელიც ასევე „კვალის“ სხვა ნომრებშიც არის ასახული. როგორც ირკვევა, სკოლის გამგემ ისიდორე რამიშვილმა დაშვებულ და წინასწარი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე მეტი მოსწავლე ჩარიცხა, დაახლოებით 50 ბავშვი, ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტის წინაშე დააყენა და მოითხოვა ხელფასების მომატება და დამატებით მესამე მასწავლებლის დანიშვნა, რაც ასევე დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. ქალაქს ამის საშუალება არ გააჩნდა, ამიტომ გრ. ვოლსკი გამგეს უარს ეუბნებოდა და სწორედ ეს გახდა ამ ორ მოღვაწეს შორის უკმაყოფილების მიზეზი. ისიდორე რამიშვილის ეს ქმედება დაგმეს **ნიკო ცხეველაძემ** და **იაკობ გოგებაშვილმა**. ამ უკანასკნელმა მდგომარეობის შესამსუბუქებლად 200 მანეთი შეიტანა სკოლის სასარგებლოდ. (№46, 1901 წ. გვ. 951).

სათათბიროს მორიგ სხომაზე გრ. ვოლსკის წარმოუდგენია საქართველოს და რუსეთის სკოლების სტატისტიკური მასალები და დაუსაბუთებია, რომ ამჯერად ხელფასის მომატების არავითარი საშუალება არაა, მით უმეტეს, რომ ამ სტატისტიკური ცნობების მიხედვით **ალ. მგელაძეს** სხვებზე გაცილებით მაღალი ხელფასი აქვს დანიშნული. მიუხედავად ამისა, მას საკითხი კენჭისყრაზე გაუტანია და უმრავლესობის სურვილის მიხედვით დათანხმებია **ალ. მგელაძეზე** და ქალთა სკოლის კიდევ ერთ მასწავლებელზე ხელფასის მომატებას.

თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი გზით მიდის, მაგრამ ამ მოვლენების გაშუქებაში გრ. ვოლსკის მიმართ ყოველთვის იგრძნობა ტენდენციურობა. 1901 წლის 23 სექტემბერს სკოლაში შექმნილი სიძნელეების განსახილველად, გრ. ვოლსკის თაოსნობით, მოიწვიეს მზრუნველთა კომიტე-

ტის სხდომა, რომელსაც **ისიდორე რამიშვილიც** ესწრებოდა. „კვალში“ (№40, გვ. 862) გამოქვეყნებული წერლის ავტორი, „დამსწრე“ კადრულობს თქვას, რომ: კომიტეტის თავმჯდომარის გრ. ვოლსკის „სიტყვებიდან საზოგადოების უმრავლესობამ ნათლად ვერ გაიგო, თუ რაისთვის იყო მოწვეული...“ ამის შემდეგ მასვე მოჰყავს გრიგოლ ვოლსკის სიტყვები, რომლითაც ნათელი ხდება საზოგადოება რაზე შეიკრიბა და რა მიზანი ჰქონდა ამ შეკრებას: „სკოლა საჭიროებს ნივთიერ დახმარებას, კომიტეტს დღითიდღე უძნელდება მისი მოვლა-პატრონობა, ვინაიდან შემოსავალმა იკლო და საჭიროებამ კი იმატა, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ საზოგადოებას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს ერთ მხრივ იმაში, რომ თქვენ უნდა ჩაეწეროთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრად“ და მეორე მხრივ უნდა დაედოს მოსწავლეებს გარდასახადი სწავლის ფულის სახით... და თუ შეძლება გვექნება, მესამე მასწავლებელსაც მოვიწვევთ“.

ამ სიტყვიდან ნათლად ჩანს, რომ გრ. ვოლსკი და მისი კომიტეტი სკოლის მდგომარეობას უკიდურესად მიიჩნევენ, საზოგადოებრიობას სთხოვენ გაწვერიანდნენ წ.-კ. გ.ს.-ში და სკოლას გაუწიონ ფულადი დახმარება, გარდა ამისა კომიტეტი იძულებულია წავიდეს საკმაოდ მძიმე გზით და შემოიღოს სწავლის გადასახდი. ამ გამოსვლაში რა ნახა კორესპოდენტმა გაუგებარი, ჩვენთვის უცნობია.

სამაგიეროდ ისიდორე რამიშვილის წერილის გამოსვლას იგივე ავტორი უწოდებს „მჭერმეტყველურს“, „პატივცემული მასწავლებლის გამოსვლას“ და ა.შ. (№40 1901 წ. გვ. 262).

ჩვენი აზრით, გრ. ვოლსკის და **პ. სურგულაძის** მეცადინეობის შედეგი იყო, რომ ბათუმის სკოლისათვის მესამე მასწავლებლის დამატება განეხილა წ.-კ. გ.ს.-ას თავისი წლიური ანგარიშის დროს. თბილისში ამ სხდომას თავმჯდომარეობდა **ილია ჭავჭავაძე**, ბათუმიდან კი **პ. სურგულაძე** ესწრებოდა; მის წინადადებას საკმაოდ დიდი კამათი მოჰყოლია.

საბოლოოდ ამ საკითხის გადასაწყვეტად ყუთი დადგეს. 118 წევრიდან 77-მა ხმა მისცა ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევას, ხოლო 41 ამის წინააღმდეგი იყო, გადაწყდა მოეწვიათ მესამე მასწავლებელი და ხარჯთაღრიცხვაშიც შეეტანათ დამატებითი თანხები (№46, 1901 წ., გვ. 951).

ბათუმის თვითმმართველობაში ქართველი და მათი მომხრე სხვა ხმოსნების რიცხვის მატების მიუხედავად, გამგეობას დიდხანს მაჯლაჯუნასავით აწვა თავმჯდომარის მოადგილე, გარუსებული **ლეკი ივანოვი**. იგი რამდენჯერმე არ აირჩიეს ხმოსნად, მაგრამ მაინც გამონახა მომხრეები და 1898 წელს კვლავ ხმოსანთა რიგებში მოხვდა. თუმცა ძალზე მალე გაირკვა, რომ ქალაქის ბაღში, რომელსაც ივანოვი მფარველობდა, ყველაფერი რიგზე არ იყო. სხვა დარღვევებთან ერთად ივანოვს სახელმწიფო თანხებზეც წასცდომოდა ხელი. ამის შესახებ 1901 წლის 12 თებერვალს, დეპუტატმა **კ. ჩხეიძემ** მოახსენა სათათბიროს, რის შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა და ივანოვი გააშავეს.

ამ მოვლენას ჩვეულებისამებრ გამოეხმაურა რეაქციული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომლის რედაქტორმა **პალმმა** ივანოვის წარუმატებლობა იმით ახსნა და პროვოკაციულად განაცხადა, რომ ის ივანოვია და არა ივანიძე. ამ თემაზე ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა „კვალმა“, რომელიც აღნიშნავდა: „ბატონი პალმი რომ ხმოსანი არ ყოფილიყო, კაცი იფიქრებდა ივანოვის გაშავების ნამდვილი მიზეზი არ იცის და ღობე-ყორეს ედებო. მაგრამ ის თვით იყო მოწმე ივანოვის გასამართლებისა საბჭოში და იმის მაგიერ, რომ ეთქვა ეს საზოგადო ფულის გაფლანგვააო, გამოდის და ამბობს, ჩააბარეთ მას ისევ ქალაქის ფულებით. და თუ არ ჩააბარებთ მოღალატე იქნებით“. (№8, 1901 წ., გვ. 123).

საქმე ამით არ დამთავრებულა იგივე კარლო ჩხეიძემ საბჭოს წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ სწამებს ცილს და შეურაცხყოფს პალმი საქალაქო საბჭოს თავის გაზეთში გამოქვეყნებული ტყუილებით. დეპუტატმა



მოითხოვა ხმოსანი **პალმის** გაკიცხვა. მართალია, **ივანოვს** გამოუჩნდნენ დამცველები **ბოგოსლოვსკის** სახით, თუმცა საბჭოთა დაადგინა: გაიკიცხოს გმირი პალმი და მისი გაზეთით. ბათუმის საბჭოთა ამით დაამტკიცა, რომ მას შეგნებულნი აქვს თავისი მოწოდება და ახირებულად არავის მისცემს ნებას შელახოს მისი მოღვაწეობა“ (იქვე).

ჩვენ ივანოვის შესახებ ასე ვრცლად იმიტომ ვაჩვენებთ მკითხველის ყურადღებას, რომ მოწინააღმდეგე ბანაკი გრიგოლ ვოლსკის ყოველთვის უპირისპირებდა ივანოვს და არაერთხელ მან თავის მიზანსაც მიაღწია. თუმცა ამჯერად ივანოვის მამხილებელი მასალა იმდენად აშკარა და დასაბუთებული იყო, რომ დიდი დავა არც მოჰყოლია, და როგორც დავინახეთ გრიგოლ ვოლსკის ამჯერად პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღია.

ქალაქის საკრებულომ არ დაამტკიცა ივანოვის ამფსონის პალმის გაკიცხვა და ამის საბუთად ის მოიტანა, რომ პალმმა თავისი დასაგმობი მოქმედება საბჭოს გარეშე ჩაიდინაო. **კარლო ჩხეიძემ** პრინციპულად მოითხოვა ამ საქმის გასაჩივრება: „ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ ეს გაკიცხვა, ის თითოეული ჩვენგანის ღრმა რწმენა იყო და მე არ მესმის, როგორ უნდა უარყოს ეს გაკიცხვა. აქ დამტკიცება-დაუმტკიცებლობა სულ ერთია, რადგან ეს კითხვა პრინციპულია, ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ საბჭოს გაასაჩივროს ეს დაუმტკიცებლობაო“ (№23, 1901, გვ. 583).

კამათს ესწრებოდა თვით პალმი, რომელიც 12 თებერვლის სხდომის შემდეგ საერთოდ არ გამოჩენილა სათათბიროში. ახლა მას გვერდს უმშვენებდნენ და ამხნევებდნენ ხმოსნები ე.ა. ბოგოსლოვსკი, **გ.ფ. გრიელსკი**, **ლ.ი. პრიდოლეცკი** და სხვები.

გაჩუმება აღარ შეიძლებაო და სიტყვა მოითხოვა გრიგოლ ვოლსკიმ. მან აღნიშნა: „საბჭოს აქვს უფლება, რომ თავისი წევრის ცუდ საქციელს, თუ ეს საქციელი საბჭოს შეეხება, გაიკიცხვა გამოუცხადოს“ (იქვე).



გრ. ვოლსკის სიტყვას აწყვეტინებენ **გრიელსკი, პრი-  
დოლცკი** და სხვები, საბუთები სხვაზე მეტყველებენო, თუმცა ორატორი ასახელებს საკანონმდებლო საბუთებს და მოჰყავს ობიექტური მოტივები, რაზეც რეპლიკის ავტორებს ენა ჩაუვარდათ: „კანონში არ არის ნათქვამი, აქვს ეს უფლება (გაკიცხვა) საბჭოს თუ არა, მაშასადამე, ეს არ არის კანონით აკრძალული. მეორე, რატომ არ უნდა გვქონდეს გაკიცხვის უფლება, თუ მოწონებისა და მადლობის გამოცხადების ნება კი გვაქვსო. მესამე – ბატონი **პალმის** მოქმედება (მისი წერილები მის გაზეთში) სრულიად უფაქტოდ რაღაც არყოფილ რამეებს გვახვევდა თავზე, ჩვენ რათ არ უნდა გვქონდეს იმის უფლება, ვუთხრათ ბ-ნ პალმს, რომ ის ტყუოდა, ის ცილს გვწამებდა, ე.ი. ის ჩვენგან გაკიცხვის ღირსია“.

გრ. ვოლსკის გამოსვლამ ხმოსნებზე დამატყვევებელი გავლენა მოახდინა და ისინიც სხვაგვარად განაწყო, ვისაც ადრე სხვა მოსაზრება გააჩნდათ. ამის შემდეგ კენჭი უყარეს **კარლო ჩხეიძის** წინადადებას. გასაჩივრებას ხმა მისცა 18 წევრმა, წინააღმდეგ 10-მა, რის შემდეგ გადაწყდა გაესაჩივრებინათ პალმის მოქმედებაზე ქალაქის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

\*\*\*

სხვათაშორის, „კვალი“ აშუქებს ბათუმის საქალაქო საბჭოს 1901 წლის 25 ივნისის სხდომაზე მომხდარ ინციდენტს, როცა განიხილებოდა ჭაობების ამოშრობისათვის 217992 მანეთის გამოყოფის საკითხი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ამ თემას თავის მოგონებებში შეეხო **დავით კლდიაშვილი**, მაგრამ საბჭო რა საკითხს იხილავდა, მწერალმა ვერ გაიხსენა, ამიტომ ჩვენ ოდნავ ვრცლად შევეხებით მას.

საბჭოს წევრებმა კითხვები დაუსვეს სხდომის თავმჯდომარეს **ივანოვს**, რომელმაც ერთმანეთის საწინააღმდეგო რამდენიმე პასუხი გასცა, რამაც დეკრეტებს შორის დიდი გაუგებრობა გამოიწვია, თუმცა მთავარი ეს არ იყო. იმავე დღეს დღის წესრიგში იდგა ქალაქის თავის მოადგილის არჩევა. წინა საკითხზე განცდილი კრახის და იმის შიშით, რომ არ აირჩევდნენ მას, ივანოვმა განაცხადა: რადგან საბჭომ გაასაჩივრა გუბერნატორის მიერ ჩემი წევრად დანიშვნა, ამიტომ ქალაქისათვის მოადგილის არჩევნები უნდა გადაიდოს მანამ, სანამ სენატი არ მოგვცემს განმარტებასო.

ხმოსნები არ დააკმაყოფილა ამ განცხადებამ და მათ მოითხოვეს ამავე სხდომაზე ჩატარებულიყო არჩევნები. მოულოდნელად ივანოვმა აიხსნა თავმჯდომარის ჯაჭვი და სხდომა დახურულად გამოაცხადა. ხმოსნების, ხმაურში რომ ეს უკანონობაა და თქვენ უკანონობას სჩადიხართო, ივა-



გრ. ვოლსკი ქართული სკოლაში, გვერდით დგანან ალ. მგელაძე და ის. რამიშვილი

ნოვმა დარბაზი დატოვა. გავიდნენ მისი მხარდაშეკერი ხმოსნები, თუმცა დარჩა უმრავლესობა, 20 ხმოსანი. სწორედ მათ (პირადად **ივანე მესხმა**) თხოვეს გრ. ვოლსკის განეგრძო სხდომა. მან ჩამოიკიდა ჯაჭვი, დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და განაცხადა, რომ სხდომა გრძელდება. ამის შემდეგ კენჭი უყარეს თავმჯდომარის მოადგილედ გრ. ვოლსკის და **ივანოს**. პირველმა მიიღო 17 ხმა, 3 წინააღმდეგ წავიდა, ხოლო მეორეს 17 შავი და 3 თეთრი ამოუვიდა. ამგვარად ივანოვი საბჭოში მეოთხეჯერ გაშავდა. (№27, 1901, გვ. 647). თუმცა ქუთაისის გუბერნატორმა იგი მაინც დატოვა ბათუმის ქალაქისათვის მოადგილის თანამდებობაზე (№31, გვ. 707).

ასეთი იყო მეფის რუსეთის სამხედრო ბიუროკრატიული რეჟიმის იმდროინდელი წესი და რიგი. ძალა აღმართს ხნავდა, თუმცა თავდადებული ქართველები უკან არ იხევდნენ.

ქალაქის საზოგადოება, ყველა ქართველი ხმოსანი იწონებდა თავის გადაწყვეტილებას და გრიგოლ ვოლსკის საქციელს, რომელმაც თავის თავზე აიღო ყველა სიმძიმე და განაგრძო სხდომა, თუმცა სხვა აზრის აღმოჩნდა გაზეთ „კვალის“, რომელიც საქმის ღრმად შესწავლის ნაცვლად, ირონიით აღნიშნავს რომ „ბათუმი უვოლსკოთ არაფერია“. კითხულობთ ამ წერილს, რომელიც, როგორც „კვალს“ ჩვევია, უავტოროა და რწმუნდები, რომ მის შემთხვევებს არ გააჩნია არაფერი პატრიოტული, საკუთარი ქვეყნისა და ერის სასარგებლო გრძნობა: „მეტათ ახირებული კაცი ყოფილა ეს ვოლსკი (ახალი ადგილი, რასაც წრფელი გულით ვულოცავთ) და ახირებულ მდგომარეობაში ჩააყენა ჯერ თავისი თავი ქალაქის საბჭოში, ცნობილი ინციდენტის გამო და მეორე შემთხვევაში მთელი კრება“. (№42, გვ. 885). კორესპოდენტის თქმით, თითქოს გრ. ვოლსკის ამისათვის ყველა ემდურის და არავინაა, რომ მას ამართლებს, მაგრამ არ ასახელებს ამ პიროვნებებს და იგი მკითხველს თავს ახვევს საკუთარ მოსაზრებას.

„კვალს“ ყველგან და ყველაფერში პარტია ელანდება, ბათუმის თვითმმართველობაშიც ხმოსნებად არჩეულ ქა-

რთველების ჯგუფს: „პარტიას“ უწოდებს და ასეთ ოპუსებს გეთავაზობს: **ასათიანის** გარდაცვალების შემდეგ ბათუმის „კოლეგიური გამგეობა ორი წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთს ნახევარი ხმა აქვს და მეორეს ერთი“ (ჩვენი აზრით პირველში იგულისხმება გრ. ვოლსკი, ხოლო მეორეში **ივანოვი**). კორესპოდენტს ვერ მოუნებელია, რომ ვოლსკი სარგებლობს ამით, იგი ძალზე გაღიზიანებულია და ამაში ქართველ ხმოსნებს ადანაშაულებს: „სამწუხაროდ ის არის, რომ ბათუმის საბჭოში არის ერთი „პარტია“(იძულებული ვართ ეს სიტყვა ვიხმაროთ, თუმცა ეს სიტყვის და ასოების შეურაცხყოფაა)... შემთხვევით და ჩვენ მოღვაწეთა წყალობით დღეს არც „პარტიის“ წარმომადგენელს აქვს მინიჭებული ის ერთნახევარი ხმა, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობს შეინარჩუნოს ძალთმაცხოვნეობა“ (№50, 1901. გვ. 1011).

ამგვარად „კვალი“ ბათუმის ქალაქისათვის დანიშნვის გაჭიანურებას (უთავობას, როგორც იგი წერს) გრ. ვოლსკის და მის პარტიას აბრალებს და აინუნშიაც კი არ აგდებს, თუ რა დიდი ძალისხმევა დასჭირდათ **ილია ჭავჭავაძეს** გრ. ვოლსკის, **ივანე მესხს**, **დავით კლდიაშვილსა** და სხვებს, რათა შეერჩიათ ქართველი კაცი, რომელიც ქალაქისთავობას იკისრებდა და მოსახლეობას სარგებლობას მოუტანდა.

ქალაქისთავის შერჩევის სიძნელე თვით ბათუმის საქალაქო საბჭოს სხდომის სამსჯელოც გამხდარა. ხმოსნებს ერთხმად დაუდგენიათ, რომ: „რადგან ჩვენი რწმუნების დრო მოკლეა და ამ ვადით ხეირიანი ქალაქისთავის მოძებნა მეტად საძნელეა, ეთხოვოს ბ-ნ გუბერნატორს გადაიდოს ქალაქისთავის არჩევა მომავალ არჩევნებამდე, ხოლო თუ გუბერნატორი ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებს, მაშინ ავირჩიოთ თავიო“ (№51, გვ. 1041).

ასეთი გადაწყვეტილება ქართულ მოღვაწეებსაც აძლევდა ხელს, რადგანაც მათთვის სასურველი კანდიდატურის გამონახვას მართლაც ბევრი დრო სჭირდებოდა.

ხმოსნების გადაწყვეტილებას ცოტა არ იყოს ჭკუაზე მოუყვანია “კვალის“ კორესპონდენტი, რომელიც აღიარებს: „დაგვრჩენია მხოლოდ ბოდიში მოვიხადოთ იმ „პარტიასთან“, რომელსაც დღეისწორის მიმოხილვაში უმართლო ბრალი დაედევით, რომ ის ეწინააღმდეგება ქალაქის თავის არჩევას-თქო“ (№51. გვ. 1035).

ასეთია საკმაოდ პოპულარული გაზეთის „კვალი“-ს პოზიცია **ილია ჭავჭავაძის** გუნდის მიმართ. თუ როგორ განავითარეს სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს უგვირგვინო მეფის მიმართ თავინთი ქმედებები, ეს მკითხველმა კარგად იცის.

## გრიგოლ ვოლსკი და „კვალისტი“ კაპიტონ გოგოლაძე

გრიგოლ ვოლსკის პიროვნებას, მის იდეოლოგიურ სწრაფვას და პირად ხასიათს აღგვიწერს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთი თავგამოდებული მიმდევარი, პოეტი და გაზეთ „კვალის“ თანამშრომელი, **კაპიტონ გოგოლაძე**.

თავის მოგონებაში, რომელიც ავტორს 1942 წელს, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, დაუწერია და მიძღვნილია **საშა წულუკიძის** ბათუმში ცხოვრება-მოღვაწეობისადმი, კ-გოგოლაძე რამდენიმე ადგილას იხსენებს გრ. ვოლსკის, როგორც ბათუმის სათათბიროს წევრსა და საზოგადო მოღვაწეს.

1900 წელს საშა წულუკიძისათვის, ექიმებს ურჩევიათ ბათუმში ჩამოსულიყო, მაგრამ მას თავის რჩენის არავითარი სახსარი არ გააჩნდა; დაიწყო ნაცნობ-მეგობრების ძებნა და კიდევ მონახა საკუთარი ცოლისძმა **ალექსანდრე ლორთქიფანიძე**, მომრიგებელი მოსამართლის მოადგილე, რომლის რეკომენდაციით იგი გრიგოლ ვოლსკის ეწვია.

იგი იმ დროს ბათუმის საურთიერეთო ნდობის საზოგადოების (კოოპერატიული ტიპის ბანკის) საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო ბანკის დირექტორი **ალექსანდრე გოგიჯანაშვილი** ყოფილა. ამ პიროვნების და გრიგოლ ვოლსკის დახმარებით **საშა წულუკიძე** ბანკის მთავარი ბუღალტრის მოადგილედ დაუნიშნავთ, რომელსაც, მოსკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენლად ყოფნისას, საბუღალტრო კურსებიც ჰქონდა დამთავრებული. სხვათაშორის, ამავე ბანკში მოანგარიშედ მუშაობდა თვით **კაპიტონ გოგოლაძეც**. თურმე მას ამისი არაფერი გაეგებოდა და საშა ეხმარებოდა: „რადგან მოანგარიშის მოვალეობისა მე თითქმის არა ვიცოდოდა რა, საშა მეხმარებოდა და მოკლე ხნის განმავლობაში შემასწავლა ჩემი მოვალეობის შესრულება“-ო წერს თავის მოგონებაში კ. გოგოლაძე (აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. №5. საქმე №36/227 ფურ. 2).

აგტორის თქმით ეს ბანკი სხვებისაგან გამოირჩეოდა იმით, რომ მისი ხელმძღვანელები, გრ. ვოლსკი და ა. გოგიჯანაშვილი არჩეულნი იყვნენ და შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდათ: „აქ ბანკის ხელმძღვანელები დანიშნული მოხელეები კი არ იყვნენ, არამედ არჩეულნი ბანკის წევრების მიერ, ამიტომ აქ ბიუროკრატიზმი არ იყო ფეხმოდებული“. იმ დროს ყველაზე იოლი სამსახური აქ გვქონდაო – წერს კ. გოგოლაძე. ხელმძღვანელების დახმარებით საშას „კაი ძალი დრო რჩებოდა, რომლითაც ის მეტისმეტად ნაყოფიერად სარგებლობდა“-ო.

კ.გოგოლაძე, როგორც ყველა სოციალ-დემოკრატი და „კვალისტი“, მაშინდელ პატრიოტ ქართველებს, **ილიას** მიმდევრებს, ვისაც საკუთარი ერისა და მამულის ზრუნვა ჰქონდათ მიზნად დასახული, ნაციონალისტებს უწოდებს. თვითმმართველობაში გრ. ვოლსკის ბრძოლა-გაემრავლებინა ხმოსანთა შორის ქართველების რიცხვი



და თვით ქალაქისთავიც ქართველი ყოფილიყო – მას ნაციონალისტობად მიაჩნდა და არსად არ ამბობს, რომ ამ „ნაციონალისტების“ მეშვეობით გახდა ბათუმი ქართული ქალაქი, განვითარდა კულტურა, განათლება, სოციალური სფერო და ა.შ. „იქ ნაციონალისტების მეთაური იყო გრ. ვოლსკი. ბათუმელ ნაციონალისტების უმთავრესი საქმიანობა გამოისახებოდა ბრძოლაში ქალაქის თვითმმართველობის ირგვლივ, სადაც გრ. ვოლსკი ქალაქის გამგეობის წევრი იყო. უმთავრესად ბრძოლა ჰქონდათ გამართული ერთმანეთს შორის ქართველების, სომხების და რუსის ნაციონალისტებს. ამ სამის ერის ბურჟუაზია ეჯახებოდა ერთმანეთს თავისთვის უპირატეს მდგომარეობის მოსაპოვებლად და რადგან ქალაქის თვითმმართველობას ბევრი რამ შეეძლო ამ საქმეში, მოპირდაპირენი ცდილობდნენ, უპირველეს ყოვლისა ამ ციხესიმაგრის აღებას“ (იქვე, გვ. 3).

საარჩევნო ბატალიებში დაპირისპირებული მხარეები **კ. გოგოლაძეს** რატომღაც „ერთმანეთის მტრებად“, ხოლო ამ კამპანიისათვის დამახასიათებელი ხმაური „ზოლოგოვიურ განგაშად“ მიაჩნია. საერთოდ მოგონების მთელი პათოსი მარქსისტულია და არცაა გასაკვირი, იგი ხომ 1942 წელს დაიწერა.

ავტორი ასევე აღიარებს, რომ „კვალში“ თანამშრომლობის დროს ამხედდა „ზოგიერთ კორესპოდენტებში ნაციონალისტების ასეთს საქმიანობას, ეხებოდა ზოგჯერ გრ. ვოლსკის საქმიანობასაც, როგორც ქართველი ნაციონალისტების მეთაურისას“.

საქმე იქამდე მისულა, რომ თითქოს ქართველებს მისი (კ. გოგოლაძის) ბანკიდან დათხოვნა გადაუწყვეტიათ, მაგრამ მას გამოსარჩლებია რუსი ებრაელი **შპოლიანსკი**, რომელიც „თავის მსოფლმხედველობით გაცილებით მაღლა იდგა ჩვენს ნაციონალისტებზე“ – ამბობს მოგონების ავ-



ტორი. **კ. გოგოლაძე** ასევე გულწრფელად აღიარებს იმასაც, რომ „კვალის“ კორექსოდენციები და საერთოდ სოც. დემოკრატიების საქმიანობა არ მოსწონდა **დავით კლდიაშვილს**, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო გრ. ვოლსკისა და მისი მოღვაწეობის. ისიც დიდად განაწყენებული იყო „კვალის“ კორექსოდენციისაგან და საზოგადოდ სოც. დემოკრატიების საქმიანობისაგან“.

ამგვარად ამ პარტიის თავგადაკლულ მეხოტბეებს **ილიას** კიდევ ერთი მიმდევარი, კერძოდ დიდი ქართველი ბელეტრისტი **დავით კლდიაშვილიც** უპირისპირდებოდა. დიას, დემოკრატი და ჰუმანისტი მწერალი, ილიას თანამოაზრე და საქართველოს ღირსეული შვილია, რაც მისი მეგობრის და თანამოაზრის გრ. ვოლსკის გზას და მიმართულებას კიდევ უფრო ამშვენებს და აღამაზებს.

კ. გოგოლაძის მოგონებებში არის ერთი ძალზე საინტერესო ეპიზოდი, რომელიც კიდევ უფრო ნათელს ხდის ბათუმში ილიას მიმდევრების დაუღალავ შრომას და პრინციპულ საქმიანობას, რაც ქართული ინტერესების დაცვისაკენ იყო მიმართული. როგორც ირკვევა, გრ. ვოლსკის, დავით კლდიაშვილს, **ივ. მესხსა** და სხვებს უცდიათ, დაევიწყებინათ წარსულის ყველა უსიამოვნება და გაერთიანებულიყვნენ მოწინააღმდეგე ბანაკთან. ამისათვის საჭირო იყო მოლაპარაკება, შუამავლად მათთან გაუგზავნიათ დ. კლდიაშვილი. იგი ესაუბრა **საშა წულუკიძეს, კარლო ჩხეიძეს და ისიდორე რამიშვილს**, რათა გაჰყოლოდნენ გრ. ვოლსკისთან და მის მომხრეებთან მოსალაპარაკებლად. ამ ფორმით შეხვედრის წინააღმდეგ წასულა საშა წულუკიძე, რომელსაც მოუთხოვია ამ ორ ბანაკს მოლაპარაკება გაემართა ფართო აუდიტორიის, ინტელიგენციის, მუშების წინაშე და ა.შ. ასეთივე აზრი ჰქონიათ კ. ჩხეიძეს და ი. რამიშვილს.

დავით კლდიაშვილმა ამ წინადადებას დაუპირისპირა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასეთ შემთხვევაში დაირ-

ღვეოდა კონსპირაცია, გარდა ამისა ასეთი აუდიტორიის წინაშე ყველაფრის თქმა მიუღებელი იქნებოდა და ა.შ. როგორც ჩანს, ასეთმა სიფრთხილემ სხვებსაც აუხილა თვალი და ბოლოს დათანხმდნენ შეხვედრაზე.

ხელისუფლებისათვის თვალის ახვევის მიზნით გრ. ვოლსკი დიდ რისკზე წავიდა, ეჭვს არ აიღებენო და თავისი მომხრეები და სოციალ-დემოკრატები საკუთარ სამუშაო კაბინეტში მიიწვია: „ერთ სადამოს მოეწყო ეს მოლაპარაკება ბათუმის გამგეობის შენობაში, გრ. ვოლსკის კაბინეტში. „მე იქ არ ვყოფილვარ, მარა ამ მოლაპარაკების შინაარსი გადმომცა **საშამ (წულუკიძემ, რ.ს.)**“ – წერს **კაპიტონ გოგოლაძე**.

გრ. ვოლსკი ამ შეხვედრაზე ძალზე ცხარედ გამოსულა, დეტალებზე ავტორი არ ჩერდება, თუმცა მისი გამოსვლის ძირითადი არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ სოციალ-დემოკრატებს და მესამედასელებს შეეწვევითათ სამშობლოს საწინააღმდეგო მოქმედება, რომ მათი „ინტერნაციონალიზმი“ იყო სხვა არაფერი, გარდა საკუთარი ერის და მამულისათვის ზიანის მიყენება.

როგორც ჩანს, არც საშამ წულუკიძემ დათმო პოზიცია და კიდევ ერთხელ შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ყველა ერის წარმომადგენელი მუშა ერთმანეთის მტერი კი არა, „კლასობრივი ძმები არიან ერთმანეთისა, ერთი საერთო მიზანი აქვთ, საერთო ინტერესი, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა“. ბუნებრივია, მისი გამოსვლა ემთხვეოდა **ლენინის** იდეებს, ხოლო რა მოუტანა ხალხებს ამ იდეებმა, ყველაფერი ნათლად გამოჩნდა ჩვენს დროში, როცა სსრკ დაიშალა და ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ამგვარად გრ. ვოლსკის და მისი თანამოაზრეების ცდა, მამულიშვილობისაკენ შემოებრუნებინათ მესამედასელები, უშედეგოდ დამთავრდა და კვლავ გაგრძელდა ბრძოლა **ილია ჭავჭავაძის** და მისი იდეების წინააღმდეგ, რომლის ფინალზე აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ.



კაპიტონ გოგოლაძე

კაპიტონ გოგოლაძე ობიექტურობას არ დაღატობს და გრ. ვოლსკის ახასიათებს, როგორც ნიჭიერ შემოქმედს, პრინციპულ მოხელეს და მრავალმხრივ მოღვაწეს: „გრიგოლ ვოლსკი დიდათ ნიჭიერი კაცი იყო, ბათუმის ჭაობს რომ ის არ შეეჭამა<sup>1</sup>, მის ნამდვილ გზას, პოეტის გზას რომ გაჰყოლოდა, ბევრ კარგ ნაწარმოებს დაგვიტოვებდა და ჩვენ პოეტთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერდა. მისი რამდენიმე ლექსი (სწერდა უმწიფარიძის ფსევდონიმით), ჩემი აზრით, მუდამ იცოცხლებს, მარა ისიც სათქმელია,

რომ ბათუმის ქართველ ნაციონალისტებს კაცი არ ყავდათ და ვოლსკიც იძულებული იყო ეტვირთა მათი მეთაურობა.

მეტად ცხარე კაცი იყო და იმ სადამოსაც **მეტად მწვავედ** ლაპარაკობდა თურმე და მოითხოვდა შეეწვევებოდათ მესამედსაველებს „სამშობლოს გაყიდვა“ (გვ. 5).

---

<sup>1</sup> აქ იგულისხმება ბათუმის კლიმატი, აგრეთვე გრ. ვოლსკის საქმიანობა ქალაქის განაშენება- განვითარებისათვის.

## გრიგოლი ვოლსკი და ქართველი მოღვაწეები

### ილია ჭავჭავაძე

გრიგოლ ვოლსკი მიეკუთვნება მე-19 საუკუნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც შემოიკრიბნენ **ილია ჭავჭავაძის** ირგვლივ და აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ბათუმში წამოჭრილი ყველა საჭირობოროტო საკითხი, რომლებიც მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, ქართული ცნობიერების გაღვივებას ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე ეყრდნობოდა იმ დროისათვის ბათუმში მცხოვრებ ცნობილ მოღვაწეებს: გრ. ვოლსკის, **დავით კლდიაშვილს**, ქალაქისთავეებს: **ლუკა ასათიანს და ივანე ანდრონიკაშვილს**, ქალაქის მდივანს **ივანე მესხს** და სხვ.

გრიგოლ ვოლსკი ილიას „ივერიის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი და მხარდამჭერიც იყო. იგი ილიას პრაქტიკულ სარედაქციო საქმეებშიც ეხმარებოდა და ახალი თაობის წარმომადგენელის, ლექსები და სტატიები გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ვოლსკიმ „დროებაში“ აიდგა ფეხი, მაგრამ როგორც ლიტერატორი და მწერალი ილიას „ივერიაში“ დაოსტატდა. იგი ხშირად ჩადიოდა დედაქალაქში და ესწრებოდა სარედაქციო კრებებსა და შეხვედრებს. ილიასა და გრიგოლ ვოლსკის შორის იმდენად ახლო მეგობრული ურთიერთობა



**ილია ჭავჭავაძე**

დამყარდა, რომ ბათუმში ჩამოსული ილია გრ. ვოლსკის სახლში ჩერდებოდა, აქვე იყრიდნენ თავს ბათუმის პროგრესული მოღვაწეები და მსჯელობდნენ აჭარის მომავალზე.

სხვათაშორის ბათუმში ილია ჭავჭავაძე პირველად 1881 წელს ჩამოვიდა ქართული სკოლის გახნის თაობაზე. მან საგანგებო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ **ხუსეინ ბეჟანიძე** (ჩაქველი), **ხუსეინ აბაშიძე** (ბათუმელი) და ბათუმის უბნის უფროსი **ლუკა გაბუნია**, **ნური ხიმშიაშვილის** სახლში მოაწყო. ნური ამ დროს ბათუმის ოლქის მილიციის ინსპექტორი იყო. ცარიზმის ხელისუფლებამ როცა საფუძვლიანად მოიდგა ფეხი ახლად დაპყრობილ ბათუმის ოლქში, ყველა ადგილობრივი მოხელე: **თეფფიყ-ბეგ ათაბაგი**, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, **მერჯან-აღა მარშანი**, **დურსუნ-ბეგ თავდგირიძე**, ნური ხიმშიაშვილი და თვით ბათუმის ოლქის უფროსი **გრიგოლ გურიელი** სამუშაოდან დაითხოვა. ნური-ბეგი იძულებული გახდა 1882 წელს ბათუმიდან თავის მამულში, შავშეთში გადასახლებულიყო, მისი სახლი მარიას ქუჩაზე ცარიელი დარჩა (იხ. **რამაზ სურმანიძე**, მამულიშვილი, ჟ. „ჭოროხი“ №1. 1971. გვ. 70-78.). 1889 წელს ბათუმში ჩამოსულმა გრიგოლ ვოლსკიმ სწორედ ამ სახლში დაიდო ბინა და მისი საპატიო სტუმარი ილია ჭავჭავაძე ჩვეულებისამებრ კვლავ ამ პატარა სახლში ჩერდებოდა.

1895 წელს, ბათუმში მორიგი ჩამოსვლის დროს, ილიას მასპინძლობას კვლავ გრ. ვოლსკი უწევდა. ამ სახლში ხვდებოდა ილია ბათუმში 1882 წლიდან სამხედრო სამსახურში მყოფ **დავით კლდიაშვილს**, **ივანე მესხს**, **დურმიშხან და ქეთევან ჟურულებს** და მოწინავე აჭარლებს: **ხიმშიაშვილებს**, **ბეჟანიძეებს**, **აბაშიძეებს**, **თავდგირიძეებს** და სხვ. (გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. I. თბილისი. 1987. გვ. 296).

1885 წლის მაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის არჩევნებზე გამგეობის წევრად **ანასტასია თუმანიშვილთან**, **ნიკო ხი-**

**ზანიშვილთან, გრიგოლ ყიფშიძესთან და ექვთიმე თაყაიშვილთან** ერთად, ილიას რეკომენდაციით შეიყვანეს გრიგოლ ვოლსკი. იგი საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად ჩაება. ერთ-ერთი სხდომის ოქმით (1895 წლის 13 თიბათვე) დასტურდება, რომ ბათუმის სკოლის შენობა, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა, საჭიროებდა შეკეთებას. გრ. ვოლსკის თხოვნის დასაკმაყოფილებლად ილია ჭავჭავაძის ხელით ოქმში ჩაწერილია: „ბატონ **ცხვედაძეს** მიენდოს მოილაპარაკოს ბატონ ვოლსკისთან. ილია ჭავჭავაძე“.

გრიგოლ ვოლსკი, ბუნებრივია თითქმის ყოველთვის ესწრებოდა „ილიაობას“ და ილიასთან დაკავშირებულ შეხვედრებსა და საღამოებს. ამის შესახებ ვკითხულობთ **მიხეილ ჯავახიშვილის** მოგონებაში: „ადარ მახსოვს ილიას დღეობაში ვინ რომელ წელს ვნახე, ის კი მახსოვს, რომ პირველად აქ დავინახე **პეტრე უმიკაშვილი**, ნიკო ხიზანიშვილი, **გიგა ყიფშიძე**, **დავით მიქელაძე**, **და-ძმა უორდროპი**, **არტურ ლაისტი**, **გრიგოლ აბაშიძე**, **კიტა აბაშიძე**, **ვალერიან გუნია**, **რაფიელ ერისთავი**, **გრიგოლ ვოლსკი**, **გიორგი ზდანოვიჩი**, **ნატო გაბუნია** და ბევრი სხვა მოღვაწე და მწერალი... მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა. მას მხოლოდ **ვაჟა და აკაკი** აკლდა“ (გაზ. „კომუნისტი“ 3 აგვისტო, 1937 წ.).

გრ. ვოლსკის ილიასთან განსაკუთრებულ სიახლოვეზე და პოეზიაში მის დაოსტატებაზე ისიც მეტყველებს, რომ ერთ-ერთი მისი ღექსი დაიბეჭდა ილიას „ღექსთა კრებულში“ (1986 წ.). ისეთ ცნობილ ღექსებთან ერთად როგორცაა ილია ჭავჭავაძის „მერთალი ნათელი...“, „ჩემო კარგო ქვეყანავ...“, „ქართველის დედა...“, „მესმის მესმის სანატრელი...“, „მუშას“, „იანჩარი“, „გაზაფხული“ და სხვა.

## ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი)

გრიგოლ ვოლსკი თავის ერთ-ერთ ყველაზე ახლობელ ადამიანად და მეგობრად ესტატე მჭედლიძეს თვლიდა. მას იგი ჯერ კიდევ ქუთაისიდან იცნობდა, შემდეგ მათი გზები მოსკოვში შეიყარა, იქედან დაბრუნების შემდეგ კი სამშობლოში ერთად უხდებოდათ საზოგადო საქმიანობის ჭაპანის წევა. ამიტომ ამ პიროვნებაზე და გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეზე ვრცლად ვისაუბრებთ.

ესტატე მჭედლიძე ახლოს იყო გრიგოლ ვოლსკის ოჯახთან. იგი რამდენჯერმე იხსენებს გრიგოლის დას **ბარბარეს**, რაც მათ ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს. იგი მას მოხსენიებული ჰყავს ქალთა ემანსიპაციის კონტექსტში: „ქუთაისმა მგონია, პირველად გამოავლო ცხოვრების მოედანზე ჭეჭა-ჭუხილით „ქალების ემანსიპაცია“... ქალებმა გიმნაზიაში კურსშესრულებულებმა, მიიღეს მასწავლებლობის ადგილები ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში. მერე ოთხი<sup>1</sup> ყმაწვილი ქალი იოლად მოათავსეს ორის ადგილზე. ეს „ქალების საქმე“ ცხოვრებით დარიბს ქუთაისისათვის მთელს ეპოქას კი არა, ერასაც შეადგენსო, ასე რომ ამას იქით, მოგახსენებენ წელთაადრიცხვა აქედან უნდა დაიწყონო“.

ესტატე მჭედლიძეს წინაპრები სოფელ ბოსლევის მკვიდრნი იყვნენ. აქედან მისი მამა, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე** სვირში გადასულა საცხოვრებლად, სადაც 1854 წელს დაიბადა ესტატე. იგი ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ მისი დასრულება და სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

---

<sup>1</sup> ოთხ ქალში ავტორი გულისხმობს **ბარბარე ვოლსკის, ნინო ლორთქიფანიძეს, აბულაძეს და ხელთუფლიშვილს.**



1877 წლიდან ესტატე მჭედლიძე ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებლის პედაგოგია, სადაც სამი წელი დაჰყო, 1880 წელს კი მოსკოვს გაემგზავრა. აქ იგი ემზადებოდა მიწათმოქმედებისა და სატყეო აკადემიაში გამოცდების ჩასაბარებლად. ამ საქმეს მან ორი წელი მოანდომა, მაგრამ ხელმოკლეობამ ახალგაზრდის სურვილები ჩაშალა და იგი იძულებული გახდა ქუთაისს დაბრუნებულიყო.

პირველი, ვისაც შესჩვილა თავისი უნუგუმო მდგომარეობა, ეს იყო უახლოესი მეგობარი გრიგოლ ვოლსკი. 1881 წელს ესტატე ლაშქვილიდან გრიგოლს წერდა: „მეც თვითონ აღარ მიმაჩნია ჩემი თავი ცოცხალთა შორის. წყაროდან წყლის დაუღეველად წამოსვლამ გამათავა“-ო.

ქუთაისში ესტატე ერთხანს მასწავლებლობდა, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო დამტკიცებული არ იყო, ამიტომ ამ საქმეს თავი მიანება და **გაბრიელ ეპისკოპოსთან** კანცელარიის მდივნის თანაშემწედ, შემდეგ მდივნად დაინიშნა. „ამ კანცელარიაში სამსახური მისთვის წამება იყო იგი უშუალოდ გაეცნო მაშინდელი სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის ქვენა ზრახვებს“-სწერს ე. მჭედლიძის ბიოგრაფი **სოლომონ ხუციშვილი** (ესტატე ბოსლეველი. მჭედლიძე, თბილისი 1961. გვ. 11, 12).

ე. მჭედლიძემ თავის წერილებში არაერთხელ ამხილა ეს უმსგავსოება, განსაკუთრებით მექრთამეობა.<sup>1</sup> თავის პუბლიკაციებში ის არ ერიდებოდა ავტორიტეტებს, მათ შორის სასულიერო პირებს და ყველას ერთნაირად აკრიტიკებდა. ამიტომაც მას ახასიათებდნენ, როგორც მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლ მამაც ადამიანს.

<sup>1</sup> როგორც ირკვევა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მექრთამეობა მართლაც ყოფილა ფესვაგადგმული. ამაზე თვით მღვდელი **ალექსანდრე არღიშვილიც** მიუთითებს თავის მამხილებელ წერილში, რომელიც 1883 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა. (№192, 29 სექტემბერი).



**ესტატე მჭედლიძე  
(ბოსლეველი)**

როგორც ირკვევა, ბოსლეველის მამხილებული წერილები არაერთხელ მისწვდა მიზანს და მას მტრები მოუძრავლა. შედეგმაც არ დააყოვნა. „პატიოსანი საქმის ერთგული, დამჯერი ყმაწვილი კაცი, დღის სინათლეზედ, გუბერნიის ქალაქში, ზედ შუა გზაზედ დამბაჩით მოკლეს“ – სწერდა მიმოხილვის ავტორი **გრიგოლ ყიფშიძე** („ივერია“, 1885 წ. №6, შინაური მიმოხილვა).

ესტატე მჭედლიძის მკვლევლობამ ფეხზე დააყენა მოწინავე ქართული საზოგადოება. არ დარჩენილა გაზეთი და ჟურნალი, ამ ტრაგიკულ შემთხვევას რომ არ გამოხმაურებოდა („Новое обозрение“, „მწვემისი“, „დროება“, „ივერია“ და სხვ).

ეს დანაშაული იმთავითვე „არხიმოშენიკად“ ცნობილ შორაპნის ბლალოჩინს, **დავით დამბაშიძეს** (1837-1910) დაბრალდა. უფრო ადრე მის ვერაგულ ინტრიგებს შეეწირა ჟურნალ „იმედის“ დამაარსებელი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ზედამხედველი, **მიხეილ ასათიანი**.

ერთ-ერთ თავის საგაზეთო წერილში ღირს მამა დ. დამბაშიძეს უთქვამს, რომ „დღეს თუ სპარსი, თათარი და ლეკოსი აღარ ჰყავს მტერად ჩვენს სარწმუნოებას, ეკლესიას და სამღვდელოებას, მის მაგიერ ჩვენმა დრომ გამოიყვანა მტრად მთელი დასი მწვერლებისა, რომელნიც ადჭურვილნი არიან კალმით და რომელნიც უფრო საშიშნი არიან, ვინემ სპარსნი და ოსმალონი“ (ბოსლეველი. ნაწერები. თბილისი. 1961. გვ. 284).

ამ გამოსვლამ აღაშფოთა ქართული განვითარების რედაქციები და მწერლები, მას მწვავედ გამოეხმაურა ესტატე მჭედლიძეც, რომელმაც თავისი წერილი გაზეთ „დროებაში“ ასე დაასრულა: „მამა **ღამბაშიძე** არის ცილისმწამებელი, რადგან ჩვენს ლიტერატურას სწამებს სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგობას და თან მბეზღარიც და მე პირადად თავისუფალი ვიქნები მასთან უნაყოფოდ ლაპარაკისაგან“ (იქვე).

ასე აგორდა უკმაყოფილება ორ ქართველ მოღვაწეს (საერო და სასულიერო) შორის, როგორც ჩანს, მამა დავით ღამბაშიძემ კვლავ გაიმეორა თავისი მართალი თუ არამართალი შენიშვნები, ამას კვლავ მოჰყვა პასუხები, ორმხრივი დაუშვებელი შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რამაც საგაღალო შედეგამდე, ესტატე მჭედლიძის მკვლელობამდე მიგვიყვანა. დ. ღამბაშიძის მიმართ ეჭვი ამ დანაშაულში იმან გააღრმავა, რომ მისი რედაქტორობით გამოშავალ გაზეთ „მწყემსში“ ავტორები, მწუხარების გამოთქმის ნაცვლად, „ჩვეულებრივის მედიდურობით და თავმოყვარეობით სავსე ფრაზების ტალღას ესვრის და თან ღირსეულ მოძღვრებასაც უკითხავს მათ, რომ მჭედლიძეს უმიზეზოდ არ მოჰკლავდნენ და, მაშასადამე, ამ მიზეზებისათვის უნდა მიგექციათ ყურადღებო“ (იქვე გვ. 443). ამგვარად დ. ღამბაშიძის გუნდი თვითონ აღიარებდა ე. მჭედლიძის მკვლელობაში მონაწილეობას.

ბლადონინ დ. ღამბაშიძის მიმართ ქართველი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება იმდენად გაიზარდა, რომ **სოფრომ მგალობლიშვილმა** იგი იუდა ისკარიოტელს შეადარა. „ამ ღამბაშიძისაგან დედის გაცემაზე, გმობაზე, როგორც მე მახსოვს, მჭედლიძის მეტს ხმა, კრინტი არავის დაუძრავს, ხმა! რითი არ სჯობიან ღამბაშიძეს იუდა ისკარიოტელი, გამცემელი მთელი კაცობრიობისა?!“ („დროება“. 1883 წ. 21 ოქტომბერი, №102, გვ. 1-3). ამჯერად ავტორის

განრისხება გამოიწვია იმან, რომ **დ. დამბაშიძემ** დააბეზლა ქართული გაზეთები („შრომა“, „დროება“), თითქოს ისინი უკუღმართ აზრებს ავრცელებენო.

ერთგული, სპეტაკი და გულწრფელი თანამშრომლის ვერაგულად მოკვლამ განსაკუთრებით შეაშფოთა **გაბრიელ ეპისკოპოსი**. იგი დარწმუნებულა, „თუ რაოდენ უპირობი და უსინდისონი ყოფილან ისინი, რომლებიც მასთან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდნენ და რომლებთანაც მას ყოველდღე უხდებოდა შეხვედრა. პირველი, რაც ეპისკოპოსმა მოიმოქმედა, ეს იყო თხოვნა ადმინისტრაციის მიმართ, რათა დროულად გამოეძიებინათ საზარელი მკვლელობა და დამნაშავენი სათანადოდ დაესაჯათ. მეუფემ ეს თხოვნა არაერთხელ გაიმეორა, რასაც მის სახელზე მუქარის წერილი მოჰყვა, ძიებას თავი დაანებეო. მეუფე გაბრიელი იმდენად შეაწუხა სიმათლის დამცველი, სანდო და გულმართალი თანამშრომლის მკვლელობამ, რომ გადაწყვიტა გასცლოდა თავის სამწყსოს და რუსეთში გადახვეწილიყო. ამ ამბავმა ელვისებურად მოიარა მთელი საქართველო, რასაც გაზეთი, ესტატე მჭედლიძის დადუპვასთან დაკავშირებით გამოთქმულ მწუხარებასთან ერთად, ქართველ მკითხველს ეპისკოპოსის ამ განზრახვასაც აუწყებდა. საზოგადოებრიობა და მრევლი დაბეჯითებით თხოვდა თავს მწყემსმთავარს ხელი აეღო ამ განზრახვაზე, რამაც შედეგი გამოიღო. გაბრიელ ეპისკოპოსს გარდაცვალებამდე (1895 წ.) არ მიუტოვებია ეპარქია.

ესტატე მჭედლიძის მკვლელობას წინ უსწრებდა მოვლენები, რომელთა გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ საქმის ვითარებაში, მკვლელობის მოტივში და ამ ბოროტების დამკვეთთა ვინაობაში.

1883 წლის 16 მარტის გაზეთ „შრომის“ №11-ში დაიბეჭდა ესტატე მჭედლიძის წერილი, „ბატონო რედაქტორებო!“, რომელშიც ნათქვამია, რომ ბლადონინ დ. დამბაშიძეს განუზ-

რახავს გაზეთ „მწვემის“ გამოცემა: „როგორც გვითხრეს ამ გამოცემას ის მიზანი უნდა ჰქონდესო, რომ რადგან ჩვენი ადგილობრივი გაზეთები „შრომა“ და „დროება“, ხშირად შემცდარ და მავნებელ აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში, საჭიროაო მიუდგომელი და ჭეშმარიტების დამცავი ორგანო სასულიერო წოდებასაც ჰქონდესო ... ჩვენ მაინც ამთავითვე დიდის სიამოვნებით ვეძებდით მის გამოცემას, რადგან, როგორც ჰგავს, სამღვდლოებასაც სწყურია იქონიოს თავისი ინტერესების დამცველი ორგანო... მხოლოდ ერთი ის არ მოგვწონს, რომ **ბატ. დამბაშიძე** ...ასე ვიწრო შეხედულებით ხელმძღვანელობს გაზეთის დაარსებაში და არა საზოგადო ინტერესით და წინათვე განსაზღვრული პრინციპებით“ – წერდა ესტატე მჭედლიძე.

ამ ერთი შეხედვით რიგითმა შენიშვნამ ძალზე აადეღვა დ. დამბაშიძე. მან ორგზის „დროებაში“ დაბეჭდა წერილები, რომლითაც მკითხველს აუწყებდა, რომ მას ე. მჭედლიძემ ცილი დასწამა, სიცრუეს სიცრუე დაუმატა, მას საქვეყნოდ არ უნდა გამოეტანა ეპისკოპოსის კანცელარიის საქმენი, მაგრამ „იმდენად გართული ყოფილა ეპარქიის საპრიინციპო საქმეებში, რომ თხოვნა პროგრამად მოსჩვენებია“-ო და ა.შ.

ესტატე მჭედლიძის მკველობაზე მრავალმა ავტორმა გამოაქვეყნა მამხილებელი წერილი, რომლებშიც დაახლოებით მიუთითებდნენ მკველობის მიზეზებზე და მის დამკვეთებზეც. ამ წერილებს პასუხობდა დ. დამბაშიძე. მან მკველობის შემდეგაც წერილების მთელი სერია გამოაქვეყნა „ჭეშმარიტების აღსადგენად“, თუმცა საზოგადოების აზრი ვერ შეცვალა. ერთი ცხადია, მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია და ხელისუფლებაც არ დაინტერესებულა ამ საშინელი დანაშაულის გახსნით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ესტატე მჭედლიძე იმპერიული რუსეთისთვისაც არაკეთილსაიმედო კაცად ითვლებოდა.

უახლოესი მეგობრის და თანამოაზრის ვერანუკლმა მკვლევლობამ ყველაზე მეტად გრიგოლ ვოლსკი შეადრწუნა. იგი ამ დროს მოსკოვში იყო, ჩამოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ გაზეთი „დროებაში“ (1885 წ. 30 მაისი) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გამოხატავდა თავის ღრმა მწუხარებას და ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ამ საქმის სასწრაფო გამოძიებას.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გრიგოლ ვოლსკიმ მეგობრებსაც გაუზიარა თავისი მწუხარება. **კირილე ლორთქიფანიძისადმი** გაგზავნილ წერილში ავტორი ამ შემთხვევას „უღმერთოს და ავაზაკურს“ უწოდებს: „ყველას მოგვაკლდა პატიოსანი მუშაკი და ერთგული თანამოზიარე... მაგრამ ჩემი უბედურება მეტისმეტია: მე აღარა მყავს, მე მომიკლეს უგულთადესი ძმა, მეგობარი“ – წერს გრიგოლი და ამ შემთხვევას აღარებს უცხოეთში მდიდარ კაცზე თავდასხმას: „თუ ვინმე ფულიანი ტუზის, ფოლკენვაგენის მარტო თავს დაცემისათვის და დაჭრისათვის (покушение) ხუთი კაცი ჩამოაღჩევს, ნუთუ ესტატეს მოკვლისათვის უბრალო სამართალსაც არ ვეღირსებით?“ – კითხულობს შეშფოთებული გრიგოლი და წინასწარმეტყველებს: „ეს იქნება ჩვენი სიძაბუნისა და სიგლახის ნიშანი, იმის ნიშანი, რომ პატიოსნება ფუჭი საქმეა და თუ მტკიცედ მოინდომე მისი დაცვა, შენც ის დღე მოგელის, რაც შენს ერთგულ მეგობარს... გულსაკლავი და უნუგეშო პერსპექტივაა!...“ სამწუხაროდ გამართლდა გრ. ვოლსკის წინათგრძნობა. საქმე ხეირიანად არ გამოიძიეს, დამნაშავეს გამოძიებაზეც ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ პირადი მტრების გარდა ესტატე მჭედლიძეს ხელისუფლებაც ამრეხით უყურებდა და მას ხელს აძლევდა პირდაპირი და გულდია მოწინააღმდეგის მოშორება.

## გიორგი იოსელიანი

ესტატე მჭედლიძის ბედი გაიზიარა გრიგოლ ვოლსკის სტუდენტობის მეგობარმა გიორგი იოსელიანმაც.

დღემდე არავინ იცოდა ვინაობა იმ ადრესატისა, რომელსაც გიორგი ერქვა და რომელმაც 1883 წლის 13 მარტს წერილი გამოუგზავნა სამშობლოში ჩამოსულ გრიგოლ ვოლსკის.

ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით მოსკოვის უნივერსიტეტის 1878-1885 წლების არქივს, რის შედეგადაც დავადგინეთ გიორგის გვარი და ბიოგრაფია. ირკვევა, რომ გრიგოლ ვოლსკი და გიორგი იოსელიანი ერთდროულად სწავლობდნენ, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში, ასევე, მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და ითვლებოდნენ ქართული სათვისტომოს აქტიურ წევრებად.

გიორგი ონისიმეს ძე იოსელიანი დაიბადა 1854 წელს თბილისში. 1878 წელს მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და 1880 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1885 წელს გ. იოსელიანმა დაამთავრა უნივერსიტეტი, მაზრის ექიმის წოდებით სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობას შეუდგა თბილისში მიხეილის საავადმყოფოში. 1887 წელს იგი გადაიყვანეს შავიზღვისპირეთის დასახლებათა სოჭის განყოფილების ექიმად, შემდეგ იგი გადაიყვანეს აზერბაიჯანში, გეოქჩაის მაზრის ექიმად და საავადმყოფოს მთავარ ექიმად. აქ მას დიდი სამედიცინო პრაქტიკა ჰქონდა, იგი დახელოვდა, როგორც მაღალკვალიფიციური დასტაქარი. აქ მან განახორციელა ისეთი ოპერაციები, რომელიც რუსეთის სინამდვილეში იშვიათი იყო, მათ შორის ყბის სიმსივნის ამოკვეთა, რომელიც პლასტიკური ოპერაციით დასრულდა. გ. იოსელიანს ეკუთვნის აგრეთვე ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის ორიგინალ-



ური მეთოდი. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა თირკმლის, კენჭების ამოღების ურთულესი ოპერაცია.

გიორგი იოსელიანის, როგორც ქირურგის სახელი მაღე გავიდა კავკასიის ფარგლებს გარეთ. 1891 წელს იგი ნ. პიროგოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი რუსეთის ექიმთა მეოთხე ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

გიორგი იოსელიანი სტუდენტობის წლებიდან აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ მოძრაობაში. იგი, გრ. ვოლსკისთან ერთად ითვლება მოსკოვში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთ დამფუძნებლად. ეს ის დრო იყო როცა ცარიზმის რეჟიმში ცდილობდა დასაწყისიდანვე ამოეძირკვა ყოველგვარი პროგრესი, ჩაეშო ანტისამთავრობო გამოსვლები და აღეკვეთა უკმაყოფილო ხალხის შეკრება-მიტინგები.

მოსკოვის სტუდენტთა სათვისტომო ერთ-ერთი მძლავრი მასობრივი ორგანიზაცია იყო, სადაც ხშირად კითხულობდნენ მოხსენებებს საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებზე. მოხსენებარეფერატებში ხშირად გაისმოდა იმპერიის ბიოროკრატიული რეჟიმის დაუფარავი კრიტიკა. სათვისტომო საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. მას გააჩნდა ურთიერთდახმარების სალარო, რომელიც შეძლებისდაგვარად იესებოდა სტუდენტთა დანაზოგებით, აგრეთვე საქართველოში მყოფ ქველმოქმედთა შეწირულობებით.

1882 წლის დეკემბერში გრ. ვოლსკი სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო გამორიცხეს მოსკოვის უნივერსიტეტიდან და იგი სამშობლოში ჩამოვიდა, მაგრამ მეგობრებთან კავშირს არ წყვეტდა. აქ მან მიიღო გიორგი იოსელიანის წერილი, რომლითაც იგი აუწყებდა უნივერსიტეტში არსებულ ვითარებას, აგრეთვე იმ საგნების სიას (ქიმია, დიაგნოსტიკა, ვენეროლოგია, ბავშვთა სნეულებანი და სხვ.), რომელთა გამოცდები შესაძლო იყო შემოდგომაზე ჩაეტარებინათ. წერილში ფრთხილად ნათქვამია სათვისტომოს საქმი-

ანობაზეც: „მთელი წელიწადი ისე გავიდა თითქმის, რომ კრება არ გექონია. მარტო ამ უკანასკნელ დროს ორჯერ შევიყარეთ, ისიც იმიტომ, რომ საყვედური გვესმოდა ახალი წევრებისაგან თავის ამოურჩევლობაზე და უფრო იმიტომ, რომ ახალი კასირი და კომიტეტის წევრები ამოგვერჩია, რადგან **ელიაგა** ათაგებს კურსს და უნდა ჩაებარებინა (სალარო, რ.ს.). დავიწყეთ ესე. თავზე ვითომ გვინდოდა ზოგი მუხლი გამოგვეცვალა, ზოგი ჩაგვემატა, რადგან საჭიროდ დავინახეთ, მაგრამ, როგორც იცი, ყვირილზე მეტი ვერა გავაკეთეთ რა და რადგანაც ეკზამენებიც იყო მოახლოებული, ესეც შემოდგომისთვის გადავდეთ, ვნახოთ მერმისისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ შენც ჩვენთან იქნები.

**შენი ძმა გიორგი“.**

ბუნებრივია, სტუდენტთა მოძრაობაში ჩართული მეგობარი წერილში ყველაფერს ვერ შეიტანდა. „სხვაზე, როცა შევხდებით ერთმანეთს, მაშინ მოვილაპარაკოთ“-ო.

გიორგი იოსელიანმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა მემბოხე სული. იგი ყოველთვის იდგა პროგრესული იდეების მატარებელთა რიგებში, ამხელდა არსებული წყობილების ყველა სიმახინჯეს, რის გამოც ხელისუფლება მას არაკეთილსაიმედოდ თვლიდა (ეს დამდა მას მოსკოვიდან გამოჰყვა), გამუდმებით უთვალთვალებდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. 1900 წელს რეაქციონერებს ეს დროც დაუდგათ. მათ დაიჭირავეს და მიუგზავნეს შავრაზმელი აგენტი, რომელმაც გ. იოსელიანი გეოქჩაიში სამუშაო ოთახში გამოასალმა წუთისოფელს. გრ. ვოლსკის მეგობართაგან გიორგი იყო მესამე მსხვერპლი (მიხ. ასათიანისა და ესტ. მჭედლიძის შემდეგ), რომელიც ტირანიას შეეწირა.

## მიხეილ ასათიანი

ორიოდე სიტყვა ხალხოსანზე, პუბლიცისტსა და მწერალზე მიხეილ ასათიანზეც უნდა ვთქვათ, რადგანაც მისი ბიოგრაფია მკითხველთა ფართო წრისათვის უცნობია. მიხეილის მამა იოსები, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ქიზიყის სოფელ ბაკურციხეში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი) გაუმწესებიათ. აქ იოსებ ასათიანმა ცოლად შეირთო სიდონია ზირაქაშვილი და მიხეილიც 1849 წელს აქ დაიბადა.

მამა მიხეილ ასათიანს მოწაფეობის დროს გარდაეცვალა. ამიტომ იგი, როგორც უფროსი შვილი, დედას ეხმარებოდა უმცროსი დაძმის აღზრდაში.

მიხეილ ასათიანი 1874 წლის ოქტომბერში აირჩიეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ერთი წლის შემდეგ მან „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც საუბარია ამ სასწავლებელში გამეფებულ უწესრიგობაზე, რამაც მას გაზეთითვე უპასუხეს მასწავლებლებმა **ძიმისტარიშვილმა და კონსტანტინე ღვინიაშვილმა**, მაგრამ კონფლიქტი ამით არ დასრულებულა.

მიხეილ ასათიანი თანამშრომლობდა სერგეი მესხის გაზეთ „დროებაში“, ზოგჯერ მასალებს აქვეყნებდა X-ის ფსევდონიმით. მისი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია „კანონები მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი“, აგრეთვე წერილი „ბურსაკების“ ცუდი კვების შესახებ.

მიხეილ ასათიანმა დაწერა აგრეთვე რამდენიმე ლექსი და პოემა, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „იმედში“ (1881 წ. №I-IV). ესენია: „შიკრიკი“, „მტკვრის ბაასი რიონთან“, „ოსეფას ანდერძი“, „ახალი მოდის ექიმი“, „გაზაფხული“. მის კალამს ეკუთვნდა აგრეთვე მოთხრობა „მე და ონისიმე“. თავის ნაწარმოებებში მიხეილ ასათიანი ამხელდა გაბატონებულ წრეებს, რუსეთის

ჩინოვნიკებს, ეკლესიის ზოგიერთი მსახურის მანკიერებებს. სწორედ ამ წრეებიდან გაუჩნდა მას მტრები; განსაკუთრებით აქტიურობდა ბლადოჩინი **დავით დამბაშიძე**.

დეკანოზ დამბაშიძეს უკავშირებენ ჟურნალ „იმედის“ ერთ ცნობას, რომელიც დაიბეჭდა მიხეილ ასათიანის მოთხრობის, „მე და ონისიმეს“ დასასრულს: „მესამე ნაწილით ავტორს უნდოდა აედწერა უიმედო, უფერული და დაცემული მდგომარეობა სამღვდელოებისა. რას ჩაიდენდნენ ბლადოჩინები, როგორ სდევნიან ნამუსიან ან ნასწავლ ამხანაგებს და ათასი დანოსებით“, ენის ლაქლაქით ჰღუპავენ მათ, რომ „ასეთი პირები არ გადაუდგებოდნენ ხოლმე გზაზე და არ უშლიდნენ ქვეყნის გაცარცვას და გარყვნას. ამ დასში, რასაკვირველია, ყველაზე ძლიერად ხვდებოდა იმ არხიმაშენიკსა, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო ავტორისა (მიხ. ასათიანი, რ.ს.), ამ თავგანწირული და პატიოსნებით სავსე მოქმედი კაცისა და რომელზედაც განსვენებულ მიხ. ასათიანს დარჩა ლექსი ასეთი დასაწყისით:

„ღრიალაზე სახლი მიდგას,  
ვარ ცნობილი ბლადოჩინი,  
ყველგან ვამბობ მე გახლავართ  
იმერეთის თვალის ჩინი.“

აქ ყველაფერი მიზანში ხვდება. ღრიალაში იგულისხმება ყვირილა, იგივე შორაპანი, სადაც საქმიანობდა ბლადოჩინი დავით დამბაშიძე.

მიხეილ ასათიანის მეუღლე იყო ცნობილი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის **სტეფანე ჭრელაშვილის** და ეკატერინე, თავადაც მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და განმანათლებელი, მე-19 საუკუნეში მოღვაწე ქართველ ქალთა მოწინავე პლეადის წარმომადგენელი (1859-1938).

მიხეილთან ერთად ქუთაისის სემინარიაში **ასწავლიდა კონსტანტინე ღვინიაშვილი**. იგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ყოფილა. თურმე **თედო ჟორდანიას** ხელით გამოგზავნილი წერილი ღვინიაშვილს სადღაც აებნა. ვიღაცამ უთხრა, ეს წერილი ჩემი თვალით ვნახეო. ღვინიაშვილს უყვირია ამას მიხეილ ასათიანი იზამდაო და სახლში მის მეუღლეს მიუვარდა.

საქმე სასამართლომდე მივიდა, მიხეილი გაამართლეს, ხოლო ღვინიაშვილი ცილისმწამებლად გამოაცხადეს. 1879 წლის 16 დეკემბერს ავადმყოფს ამოუღია რევოლვერი და ალაღ-მართალი მიხეილისათვის გულში დაუხვლია, შემდეგ მივარდნია და დანით თვალები დაუთხრია.

მკვლელი მოწაფეებმა შეიპყრეს, სცემეს და პოლიციას გადასცეს. სასამართლომ იგი სულით სნეულად შერაცხა და შესაბამის სასწეულოს გადასცა. აქ ღვინიაშვილმა 15 წელი დაჰყო და 1894 წელს აქვე გარდაიცვალა. მთელი ხნის განმავლობაში ნანობდა თურმე თავის საქციელს და წყევლით იხსენიებდა იმათ, ვინც წააქეზა ასეთი მძიმე დანაშაულისათვის. ამის ყველა მომსმენი წამქეზებლად **დავით ღამბაშიძეს** თვლიდა.

## ისიდორე რამიშვილი

გრიგოლ ვოლსკის დიდ სიხარულს გვრიდა აქა-იქ გახსნილ ქართულ სკოლებში ქართველი მასწავლებლების გამოჩენა. იგი მათ უმაღლესად გაიცნობდა, ღრმად ჩაწვდებოდა მათს პედაგოგიურ თვისებებს და აძლევდა რჩევებს, რაც საჭირო იყო მშობლებთან და მათ შვილებთან ურთიერთობისათვის. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა მუსლიმან ბავშვების მიმართ.

გრიგოლი დიდ იმედებს ამყარებდა ბათუმის ქართულ სკოლაში ახლადგამოჩენილ მასწავლებელზე ისიდორე რა-

მიშვილზე, რომელმაც მუსლიმან ბავშვების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერება გამოავლინა და ძალიან მალე ღირსეული პედაგოგის სახელი დაიმსახურა. გრ. ვოლსკის ასეთი შეფასება გამოხატულია წერილში **იაკობ გოგებაშვილისადმი**. ეს წერილი საიდუმლოა, სადაც ავტორი ადრესატს თხოვს ხულოს სკოლის მასწავლებელს გაუგზავნოს „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და სასკოლო ნივთები, ოღონდ ფარულად: „ღმერთმა ნუ ქნას, ეს რომ ვინმემ შეიტყოს, წერა-კითხვის საზოგადოების ამ საქმეში გარევა და იმისგან დახმარების აღმოჩენა აჭარის სკოლისათვის“-ო, აფრთხილებს გრიგოლ ვოლსკი იაკობ გოგებაშვილს და თანაც აცნობებს ვინაა სანდო კაცი, ვისთანაც შეიძლება ამ ნივთების გამოგზავნა: „თუ გამოგზავნით რასმე და მოგვაშველებთ, ან ჩემს სახელზედ გამოგზავნეთ, ან ისიდორე რამიშვილის სახელზედ. ახლანდელი ბათუმის მასწავლებელი (ისიდორე რამიშვილი) ჩინებული კაცია, სწორედ ისეთი, როგორც ეჭირებოდა ბათუმის სკოლას“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. №327 (№151).

ამ წერილით ცხადი ხდება, რაოდენ დიდი რისკის ქვეშ უხდებოდა ქართველ მოღვაწეებს სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის ბრძოლა, ამავე დროს რა დიდ ნდობას უცხადებდა გრიგოლი მასწავლებელ ისიდორე რამიშვილს.

ამის მიუხედავად, პარტიულ საქმეებში აქტიურად ჩაბმული ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ვოლსკში ვერ ხედავს დიდ ქართველ პატრიოტს და მის ქმედებებს მხოლოდ პარტიული



ისიდორე რამიშვილი

კუთვნილებების მიხედვით აფასებს და შემდეგ წერს: „ქალაქის თვითმმართველობის საბჭო, ახალჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში გავლენის მოპოვების გამო, ბრძოლის ველად იყო გადაქცეული. „ქალაქის მამები“ გრიგოლ ვოლსკის მეთაურობით ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ლიბერალ-დემოკრატიულ აზრებს, განსაკუთრებით ინტერნაციონალურს, რომლის მქადაგებელნიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ამიტომ მაღე ბათუმის ქართველობა ორ ბანაკად გაიყო-ბანაკი ნაციონალური სისტემის და ბანაკი ინტერნაციონალისტების“ (ისიდორე რამიშვილი. მოგონებები. თბილისი. 2012. გვ. 260).

ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო გრიგოლ ვოლსკის რომელიმე პარტიაში გაერთიანება, ისიდორე რამიშვილი კი ერთი ხელის მოსმით მას ნაციონალისტად და ლიბერალ-დემოკრატიული აზრის მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

ამ დროს თვით ისიდორე რამიშვილი აქტიურ პარტიულ (მათ შორის არალეგალურ) საქმეებში იყო ჩართული და ჟანდარმერიის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის დროს მას ყოველთვის გრ. ვოლსკის დახმარების იმედი ჰქონდა.

არალეგალური სტამბა **ვეგენია სოლოღაშვილთან** ინახებოდა. როცა მეძებრებმა გეში აიღეს ამ ქალბატონმა, ისიდორე რამიშვილის თანხმობით, სტამბა მასთან გადაიტანა. სწორედ იმ დროს, როცა სტამბის მოწყობილობით სავსე ყუთები შემოჰქონდათ, ისიდორე რამიშვილის ბინაში დაუპატიჟებელი სტუმრები შეიჭრნენ და სკოლის განხრეკის თანხმობა მოითხოვეს: „თქვენ გნებავთ სკოლის განხრეკა, მაგრამ ამის ნებას მე ვერ მოგცემთ. წამობრძანდით გრიგოლ იოსების ძე ვოლსკისთან, ის არის სამეურვეო კომიტეტის თავმჯდომარე და იმის უნებურად და დაუსწრებლად სკოლას ვერ განხრეკოთ“-მეთქი. იმათაც თავი დაგვანებეს და წავიდნენ“.

ამის შემდეგ რა მოხდა არავინ იცის, მაგრამ გრიგოლ ვოლსკისა და ისიდორე რამიშვილს შორის, როგორც



ჩანს, ურთიერთობა ძალზე დაიძაბა, რის შესახებაც თავად ისიდორე იკონებს: „ადგილმდებარეობრივი მზრუნველი კომიტეტი დიდი უკმაყოფილო იყო ჩემი მოქმედებით სკოლაში. განსაკუთრებით იყო ჩემზე გაჯავრებული სამეურვეო კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ვოლსკი, რომელიც ცდილობდა სკოლიდან ჩემს მოშორებას და „წ.კ.გ. საზოგადოების“ გამგეობაშიც კი ამის შესახებ გზავნიდა თავის მოსაზრებას. ის იყო უმწვერვალესი ქართველი ნაციონალისტი და იმთავითვე (?) არ მოეწონა სკოლის გამგედ ინტერნაციონალისტის დანიშვნა (იქვე, გვ. 275).

ამ მოსაზრებას ძნელია დაეთანხმო. **იაკობ გოგებაშვილისადმი** გრ. ვოლსკის სიტყვები: „ახლანდელი ბათუმის მასწავლებელი **ისიდორე რამიშვილი** ჩინებული კაცია, სწორედ ისეთი, როგორც ესაჭიროებოდა ბათუმის სკოლას“, იწერებოდა ისიდორე რამიშვილის ბათუმში ჩამოსვლის პირველივე დღეებში. მაშინ საკითხავია, ნაციონალისტ გრ. ვოლსკის „იმთავითვე“ როგორ არ მოეწონა სკოლის გამგედ ინტერნაციონალისტის დანიშვნა? ვუჭირობ გრ. ვოლსკიზე, როგორც „უმწვერვალესი ქართველი ნაციონალისტის“ შერქმევაა უადგილო, ასევე ისიდორე რამიშვილიც არასოდეს ყოფილა ასეთი უმწვერვალესი ინტერნაციონალისტი. ეს ტერმინები ორივეს მიმართ პირობითია. ვოლსკი ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილია, რომელიც ყოველ ფეხის გადაგმავზე თავგამოდებით იცავს საკუთარი ერის ინტერესებს. ამიტომ ის უფრო პატრიოტია, ვიდრე ნაციონალისტი. რაც შეეხება ისიდორე რამიშვილის ინტერნაციონალისტობას, ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩვეული ტერმინია, ხოლო რით დასრულდა მათი „ინტერნაციონალისტობა“ ეს ახლა ყველასათვის ცნობილია.

მისი ფრაზა, რომ „ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლო გუნებაზე დაყენებამ ვერ მოუთბო გული ბათუმის საზრუნველო კომიტეტს, გრ. ვოლსკის მეთაურობით,

და მათ მიმდევარ წრეს, მათ არ აკმაყოფილებდა სკოლის კარგად დაყენება სწავლა-აღზრდის მხრივ. მათ უნდოდათ, აღმოეფხრათ იქ ჩაბუდებული სოციალურ-დემოკრატიული სული...“ (გვ. 227-278), ძალიან გავს დღევანდელ ოპოზიციურ ლაყობას და ადამიანზე იმის დაბრალებას, რასაც იგი მთელი სიცოცხლე ებრძვის.

**რამიშვილის** ეჭვიანობას მის მიმართ არაერთხელ გამოემჯურნენ მაშინდელი მოღვაწეები (**ზ. გულისაშვილი, ჩიორა (არტემ ახნაზაროვი)** და სხვ), თუმცა მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ეჭვი, თითქოს გრ. ვოლსკის მისი ბათუმიდან მოშორება სურდა.

## დავით კლდიაშვილი

გრიგოლ ვოლსკის დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, თუმცა მეგობართა შორის გამორჩეული ადგილი დავით კლდიაშვილს ეკავა. მწერალი დიდად აფასებდა გრ. ვოლსკის სიმამაცეს, პატრიოტობას და სამშობლოსათვის თავდადებას.

ბათუმის დაკნინებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას როცა ეხება, დ. კლდიაშვილი გრ. ვოლსკის აქ ჩამოსვლას ღვთის ნებას მიაწერს. მართლაც მთელი 20 წლის მანძილზე მან უმძიმეს პირობებში ბევრი რამ გააკეთა ბათუმის წინსვლა-განვითარებისათვის: „ბედმა ბათუმში ჩამოაგდო რკინიგზაში მოსამსახურე ექიმი გრიგოლ ვოლსკი... მასთან **ივანე მესხმა, სერგეი მესხის** ძმამ, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის მცხოვრებთ“ – წერს დ. კლდიაშვილი თავის მოგონებებში, „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (თბილისი. 1961 წ. გვ. 65)<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> მწერლის ეს ნაწარმოები მე-19 საუკუნის ბოლო ოცწლეულის და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეულის ნამდვილი მატრიანაა. იგი დაწერილებით მოგვითხრობს ბათუმის განვითარებაზე და ამ საქმის მთავარ ინიციატორებზე.

თავის წიგნში დ. კლდიაშვილი გრ. ვოლსკის თითქმის 30-ჯერ ახსენებს და ყველა წინადადებაში გამოსტკევივის მათი სიახლოვე, თანამოაზრობა და ერთიანი მრწამსი, რაც ესეოდენ ესაჭიროებოდა იმდროინდელ ბათუმს და მის მოსახლეობას.



დავით კლდიაშვილი

გრიგოლის და დავითის ახლობლობას ეხება **სერგო კლდიაშვილი**: „ყველაზე უფრო მიყვარდა სათვალეებიანი სტუმარი. ლაპარაკობს ყოველთვის გაცხარებით, მოუსვენარია, ერთ წუთში სამ ადგილს ინაცვლებს, ჩქარი სიარულის დროს კოჭლობს. მრავალი წლის შემდეგ, როცა ერთხელ მამასთან ბავშვობის ბათუმს ვიხსენებდი, გავიგე, რომ ის კაცი პოეტი გრიგოლ ვოლსკი იყო“ (სერგო კლდიაშვილი. ცხოვრება დავით კლდიაშვილისა. თბილისი. 1962. გვ. 346). დიას, დავით კლდიაშვილის ვაჟი არამარტო იგონებს გრიგოლ ვოლსკის, არამედ მის პირად თვისებებზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც გვიადვილებს მისი სურათის წარმოსახვას.

სწორედ ამ სიახლოვის შედეგია ის, რომ დავით კლდიაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად ასახა გრ. ვოლსკის მრავალმხრივი მოღვაწეობა ბათუმში და ყველაფერი ისე დაგვიხატა, რომ მისი მეგობრის ბიოგრაფიის შესასწავლად სხვა წყაროები რომც არ არსებობდეს, დ. კლდიაშვილის მოგონებებიც საკმარისია.

განსაკუთრებულია მათი ლიტერატურული ურთიერთობა. გაცნობა და დამეგობრება დაემთხვა მათს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა-დამკვიდრებას, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ყველა ახალ ლექსსა თუ მოთხრობას ისინი ჯერ ერთმანეთს უკითხავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გზავნიდნენ რედაქციებში დასაბეჭდად.

სხვათაშორის, ისინი არაიშვიათად სხვა მწერლების ნაწარმოებსაც აჭაშნიკებდნენ. ამ მხრივ გამორჩეული იყო **გიორგი წერეთელი**, მათზე შედარებით ხნიერი და იმ დროს ბათ უმში რომელიღაც არტელში მომუშავე. საყურადღებოა, რომ მისი ყველაზე ცნობილი ნაწარ მოები, „პირველი ნაბიჯი“, ავტორმა ბათუმში დაწერა და პირველად სწორედ გრ. ვოლსკის და კ. კლდიაშვილს წაუკითხა. დავითი იგონებს: „ერთ საღამოს მან მოიტანა დამთავრებული ნაწერი, დაგვაჯინა გრიგოლ ვოლსკი და მე და დაიწყო კითხვა... გიორგი მეტად ცუდად კითხულობდა, ისე ცუდად, რომ მოსმენის მოთმინება დაგვეკარგა და ვოლსკიმ უთხრა სიცილით:

– გიორგი, თუ გიყვარდე თავი დაანებე კითხვას შენ ისე ცუდად კითხულობ, რომ დიდებულ ნაწარმოებსაც შეაზარებ კაცს... გიორგის ძლიერ უყვარდა ვოლსკი, არ სწყენია მისი მეგობრული სიტყვა და კითხვა შეწყვიტა“ (გვ. 54).

გრიგოლს მუშაობის საკუთარი რეჟიმი ჰქონია შემუშავებული. იგი ყოველთვის ენერგიული იყო, ვერ ნახავდით უსაქმურად. „ერთ-ერთი დღე კვირა ჰქონდა, როცა ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და არავის მიიღებდა, გარდა თავისი მეგობრებისა. ესენი ვიყავით ან მე, ან **ალექსანდრე აბაზაძე**, ან ექიმი **კონდრატე მხეიძე**. აქვე იყო ჩვენი საყვარელი **ალექსანდრე ლორთქიფანიძე**, გამომძიებელი, უფროსი ძმა მწერალ **ნიკო ლორთქიფანიძის**“ (გვ. 85). მხოლოდ ლიტერატურულ თემებზე საუბრობდნენ. ქალაქის საქმეებზე და სადავო საკითხებზე საუბარი იკრძალებოდა, წერს დავით კლდიაშვილი.

მწერალი თავისი ზოგიერთი მოთხრობის საბოლოო ჩამოყალიბებას გრიგოლ ვოლსკის მიაწერს, თურმე მოთხრობა „წრფელი გული“ თითქმის მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოუნახა დასაწყისი, რომელიც გაუადვილებდა მის გაგრძელებას. გრიგოლის საუბრის დროსო, ამბობს დ. კლდიაშვილი, „უცვებ ჩემ თვალწინ, თითქოს ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდე, ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდე“ (გვ. 239).

პირდაპირი და პირუთვნელი ვოლსკი თავის მეგობრებს მდარე ნაწარმოების დაწერასაც არ პატიობდა. იგივე დავითმა როცა იმდროინდელი ცხოვრებიდან პატარა სურათი წაუკითხა გრ. ვოლსკის და **აღ. აბაზაძეს**, გრიგოლმა დავითს უთხრა: „-დათიკო! შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობასო“. დავითს შერცხვა და რვეული უბეში ჩაიდო ისე, რომ ბოლომდე აღარ წაუკითხავს. თუმცა ეს მისი მწერლობის დასაწყისში მოხდა და შემდგომ დახელოვნებულ ოსტატს გრიგოლისგან ასეთი შენიშვნა აღარ მიუღია.

გრიგოლ ვოლსკი მწერლების ქომაგი და მათი ჭირის გამზიარებელიც იყო. იგი ძალზე შეწუხებულია, როცა ბათუმში მძიმედ დასნეულებული **ევნატე ნინოშვილი** ჩამოუყვანიათ. იგი უნახავს გრიგოლს, დავით კლდიაშვილისთვის გაუზიარებია თავისი მწუხარება და სასტუმროში ერთად წასულან, მაგრამ ევნატე, როგორც უიმედო, სოფელში წაეყვანათ: „-დაიღუპა ყმაწვილი კაცი... დაიღუპა ნიჭი, საჭირო ნიჭი – განსხვავებული სიმწარით ამბობდა გრიგოლი. მისმა მგრძნობიერმა გულმა ღრმად განიცადა საწყალი ევნატეს ტანჯვა და უზომოდ შეწუხებული ხშირად იგონებდა სიკვიდლის წინ მის გაწამებას“ (გვ. 86).



**სახლი ბათუმში, სადაც 1894 წ. იწვა ავადმყოფი ეგნატე ნინოშვილი  
(სასტუმრო „მოსკოვი“)**

დ. კლდიაშვილი მწერალთაგან ერთ-ერთი პირველი ეხება გრ. ვოლსკის შემოქმედებას, პოეტობას და მთარგმნელობით საქმიანობას და სიამოვნებით აღნიშნავს, რომ იგი „ყმაწვილობიდან წერდა ქართულ ლექსებს **უმწიფარიძის** ფსევდონიმით. ლექსებმა ყურადღება მიიქციეს და უმწიფარიძე საყვარელ პოეტად იყო ცნობილი. ამასთანავე მან მშვენივრად იცოდა ქართული და რუსული და ითვლებოდა საუკეთესო მთარგმნელად...“

მწერალი ჩვეული ოსტატობით აღწერს მეგობრის თვისებებს, რამაც მას მართლაც შესანიშნავი შემოქმედის და მოღვაწის სახელი მოუხვეჭა: „ღრმად ნაკითხი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი-იგი სასიამოვნო მოსაუბრე იყო, ყოველ შეკრებილობაში, ყოველ საზოგადოებაში. იდეალისტი, გულკეთილი, ღრმად მგრძნობიერი, იგი ძლიერ ადვილად იზიდავდა ყოველ შემხდურს; მებრძოლი

ხასიათის მქონი იგი გაბედული და შეუდრეკელი იყო ბრძოლაში“ (გვ. 66).

დახასიათება ქვემოთაც გრძელდება, მაგრამ ვფიქრობ ეს ციტატაც საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად წარმოგვიდგეს გრ. ვოლსკის აზროვნება, სახე და სურათი ნამდვილი მამულიშვილისა. ამის შემდეგ დ. კლდიაშვილი გვახსენებს ბათუმის სკოლების უმწეო მდგომარეობას, მათს წინაშე წამოჭრილ სიძნელებებს, რომელთა „დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და **მესხმა** გადაწყვიტეს ყოველ წლიურად თოთხმეტ იანვარს, ნინობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამო გაემართათ... საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი **აკაკი წერეთელი**... საღამომ დიდი ფული შემოიტანა სამი ათასზე მეტი, – და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა... მაცოცხლებელ წყაროდ შეიქმნა სასწავლებლისათვის. გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა“ (გვ. 67). სწორედ ამის შემდეგ შეუდგნენ სასწავლებლისათვის შენობის აგებას, რისთვისაც თბილისიდან საგანგებოდ მოიწვიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ნიკო ცხვედაძე** და შედეგმაც არ დააყოვნა: „მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ჰქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშენიერად მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავლებლებისათვის“ (გვ. 68).

ბათუმის თვითმმართველობის დაფუძნება (1888 წ.) გრ. ვოლსკის ჩამოსვლას დაემთხვა, თუმცა პირველ წლებში მისთვის ძნელი იყო მონაწილეობა მიედო თვითმმართველობის საქმიანობაში. მაშინ ქალაქში ქართველი ინტელიგენცია თითზე ჩამოსათვლელი იყო და თვითმმართველობაში რუსი ჩინოვნიკები იყვნენ მოკალათებულნი. დ. კლდიაშვილის თქმით, ქართველებში უიმედობა და უნდობლობა იყო გამეფებული და სწორედ ამ დროს „ვოლსკის და მესხის მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან მეტ და მეტ



მომხრეებს ჰპირდებოდა და თანამგრძობთა რიცხვი იზრდებოდა“ (გვ. 69). ეს ორი მოღვაწე ცდილობდა მომხრეები არაქართველებშიც ეძებნათ და მიზანსაც მიაღწიეს ბერძენთა ლიდერის **ბენლისის** მეშვეობით, რომელსაც კონსპირატიულად შეხვდნენ და მიაღწიეს, რომ არჩევნებში ბერძენებს ქართველების სასარგებლოდ მიეცათ ხმა.

სწორედ ასეთი გაბედული და სარისკო საქმიანობით შეძლეს მათ, რომ ბათუმის ქალაქისთავად გაეყვანათ **ილია ჭავჭავაძის** მიერ შემოთავაზებული კანდიდატი – **ლუკა ასათიანი**. სხვათაშორის არჩევნების დღეს „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოყვანილი ილია ჭავჭავაძე“ (გვ. 70).

გრიგოლ ვოლსკის, **ი. მესხის** მეცადინეობამ შედეგი გამოიღო, გაიყვანეს არამარტო ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, არამედ თვითმმართველობაში მოიმატა ქართველ დეპუტატთა რიცხვმა, რაც ქალაქში მრავალი ეროვნული საკითხის გადაჭრის საწინდარი გახდა..

ქართველ დეპუტატებს ბრძოლა ორ ფრონტზე უხდებოდათ: სათათბიროს სხდომებზე და შოვინისტურად განწყობილ, შავრაზმელთა რუპორთან, გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკთან“, რომელსაც მიზანში ამოღებული ჰყავდა როგორც ლუკა ასათიანი, ასევე გრ. ვოლსკი და სხვა ქართველი ხმოსნები.

დავით კლდიაშვილი ხატოვნად აგვიწერს გრ. ვოლსკის გააფთრებულ ბრძოლას რედაქტორ **გრიგოლ პალმის** წინააღმდეგ: ბოლოს ამ ბრძოლამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ პალმი, როგორც ხმოსანი, გაკიცხეს, რაც მისი გაზეთის თარეშის დასასრულსაც უდებდა სათავეს. გაკიცხვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა: რუსეთის I რევოლუციის დროს რედაქცია დაარბიეს, ხოლო პალმმა გაქცევით უშველა თავს.



**ნური-ბეგ სიმონიაშვილი**



**თუფან-ბეგ შერვაშიძე**

ასეთივე შეხლა-შემოხლა ჰქონდა გრიგოლს ხმოსან ნოტარიუსთან ბოროტ და საოცარ კომბინატორთან, **გრიელსკისთან**, ხმოსან **ბოგოსლოვსკისთან** და სხვებთან, ხოლო მეწარმე მანთაშევს გრ. ვოლსკიმ საპროტესტო წერილი მისწერა იმის გამო, რომ დ. კლდიაშვილის თქმით, მან ქართველ ვაჭრებს აუკრძალა ბანკიდან ფულის გატანა (გვ. 74).

შოვინისტები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ გიმნაზიების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას ბათუმში. როცა ქალაქის გამგეობამ ქალთა გიმნაზიის გახსნა გადაწყვიტა, განათლების მზრუნველმა **იანოვსკიმ** ლუკა ასათიანს საიდუმლო პასუხი გამოუგზავნა, სადაც ეწერა, რომ მისი გახსნა ქალაქში „გაამრავლებდა ინტელიგენტ ქალების რიცხვს, ხოლო გიმნაზია აივსება მზარეულების, პარიკმახ-


ერების, მეეტლეთა, თერძების და მათი მსგავსი ხალხის შვილები“-თო (გვ. 82).

როგორც ავღნიშნე, წერილი საიდუმლო იყო, მაგრამ იგი გრ. ვოლსკიმ და **ივ. მესხმა** გაატანეს ხმოსნებს, მათ შორის **ნიკო დუმბაძეს**, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ეს სკანდალური წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“. **იანოვსკის** ველიკოდერჟავული მისწრაფება გამოაშკარავდა, რის შემდეგ ის იძულებული გახდა ნება დაერთო ქალაქ ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნისა.

გრიგოლ ვოლსკი ადგილობრივ მოსახლეობასაც ქობა-გობდა. დავით კლდიაშვილის თქმით, **მელიტონ ლორთქიფანიძის** ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს აჭარლები: **თუფან-ბეგ შერვაშიძე, ახმედ-ბეგ, ფერათ-ბეგ და სულეიმან-ბეგ ბეჟანიძეები, ალი-აღა სირაძე, აბაშიძეები, ხიმშიაშვილები**. „ამათ მოჰქონდათ აქ თავისი მწუხარებაც და დაღსინებაც, აქ ეძებდნენ დარიგების და გზის ჩვენებას თავიანთ გასაჭირში ლორთქიფანიძისა და ვოლსკისაგან, გასაჭირში, რომელიც მძლავრად ჰქონდათ გარშემორტყმული“ (გვ. 88).



მემედ-ბეგ აბაშიძე



სულეიმან ბეჟანიძე

დიდი იყო სინანული მეგობრის უდროოდ დაკარგვის გამო. დავით კლდიაშვილი გრიგოლის ნაადრევ სიკვდილს, სისხლის მოწამელის გარდა, მუდმივ ღელვას და დავიდარაბას მიაწერს, რომელმაც „მოსტეხა ვოლსკი და სრულად აუშალა ნერვები“ (გვ. 99).

## გიორგი ლასხიშვილი

საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა გრიგოლ ვოლსკის პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწესთან, გიორგი ლასხიშვილთან (1866-1933). ეს ურთიერთობა მეგობრობაშიც გადაიზარდა ისე, რომ ისინი ერთმანეთს პირუთვნელად აძლევდნენ საკმაოდ არასასიამოვნო შენიშვნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გრ. ვოლსკი, რომელსაც ყველა იცნობდა როგორც პირდაპირს, პრინციპულსა და უკომპრომისო მოღვაწეს.

გიორგი ლასხიშვილმა გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობა 1895 წელს დაიწყო, გამოქვეყნდა მისი მეთაური წერილი. იგი ავტორმა ჯერ რუსულად დაწერა, ხოლო შემდეგ ქართულად თარგმნა. სამ წელიწადს რუსეთში საქმიანობამ, ხოლო ხუთ წელიწადს ციმბირში ყოფნამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა მშობლიურ ენაზე. ამის შესახებ თვით გ. ლასხიშვილი წერდა: „უნდა ვაღიარო, რომ კარგი ქართული ენა ვერ შევითვისე, გრამატიკასთან მწყრალად ვიყავ და ლექსიკონი არ მქონია მდიდარი მთელ ჩემს საჟურნალისტო მოღვაწეობაში. ამის ბრალი რუსულ სკოლას ეხება და იმ რვა წელიწადს, რომელიც მე სამშობლოს დაშორებული ვიყავი“, (მემუარები, ტფილისი, 1934წ.გვ.87). გაზეთის რედაქციები მის ნაწერებს ერთხანს ასწორებდნენ, შემდეგ აღარვინ აქცევდა ყურადღებას, რის გამო საკმაოდ ხშირად შენიშვნებსაც ღებულობდა: „მახსოვს ერთხელ მომივიდა ჩვენი მოღვაწის და მგოს-

ნის გრიგოლ ვოლსკისგან ბათუმიდან წერილი და „ივერიის“ ნომერი, რომელშიც ჩემი ფელტონი სულ წითელი მეღნით იყო აჭრელებული. გრ. ვოლსკი მწერდა: „სასიამოვნოა შენი გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე, „ივერია“ გაცხოველდა, მაგრამ შენი ქართული ენა ღმერთმა შეინახოსო. მირჩევდა ბევრი იკითხე ქართული წიგნები, უმთავრესად ძველი ქართულიო. ამასვე მირჩევდა **გიგა ყიფშიძე**... სამწუხაროდ ვოლსკისა და ყიფშიძის რჩევა ვერ ავასრულე: ძველი ქართული წიგნების კითხვისათვის ვერც დრო ვიშოვე და ვერც შევძელი. ჩემი აგადმყოფი თვალები იმის საშუალებას ძლივს მაძლევდნენ, რომ ჩვეულებრივი საქმე შეკეთებინა.“ (იქვე, გვ. 88).

ზემოთ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: გრ. ვოლსკი გაზეთ „ივერიისათვის“ იყო არა ოდენ თანამშრომელი და ავტორი, არამედ დიდი მზრუნველიც. როგორც ცნობილია, 1902 წლიდან სხვადასხვა მიზეზებით **ილია** გათავისუფლდა „ივერიის“ რედაქტორობიდან, მაგრამ მის მიერ დაფუძნებულ გაზეთს ზრუნვას არ აკლებდა. გაზეთის თავკაცობა **დავით მიქელაძეს** დაავალეს, მაგრამ იგი მალე ქუთაისში გადავიდა და გაზეთი რედაქტორის გარეშე დარჩა. ილიამ დაიბარა გ. ლასხიშვილი და უთხრა: თქვენ დარჩებით რედაქციის გამგედ და როგორც გინდათ ისე მოაწყეთ საქმეო.

გიორგი ლასხიშვილმა დაიწყო „ივერიის“ განახლებისათვის ზრუნვა და პირველი, ვისაც მიმართა დახმარებისათვის, ესენი იყვნენ: ბათუმში გრიგოლ ვოლსკი, ქუთაისში **გიორგი ზდანოვიჩი და ალექსანდრე ნანეიშვილი** და სხვ.

ეს ის დროა, როცა ბათუმის ქალაქისთავი **ლუკა ასათიანი** გარდაცვლილია, ხოლო მის ადგილას მისული **ივანე ანდრონიკაშვილი** სრულიად ახალია. ამით ისარგებლეს თვითმმართველობის რედაქციონერმა წევრებმა და ფარული თუ აშკარა ბრძოლა გააჩადეს ქართული ეროვნული საქმეების შესაჩერებლად. ამ დროს გრიგოლი ქალაქის თავის

მოადგილე იყო და მას გვერდით მხოლოდ ივანე მესხი ჰყავდა. ასეთ ვითარებაში იგი გაზეთ „ივერიის“ მუდმივ თანამშრომლობას ვერ იკისრებდა და ასეც მოხდა: „გრიგოლ ვოლსკიმ მუდმივ სისტემატიურ თანამშრომლობაზე უარი განაცხადა-დრო არ მექნებაო. მხოლოდ დროგამოშვებით მოგაწვდით წერილებსო“ – სწერს გიორგი ლასხიშვილი (იქვე, გვ. 105, 106).

1906 წელს, ოცი წლის არსებობის შემდეგ გაზეთი „ივერია“ დაიხურა. გ. ლასხიშვილი უმუშევარი დარჩა, რის გამო იძლებული გახდა რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გადასულიყო. აქ გრ. ვოლსკი ადრეც თანამშრომლობდა, მაგრამ გ. ლასხიშვილის თხოვნა უფრო გააქტიურდა და ისიც მეგობარს გვერდში ამოუდგა. თუმცა რეაქციის ტალღა თავისას აკეთებდა. არჩევით თანამდებობებზე უარს ეუბნებოდენ ქართველ მოღვაწეებს. თვით გრ. ვოლსკი ბათუმის ქალაქისთავის მოადგილედ ორჯერ აირჩიეს, მაგრამ იგი ორივეჯერ არ დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციამ, რაზეც თავის „მემუარებში“ სინანულით აღნიშნავს გიორგი ლასხიშვილი (იქვე, გვ. 167).

მიუხედავად ამისა ამ მოღვაწესთან კეთილი განწყობა და მეგობრობა გრ. ვოლსკიმ სიცოცხლის ბოლომდე განაგრძო.

## გრიგოლ ელიავა

მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გრიგოლ ვოლსკისთან ერთად სწავლობდნენ: **და. გედევანიშვილი** (1858-1937), **გრ.ლ. ელიავა** (1857-1925), **გ.ო. იოსელიანი** (1854-1900), **ტ.ს. ქიქოძე** (1859-1939), **მ. მნელაძე**, **ს.ი. ხვინიაშვილი** (1859-1926) და სხვები (ზუსტი მონაცემები არა გვაქვს). მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ გრიგოლ ელიავაზე, რომელთანაც გრიგოლ ვოლსკი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და მოსკოვის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ თითქმის 20 წელი ერთად იღვწოდნენ ბათუმში, როგორც სამედიცინო, ისე მუნიციპალურ ასპარეზზე. გრ. ვოლსკის და გრ. ელიავას გზები ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვშიც შეიყარა, როცა ისინი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ. ელიავამ უნივერსიტეტი 1883 წელს დაამთავრა, ხოლო გრ. ვოლსკიმ 1885 წელს (გასაგები მიზეზების გამო ორი წლით გვიან). ამ ორ მოღვაწეს და მედიკოსს მუშაობაც ბათუმში ერთად მოუხდათ. გრ. ვოლსკი 1889 წელს, ხოლო გრ. ელიავა 1892 წელს ჩამოვიდა ბათუმში. მათ აქ არაერთი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ერთობლივად მოუხდათ (ქსენონში საქმიანობა, ქოლერის ეპიდემიასთან ბრძოლა, ექიმთა საზოგადოების დაფუძნება, ახალი საავადმყოფოს გახსნა და ა.შ.), რაშიც აუცილებელი იყო მათი კოლეგიალური დამოკიდებულება, თუმცა ძველი საბუთებით დასტურდება, რომ მათ შორის რაღაც სერიოზული უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, რომლის მიზეზი ვერ დავადგინეთ. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა ყოფილიყო პირადი უსიამოვნება. გრ. ელიავა ხანგრძლივი დროის მანძილზე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იყო, ასრულებდა ქალაქის ექიმის მოვალეობას. გრ. ვოლსკის კამათი ჰქონდა თითქმის ყველა სახელმწიფო მოხელესთან, ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ შორის უკმაყოფილება მხოლოდ სამსახურეობრივ საქმეებთან იყო დაკავშირებული.



ასეთი ურთიერთობის მიუხედავად, როცა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები წყდებოდა, ივიწყებდნენ ყველაფერს და ერთურობის მიმართ დიდ სულგრძელობას და შემწყნარებლობას იჩენდნენ. 1903 წლის 24 მარტს, როცა ჩატარდა ქალაქის-თავისა და მისი მოადგილეების არჩევნები, თითოეულ ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მოადგილის თანამდებობაზე კენჭს იყრიდა გრ. ვოლსკი. მისი კანდიდატურის უარყოფა, ან მისი გაშაგება, ქალაქში ქართველთა დამარცხებას ნიშნავდა. და სწორედ აქ იჩინა



**გრიგოლ ელიავა**

თავი გრ. ელიავას კაცობამ. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტის თქმით, „ბ-მა ელიავამ გამოიჩინა ძნელად მოსათმენელი, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის... ტაქტი მიუხედავად კერძო უკმაყოფილებებისა, რომელიც დიდი ხანია არსებობს მას და ბ-ნ ვოლსკის შორის, 24 მარტს ცხადად, ისე, რომ ყველამ დაინახა, თეთრი კენჭი მისცა ბ-ნ ვოლსკის, ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ტაშის ცემაც კი გამოიწვია. საზოგადოდ ჩვენში იშვიათია, კაცმა პირადი ანტიპათია დასთმოს და არ ისარგებლოს მარჯვე შემთხვევით, რომ თავის მოპირადპირეს ავნოს რამე“ („ცნობის ფურცელი“ 1903 წ. 10 აპრილი, №2118, გვ. 3, 4).

როგორც ვხედავთ აქ მარტო ერთი პიროვნების, გრ. ვოლსკის არჩევას როდი ეხებოდა საქმე. აქ გადამწყვეტი იყო ქალაქის სათათბიროში უმრავლესობის მოპოვება და ისეთი პიროვნების გაყვანა, რომელიც დღენიადავ ეროვნული მნიშვნელობის საკითხებით იქნებოდა დაკავებული. ეს კი ქართველთა გამარჯვებასაც ნიშნავდა.

## ივანე ზურაბიშვილი

გრიგოლ ვოლსკის ერთ-ერთ ბიოგრაფი **თეიმურაზ კომახიძე** სამართლიანად მიუთითებს, რომ გრიგოლის დეიდაშვილია ივანე ზურაბიშვილი<sup>1</sup>. თუმცა ავტორი ივანეს დედის გვარს არ ასახელებს. გრიგოლი და ივანე დეიდაშვილები რომ იყვნენ, ეს თვით ივანეს მოგონებებში, ხოლო ორივე მათგანის დედები **ბოდოკიები** რომ იყვნენ და უფროს დას (გრიგოლის დედას) მაგდანა, ხოლო უმცროს დას (ივანეს დედას) **ანასტასია** რომ ერქვა, ამის შესახებ ვკითხულობდით **გურამ შარაძის** წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (თბილისი, 1981 წ. გვ. 134, 135).

ივანეს მამასაც ივანე ერქვა. იგი კახელი (ს.კალიაური) მღვდლის შვილი ყოფილა. მუშაობდა ფოთში საბაჟოს უფროსად. აქ შეერთო ანასტასია ბოდოკია და აქვე შეეძინა ვანო (ივანე). იგი მათი მეექვსე შვილი ყოფილა. უმცროსი დეიდაშვილის ივანეს ბიოგრაფია ძალზე ჰგავს გრიგოლ ვოლსკისას, ამიტომ მოკლედ გავაცნობთ მკითხველს, მით უმეტეს, რომ მისი გაცნობით გრიგოლის ბიოგრაფიის ზოგი უცნობი დეტალიც გაირკვევა. სამი წლის ვანოს გარდაცვალა მამა, ცოტა ხნის შემდეგ გაჭირვებით ორი უფროსი ძმა, დედაც მალე შვილების მწუხარებას გადაჰყვა. დაობლებული ვანოს აღზრდა იკისრა უფროსმა დამ **მანანამ**, რომელიც ქარელში თავად **ციციშვილზე** იყო გათხოვილი, მაგრამ ბედი მღვეარი ვანოს აქაც წამოეწია-სამი წლის შემდეგ მანანაც გარდაიცვალა. ბიჭი ქუთაისში ჩაიყვანეს ახლო ნათესავთან ბეკო კეჟერაძესთან<sup>2</sup>, რომელმაც ვანო გიმნაზიის მასწავლებ-

<sup>1</sup> ავტორს გვარი უცდომით ზუბალაშვილად ჩაუწერია. იხ. თ.კომახიძე. გრ. ვოლსკი. ბათუმი 2005 წ. გვ. 117. ივანე ზურაბიშვილი (1872-1940) ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტი, პუბლიცისტი.

<sup>2</sup> მეუღლის ადრე გარდაცვალების გამო, ჩვენი ვარაუდით, გრიგოლის დედა მაგდანა კეჟერაძეზე გათხოვდა და ეს გვარი მიიღო. სწორედ მასთან (დეიდასთან) იზრდებოდა ივანე ზურაბიშვილი.

ელს კოლიანოვსკის მიაბარა რუსული ენის შესასწავლად. 1882 წ. ბავშვი ქუთაისის გიმნაზიის ჯერ მოსამზადებელ კლასში შევიდა, ხოლო ორი წლის შემდეგ გიმნაზიის პანსიონში ჩაირიცხა. აქ ყოფნის დროს ივანეს ხუთი დედმამიშვილიდან დარჩენილი უკანასკნელი და-ძმა გარდაეცვალა და სრულიად ეულად დარჩა. ამჯერად მისი მოვლა-პატრონობა იკისრა ანა ივანეს ასულმა მგალობლიშვილმა, რომელიც დემიდოვზე ყოფილა გათხოვილი. მადლიერი ვანო ქალბატონ ანას „დედისმაგიერს“ უწოდებს, რომლის სამივე ვაჟი: ნიკო, ვალიკო და ვასიკო მას მკვიდრ ძმასავით ეპყრობოდნენ. სამწუხაროდ ჩვენ მათი ვინაობა ვერ გავარკვეით.



**ივანე ზურაბიშვილი**

სწორედ აქ, ქუთაისში, ბეკო კეჟერაძის ოჯახში ყოფნისას, პირველად იხსნებეს ვანო ზურაბიშვილი გრიშას, იგივე გრიგოლ ვოლსკის. იანგრის ერთ სუსხიან დღეს როცა იგი სიცივისგან ითოშება, მასთან მივიდა მშველელი, რომელიც ხელს ჰკიდებს, ოთახში სწრაფად ატარებს, რალაცას უყვება და ისეთ მხიარულ გუნებაზე აყენებს, რომ ასატირებლად გამზადებული ვანო სიცილს იწყებს: „მახსოვს მხოლოდ, გრიშას ვეძახდიო“ – იგონებს ვანო. ეს იყო დაახლოებით 1878 წელი, რომლის შემდეგ „გრიშა ჩემს გვერდით აღარ მახსოვს, გიმნაზიადამთავრებული უნივერსიტეტში წასულიყო და დიდი ხნით დამეკარგა თვალიდან. დიდხანს დავრჩით ასე დაშორებული ის სტუდენტი, ერთის ფაკულტეტიდან მეორეზე სიარულში თავის მოწოდების მაძებარი, მე...ბავშვ-

ვური განუხჯელობის მორჩილი, ადვილად ამტანი იმ უბედურებათა, რომელიც უხვად ათოვდა ჩვენს გრიშას და ჩემს ოჯახს“ (ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. გრიგოლ ვოლსკი. უ. „განთიადი“, №4, 1988წ. გვ. 244, 245). დიას, „უბედურება-დათოვლილი“ გრიშა, რომელსაც ასევე ადრე დაეღუპა მამა, როგორც ირკვევა, იზრდებოდა კეჟერაძეთა ოჯახში, სადაც მეორეჯერ გათხოვდა მაგდანა. მან აქ **კეჟერაძის** გვარი მიიღო და ასე გააცნო გრიგოლმა ყველას საკუთარი დედა. სინამდვილეში კი მაგდანა ქალიშვილობაში გვარად ბოდოკია გახლდათ, სწორედ ამიტომაც ამბობს ვანო ზურაბიშვილი: „ის სითბო ნათესაურ გრძნობის სითბოთი შემეცვალა და თუ ვისმე წამოსატრახახებელი ძმა ჰყავდა, ან ვინმე ახლობელი, მეც თავი მაღლა მომქონდა და ვამაყობდი: ჩემი დეიდაშვილი გრიშა...“ ივანე ზურაბაშვილი იმდენად შთამაგონებლად და ხატოვნად აღწერს გრიგოლის ცხოვრება-მოდგაწეობას, რომ მიზანშეწონილად ვცანით მისი მოგონების მთლიანად შეტანა წინამდებარე წიგნში (იხ. ქვემოთ).



ანტონ ფურცველაძე



სოფრომ მაგალობლიშვილი

## რას წერდნენ მეგობრები გრიგოლ ვოლსკზე ანტონ ფურცელაძე

### გრიგოლ ვოლსკი და ბათუმის თავობა.

„ჩემი აქეთ-იქით მოგზაურობის გამო მე გვიან მომიხდა გახეთქებში გავრცელებული ამბავის წაკითხვა, რომ გრიგოლ ვოლსკის უნდოდა ბათუმის თავობა და ამიტომ ის ჰმართავდა ინტრიგებს დღევანდელი ბათუმის თავის **ასათიანის** წინააღმდეგ და ამიტომაც ქმნიდა პარტიებსაცაო.

პირადად ძალიან ნაკლები ნაცნობობა მაქვს დიდად პატივცემულ გრიგოლ ვოლსკისთან, რომელსაც, მისდა სასახელოდ, საუკეთესო ბათუმის ქართველობა და მეტადრე მდაბიო ხალხი თავის გრიშას ეძახის, და ნახვით აგერ სამი წელიწადიც არის არ მინახავს, მაგრამ ჭეშმარიტების აღსადგენად ვალათა ვრაცხ ვსთქვა, რასაც მნახველი, გამგონე და გამომკვლეველი ვარ მის შესახებ ამ საქმეზედ.

ჩემი სამსახურისა გამო მე დავესწარ ბათუმში იმ დროს, როდესაც გაცხარებული მზადება იყო პარტიებისა ერთმანეთის საბრძოლველად ბათუმის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად და თვით კენჭის დროსაც დავესწარ იქ, სადაც უყრიდნენ ხმოსნებს კენჭს. მე დიდათ მაინტერესებდა ეს, თუმცა არა სანატრელი, მაგრამ ძალაუნებურათ, ძმათა შორის ატეხილი ბრძოლის ამბავი. ამ ხანებში მე ყურს უგდებდი ამ საქმეზედ ლაპარაკს ბულვარზედ, ყავახანებში, გზათ რკინის გზის ვაგონებში, სახელობებში, კერძო და მოთავე პირებთან, რუსის და ქართველების საუკეთესო საზოგადოებაში და ხსენება, კრინტი, თქმა მაზედ, რომ ვოლსკის ჰნდომოდეს ბათუმის თავობა და მიტომ ვითომც ყოფილიყვეს წინააღმდეგი დღევანდელი ბათუმის თავის პატივცემული ასათიანისა, არსად არ დაძრულა. თქმულობა ყოფილიყო **ნიკოლაძეზედ**, მაგრამ იმას უარი ეთქვა, რომ ფოთის საქმეები ვიკისრე და რაც ვიკისრე, მინამ არ შევასრულებ, ფოთს თავს არ დავანებებო, სხვა

წინააღმდეგი **ასათიანისა** არავის არ დაუსახელებია. რაც შეეხება მას, რომ ვითომც ვოლსკის პარტიული მოღვაწეობა ყოფილიყვეს გამოწვეული რამე პიროვნული ანგარიშებით, ამაზედ თვით მისი პარტიული წინააღმდეგნი მოკრძალებით მღუმარებდნენ და მის მოღვაწეობას და მოქმედებას უყურებდნენ, როგორც გულწრფელს და სრულიად უანგაროს, ქრისტიანი თუ მუსლიმანი ქართველობა, რუსობა, ბერძნობა ხომ სწორეთ თაყვანებით იხსენიებდნენ ამას და მასში ჰხედავდნენ როგორც წმინდათ და მაღალ გრძნობით აღსავსე საზოგადო საქმეების გულის შემატკივარს, გარდა ქართველების მცირე ნაწილისა, რომელიც,-როგორც მეტი ხმა ისმოდა,-პიროვნული ანგარიშების გამო იყო წინააღმდეგი ვოლსკისა და რომელიც აძლევდა ვოლსკის სამტროდ იმ პარტიას მხარს, რომელიც იყო წინააღმდეგი იმ პარტიისა, რომელსაც ეკუთვნოდა ვოლსკი. ესე იგი მეტი წილი ქართველობისა და საუკეთესო ქართველობა ხომ უყურებდნენ ამ მცირე თავის ნაწილს ისრე, როგორც **გიორგი წერეთელს** ტფილისში ამორჩევების ბრძოლის დროს. იქაც იგივე გმობა და შეჩვენება გაისმოდა ამ პირთადმი გადადგომისათვის მეტი და საუკეთესო ქართველებისაგან.

ცხადია, ყველა ეს ხმები, რაც პირათ თუ გაზეთებით გავრცელდა ვოლსკიზედ, იყო ნაყოფი პირადი სიძულვილისა, რომელიც ისრე სენათ მოედო ჩვენს საზოგადოებას და მწერლობას და რომელიც ასრე ძირს უთხრის ჩვენს მომავალს, გულს უხდენს გულწრფელს საზოგადო მოღვაწეს... დმერთმან ჰქნას, როგორც მესმის და საქმეებიდამ დავინახე ბათუმში მყოფის დროს, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ასრეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორც ვოლსკი, რამეთუ იგინი არიან მარილნი სოფლისა. შეიძლება ზოგში და იქნება ბევრშიც არ ეთანხმებოდეს კაცი ამგვართა საზოგადო მოღვაწეთა, მაგრამ მათი გულწრფელობა, გულიწმინდით სამსახური არის ღირსი სიყვარულისა და უსახღვრო პატივისცემისა და არა ცილებისა და ჩირქის მიცხებისა“.

..ივერია“. 1898 წ. 10 ნოემბერი, №241, გვ. 3.



## ივანე გოგეიშვილი

ივანე ტრიფონის ძე გოგეიშვილი<sup>1</sup> რომელიც თხუთმეტი წელიწადი ემსახურებოდა და მზრუნველობდა ვოლსკის, შემდეგ გადმოგვცემს: „პოლიციაში ერთი **ლევან გურიელი** იყო, დიდი უბედური გლახა კაცი, მოკლეს მერე. ვოლსკი მან გუბერნატორთან დაასმინა. გუბერნატორმა დაიბარა ვოლსკი, მაგრამ გრიგოლი არ წავიდა. ერთ დილას, ასე ათი საათი იქნებოდა, ეტლით მოვიდა გუბერნატორი ჩვენსას. გრიგოლი იოსებოვიჩი სახლში თუ ბრძანდებაო, მკითხა. გახლავთ-მეთქი, ვუთხარი. გრიგოლმა გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და ვინ არისო მკითხა. ვუთხარი ვინც იყო, კარებში არც კი გამოიხედა გრიგოლმა, მითხრა: უთხარი გუბერნატორს, რომ მე მივალ მასთან კაბინეტში, ახლა კი დრო არ მაქვს, ვერ მივიღებ, უპრავაში მივდივარ-თქო. ლევან გურიელს თუ უჯერის მისი დამჯერე ბათუმში არავინ არისო. გადავეცი ვოლსკის სიტყვები გუბერნატორს. ერთხანს გაჩერდა, მაგრამ ვოლსკისთან შესვლა ვერ გაბედა და წავიდა. სადამოს გრიგოლმა მოკრა თავისი ბარგი და თბილისში წავიდა. ერთი თვე თბილისში იყო, შემდეგ ჩამოვიდა. ძალზე მაგარი კაცი იყო გრიგოლი, მთავრობა ვერ შებედავდა მის სახლშიც.

გრიგოლთან ჩამოდოდნენ ყველა ცნობილი მწერლები: **გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ივანე მაჩაბელი** და სხვები. ძალზე ხშირი სტუმარი იყო ჩვენი **აკაკი წერეთელი**. კარგად მახსოვს, აკაკის ჭარბად უყვარდა ბორჯომის წყლის სმა და მის ყოველ ჩამოსვლაზე წამდაუწუმ გავრბოდი წყლისათვის.

<sup>1</sup> **ივანე ტრიფონის ძე გოგეიშვილი** გარდაიცვალა 1953 წლის მარტში, გრიგოლ ვოლსკი მას გაუცნია ქუთაისში, სადაც იჯარით ჰქონია ადებულის სასტუმრო „ვეროპა“, გრიგოლ ვოლსკის ამ სასტუმროში დაუჭერია ოთახი, როცა გრიგოლი თვითმართველობაში აურჩევიათ, გოგეიშვილი თან გადმოუყვანია მოსამსახურედ.



**ილია ჭავჭავაძე**, როგორც მახსოვს, სულ ორჯერ იყო. მისი და **აკაკის** ჩამოსვლის გამო გრიგოლ ვოლსკი განსაკუთრებულ სიხარულს გრძნობდა, ჩაიკეცებოდნენ იგი და ილია ოთახში და მთელი დღე ლაპარაკობდნენ საქართველოს ამბებზე. გრიგოლი იმ დღეებში „უპრავაში“ არც კი წავიდოდა“.

*დ. ნაცვლაძე, გრიგოლ ვოლსკი, ბათუმი. 1955 წ. გვ. 21*

## სოფრომ მგალობლიშვილი

### გრიგოლ ვოლსკი

ოთხმოციან წლებში ქ. ბათუმში თავი მოიყარა ქართველების საკმაოდ ფართო წრემ, რომელმაც კისრად იდო ბათომში ქართული საქმეების მოწყობა, ბათომის ქართულ ქალაქად გადაქცევა. აქ ერთობ ნარევი ხალხი იყო: ბერძნები ბლომად, ოსმალები და სომხები. ყველას უნდოდა ბატონობა და ბათომის ხელში ჩაგდება. მაშინდელი იქაური რუსობა ხომ ცნობილი შავრაზმელების **პალმის და დეკანოზი რალცევიჩის** მეთაურობით ქართველების ძირიანად აღმოფხვრას ლამობდნენ ბათომში. ამ დროს ბათომი შედიოდა გურიისამეგრელოს ეპარქიაში, რომლის გამგე იყო ეპისკოპოზი გრიგოლი (დადიანი), კაცი ბუნებით მჭერმეტყველების ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, ამასთან დამჯერე და გამგონე კეთილი რჩევისა. ამ წლებში მე ვიყავ ეპარქიალური კანცელარიის მდივნად და როცა აღიძრებოდა საკითხი რაიმე ქართული საქმის გაკეთებაზე, მიჯერებდა და გულმხურვალედ შეუდგებოდა მის მოგვარებას.

ბათომის წრე, რომელშიაც იყვნენ: გრ. ვოლსკი, **ივანე მესხი, ლეონიდ და აპოლონ ქიქოძეები, თეიმურაზ აგიაშვილი, მღვ. სვიმონ თოთიბაძე** და სხ., მუყაითად შეუდგა მუშაობას. ამ წრის სულის ჩამდგმელი იყო გრიშა ვოლსკი.

დასახელებულ წლებში ქართველობა ძლიერ შევიწროვებული იყო განსაკუთრებით რუსთა და სომეხთაგან. წარმოდგინეთ, არ იყო, ასე გაშინჯეთ, ქართული ეკლესია. დეკანოზი **რალცვეიჩი** არ აძლევდა ქართველ მღვდელს **თოთიბაძეს** ქართულად წირვის ნებასა. არ იყო ადგილი, რომ კვირა უქმე დღეს ბათომელ ქართველობას ერთად მოეყარათ თავი, ხანდისხან ქართული წარმოდგენა თუ იქნებოდა, ან წელიწადში ერთხელ ნინოს დღეობის გადახდა დიდის ზემითა, აი ამ დროს თუ ნახავდა კაცი ერთად თავმოყრილს ქართველობასა, ამ გარემოებამ აიძულა მაშინდელი ქართველობა აემუნებიათ საკუთარი ქართული ეკლესია; ეპარქიალურმა მთავრობამ ხელი მოუშართა, ქალაქმა მისცა შუა ქალაქში 1200 ოთხ. საუ. ადგილი; ჩაიყარა საძირკველი, რომელიც აკურთხა არქიმანდიტრმა **ამეროსი კავკასიძემ**, ცნობილმა სვანეთის მისიონერმა, რომელმაც სვანეთიდან სკანდალით გამოისტუმრა **გრაფინია უვაროვისა**, მძარცველი სვანეთის ძვირფასი ისტორიული განძეულობისა. მაგრამ **პალმს**, რალცვეიჩს და მათს შავრაზმელ დამქაშებს არ ეძინათ, სურდათ ეს ძვირფასი ადგილი წაერთმიათ, ისევ ქალაქისათვის დაებრუნებინათ, მაგრამ ცდამ მუქთად ჩაუარათ.

ეს არაფერი. ბათომელ ქართველებს წინ ედოთ უფრო დიდი და საშვილიშვილო მისიის შესრულება. ეს იყო ქალაქის არჩევნები.

ძნელი წარმოსადგენია, რა ჯაფა, შრომა დასჭირდებოდა ბათომის ქართველობას საზოგადოდ და კერძოდ თვით ვოლსკის, თავისი თავგანწირული ამხანაგობით საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის... ეს იყო და ეს, ქართველობამ ძირი მოიმაგრა და მას უკან დღემდე ბათომს განაგებს ქართველობა. მიზეზი ამისა იყო და არის გრიგოლ ვოლსკი, რომელსაც შინაურობაში „გრიშას“ ვეძახდით.

უნდა მოგახსენოთ, რომ გრიგოლი იყო იშვიათი ენერჯის ადამიანი, პირდაპირი, მტერთან ბრძოლაში გულადი,

მოურიდებელი, გამჭრიახი სიტყვისა, თავდადებული შამუ-  
ლიშვილი და უანგარო პატრიოტი. მას ეკლესიის საქმეც კი  
აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც იგი იყო ერთად შემ-  
კრები ქართველობისა. იგი ცდილობდა ქართველებისათვის  
ერთად მოეყარა თავი და შეექმნა ძალა ერთობისა. იმისვე  
მხნეობას ეკუთვნის კულტურული დაწესებულებების-ქართული  
სკოლის უკეთესად დაყენება და განვითარება, ცდილობს მო-  
მავალი თაობის უკეთესად აღზრდას, ცდილობს გაადვილოს  
ქართველობაში თვისი ვინაობის პატივისცემა, სამშობლო  
ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავდადება.

ვოლსკიმ სტუდენტობაშივე იჩინა თავი: მოსკოვში მან  
შეადგინა ქართველთა სათვისტომოს ორგანიზაცია, რომლის  
სულის ჩამდგმელი იყო გრიგოლი. დღევანდელი ბათომი მისი  
შექმნილია, მისი პირმშო შვილია. გრიგოლი გაიზარდა იმერ-  
ეთში, დედა მისი ქართველი იყო, შეასრულა ქუთაისის გიმ-  
ნაზიის კურსი და შემდეგ წავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში.  
გაათავა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ არ ექიმობდა... გრიგო-  
ლი მოღვაწეობდა ბათომში ასე თერთმეტ-თორმეტი წელიწა-  
დი. 1907 წ. მიატოვა ბათომი და ჩამოვიდა ტფილისში, სადაც  
ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენასა. იგი ღრმად  
მცოდნე იყო ქართულისა, იღებდა მონაწილეობას ქართულს  
ლიტერატურაში და ცნობილი იყო, როგორც პოეტი, „**უმწი-  
ფარიძის**“ ფსევდონიმით. მის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენი-  
ერი ლექსი სხვათა შორის „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც  
საქართველოს ყოველ კუთხეში მღვრიან.

ტფილისში გრიგოლმა სულ ორი წელიწადი იცოცხლა,  
გარდაიცვალა ღვინობისთვის 5-ს 1909 წ. მისი სიკვდილი და  
მოღვაწეობა აღნიშნა აღმანხმა – „ქართველი ერი“, რომლის  
№1 გამოვიდა 11 ოქტომბერს 1909 წ. ვოლსკი ჯერ კიდევ  
ჯან-ღონით სავსე გამოაკლდა ქართველთა მოღვაწეთა მცირე  
გუნდსა.

*სოფრომ მგალობლიშვილი. მოგონებანი. 1938 წ. გვ. 186,1 87.*

## არტურ ლაისტი გრიგოლ ვოლსკი

„ივერიის“ რედაქციაში მე გავიცანი გრიგოლ ვოლსკი, დედა ქართველი ჰყავდა, მამა-პოლონელი. ბუნებით ნამდვილი ქართველი იყო. ეს კაცი არ ეკუთვნოდა შერეული ქორწინებით წარმომდგარ შთამომავლობას, რომელიც კარიერისა და თავისი კერძო ნივთიერი სარგებლობისათვის უფრო ძლიერ ერს ემხრობა. ვოლსკი ცდილობდა იმ ხალხთან ყოფილიყო განუყრელად, რომელთა შორისაც ის დაიბადა და ვისი პოეტიც გახდა. ვოლსკის ლექსებში არიან ისეთები, რომლებიც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ. ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავისი მომავალი სიკვდილის შესახებ წერს და სამშობლოს მიმართავს, უეჭველია, ეს ლექსი მრავალი საუკუნე იცოცხლებს. სამშობლოს სიყვარული მასში იშვიათი სილამაზითა და ძლიერებით არის გამოსატყული. ვოლსკი კეთილშობილი ადამიანი იყო და მის მისწრაფებათაც კეთილშობილური სხივი აცისკროვნებდა (არტურ ლაისტი. საქართველოს გული. თბილისი. 1968 წ. გვ. 18).

ილიას სახლში მომსგლეღთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა იმის შემდეგ, რაც ილია ახალ ბინაზე დასახლდა. ძველ სტუმრებს: ნიკო ცხევედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელისას, ნიკო ხიზანაშვილს, პეტრე უმიკაშვილს, სტ. ჭრელაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, გიორგი



არტურ ლაისტი

**წერეთელს; ლევან ჯანდიერს, დავით ბარათაშვილს, დავით სარაჯიშვილს ახალი სტუმრებიც მიემატნენ; ესენი იყვნენ: გრიგოლ ვოლსკი, ნიკო დოღობერიძე და მრავალი სხვა (გვ. 20).**

აღარ მახსოვს 1895 თუ 1896 წელს, ახალწლის წინა დღით ტფილისიდან ბათომს მივემგზავრებოდი. მთები ტფილისის ირგვლივ დათოვლილი იყო და როდესაც სადგურზე მივეშურებოდი, შევამჩნიე მტკვარის ნაპირების გაყინვა. ერთის სიტყვით ცივი ზამთრის დღე იდგა, მაგრამ დილით, როდესაც მატარებელი ბათომს უახლოვდებოდა, და მე ფანჯარიდან გამოვიხედე, თბილმა ჰაერმა შემომკრა. მზე ოქროსფრად აფრქვევდა სხივებს და ირგვლივ ყვაოდა მცენარეები. ტფილისის ზამთარი შესცვალა ბათომის გაზაფხულმა.

პირველი ნაცნობი, რომელსაც ბათომის ქუჩაზე შევხვდი, იყო გრიგოლ ვოლსკი. მასაც ამხიარულებდა გაზაფხულის თბილი ამინდი, მაგრამ მაინც ნაღვლობდა, რომ არ შეეძლო ტფილისში ეცხოვრა. იმ დროს იგი ექიმის თანამდებობას ასრულებდა **როტშილდის** ქარხანაში. პოეტი ვოლსკი და ქარხნის ექიმი! დიას! მრავალ წელს ასრულებდა იგი ამ თანამდებობას, სთელავდა ბათომის ქვაფენილებს, ყოველ დღე დადიოდა რამოდენიმე ხნით ბაღში სასეირნოდ და ოცნებით გაყურებდა ზღვას. იგი ექიმი იყო, თუმცა არავითარ მოწოდებას არ გრძნობდა ექიმობისას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწუხდა, რომ შეცდომა მოუვიდა პროფესიის არჩევაში.

კერძო „პრაქტიკა“ მას არც ქონდა და არც შეეძლო ჰქონებოდა, ვინაიდან მედიცინით სრულებით არ იყო დაინტერესებული. ბედათ მან იშოვა ადგილ ქარხნის ექიმისა, თორემ სრულებით არავითარი შემოსავალი არ ექნებოდა, მაგრამ როგორც ქარხნის ექიმი, იგი მეტად ღარიბულად სცხოვრობდა, ჯამაგირს მცირეს ღებულობდა.

წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა ბათომში, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებას, საერთოდ კი იგი მოწყენილობას გრძნობდა და უდაბნოში მიაჩნდა თავისი თავი. როგორც მშვიერი პურზე ოცნებობს, ისე ოცნებობდა ვოლსკი ბათომში ტფილისის ქართულ ლიტერატურულ მოძრაობაზე, მაგრამ მიუხედავად სურვილისა, რომ ეცხოვრა უფრო მოაზროვნე საზოგადოებაში, იგი თან და თან კარგავდა ნებისყოფას და ასე ვსთქვათ თან და თან ჩამორჩა გონებრივ მუშაობას.

მე მას ხშირად ვხედავდი ბათომში და მტკივნეულად შევნიშნე თუ როგორ ჩაეფლა იგი ცხოვრების ამაოებაში, რისი გადატანაც შეეძლო მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც ეწაფებოდა კარგ წიგნებს და ხშირად შეეძლო ბათომიდან გასვლა.

ასე გაატარა ვოლსკიმ მრავალი წელი ამ სამრეწველო ქალაქში და ძალიან ცოტას აკეთებდა ქართულ ლიტერატურისათვის, და როდესაც გადმოსახლდა ტფილისში, იგი ზნეობრივათაც და გონებრივათაც უკვე გატეხილი იყო. დაკარგული ქონდა სიმხიარულე და იუმორული განწყობილება, რომელსაც ფლობდა სიყმაწვილის წლებში.

ის უსათუოდ იყო ნიჭიერი პოეტი ძლიერი გაქანებისა, მაგრამ ცხოვრებამ ადრე მოამსხვრია ფრთები.

და ეს მოხდა იმიტომ, რომ იგი მოექცა ისეთ გზაზე, რომელმაც ჩაითრია ცხოვრების უდაბნოში.

**არტურ ლაისტი**

**გაზ. „ლომისი“, №19, 1923 წ. გვ.**

## ივანე ანდრონიკაშვილი

(ნაწყვეტები მოგონებიდან, „ჩემი აღსარება“)

„ჩემთან მოვიდა ბათუმის საქალაქო სათათბიროს დელეგაცია მდივნისა და ორი ხმოსნის შემადგენლობით, რომელმაც ხმოსანთა უმრავლესობის სახელით მომმართა თხოვნით, დავთანხმებულიყავი ბათუმის ქალაქისთვის თანამდებობაზე კენჭისყრისათვის.

როცა ყოფილი ქალაქისთავი **ასათიანი** გარდაიცვალა, მისი საარჩევნო ვადის გასვლას კიდევ ერთი წელი აკლდა. კანონით სათათბიროს უფლება ჰქონდა – ერთი წლით, ანუ წინა ქალაქისთავის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, აერჩია ახალი ქალაქისთავი, რომელიც ერთი წლის შემდეგ ისევე აირჩეოდა ამავე თანამდებობაზე ხელახალი 4-წლიანი ვადით.

დელეგაცია მარწმუნებდა, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა ჩემი არჩევა როგორც ერთი წლით, ისე შემდგომი ოთხ-წლიანი ვადით, მაგრამ ჩემი სრულიად დამაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი სამსახურებრივი მდგომარეობა თბილისში, სადაც ჩემი სპეციალობით ვმოდგავიწეობდი, აგრეთვე ის, რომ არანაირი შეხება არ მქონდა საქალაქო მეურნეობასთან, მაგულიანებდა უარი მეთქვა ამ საპატიო წინადადებაზე.

არ იყო გასული თვე, როცა ჩემთან ისევ გამოცხადდა დელეგაცია ბათუმის სათათბიროს ხმოსნების შემადგენლობით. მათი თხოვნა უცვლელი იყო – დავთანხმებოდი წინადადებას ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობის კენჭისყრაზე. ისინი ყოველნაირად მარწმუნებდნენ, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე დათმობაზე უნდა წავსულიყავი, რადგანაც მათ არ ჰყავდათ სხვა კანდიდატურა, რომელიც მათ მოთხოვნებსაც შეესაბამებოდა და ამავე დროს სარგებლობდა მთავარმართებლის მხარდაჭერით, რომელსაც უნდა დამტკიცებინა მომავალი ქალაქისთავი ამ თანამდებობაზე. თუ სათათბირო სხვა, ნაკლებ სასურველ პირს აირჩევდა,



მაშინ ადმინისტრაცია გამოიყენებდა კანონიერ უფლებას და ქალაქისთვის კანდიდატურას გამონახავდა საკუთარი შეხედულებისამებრ. ხმოსნები შიშობდნენ, რომ რეაქციონერ პირს შეარჩევდნენ. ჩემი მხრიდან ქონებრივი ცენზის უქონლობა დელეგაციას უხერხულობას არ უქმნიდა – ის თავისთავზე დებულობდა სამეურვეო ცენზის გაფორმებას.

დელეგაციამ ასევე უარყო ჩემი განცხადება, რომ ადგილზევე მოღვაწეობდნენ ღირსეული პირები, მათ შორის მმართველობის წევრი **ვოლსკი**, რომელიც კარგად ერკვეოდა საქალაქო საქმეებში და ჩემზე ნაკლებ არ შეეძლო ქალაქისთვის მოვალეობების შესრულება. დელეგაცია მარწმუნებდა, რომ მიუხედავად ვოლსკის დადებითი თვისებებისა და ბათუმის საზოგადოების მხრიდან დამსახურებული პატივისცემისა, ის, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არ მიესადაგება ქალაქისთვის თანამდებობას. ამასთან მის კანდიდატურას ქალაქის ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა და სათათბიროს კოკა წყალზე გაუტყდებოდა.

მე ჯერ კიდევ ვყოყმანობდი, ამის შემდეგ მოვითათბირე ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და ჩემთვის ავტორიტეტულ პირებთან, რომლებიც, როგორც საქმიანი, ისე პოლიტიკური მოსახრებით კატეგორიულად მოითხოვდნენ ამ საკითხზე თანხმობის მიცემას. მეც მივინდე ჩემს ძალებს და ერთი წლით არჩევის თაობაზე დელეგაციას მყარი თანხმობა განვუცხადე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემს კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირა მხარი სახელგანთქმულმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ – **ილია ჭავჭავაძემ**. ბათუმში კი პროპაგანდა გაუწია **კ. ჩხეიძემ** – ჩემი ფილოქსერული პარტიის ყოფილმა გამომძიებელმა – მკვლევარმა.

თუ როგორ გაიმართა ჩემი არჩევნები ბათუმში – ეს საკმაოდ საინტერესოდ აღწერა ჟურნალ „მოამბეში“ ლიტერატორმა **დავით კლდიაშვილმა**, ამიტომ არ შევჩერდები ამაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით



ივანე ანდრონიკაშვილი

ადრე ბათუმიდან მივიღე ქართველ საზოგადოებაში დამსახურებული პოპულარობის მქონე ნიჭიერი პოეტის, საქართველოს დიდი პატრიოტის, ბათუმში ქართველი საზოგადოებრივი აზრის ფაქტობრივი წარმმართველის, ქალაქის მმართველობის წევრის, ღრმად პატივცემული **გრიგოლ ვოლსკის წერილი.**

მე მას კარგად ვიცნობდი მოსკოვში გატარებული სტუდენტური წლებიდან მოყოლებული. იქ ქართული მიწათმოქმედების სტუდენტურ ორგანიზაციაში ერთობლივი თანამშრომლობის დროს ამხანაგური ურთიერთობა გვაკავშირებდა. წერილში ვოლსკი მეკითხებოდა – რა მორალური უფლება მქონდა მე, ბათუმისთვის გარეშე პირს, დავპირისპირებოდი იმ პირთა უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ქალაქის მმართველობაში მოღვაწეობდნენ და რომლებიც ბუნებრივი კანდიდატები არიან ქალაქისთვის თანამდებობაზე. ან რა მაძლევდა მე იმის რწმენას, რომ ერთი წლის შემდეგ ისევ ამირჩევდნენ. ის აშკარად გამოსატყავდა უკმაყოფილებას ჩემი თანხმობის გამო და თავისუფალი მოქმედების უფლებას იტოვებდა.

ბათუმის დელეგაციისათვის მიცემული მტკიცე თანხმობის შემდეგ უკან დახევა უხერხულ და უსაფუძვლო ქცევად მივიჩნიე და ვოლსკის ვაცნობე, რომ სამწუხაროდ, მისი წერილი უკვე დაგვიანებული იყო, რომ მე თავად ვეცადე განმეძარტა დელეგაციისათვის ბ-ნი ვოლსკის ბუნებრივი და კანონიერი უფლება ამ თანამდებობაზე, რომ დელეგაციამ სარწმუნო ეჭვი გამოსთქვა მისი ქალაქისთავად დამტ-

კიცების თაობაზე და რომ მას, ყოველი შემთხვევისათვის, თავისუფალი ქმედების სრული უფლება ჰქონდა, რაც არამც და არამც არ შეცვლიდა მისადმი ჩემს კეთილ და პატივით აღსაყვს დამოკიდებულებას.

საბოლოოდ მე არჩეული ვიქენი ბათუმის ქალაქისთავად და 1902 წლის მარტში, ამ თანამდებობაზე ჩემი დამტკიცების შემდეგ, გავემგზავრე ქალაქ ბათუმში, სადაც ჩემი ოჯახისათვის შესაფერი ბინის გამონახვამდე სასტუმროში შევსახლდი...

...რეაქციის გამძაფრებას თან ახლდა ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ გამოსვლების გახშირება, როგორც „ჩერნომორსკი ვესტნიკის“, ისე სათათბიროს ხმოსნების ოპოზიციური ჯგუფის მხრიდან.

ერთ-ერთი სხდომის დროს, რომელსაც უმეტესწილად მუშათა კლასის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ოპოზიციის გამოსვლამ: ამჯერად იგი ადგილობრივ პრესას ესხმოდა თავს.

ამან მე, ჩემთან ერთად კი გამგეობის წევრებს – **ჟურულსა და ვოლსკის** მოგვცა სრული საბაბი და საფუძველი იმისა, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან უკვე აშკარად წარმოგვეჩინა და დაგვეხასიათებინა ჭეშმარიტი სახე „ჩერნომორსკი ვესტნიკისა“ და მისი რედაქტორისა.

ეს დახასიათება „ჩერნომორსკი ვესტნიკისათვის“ იმდენად მომაკვდინებელი აღმოჩნდა. რომ იმავე დამით რედაქცია გაანადგურეს, მისი რედაქტორი კი იძულებული გახდა გაქცევით გადაერჩინა თავი.

გამგეობის გამოსვლა ნაპერწკალი იყო შავრაზმელი რეაქციული პრესის წინააღმდეგ მასების ასამბოხებლად, ვინაიდან მოთმინების ფიალა უკვე ბოლომდე იყო სავსე.

ყველანი – ადმინისტრაცია და სამხედრო პირები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რედაქციის განადგურება ქალაქის გამგეობის ნამოქმედარი იყო, თუმცა გულწრფელად

ვაცხადებ, რომ ეს ფაქტი ქალაქის გამგეობისათვის სრულიად მოულოდნელად მოხდა.

სამხედრო გუბერნატორის ბრძანებების პარალელურად ვრცელდებოდა ე.წ. „ბარცხანის გუბერნატორის“ ბრძანებ-პროკლამაციები, რომლის ვინაობა ინკოგნიტოდ რჩებოდა, თუმცა ადმინისტრაციის გარდა ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს პროკლამაციები მუშათა სოციალ – დემოკრატიული ორგანიზაციების ცენტრიდან მოდიოდა, რომლის შტაბი ბათუმის ერთ ნაწილში – ბარცხანაში იყო განთავსებული. ბათუმის ადმინისტრაცია კი ყველაფერს ქალაქის გამგეობას მიაწერდა, შესაძლოა საქმეში გაუთვითცნობიერებლობის ან მათთვის საძულველი ქალაქის გამგეობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით...

...ერთ ასეთ დღეს ციხე-სიმაგრის შტაბიდან ჩემთან გამგეობაში მოვარდა შიკრიკი, რომელმაც საიდუმლოდ მაცნობა, რომ ციხე – სიმაგრის კომენდანტთან დანიშნეს სამხედრო საბჭოს თათბირი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ქალაქის გამგეობის შენობის აღება, მრავალი პირის დაპატიმრება და საერთოდ ქალაქთან სასტიკი ანგარიშსწორება. შიკრიკის თქმით, სასწრაფოდ უნდა მიმეღო ზომები, რადგან დაყოვნებით შეიძლება უბედურება დატრიალდებულყოფიყო. ყოველივე ეს იქნებ გაზვიადებულიც იყო, მაგრამ ქალაქში შექმნილი მდგომარეობა იძლეოდა საბაბს, რათა ეს ინფორმაცია სინამდვილისგან მოწყვეტილად არ მიგვეჩნია.

გამგეობის წევრთან, აწ გარდაცვლილ **ვოლსკისთან** ერთად დაუყოვნებლივ გავემართეთ ციხე – სიმაგრის კომენდანტთან. ჩვენი მიღება არ სურდათ, მაგრამ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ჯერ მისაღებში შეგვიშვეს, 20-30 წუთის შემდეგ კი – კომენდანტის კაბინეტში, სადაც სამხედრო გენერალ-გუბერნატორის მეთაურობით მართლა შეკრებულიყო სამხედრო საბჭო, რომელშიც მონაწილეობდნენ თავად ციხე-სიმაგრის კომენდანტი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **მდივანი** და სხვა საჯარისო ნაწილების მეთაურები.

ფეხზე მდგარი გენერალი-გუბერნატორი ფონ-პარკაუ (ყველანი ფეხზე იდგნენ) ჩვენს მიმართ გამანადგურებელი სიტყვით გამოდიოდა. ყოველგვარი მისალმებისა და ეტიკეტის დაცვის გარეშე მან განაცხადა, რომ არც მდგომარეობა, არც ასაკი, არც ვადღებულებები არ აძლევს მას უფლებას, აიტანოს ქალაქში შექმნილი მდგომარეობა და ამიტომაც არ ფარავს, რომ მომხდარი ექსცესების, გაფიცვებისა და სხვათა გამო პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებს ქალაქის გამგეობას და პირადად ჩვენ. მან განგვიცხადა, რომ (ვიმეორებ მის სიტყვებს): „სადავეები დაჭიმულია. ცხენებმა ლამის აიწყვიტონ და ამ კატასტროფის ყველა შედეგი თქვენ გეკისრებათ“.

სერიოზული წუთებით ნერვების დაძაბულობამ და ჩვენს მიერ მოსმენილმა გრძელმა სიტყვამ, რომელიც ლამაზი, მაგრამ მეტად მკაცრი ტონით იყო წაკითხული, დამენამარა მე, იმგვარი სიმტკიცითა და აღელვებით გამეცა პასუხი ამ გამოსვლაზე, რომ აფეთქებამდე მისული დაძაბული ატმოსფერო, შეიძლება ითქვას განიმუხტა.

მე ვთქვი, რომ არც ჩემი მდგომარეობა, არც ასაკი, არც აღზრდა და არც სამოქალაქო ვალი არ მაძლევს ნებას ქალაქისათვის ამ უმნიშვნელოვანეს გადამწყვეტ დროს ჩვეულებრივი პირდაპირობითა და გულწრფელობით არ გამოვხატო გაკვირვება საქმეში გაუცნობიერებლობისა და იმ მიზეზთა გაურკვევლობის, რაც ხდება საერთოდ ქვეყანაში და კერძოდ ქალაქ ბათუმში. ეს კი ნაწილობრივ გამოწვეულია ქალაქის გამგეობის როლის არცოდნითა და არცნობით. ჩამოვთვალე მრავალი ფაქტი, რომლებშიც დამნაშავე იყო თავად ადმინისტრაცია, გამოვთქვი აღშფოთება კაზაკების დაუსჯელობის გამო, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ 11 ადგილობრივი მოქალაქის ყოველად დაუმეგებელ და საზარელ მკვლელობაში.

მე ვსვამდი კითხვას: თუ არა თავდაცვა, რა დარჩენოდა მოსახლეობას, რომელიც ვერ ხედავდა დაცვით ღონისძიე-

ბებს სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლების მხრიდან.

ზუსტად არ მახსოვს, კიდევ რაზე, მაგრამ ვლასპარაკობდი დიდხანს და აღელვებით, როცა დავამთავრე, გენერალ-გუბერნატორმა გვთხოვა-დავმსხდარიყავით და უკვე მშვიდი საუბრის ტონით შევუდექით იმის განხილვას, თუ რა ზომების მიღება იყო საჭირო.

ვამტკიცებდი, რომ შექმნილი დაძაბულობა მოსახლეობასა და კაზაკ-პლასტუნებს შორის არ შეიძლება უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. ვინაიდან ეს უთუოდ გადაიზრდებოდა რაიმე კიდევ უფრო საშიშ ფორმაში, რომ საჭირო იყო ქალაქიდან კაზაკების გაყვანა, ხოლო თუ ციხე-სიმაგრის გარნიზონის გაძლიერება მოგვიხდებოდა, ამისათვის კაზაკების ნაცვლად შეიძლებოდა ჩაგვენაცვლებინა ქვეითი ჯარის ნაწილები.

საკითხთა განხილვა, რამდენადაც მახსოვს, 3-4 საათს გაგრძელდა.

შედგება გადაწყდა: მეორე დღესვე თბილისს, კავკასიის მეფისნაცვალთან გამგზავრებულიყო შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი **მდივანი** და ციხე-სიმაგრის ინჟინერთა უფროსი, პოლკოვნიკი **პომორსკი**, მოთხოვნით გაეყვანათ ბათუმიდან კაზაკები და მათ ნაცვლად შემოსულიყო ქვეითი ჯარის სხვა ნაწილები, ჩემგან მოითხოვეს პარტიულ ორგანიზაციებზე ზემოქმედება (თითქოს მე შემემძლო ზემოქმედება!), რათა დელეგაციის თბილისიდან დაბრუნებამდე „ჩამოვარდნილიყო მშვიდობა“, ე. ი. ადგილი არ ჰქონოდა მათი მხრიდან ექსცესებს, რაც უთუოდ სისხლისღვრას გამოიწვევდა. ბუნებრივია, მათ მივეცი სიტყვა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვიღონებდი და იმავე დღეს მივმართე თხოვნით **კ. ჩხეიძესა** და სხვებს, დაეცვათ ეს მოთხოვნა თბილისიდან ჩვენს დაბრუნებამდე, რაზედაც თანხმობა მივიღე.



ძალიან ხშირად სიამოვნებით ვიგონებ ორ უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის არსებით გარემოებას:

როცა გვიან საღამოს, სამხედრო საბჭოს თათბირიდან უკან მობრუნებული მე და **ვოლსკი** დამშეულნი მივედით ჩემს ბინაში დასანაყრებლად (რაც ღმერთმა, გვიბოძა იმით), ცოლმა გვკითხა, საიდან მოვედით ასეთი გადაღლილები, მაშინ მას ვოლსკიმ დაახლოებით ასეთი სიტყვები უთხრა:



**შაქრო მდივანი**

„თქვენ არ იცით, რა ბრძოლა გადაგვხდა და როგორი გმირი იყო თქვენი ნიკო“. სადილის შემდეგ, როცა შევხვდი შტაბის უფროსს, – **მდივანს**, მან მაგრად ჩამომართვა ხელი და მითხრა – რომ არა ჩემი წარმატებული გამოსვლა, ქალაქს მართლაც დიდი საშიშროება ემუქრებოდა. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ საშიშროების შესატყობინებლად შიკრიკი სწორედ შაქრო მდივანმა გამოგზავნა.

მეორე დღეს ჩვენ – სამი დელეგატი – მეფისნაცვალთან მისართმევი ქაღალდებით გავემართეთ თბილისს. ჩასვლისთანავე მივიღეთ კავკასიის მეფის-ნაცვლის მოწერილობა ბათუმიდან კაზაკთა გაყვანისა და ოზურგეთიდან რომელიღაც სამხედრო ნაწილის გადმოყვანის თაობაზე.

ბათუმში ჩემი არყოფნისას, სამი დღის განმავლობაში მომხდარი არეულობის შემდეგ, როცა დაიწყო დაპატიმრებები და ჩხრეკები, **კ. ჩხვიძემ** და მისმა ამხანაგებმა ჩემი ბინა ერთი ღამით თავიანთ თავშესაფარად გამოიყენეს. ბრალდება ამის თაობაზე წაუყენეს ჩემს მეუღლეს, რომელიც წინ



აღუდგა ბინის განხრეკის მოთხოვნას, ვინაიდან ეს მოთხოვნა წამოყენებული იყო უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ.

თბილისიდან დაბრუნებისთანავე ჩემს ბინაზე მოიბრინა ჩემთვის უცნობმა უფიცურმა **იოსელიანმა** და საიდუმლოდ მაცნობა სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც უნდა მოეხდინათ ჩემი და **ვოლსკის** დაპატიმრება და ლიკვიდაცია.

ეს გადაწყვეტილრება როგორ სიგიჟედაც არ უნდა მიმეჩინია, სრულიად შესაძლებელი იყო და იმავე დღეს დილის მატარებლით მე და ვოლსკი გავემგზავრეთ (გავიქეციო!) თბილისს, გამოვცხადდით მეფის ნაცვლის კანცელარიაში და ვთხოვეთ, ეცნობებინათ მისთვის, რომ ჩვენ ვეღარ დავბრუნდებოდით ბათუმში, ვინაიდან იქ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

მე და ვოლსკი სასტუმრო „ორიანტში“ შევჩერდით. ერთი თუ ორი დღის შემდეგ გვეახლა მეტად პატივსაცემი გარეგნობის გენერალი, რომლის გვარი აღარ მახსოვს და გადმოგვცა მეფისნაცვლის თხოვნა – დავბრუნებულიყავით ბათუმში, სადაც ეს გენერალი განსაკუთრებული უფლებებით დაენიშნათ და ჩვენი უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. ჩვენ მასთან ერთად დავბრუნდით ბათუმში.

მდომარეობა სწრაფად იცვლებოდა, რეპრესიებთან ერთად რევოლუციური გამოსვლების შესუსტება იწვევდა საარჩევნო წარმომადგენლობითი ორგანიზაციების დაარსებას. ქვეყანა თითქოს ელოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს საშუალებით დამყარდებოდა ჭეშმარიტი საპარლამენტო მმართველობა. ყოველ შემთხვევაში, ინტელიგენციის თითქმის ყველა ფენას სწამდა, რომ ამის მიღწევა შეიძლებოდა რევოლუციური, ლეგალური გზებით. მოვლენათა განვითარებამ ყველა დაარწმუნა, რამდენად ეფემერული იყო ეს ოცნებები... **(რამაზ სურმანიძე**, ივანე ანდრონიკაშვილი ბათუმის ქალაქისთავი, თბილისი, 2010 წ. გვ. 67-126).

## ივანე ზურაბიშვილი (1872-1940)

### გრიგოლ ვოლსკი

იანვრის მიწურული უნდა იყოს, ქუთაისის მოკლე ზამთრის შუა ხანი. ფანჯრის მინები მუქ-თეთრად არის მოქარგული, ჰყინავს, მაშასადამე, თან ზენაქარი, ზაფხულ-ზამთარ ერთნაირად უსიამოვნო სტუმარი, წვრილ თოვლს ათამაშებს ჰაერში. ჰცივია. ვედარ ვუძღვებ სიცივეს, -რადაც სათამაშოთი ვირთობ თავს, მაგრამ გაყინული თითები არ მემორჩილებიან და წუწუნს ვიწყებ.

– მცივია, მცივია, – რადაც სათამაშოთი ვცდილობ მივიქციო ვისიმე ყურადღება.

– რამ შეგაცივია? რომ არც ისე ჰცივია! –

გამომიჩნდა მანუგეშებელი. ამ სიტყვებით მოდის ჩემსკენ ყმაწვილი, ხელს მკიდებს და მეუბნება:

– აბა, მოდი, გასწავლი, როგორ უნდა გათბე.

ხელიხელ ჩაკიდებული იწყებს ოთახში ერთის კუთხიდან მეორეში ჩქარ სიარულს; ჯერ ვუძალიანდები; ფეხს უკან ვითრევ. მერე კი ცოტ-ცოტა ვიწყებ ფეხის აყოლებას და მის ჩქარ ნაბიჯს ვუმარჯვებ ჩემს სირბილს.

ამასობაში რადაცას მიაშობს, მართობს და ბოლოს იმდენს ახერხებს, რომ მხიარულ გუნებაზე მაყენებს და აგერ რომ სულ ცოტა მაკლდა ტირილი დამეწყო, ვიცინი კიდევ. პატარა თიკანსავით ვხტი და რადაცას ვტიკტიკებ.

რას მიაშობდა, ან მე რას ვეუბნებოდი?რადა მახსოვს!

მახსოვს მხოლოდ **გრიშას** ვეძახდი. მაგრამ, არა, მახსოვს კიდევ ერთი რამ: მასწავლა, როგორ შეიძლებოდა აგდარის კარგ დარად გამოცვლა.

– თუ წვიმს ან სთოვს, ერთის სიტყვით, თუ ცუდი დარი დგას და გინდა, გადაიღოს, და გამოიდაროს, უნდა წაიღო

ფარდაგი, წახვიდე და, წყალწითელაზე რომ დიდი გამოქვაბულია, – ხომ გახსოვს, ზაფხულში სასეირნოდ რომ ვიყავით, გიჩვენე. შიგ შევედით კიდევ, – იქ უნდა მიხვიდე და იმ გამოქვაბულს ააფარო ის შენი ფარდაგი, იმ წამსვე გადიდებს, რაც უნდა თავსხმა მოდიოდეს, გამოიდარებს და მზე გამოვა.

რა დარწმუნებული ვიყავი ამ საშუალების სინამდვილეში. რა რიგ მჯეროდა რომ ავდრის დარად შეცვლა ჩემს ნებაზე იყო!

უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ სწორედ ავდარში უნდა წავსულიყავ, მერე ისე შორს და თან კიდევ უშველელი ფარდაგი მეზიდნა.

და კიდევ წყალწითელის ხეობა თავის მიძინებულის მდინარეთი, თავისის ხშირის ბუჩქნარით და ტყით დაბურულის კალთებით, რომლის ძირშიაც მეგულვებოდა გამოქვაბული, ეს ხომ ალების სამფლობელო და ჭინკების ნამდვილი ბუდე იყო! ვინ იცის, ქაჯებისა და მდეგების საბინადროც იქნება იქ ყოფილიყოს.

ერთის სიტყვით დარის მოსაყვანი ჩინებული საშუალება ჩემ ხელთ მქონდა, მაგრამ არასდროს არ ვცდილვარ მის გამოყენებას.

გაიარა იმ ზამთარმა, გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა. და მათ სრულებით დამავიწყეს გამოქვაბული და ფარდაგი. გაიარა რამდენიმე სხვა ზამთარმა და ზაფხულმაც, მაგრამ ის **გრიშა** ჩემს გვერდით აღარ მახსოვს.

გიმნაზიადამთავრებული უნივერსიტეტში წასულიყო და დიდის ხნით დამეკარგა თვალთაგან.

დიდ ხანს დავრჩით ასე დაშორებულები, ის – სტუდენტი, ერთის ფაკულტეტიდან მეორეზე სიარულში თავის მოწოდების მაძებარი, მე კიდევ ბუნების წესის თანახმად, ბავშვურ განუხჯელობის მორჩილი, ადვილად ამტანი იმ უბედურობათა, რომელიც უხვად ათოვდა ჩვენს, გრიშას და ჩემს ოჯახს.

დაშორებული კი ვიყავით ერთმანეთს, სახელი ისე ხშირად იხსენიებოდა ოჯახში, რომ არა თუ მავიწყდებოდა, არამედ მუდამ თვალწინ მედგა ის ყმაწვილი, რომელმაც იმ ზამთრის ცივ დღეს ისე გამათბო და გამაბრათო.

ის სიტბო ნათესაურ გრძნობის სიტბოთი შემეცვალა და თუ ვისმე წამოსატრაბახებლად ძმა ჰყავდა ან ვინმე სხვა ახლობელი, მეც თავი მალლა მომქონდა და ვამაყობდი:

– ჩემი დეიდაშვილი გრიშა...

ასეთის გრძნობის მასაზრდოებელი გარემოება ის იყო, რომ, როგორცა ვთქვი, ხშირი იყო ჩვენს შორის, და-ძმებში და დეიდაშვილებში მისის სახელის ხსენება.

აი, ფაკულტეტი გამოიცვალა; აი ოდესიდან მოსკოვს გადავიდა. გაზეთში მისი ლექსია დასტამბულიო. ლექსისთვის ფსევდონიმი მოუწერია, **უმწიფარიძის** სახელიო.

ამას მოჰყვა მოსკოვის უნივერსიტეტიდან დათხოვნა, ყაზანში გადასვლა, რადგან შიდა-რუსეთის სხვა უნივერსიტეტების კარები დაუხშეს და იქ შესვლა აუკრძალეს. ბოლოს ისევ მოსკოვის უნივერსიტეტში დაბრუნება.

ყოველი ამ გარემოებათაგანი უხვ მასალას იძლეოდა ოჯახში სალაპარაკოდ და გრიშას მოსაგონებლად.

ერთ გაზაფხულის დამღევს გრიშა, როგორც იქნა, ჩამოვიდა ქუთაისს ოთხის, და შეიძლება ხუთი წლის განმავლობაში სამშობლოს მოშორებული.

რა ბედნიერი იყო თავისიანებში და თავის ქვეყანაში დაბრუნებით: რა მხიარული! რარიგ დავაჟაკცებუდიყო!

გრიშა! დიად, ეს სწორედ ის გრიშა იყო, რომელიც მე მახსოვდა, ოღონდ წვერულვაშს შეემოსა ყმაწვილი სახე.

ეს კი არ შემემჩნია მისთვის აქამდისინ: როდესაც ყურადღებით გისმენდათ, ცალს წარბს მალლა აიხრიდა, მთელის ტანის სიმძიმეს მეორე, დახრილ წარბის მხარეს გადაიტანდა და განივრად დაღებულ თვალებით მოგჩერებოდათ.

ამბების მოყოლის მოყვარულს და საუცხოვრო მოუბარს გამოუღეველი მასალა დაგროვებოდა ხანგრძლივ დაშორების დროს.

– რად მიატოვე **გრიშა**, საფილოლოგიო ფაკულტეტი?

– უნივერსიტეტში რომ მოვხვდი, ასე მეგონა, ლათინურ გრამატიკას გადავრჩი-მეთქი. მეტი არ აქვს თქვენს მტერს! აკი არ გამიჩნდა ერთი პროფესორი, რომელმაც თითქმის მთელი სამი თვე რაღაც სიტყვების ნათესაობითი ბრუნვის ისტორიას მონადომა. ძლიერ მინდოდა ფილოლოგიური დარგის შესწავლა, მოთმინებაც დიდი გამოვიჩინე, მაგრამ ამ პროფესორმა იმედი დამაკარგვინა, მიცემით ბრუნვამდე მივსულიყავი როდისმე. და რაკი ბუნებისმეტყველებამაც გამიტაცა, ავიღე და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადავბარგდი.

მართლაც გაეტაცნა ბუნებისმეტყველებას, – იმ ზაფხულს ნამდვილი საბუნებისმეტყველო კურსი გაგვიმართა მე და ჩემ ტოლ ჩემს სამ ნათესავ ბიჭს.

ნაცნობ საყვარელ ადგილებს, დიდის ხნის მოშორებულს, გული ვერ უთმენდა შინ ჯდომას, გავიყრებოდიოთ დილითვე ან ახალ ნასადილევს ქალაქსგარეთ ხან წყალწითელისკენ, ხანაც რაჭა-ლეჩხუმის გზით, ხან კიდევ აჯამეთის ტყისკენ მიმავალ შარათი, ამოუდგებოდიოთ ორნი ერთის მხრით, ორი მეორეთი, და იწყებოდა ნამდვილი ლექციების წყუროდა, რაც გაეგონა და ესწავლა, ნათლად და გასაგებად გადმოეცა ჩვენთვის.

საფილოლოგიო ფაკულტეტი მასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებად გვქონდა წარმოდგენილი და გადმოცემის ასეთს სურვილსა და უნარს რომ ვხედავდიოთ მასში, არა ერთხელ გვითქვამს მისთვის:

– ისე გიყვარს ახსნა-განმარტება და სწავლება, რომ ფილოლოგიურზე უნდა დარჩენილიყავ, გრიშა!

– მასწავლებელი ყველა განყოფილებიდან შეიძლება გამოვიდეს და გამოდის, მაგრამ ერთნაირად მართალი ვი-

ყავით მაინც, როდესაც ვეუბნებოდით, რომ ფილოსოფიურ ფაკულტეტზე უნდა დარჩენილიყო.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, თავის საგნით გატაცებული, თვალს გვიხედდა ბუნების კანონებზე, მის იდუმალ ცხოვრებაზე, დრო-გამოსვენებით ქართულ ლექსებსაც შეგვაყოლებდა და აქედან ხომ სულ ახლო იყო თვით ენაზედაც გადასულიყო. შემდეგში კი ქართული მართლწერა და, საზოგადოდ, ქართული დრამატიკა საუბრის საყვარელ საგნად გადაექცა.

მახსოვს, ერთხელ „ივერიას“ კითხულობდა, ერთბაშად შესწყვიტა კითხვა, მომიბრუნდა და მითხრა:

– მიკვირს, ილიას გახეთს როგორ მოსდის ასეთი შეცდომა.

ერთ-ერთს წინადადებაში შეხვედროდა სიტყვა „ვისმეს“, და ეს იყო, რომ ვერ მოენელებინა.

– „ვისმეს“?! რასა ჰგავს ასეთი წერა! არის ორი ნაცვალსახელი: „ვინ“ და „ვინმე“, რომელიც სწორედ იმასვე ნიშნავს, რაც ლათინური Qvi და Qvidam. ხომ გახსოვს, როგორ იბრუნება ლათინურში ერთიცა და მეორეც. ლათინური Qvidam შესდგება ნაცვალსახელიდან Qvi და უცვლელ დამატებისგან დამ. იგივეა ჩვენებური „ვინმე“ და ქართულადაც უნდა ბრუნავდეს მხოლოდ პირველი ნაწილი, მეორე კი უცვლელი უნდა რჩებოდეს, ამრიგად სახელობითი ბრუნვა იქნება „ვინმე“. ნათესაობითი – „ვისიმე“, მიცემითი – „ვისიმე“, მოქმედებითი-„ვითიმე“, „ვისიმეს“-კი ბარბაროსული ქართულია.

ძლიერ ეჯავრებოდა ქართული ენის მოტრფიალე გრიშას, როდესაც ზმნის ზედას თანით აბოლოვებდნენ, როდესაც ვეტყოდით, რომ თანი ისმის და იმიტომ სწერენ მას თქო, გვიპასუხებდა:

– მაშ, რამდენი დამწერია, იმდენი მართლწერა შემოიდეთ ბარემ. ქართული მართლწერა დიას რომ ძლიერ მარტივია. მაგრამ ეს მაინც არ არის იმის საბუთი, რომ, ვინც

როგორ მოისურვებს ისე სწეროს, აქაოდა ჩემს ყურს ასე ესმისო. ამრიგად, ვინმე ენამოხლექილი თავის გამოთქმებისამებრ დაიწყებს წერას და კიდე ერთს ახალ მართლწერას მოგვახვევს თავს.

არა, ბატონო, მაგნაირი განმარტება ძლიერ შორს წაგვიყვანს. მართლწერას თავისი კანონები აქვს. ზმნის ზედა ყოველთვის დონით უნდა დაბოლოვდეს და მაგის კანონიც ეგ გახლავს. ამ კანონს თავისი გამონაკლისი აქვს და ეს გამონაკლისი ის არის, რომ მხოლოდ იმ ზმნის ზედას დაბოლოება შეიძლება თანით, რომელიც ზედშესრულ სახელიდგან წარმოდგება, თუ ამ უკანასკნელის ძირი თან-ით თავდება. მაგალითად, არის ზედშესრული „აქეთი“ ან „იქითი“. აქედგან წარმოებული ზმნისზედა „აქეთ“, „იქით“, რა თქმა უნდა, დონით ვერ დაბოლოვდება, ოღონდ როდესაც სწერენ კარგათ, „ცუდათ“, „მჭირდოთ“ და სხვ. ეს ქართულის დამახინჯებაა.

– მოდი, **გრიშა** რაკი მასე გიყვარს ქართულ მართლწერაზე ლაპარაკი, შეადგინე ერთი დრამატიკა, – შენიშნა ერთხელ ერთმა ჩვენთაგანმა.

– დრამატიკის შედგენის რა მოგახსენოთ, მაგას ვერ გავბედავ, – მეტად ძნელი საქმეა და ცოტა სხვა მომზადება სჭირია მაგ საქმეს, ოღონდ მინდა თავი მოვუყარო ყველა ჩემ დაკვირვებას და იქნებ ერთ დღეს გამოვაქვეყნო შენიშვნების სახით.

გაიარა კიდევ რამდენიმე წელმა და გრიშა საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში, დიდხანს დაურჩა უნივერსიტეტში ყოფნა, მთელი ცხრა წელიწადი. ამის მიზეზი ფაკულტეტების გამოცვლა<sup>1</sup> იყო და ერთხელ უნივერსიტეტიდგან დათხოვნაც.

პირველ ხანს თავის სპეციალობას მისდევდა, ექიმობას, მაგრამ გუული სხვა მოქმედებას და სხვა მოღვაწეობას ეუბ-

---

<sup>1</sup> შეცდომაა. გრ. ვოლსკიმ სამი უნივერსიტეტი გამოიცვალა, მაგრამ საბუნებისმეტყველო (სამედიცინო) ფაკულტეტი არ გამოუცვლია.(რ.ს)



ნებოდა. არ გაუვლია დიდ ხანს, სულ სამ-ოთხ წელიწადს<sup>1</sup> თუ ემსახურა ესკულაპიპოკრატეს მეცნიერებას. თავი გაანება ადამიანთა ექიმობას, რომ სხვა უფრო რთულის სხეულის ჯანმრთელობა დაესახა მოღვაწეობის საგნად, და გახდა ქ.ბათომის გამგეობის წევრი.

სულ თხუთმეტიოდ წლის წინად საქართველოსთვის დაბრუნებულ ქალაქს ვინ გინდა არ ეპოტინებოდა და საქართველოს ამ ძველ ქალაქში თუ ვინმეიყო მოკლებული მზუნველობას და მნიშვნელობას, მხოლოდ ქართული ელემენტები. ქართული საქმე იყო დაჩაგრული.

როდესაც ზემოთ ვთქვით, სხვა უფრო რთული სხეული დაისახა თავის ზრუნვის საგნად მეთქი, ქართველი ერი და ქართული ეროვნული საქმე გექონდა სახეში. ბათომს ხშირად დაგდიოდი და ჩასვლის უმაღლ გრიშასთან გაგჩნდებოდი ხოლმე.

რა რიგ მხიარული და ხალისიანი დამხვდებოდა ხოლმე მახსოვს პირველ ხანებში, როდესაც მთელის თავის ენერგიით და ძაღღონით ეტანებოდა თავის საქმეს, ისე როგორ გამომიშვებდა, რომ ბათომის ბუღვარზე არ გავეტარებინე და არ ეჩვენებინა ბუღვარის ის ახალი ნაწილი, რომელიც ზღვისათვის წაეგლიჯათ.

წელს გაამაგრებდნენ ერთ პატარა ნაწილს, ჩაყრიდნენ ხეებს, გაისად მეორეს და ამრიგად, გაიხედავდი, რამდენსამე წელიწადში ბუღვარს ახალი ხეივანი მომატებოდა. ქუჩებში სეირნობის დროს ჩემს ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რა კარგა იყო მოვლილი და როგორ სუფთად შენახული ქუჩები, ქუჩების გასწვრივ დარგულ ტროპიკულ მცენარეულობას და ყვავილებს.

ერთხელ ეშმაკურად მანიშნა თვალით ელექტრონის დიდი ფარნები, რომელიც იმ ხანს მოეწყოთ ქალაქის გასანათლებლად და მითხრა:

---

<sup>1</sup> გრ. ვოლსკიმ ბათუმში ექიმად 9 წელი დაჰყო (რ.ს.)

– მთავრობამ ნება დაგვრთო ელექტრონით მხოლოდ რკინის გზის სადგურიდან ნავსადგურში მიმავალი ქუჩები გაგვენათებინა და ჩვენც მხოლოდ ის ქუჩები გავანათეთ ვითომ, ნამდვილად კი როგორც ხედავ, ის ქუჩებიც არიან განათებული, რომელნიც პირველთ სჭრიან, ე.ი. მთელი ქალაქი. მწვადიც შევწვიით და არც შამფური დაგვიწვავს.

– მერე რა ადვილი ხერხი ვისმარეთ, – ავიღეთ და ყველა ფარანი ქუჩების ჯვარედინებზე ჩამოვიკიდეთ.

ერთ-ერთ ჩასვლაზე მახარა:

– რომ იცოდე, რა მშვენიერი ანკარა მთის წყალი მოვიყვანეთ და რა იაფად დაგვიჯდა წყალსადენი!

ქალაქის სისუფთავე, განათება, წყალსადენის მოწყობა, ქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ყველა ამას თავგამოდებით ემსახურებოდა, მაგრამ ყველაზე დიდ მის სიხარულსა და სიამაყეს შეადგენდა სკოლები, რომელთაც ქალაქის თვითმმართველობა ხსნიდა.

საკმარისი რიცხვით როგორც სავაჟო, ისე ქალების სკოლები, – პირველდაწყებითი თუ სახელოსნო, სამოქალაქო თუ პროფესიონალური, – ძლიერ კარგად თუ დაყენებული და მოვლილი. მასწავლებლები, თუ სულ არა, დიდი უმეტესობა ქართველები იყვნენ.

ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაზე, მის პოლიტიკაზე იყო, რასაკვირველია, დამყარებული, რომ ყოველნაირ ჯურის ხალხით დასახლებულს, ინტერნაციონალს, როგორც ყოველსავე ნავთსადგურ ქალაქს, ბათომს ქართული სული შენახოდა და ქართული სახე დადებოდა.

**გრიშასაც** კარგად ესმოდა ეს და თავგამოდებით და დაუღალავად მუშაობდა ქართულ მოსახლეობის გაძლიერებისათვის, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ქართველობას, ვაჭარი იქნებოდა, მუშა თუ ხელოსანი, მკვიდრი ნიადაგი მოეპოვებინა, ფეხი მაგრად მოეკიდნა.

და აი, ამ აზრის განსახორციელებლად სკოლას ჰქონდა, მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა და უდიდესი

როლი. სკოლის საშუალებით უნდა გაძლიერებულიყო ქართული ენა და, რაც უმთავრესი იყო, სკოლას უნდა განემტკიცებინა ეროვნული შეგნება ეხლახან მშობელ ქვეყნის წიდალში დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ამავე მოსაზრებით, დიდის მხრუნველობით და სიყვარულით უვლიდა გრიშა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლასაც.

ერთხელ არ ჩავსულვარ ბათომს ისე, რომ თუ ახალი არაფერი არ იყო, ძველი რამ ისევე არ დაეთვალიერებინა ჩემთვის და რამე არ ეხარებინა და მუდამ, სიმღერის ჩასართავისა არ იყოს, ერთისა და იმავე დაბოლოებით:

ბათომი ქართული ქალაქია, საქართველოს განუყოფელი ნაწილი!

მუდამ-თქო, მაგრამ პირველ ხანს თუ ყმაწვილური ხალისი და გულის სიმხურვალე თან ახლდა **გრიშას** გამრჯელობას, შემდგომში რაღაც ნაღვლიანი ნოტები მომესმა მის ხმაში, შუბლი ნაოჭებმოყრილი მეჩვენებოდა და ზოგჯერ თვალებში სევდიან გამოხედვას ვხედავდი.

რაღაც ახალის სულის კვეთება ემჩნეოდა, რაღაც უკმაყოფილების მსგავსი გრძნობა იკიდებდა ფეხს მის გულში.

უკმაყოფილება რითი? ვისადმი?

ვინ იცის, რადგან ერთხელ რა არის, არ შემოუჩივლია...

კილოკავად, გადააკვრით, შორის სიტყვით უთქვამს ზოგჯერ: ძნელი საქმეა საზოგადო მოღვაწეობა, საზოგადოდ, და უფრო კიდევ ჩვენშიო. ბევრი კარგი თვისებაა თავმოყრილი ქართველის ხასიათში, ბევრი სიკეთე სჭირს, - ნიჭიერი, გონება მახვილი, გამჭრიახი, - ოღონდ ამ სიკეთეს და სულის და გონების სიმდიდრეს ზოგი ცუდი რამაც ახლავს, მაგრამ ეგ არაფერია, - უნაკლო სხვა ვინ არის ქვეყანაზე, ჩვენ ვიყოთ.

უბედურება ის არის მხოლოდ, რომ, ცუდი თუ რამ ვგჭირს, ისეთი, რომელიც განსაკუთრებით მავნებელია

ჩვენს პირობებში საზოგადო და კიდევ უფრო, ეროვნულ საქმისათვის.

საუბარში, სჯა-ბაასში დაუბრუნდებოდა ხოლმე გრიშას მისი უწინდელი ხალისი, გაცოცხლდებოდა, აიხრიდა თავისებურად ცალ წარბს, გადიხრიდა ტანს მეორე ფეხზე, რომელსაც მოიკოჭლებდა და მოგაჩერდებოდათ თავისის მხიარულის შექმითხავ თვალებით, ან თავისებურად აუჩქარებლად, მეთოდურად მოჰყვებოდა მუსაიფს.

თვალ წინ მიდგას ამგვარ მომენტების გრიშას სახე და რომ მომაგონდება, რომ ასეთი მომენტები უფრო და უფრო ძვირი ხდებოდა მის ცხოვრების უკანასკნელ წლებში, ეხლა, დაგვიანებით, გული დამიდონდება: საჭირო იყო იქნება ახლო მისვლა, უფრო ღრმად ჩახედვა იმ გულში, რომელშიც სევდიან გრძნობას მოეკალათნა და, მისისავე ღეჰის არ იყოს, გულ-ღვიძლის ღრღნა დაეწყო მისთვის.

როდესაც კაცს რამე აზრი აწუხებს, მოუსვენრობას იჩენს, შფოთავს, ადგილს ხშირ-ხშირად იცვლის, თითქო შემაწუხებელ აზრის ძველ ადგილზე დაგდება უნდოდეს და ამრიგად მისი მოშორება.

გრიშამ მიატოვა ბათომი და მასთან ერთად ის მოღვაწეობა, რომელსაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წელნი შესწირა. თბილისში გადმოვიდა და ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას მიჰყო ხელი ქართულ გიმნაზიაში.

ადგილიც გამოიცვალა და საქმეც, მაგრამ ვერ გაუმთელდა ერთხელ გაბზარული გული. ან კი ვინ გაქცევია თავის თავს და თავის აზრებს, თავის ჭირსა და მწუხარებას! თავის სულის განწყობილებას!

ერთხელ ლტოლვილი სიამე ძნელად თუ დაუბრუნდეს სულს.

იჭვი არ იყო, გრიშა სულის ერთგვარ მარტოობას განიცდიდა და ამ გარემოებას დაედო განსაკუთრებული ბეჭედი

მის ხასიათზე და სახეზე უწინდებურად აიხსნება ცალს  
წარბს, მაგრამ უწინ რომ მხიარული გამოხედვა მოჰყვებოდა  
ამ მოხერხებას, ეხლა რაღაც სევდიანობის ფერი გადაჰკრავდა.

დიდხანს ადარ დასცლია ქართულ გიმნაზიის მასწავლე-  
ბლად ყოფნა, – სულ ორ თუ სამ წელიწადს თუ იმასწავ-  
ლებლა და ადამიანი, რომელსაც ხშირად უთქვამს, ავად-  
მყოფობა რა არის, არ ვიციო, უეცარმა სენმა რამდენსამე  
დღეში გამოასალმა წუთისოფელს, მიუხედავად იმისა, რომ  
თავს ადგა თბილისის მთელი ქართველი ექიმობა.

დიდის ყურადღებით მეგობრები, რომელნიც მთელის  
თავის გონების და სულისა და გულის ძალით შეებრძოლ-  
ნენ უღმობელ სენს, რომ სიკვდილის კლანჭებიდან გამოეგ-  
ლიჯათ მათი საყვარელი **გრიშა**. თვითონ ასმევედნენ და  
უსობდნენ წამლებს და ამ მოვლის დროს არა ერთს ვედარ  
შეეკავებინა ცრემლი. მაგრამ აუცილებელი ხომ იმიტომაც  
ჰქვია აუცილებელს, რომ ვერ ასცილდები ან არ აგცილ-  
დება.

და აი, თვალ წინ მიდგება ამ უკანასკნელ წუთების  
გრიშას სახე.

დიდი სიცხე აქვს, ვედარავის ცნობილობს, ბოდავს და  
ბოღვაში გამოიხატება მთელის მისის სიცოცხლის აზრი,  
მთელი სიღრმე მისის გრძნობისა იმის მიმართ, ვისაც  
„ეტრფოდა მარად“.

ხშირ-ხშირად იდებს წინ მარცხენა ხელს და მის გულ-  
ზე, ვითომც ქაღალდი იყოს, მარჯვენა ხელის თითს ატ-  
არებს, თითქოს კალამი იყოს და სწერდეს, და თან ამბობს:

– უნდა მიეწეროთ ხონთქარს, ნუ ავიწროებს საქართ-  
ველოს. ამის უფლება არა გაქვს-თქო, თორემ ინგლისს მი-  
ვმართავთ. დაწერილებით უნდა მიეწეროს; ყველაფერი უნდა  
ავუხსნათ...

თითქო არ გვესმოდეს, ვინ არის ხონთქარი, უმატებს:

– სულტანუ... სულტანუ.

და გაათავებს ბოდვაში წერას თუ არა, თავს განსვ გადაიდებს, ხელებს, ქალაქად და კალმად რომ ხმარობდა, გადაშლის, გულადმა დაიდებს აქეთ-იქით ტანის გასწვრივ და დასძენს ისეთის ხმით, რომელშიც ისმის, – ხომ მართალია, ხომ დაგარწმუნეთ, რომ ასე უნდა მოვიქცეთ:

– უნდა მიეწეროს, უთუოდ უნდა მიეწეროს...

ერთხანს წევს უსიტყვოდ და მხოლოდ ხშირის, გაძნელებულის სულთქმის ხმა ისმის.

შემდეგ წამოიღებს ისევ მარცხენა ხელს, დაიდებს ქალაქად და იწყებს მარჯვენა ხელის თითით წერას:

– დაუფონებლივ უნდა მიეწეროს ხონთქარსაც და ინგლისის მთავრობასაც, რომ საქართველო არაფერ შუაშია... რუსეთის პოლიტიკის პაუსისმგებელი არ არის... უნდა მიეწეროს... არ შეიძლება, ხმა უნდა ამოვიღოთ...

რა მარტივსა და ახირებულ სიტყვებად გამოგვახატვინა, საყვარელო **გრიშა**, ბოდვამ მთელის შენის სიცოცხლის ზრახვანი და ნატვრანი, შენის ცხოვრების საგანი.

ამ საგანს უტრიალებდა ყველა დანარჩენ გრძობა და-კარგულ შენის გონების უკანასკნელი გამოკრთობა, იმ საგანს, რომელსაც, შეგნების პირველ წამიდგან მოყოლებული უკანასკნელ სულთქმამდე უგალობდი შენს ჰიმნს:

„შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად“...

## პირადი წერილები გრიგოლ ვოლსკისადმი და მის შესახებ ტკბილად მოსაგონარო ძმად ალექსანდრე!

აქ სტუდენტებში ამ უკანასკნელს დროს ბევრი არეულ-დარეულობა მოხდა და ზოგიერთზედ უნდა გითხრა: „დროებიდან“ იცი, ოთხასი სტუდენტი რომ ჯოგოვით გარეკეს სატუსაღოში, სადაც მთელი დღე და ღამე დარჩენ მშიერ-მწყურვალნი<sup>2</sup> ჩვენებურებიდან მხოლოდ ერთი „უმწიფარიძე“ მოხვდა საუბედუროთ<sup>3</sup>. საშინელი ის იყო, რომ არც პლედი და არც ფული არ მიგვატანიეს და რომ დიდხანს ყოფილიყო, კარგი არაფერი დაემართებოდა. მაგრამ



მოსკოვის უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ალექსანდრე მერაბის ძე **ლორთქიფანიძე**

<sup>2</sup> არეულობა მოხდა 1880 წ. სტუდენტები მოითხოვდნენ თავისუფლებას.

<sup>3</sup> გრიგოლ ვოლსკი



წარმოდგინე ჩვენი მხიარულება, როდესაც იმაზედ რომ ვლაპარაკობდით, თუ რა გვექნა მეორე დღეს, რომ სიცივით და ნახევრად შიმშილით კაცს არაფერი გაჭირვებოდა, კარი გააღო და შემოვიდა თვითონ. ასე გვეგონა მკვდარი გაგვიცოცხლდა... მთელი სტუდენტობა აღელვებული იყო რექტორზე<sup>4</sup>. ყრილობა მოახდინეს, თუ რა ექნათ და 12 იანვარს (უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს)<sup>5</sup>, როდესაც გარეშე საზოგადოებაც იყო-ეპისკოპოსი, გუბერნატორი და სხვა. და სხვა, იმ დროს რექტორს რომ „ანგარიშის“ წაკითხვა უნდოდა, შეიქნა სტვენა, ამას ტაშის კვრაც მოჰყვა ზოგიერთისგან, მაგრამ თავისი ქნეს მაინც და მთელი ნახევარი საათი შტვენა, არეული ხრიალი იყო ზალაში. რექტორს შეურაცხება მიაყენეს, რომელმაც მშვიდობით ჩაიარა. ამას წინათ კი ერთს პროფესორს თვითონ აუდიტორიაში ლაყე კვერცხები და ჩადებული კიტრები მიატრყეს და მთლად გათათხეს, იტყვი, სისულელეაო, მეც დაგეთანხმებოდი, რომ მიზეზი არ ვიცოდე, თუნდაც ეს მიზეზი არც სულ ამართლებდეს სტუდენტებს... ღვთის მადლით, ახლა დაწყნარდა ყოველისფერი და საქმე თავის დონეში ჩადგა. ამას კი გეტყვი, რომ ჩვენებური სტუდენტები არ იღებენ მონაწილეობას ამ არეულობაში-მყუდროთ არიან... საუბედუროთ ეს მყუდროება კინაღამ არ დაირღვა მას აქეთ, რაც წიგნი მოგწერე, -კინაღამ წრე არ დაიშალა ზოგიერთების, ვიტყვი, თავხედობის გამო, ეს დიდად სამწუხარო იქნებოდა, მაგრამ მალე დაქრა ცეცხლი ზოგიერთების მეცადინეობით...<sup>6</sup>

*შენი ძმა და მეგობარი ევ. მჭედლიძე*

<sup>4</sup> რექტორი ნიკ. საბას ძე ტიხონრაგოვი

<sup>5</sup> მოსკოვის უნივერსიტეტი დაფუძნდა 1755 წ. 12 იანვარს.

<sup>6</sup> იგულისხმება გრ. ვოლსკის მიერ ჩამოყალიბებული სათვისტომო

1881 წ. 8 თებერვალს. მოსკოვი  
ესტატე მჭედლიძე გრ. ვოლსკის

**ძმაო გრიგოლ!**

შუა-ღამეს ნახევარი საათი უკლია. მომილოცავს შენთვის და ერთად ყველასთვის ახალიწელიწადი! ნეტავი შარშანდელეებ თამამად შემეძლოს ესთქვა – „გაუმარჯოს საქართველოს მეთქი“. კაცო, ვინ, სიდგან და როდის გწერ? გრიგოლ, მოიცალე ორ მინუტს მაინც ჩემთვის და შედი ჩემი სულის მდგომარეობაში, ნახე ჩემი გული... იქნება, შე კარგო კაცო, ისე გამოფუტურებული, უშინაარსო გეგონოს, ყურადღების ღირსი?... ესეც შეიძლება, – მეც თვითონ აღარ მიმაჩნია ჩემი თავი ცოცხალთა შორის; წყაროდგან წყლის დაუღეველად წამოსვლამ გამათავა!... მაგრამ რა! შეიძლება ეს ჩივილიც, ეს გულის ტკივილიც, ეს სულის ტანჯვაც ტყუილი იყოს, იქნება თავის მოტყუილება იყოს!... იქნება ის ცეცხლიც, გულში ანთებული რომ მეგონა, მოჩვენება იყო! იქნება, იქნება... ფშუტ ჩემს გუდას!... ეს იყო ჩემი ფაფხური, ჩემი ყვინჩილობა?

იქნება ყოველი ეს ქარის მობერილი იყო და ქარმა წაიღო კიდევ!... ვითომ ასე იყო?! შეიძლება, ათასჯერ შეიძლება. მაშ რაღათ გწერ ამ წიგნს? რაღა არის ჩვენ შორის საკავშირო? რატომ შთამბერავს ხოლმე შენი და გოგიას<sup>2</sup> მოგონება რაღაც იმედის მსგავსს? რატომ გამწვავს ხოლმე მთლად ტანში თქვენნი მოგონება?... ჩემი გული რატომ გრძნობს რაღაც საღავათს თქვენი მოგონების დროს? მითხარი – რატომ?... მითხარი, რატომ ვგრძნობ, რომ თითქოს მკედრეთით აღვსდგები, როდესაც თქვენ ჩემს ახლოს იქნებით? მითხარი! ან და იქნება ესეც თავის მოტყუება იყოს? მე ხომ თავის ნდობა დამიკარგავს, აღარ

<sup>1</sup> იგულისხმება მოსკოვიდან დაბრუნება, უმაღლესის დაუმთავრებლად.

<sup>2</sup> გრიგოლ ელიავა.

მგონია (გრძნობები) არ მდლატობდნენ... ერთი კია, არავის ვემდური, თუნდაც არც არავის ვემადლიერები, გაცივებულის გულით ვუჭურებ ყველაფერს, ყველაფერს ვერიდები, მხარს ვუვლი, თითქო კაცური საქმე ჩემთვის შექმნილი არ იყოს... ცხოვრება ჩემს საყვედურს ვერ ეღირსება... ან რა დავაყვედრო? ან რა მოუცია, ან რა წაურთმეგია!

ეჰ! ნება იყოს ღვთისა და კაცის, რაც ჩემს თავს მოხდებოდა... მაშ გაგიმარჯოს ისევ თქვენ! იცოცხლეთ საქართველოს სასიქადულოდ და თუ თქვენს წრეში გამოვსხლტე, მაშინაც ნუ ამავლებთ თვალს, ჩემსკენაც შემოიხედეთ ხოლმე!

შენი ევ. მჭედლიძე  
1881 წ. 30 დეკემბერს  
ს. ლაშე

1882 წ. 3 მარტს, ქუთაისი

### ესტატე მჭედლიძე გრიგოლ ვოლსკის

ბამიკო გრიშა!<sup>1</sup>

მადლობელი ვარ... ხელი მომეცია... ქუთაისში ვარ, ეპისკოპოსის კანცელარიაში; მგონი სეკრეტრის თანაშემწე ვაგხდი. მინდა, თუ მოვახერხე, ბინა გავიჩინო და ჩემებურად მოვეწყო... ჯერ კი სხვასთან ვარ (**თემურაზ ლეჟავასთან**)<sup>2</sup> სტუმრად... აქ მოძრაობა ეტყობა ჩვენებს და მოძრაობა, იცით, როგორიც უნდა იყოს იგი, სიცოცხლის ნიშანია. **კატკოვმა** თავისი **რეჟოვით** რომ კარგი ნიშადური წასცხო ჩვენს ეროვნულს გრძნობას-მადლობას ვუძღვნი<sup>3</sup>... კორესპოდენტს რეჟოვს, რომელიც ერთჯერ ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელიც ყოფილა. წინასწარმეტყველება აღსრულებდა, როგორც იწერებიან თბილისიდან, მხოლოდ ცენზორის მაგიერ თვითთონ მას „დააკერებენ გვერდებში“

ზორბად“... თბილისში სალიტერატურო საღამოები ბევრგან გაჩაღებულა. ზოგან აღარც ხუმრობენო. აქაც არ ჩამორჩებიან უკან. მთარგმნელი ქალების წრე ცალკეა: **ნიკოლაძის კატო**<sup>4</sup>, **ხელთუფლიშვილის** ქალები<sup>5</sup>, **ელენა ლორთქიფანიძისა**<sup>6</sup> და სხვანი. მგონია, სხვათა შორის ითარგმნოს ტურგენევის „Накануне“, ამას გარდა არის ერთი საზოგადო წრე ქალების და კაცების. ახლად შობილია. სულ სამჯერ იყო კრება. იწერება რეფერატები ქარ. ისტორიიდან, ზეგისტვის შენს მონას აქვს წასაკითხავად **გიორგი მესამეზედ. აკაკი** იყო ერთხელ (ახლა თბილისშია), ბევრი გვაცინა თავისი ანეგდოტებით... უფრო ასიამოვნა ყველანი: **ნ. დადიანი**<sup>7</sup> თავის სხვა და სხვა შენიშვნებით... აქაური ტეატრის შენ არაფერი იცი. ქართული გაზეთები მდუმარებენ, – „დროება“ არ ვიცი რატომ, „შრომა“ კი განზრახ. იოლად მიდის საზოგადოება. ყველაზე უკეთესია **ბ. მაღრაძე** თავის დით<sup>8</sup> მშვენივრად თამაშობენ ტეტიას როლებს. კარგი რამე იყო მაღრაძე ხინჩლაით. რუსული ტეატრი, რასაკვირველია, ბევრად უკეთესია... გიმნაზიაში ბევრი ქართველები ასრულებენ კურსს. ბევრი კარგი ყმაწვილია, ქართულ ენას, ისტორიას შეისწავლიან. საღამოებზედ დადიან, თავის კერძო საღამოებიც აქვთ. მე ვისაც ვიცნობ, პეტერბურდისაკენ უფრო მიემშურებიან... „შრომა“ შრომობს თავის გაუმჯობესებისათვის. თუ ეტყობა. გუშინსწინ რედაქტორმა „შრომის“ ახლო კაცები მიიწვია „შრომისვე“ ანგარიშზე. მეც(?) მახსენეს. გიახელი „შრომის“ რედაქციასთან ერთად დროს გასატარებლად“... როგორც ეწერა ბარათში. იქნებოდა ასე 25 კაცი და ქალი. ცენზორიც მოეწვიათ. შეიძლება გინდოდეთ დამსწრეთ გაცნობა, ქუთაისის ლიტერატურული დონის შეტყობა: **დ. დადიანი**<sup>9</sup>, თავის ამხანგით, **კ. ლორთქიფანიძე**<sup>10</sup>, **ალ. ჭიჭინაძე**<sup>11</sup>, ორი **თუმანიშვილები**<sup>12</sup>, **დ. ბაქრაძე**<sup>13</sup>, **მ. ქიქოძე**<sup>14</sup>, **აბდუშელიშვილი**<sup>15</sup>, **თლეჯავა**<sup>16</sup> და სხვანი. ნუ იფიქრებ, რომ ყველა ესენი ერ-

თობ თავს იწუხებდნენ!... ვახშამზე სადღგრძელოები ითქვა. **ნაზაროვმა**<sup>17</sup> – ხოზიაიკა „შრომის“, ტოსტი წარმომართა... ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, რომ კვირაში ორჯერ გამოვიდეს გაზეთი. ზოგი ამბობდა უმასალობას. თავისუფალ კაცების შოვნა არ შეიძლებაო უფულობის გამო. ხელის მომწერების რიცხვი ადის 450-მდის. მეც შემხვდა სპიჩის თქმა. იმის ჰაზრი იყო: – რას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი გაზეთი? სად იმალება მტერი? ვისაც პრინციპი გულის ღტოლვილებად, ბუნების მოთხოვნილებად გარდაქცევია, იგი ამ საქმისათვის შრომას თავის სასაიამოვნო შრომად ჩათვლის... იმედობენ, რომ კვირაში ორჯერ გამოიცემა „შრომა“, გრიშა, ძამია, გაგვიძვირე შენი კალმის ნაწარმოები? მე არ ვამბობ პოეზიაზე. შენ თვითონ ვერ იტყვი – მუზა როდის გეწვევა. პროზას ნუ მოგვაკლებ. ხომ ხედავ „შრომას“ მასალა არ ჰქონია! შენც და გოგიაშაც<sup>18</sup> მოაშველეთ... ქაღალდი თავდება... მომიკითხე ყველანი დიდი პატივისცემით...

ერთი ჰქენი გრიშა ჩემო! გადასწიე და აკოცე ჩემს მაგიერ შენს და ჩვენს **გრიგოლს**<sup>19</sup>. ..ჰა, ჯან, ბიჭო, იცოცხლეთ! გრიგოლს (თუ გოგიას) ცალკე მივსწერდი, მაგრამ სიტყვა-სიტყვით ესევე გამოვიდოდა. მომწერეთ წიგნი, შემატყობინეთ თქვენი ამბები. გეთხოვები მეორე წიგნამდის.

**შენი ევ. მჭედლიძე**

---

**წერილი დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში, №10813-ს.**

1 გრიშა-გრიგოლ ვოლსკი.  
2 თეიმურაზ ვახტანგის ძე ლეჟავა გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიაში მსახურობდა მდივნად. მისი ადგილი ეპისკოპოსის კანცელარიაში შემდეგ ბოსლეველმა დაიჭირა.  
3 იგულისხმება „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ლაშქრობა ქართველთა წინააღმდეგ **დ. ერისთავის** „სამშობლოს“ წარმოდგენასთან დაკა-

- ვშირებით. **კატკოვი** ამ შავრაზმული გახეთის რედაქტორი იყო.
- ს. რიჟოვი** – კატკოვის გახეთის კორექსორენტი.
- 4 ეკატერინე იაკობის ასული **ნიკოლაძე** (1852-1931) მთარგმნელი, მოღვაწე, **ნიკო ნიკოლაძის** და.
- 5 **ბესარიონ ხელთუფლიშვილის** ასულები: **ოღლა, მარიამ, მინადორა, ელენე, ეფემია, ელისაბედ**. ამათი ძმა იყო მისეილი, ავტორი წიგნისა „Вступление Грузии в состав Российской империи“, ქუთაისი, 1901 წ. ოღლა ხელთუფლიშვილის ასულს უძღვნა ნიკო ნიკოლაძემ თავისი მხატვრული ნაწარმოები „Провинциальные картины“ (იხ. „Современик“, 1864 წ. №8 – „Ольге Виссарионовне Хелтупловой“).
- 6 ელენე დიმიტრის ასული **ყიფიანი** (1852-1890). **ანტონ ლორთქიფანიძის** მეუღლე.
- 7 **ნიკო ტარიელის ძე დადიანი**.
- 8 **ნ. მაღრაძე** – პედაგოგი. ქუთაისის თეატრის მუშაკი.
- 9 **დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი** (გარდ. 1895 წ.), „შრომი“ რედაქტორი.
- 10 **კირილე ლორთქიფანიძე** (1839-1918), „თერგდალეული“, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, **ილია ჭავჭავაძის** თაობის წევრი.
- 11 **ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე** (1851-1917) 1882 წლიდან ალექსი ჭიჭინაძეს უნდოდა „შრომის“ გამოცემის აღება. ალ. ჭიჭინაძე ქუთაისში სათავადაზნაურო სკოლის გამგე იყო, მსახურობდა თბილისშიც.
- 12 ორი **თუმანიშვილები** – **პაველე და ლევან ალექსანდრეს ძენი**.
- 13 **დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე** (1838-1918).
- 14 **მოსე ათანეს ძე ქიქოძე** (გარდ. 1914წ), ჟურნ. „მნათობის“ თანამშრომელი, შემდეგ სახელმწიფოვეტილი ვეჟილი.
- 15 **დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი** ( 1847-1919), კრიტიკოსი, ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელი. ნოტარიუსი ქუთაისში.
- 16 თეიმურაზ ლეჟავა – იხ. ზევით.
- 17 **ნაზაროვი** – **დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილი** (1854-1927), ექიმი, გაზ. „შრომის“ გამომცემელი დიმიტრი დადიანთან ერთად.
- 18 **გოგია გრიგოლ ლავრენტის ძე ელიავა** (1857-1925).
- 19 **გრიგოლ** (გოგია) **ლავრენტის ძე ელიავა**.

\*\*\*

ვოლსკის ლექსები და პუბლიცისტური წერილები ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის დღიდან იგი გაზეთ „შრომის“ აქტიური თანამშრომელი ყოფილა, მაგრამ 1882 წელს მას „შრომის“ რედაქციასთან უკმაყოფილება მოსვლია, რასაც მოჰყოლია ვოლსკის ჩამოშორება ხსენებული გაზეთის რედაქციისაგან.

უკმაყოფილება გამოუწვევია ამ გაზეთის 1882 წლის 42 ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიას. ვოლსკისადმი ტენდენციურად განწყობილ პირს ვოლსკის ნაწერებისათვის „ლიტერატურული ნაცოხარი“ უწოდებია. გრ. ვოლსკის გაზეთ „დროების“ 1882 წლის 229-ე ნომერში გამოუქვეყნებია წერილი სათაურით – „შრომის“ პასუხად». ამ წერილში იგი ნიდაბს ხდის მისდამი მტრულად განწყობილ ადამიანებს და საყვედურს გამოთქვამს „შრომის“ რედაქციის მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ვოლსკის პასუხზე უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქუთაისელი ამხანაგების კოლექტიური წერილი ვოლსკისადმი, რომელიც წარმოადგენს გვიქმნის იმაზე, თუ როგორ აფასებდა მოწინავე ინტელიგენცია ვოლსკის მოღვაწეობას და როგორ უჭერდა მხარს მტრებთან ბრძოლაში.

აი, ეს წერილიც:

**„მზალ გრიშა!**

საჭიროდ ვრაცხავთ რამოდენიმე სიტყვა გადმოგცეთ შესახებ იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც აღძრა ჩვენში „შრომის“ საქციელმა შენს წინაშე. ჩვენთვის მოულოდნელი იყო „შრომის“ რედაქციის სტატია (42 ნომერში დაბეჭდილი) მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ საქმის გარემოება არ იწვევდა მას.ჩვენ ვერ ვიფიქრებდით, თუ ამ ნიადაგზე ესრეთ შეუსაბამი ამომცენარდებოდა რამე. მთელი სტატია კინაღამ სამსეთ არის ფუქსავატი და უგნური დასკვნებით. უადგილოთ შეუკავებელი ფანტაზიით. ორში ერთი უნდა იქნეს. ამ



სტატიას უნდა დაერქვას ან უმეცრების და ან უპატიოსნების სახელი. ჩვენი უკმაყოფილება უფრო იმ ადგილმა გამოიწვია, სადაც შენს შენიშვნებს დაუმსახურებლად ამცირებს და აჩრდილებს რედაქცია. გულწრფელად გეტყვით ძმაო, რომ არც ერთ გონიერ და პატიოსან კაცს არ აქვს ნება, ჩვენის ფიქრით, ჩასთვალოს ან წარსული და ან აწინდელი შენი მონაწილეობა ქართულ ლიტერატურაში, დიდად პატიოსან და სასარგებლო, ლიტერატურულ „ცოხნათ“.

აი ჩვენი გულის პასუხი.

**ალექსანდრე გოგიჯანაშვილი, ე. ამაშუკელი, ვლემურია, შ.როსტომაშვილი, ა. გედევანოვი, ო. ანჯაფარიძე, ე. ჩაჩიბაია, ა. ხუციშვილი, მიხ. ხარჭაშვილი, ნოშრევან ხარაძე, ნიკოლოზ გვარამაძე, ა. ჭავჭავაძე, მიხა ჩხარტიშვილი“.**

## ესტატე მჭედლიძე გრიგოლ ვოლსკის

**ძამიკო გრიშა!**

რა უნდა მოგწერო, ნეტავი ვიცოდე მაინც, ჰე. შეურეკაო, იტყვი, დაგწყევლოსთ ღმერთმა, თქვენი მოგონება ჩემთვის სამოთხეც არის და ჯოჯოხეთიც. ამ წიგნს შეიძლება ახლა აღარ მოგწერდი, რომ **კეზელის2** აქ მოსვლას ჩემში-შენი და **ელიავას3** – სახე არ აემართა და ჩემი დაღუპული თავი წინ არ წამოეყენებინა. შენ იცი, ვამბობდი, შეიძლება დავეცე მეთქი. ნიშნები მოდიან. ჩემში კიდევ ბუშტავს ინსტიკტური რაღაც, დაიფსება როგორცა ჩანს, თუ დავეცემი, ჩემი ბრალი არ იქნება. ვიცი, რა ფიქრებსაც აღვიმართავ ამ სიტყვებით, მაგრამ რა?! შენ თვითონ მწერდი – გმირობის დრო წავიდაო, თითქო ჩემი თავი გმირად მეგულებოდეს როდისმე.

მედიკი ხარ, უნდა იცოდე ძალა გარემოებისა და გაცუდებულის მისწრაფების. ამით თავს კი არ ვიმართლებ-ცოდვილი და მომაკვდავი სისუსტეს აღვიარებ მხოლოდ... დავეხსნები ამაებს...

რატომ ერთი წიგნი არ მოიწერეთ ან შენ ან ელიავამ, განა არ იცით, რად ღირს ჩემთვის თქვენი სიტყვა?... ეგზამენები გაქვსთ? ჰო, კარგი, აწი მაინც მოიწერეთ. ჩემი რა გითხრა. ელიავას ამას წინედ ვსწერდი-ფულების გზავნას დავიწყებ მეთქი. გიმტყუნეთ! რამაც ეს მათქმევინა, გამიქრა ხელიდან. რა ვქნა, არ ვიცი, სამუშევარი ვერ მიშოვია. ჯერ „შრომაში“ ვშრომობ, მაგრამ გული ორად იყოფა-ერთი აქ არის და მეორე სხვაგან. კიდევ გეტყვი-რა ვჰქნა? Каким несообразными мечтаниями увлекаюсь иногда я!.. Что мне делать, когда прежде всего требуют, чтобы я имел право работать? Неужели люди должны страдать, когда могут и не страдать?! Ведь я теперь дармоедничая-живу на чужой счет, и чего мне это стоит... Тьфу, плевать на все, скажешь тогда... აქაური რა მოგწერო?! შესანიშნავს გახეთი გეტყვის და ჭორებით თავს არ შეგაწყენ. იქნება რამე იყოს საყურადღებო, მაგრამ, ხედავ რაც გუნებაზე ვარ მინდოდა გამოგლაპარაკებოდი და გამოგელაპარაკე.

მომიკითხე დიდის სიყვარულით გოგია ელიავა, **ძნელაძე<sup>4</sup>, შენი ძმა<sup>5</sup>** და ყველანი ერთად.

მომწერეთ რამე, მოიცალე ჩემთვის და მასიამოვნე.

**თოფურთან** გამობრუნდა, მარიამობისთვეში მანდ აპირებს საეგზამენოთ მოსვლას. სწავლის გაგრძელებას ფიქრობს კიევში. მე არა მგონია მორჩენილი, თუნდაც შეხედვით მოტყუვდება კაცი.

**შენი ევ. მჭედლიძე**

**1882 წ. 13 მაისს**

---

(დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში, №10811-ს.)

<sup>1</sup> გრიშა-გრიგოლ ვოლსკი.

<sup>2</sup> **დავით კეზელი** (1854-1906), პუბლიცისტი, კრიტიკოსი, „შრომისა“ და „დროების“ თანამშრომელი.

<sup>3</sup> **გრიგოლ ელიავა**, ექიმი.

<sup>4</sup> **ძნელაძე მისხილი**, ექიმი, ქმარი **მარიამ კლდიაშვილისა**.

<sup>5</sup> **ვლადიმერ ვოლსკი** პროვიზორი ქუთაისში, გრიგოლის ძმა.

<sup>6</sup> **სამსონ თოფურია** (1854-1904), ექიმი, საზოგადო მოღვაწე.

## მთარგმნელნო, დანო ლორთქიფანიძენო!

თუ უარს არ იტყვით, გიგზანის პლებევი ვინმე პატრიცი-  
ანთა ერთს კალათს ყურძენს. შესაძლო არს, რომ არ მოგე-  
წონოთ ჩუნემის განთქმულს ყურძენთან, მაგრამ მოიგონეთ,  
რას ეტყვის ირემი ირემსა (თუნდაც მე ირემს სულაც არ  
ვგეგვარ): შტო შენც გეშოვება, მაგრამ, იქნება ჩემგან გიამოსო.  
რასაკვირველია, კალათს და საღვეთქს დამიბრუნებთ და გა-  
მოაყოლებთ იმდენს მადლობას, რამდენიც კუმპალი ყურძენია.

**ტრფიალება** (ესე არს რუსულსა ენასა ზედა ПИОНЬ)<sup>2</sup>  
გარდისდიდა ანგელოსის დღეს. თქვენ ჩემზედ ადრე ნახავთ,  
ბოდიში მომხადეთ. მისალოცავი მზადა მაქვს. **ვარია** (რუ-  
სულსა ენასა ზესა Кирюха)<sup>3</sup> მანდ იქნება, ბრძანდებოდეს თა-  
ვის საჩვენებელის თითის ჰაერში დატრიალებით. მას და მის  
ამხანაგს **ნუნუას (ნინუცა)**<sup>4</sup> უთხარით, რომ ღამის დაახრ-  
ჩოთ ქუთაისელი დარბაისელი თქვენის გახირებითა თქო. მე  
ის მიკვირს, ვარიას რა ამდენი ზომევა უნდა გადაყლაპვისათ-  
ვის. **გრიშას** წერილს (ფელეტონს) წაიკითხავდა<sup>5</sup>. უჰჰ, ნამ-  
ეტან ლიბერალობს, ყური უნდა აუწიოს ცოტა ვარიამ. თუ  
**ნიკოლაძის**<sup>6</sup> არ ეშინია (მოიგონეთ ლაპარაკი იმ ღამისა),  
თან რომ ეს უთხრას: არა, ძამია, ყოველი რწმენა თუ სარწ-  
მუნოება პატივისცემის ღირსი არ არი თქო, თუნდაც წრფე-  
ლი დარწმუნებისაგანაც წარმოიშობოდეს თქო. ჰო, მაგან  
ძალიან ზედმიწევნით იცის (ნინუცაც მოეხმაროს, სუსტი  
ვარია არის), რომ **ლოიოლა**, **ტორკვემადო** და მისთანანი  
წრფელი მორწმუნენი იყვენენ, მაგრამ მათგან კაცის ღეშები-  
საგან ანთებული ცეცხლი, რომელითაც ლოიოლას ჯოჯოხ-  
ეთის უშრეტი ცეცხლის, გენიას დაქრობა უნდოდა, სულაც  
პატივის ცემის ღირსი არ ყოფილა. ის, გრიშა, რომ ვითომ  
კუდიანების დაწვას მოიგონებს ისტორიიდან, რა იყო თუ  
არა წრფელი გულისაგან მომხდარი, იმ წმინდა აზრით, რომ  
ხორცის დაწვით სულს გამოვიხსნით მათსასაო. ინკვიზიცი-  
ის უკეთილშობილესს (ნუ გაგიკვირდებათ ეს სიტყვა) წარ-

მომადგენლებს სწორედ ამ თვალთ უყურებს და ზვასებს ისტორიული ფილოსოფია, ან და უბრალოთ, კრიტიკა. მიიღეთ თუნდა შეწყინარებაში **ვიქტორ ჰიუგოს** დრამა „ტორკვემდა“. ეს ინკვიზიცია ერთი ამგვარ მოვლენათაგანია ისტორიაში, სადაც ათასს სხვას გამონახავთ. მაშ სტყუის ჩემი კარგი გრიშა?!... კი მეთქი, ვიტყვი და გავამართლებ მისივე ნამეტანად ჰუმანიურის, კაცობრიობის მოყვარულს (ЛЮБИВНА კი არა) გულით და რბილი, მგრძობიარე არსებით დევნილთადმი... მე კი ასე ვიტყვი: ყოველი რწმენა თავისუფალი უნდა იყოს თავის გამოთქმაში და პატივცემული ყველასაგან, ესე იგი, არა დევნილი, მაგრამ როგორც რწმენა. თუ რწმენა მოქმედებაში განხორციელდა, თუ ამ რწმენის მიხედვით მორწმუნე მოქმედებს, მაშინ კი ცოტა სხვა თვალთ უნდა შევხედოთ მას. თუ რწმენა პროგრესის დამაბრკოლებელია, ცხოვრების წინმსვლელობას აფერხებს, წინ ეხიდება დამაბრკოლებლად, როგორც რეალური, აქტიური მოქმედება, მაშინ ის რწმენა პატივის ღირსი სულაც არ არის, ის უნდა შეიძულო და სდევნო ყოველს ღონის ძიებით შეუბრალებლად, თუნდაც არა ერთისა და ორის ადამიანის გასრესაც მოჰყვეს ამას. **დარჯინი** სარწმუნოებას, როგორც სინიდისის საქმეს, როგორც რწმენას, არ ეხებოდა. მაგრამ უწყალოდ ექცეოდა იმ მოქმედებას, რომელიც ამ სარწმუნოებისაგან გამომდინარეობდა, თუ ეს მოქმედება პროგრესის დამაბრკოლებლად ჩნდებოდა. მაჰმადი-

**(დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში, №10816-ს.)**

- 1 დანი ლორთქიფანიძე – მერაბ ლორთქიფანიძის შვილები.
- 2 ტრფიალება – **ლუბა, გიორგი წულუკიძის ასული.**
- 3 **ვარია** – გრიგოლ **ვოლსკის** და.
- 4 **ნინუცა** – მერაბ **ლორთქიფანიძის** ასული.
- 5 გრიშა – გრიგოლ ვოლსკი. გრ. ვოლსკის ეს ფელეტონია „ებრაელების საქმე ჩვენში“, დაბეჭდილი „დროებაში“ (№ 186) 21 სექტემბერს.
- 6 ნიკო ნიკოლაძე.

ანობა სწორედ რომ პატივისცემის ღირსი არ არის, როგორც რწმენა, რადგან კულტურა, მეცნიერება მას ჟამივით სძულს. აი სად არის კაცი სრული თავისუფალი და სად შემოკლებულად თავისუფალი. ეს ერთმა ვიღაც ფილოსოფოსმა მოკლედ გამოხატა: რაც გინდა ის ჰქენი, ოღონდ სხვას ვნებას ნუ მისცემო. შევწყვეტ, თორემ ქაღალდმაც მიღალატა! ერთი კიდევ: ურიები და სომხები ღმერთმა კარგად ამყოფოსთ, მაგრამ მათი მსუნაგი თავი, რომ ხანდისხან ლაგმით დაიკაეო, როდი იქნება ნამეტანი.

### პლებუი ეგმჭედლიბე

## გიორგი იოსელიანი

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს გრ. ვოლსკი გატაცებით მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში. ეს ის დრო იყო, როცა რეაქციის შავბნელი ძალები ცდილობდნენ ძირშივე აღეკვეთათ ყოველგვარი პროგრესული მოძრაობა, ჩაესშოთ რუსეთში ახალფეხადგმული რევოლუციური კლასის პირველი გაბედული გამოსვლები.

ამ პერიოდში გრ. ვოლსკის თაოსნობით მოსკოვში შედგა ქართველთა სათვისტომო ორგანიზაცია, რომელმაც თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მოსკოველ სტუდენტობას შორის. სათვისტომო ორგანიზაციაში ხშირად კითხულობდნენ მოსხენებებს და რეფერატებს, სამშობლო მხარის საჭირობო-ტო კულტურულ-საქველმოქმედო საკითხებზე. სათვისტომოს ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა და დამხმარე საღარო. ქართველ სტუდენტთა სათვისტომო ორგანიზაციაში გრ. ვოლსკის მონაწილეობაზე მიგვითითებს სტუდენტი ამხანაგის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1883 წლის 13 მარტით. წერილიდან ირკვევა, რომ გრ. ვოლსკი ოჯახიდან რაღაც ამბის მიღების გამო შვებულებით ქუთაისში ყოფილა წამოსული. მოსკოველი ამხანაგი გრიგოლს

აცნობს უნივერსიტეტში სწავლის მიმდინარეობას, ჩასაბარებელ საგნებს: ქიმიას, დიაგნოსტიკას, ვენეროლოგიას, ბავშვთა ავადმყოფობას და სხვა. ატყობინებს, თუ რომელი საგნის გადატანა შეიძლება შემოდგომისათვის და ბოლოს წერს:

„სხვაზე როცა შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ მოვილაპარაკოთ, ახლა კი მარტო იმას გეტყვით, რომ მთელი წელიწადი ისე გავიდა თითქმის, რომ კრება არ გექნოდა. მარტო ამ უკანასკნელ დროს ორჯერ შევიყარეთ, ისიც იმიტომ, რომ საყვედური გვესმოდა ახალი წევრებისაგან თავის ამოურჩეველობაზე და უფრო იმიტომ, რომ ახალი კასირი და კომიტეტის წევრები ამოგვეჩია, რადგანაც **ელიაზა**, ათავებს კურსს და უნდა ჩაებარებინა. დავიწყეთ ესე. თავზე ვითომ გვინდოდა ზოგი მუხლი გამოგვეცვალა, ზოგი ჩაგვემატა, რადგან საჭიროდ დავინახეთ, მაგრამ როგორც იცი ყვირილზე მეტი ვერა გავაკეთეთ რა და რადგანაც ეგ ზამენებიც იყო მოახლოებული, ესეც შემდგომისათვის გადავდეთ. ვნახოთ მერმისისათვის დარწმუნებული ვართ, რომ შენც ჩვენთან იქნები.

### შენი ძმა გიორგი“

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ამ წერილის ავტორია გრიგოლ ვოლსკის თანაკურსელი **გიორგი იოსელიანი**. მაინც ვინ იყო გიორგი ონისიმეს ძე იოსელიანი? დაიბადა 1854 წელს თბილისში. 1878 წელს დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1880 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1885 წელს. ამავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის მიხეილის საავადმყოფოში. 1887 წელს გ. იოსელიანი გადავიდა შავი ზღვის სანაპიროების დასახლებათა სოჭის განყოფილების ექიმად. 1888 წლის აპრილიდან გ. იოსელიანი გადაიყვანეს გეოქიას მაზრისა და საავადმყოფოს მთავარ ექიმად. სწორედ ამ საავადმყოფოში მუშაობის დროს დახვლონდა გ. იოსელიანი, როგორც ქირურგი. აქ ჩაატარა მან მრავალი იშვიათი ოპერაცია, გ. იოსელიანმა პირველმა ამიერკავკასიაში გააკეთა ყბის სიმსივნ-



ნის ამოკვეთა პლასტიკური ოპერაციის ჩატარებით. პირველ-  
მა შეძლო აგრეთვე ჩიყვის ამოკვეთა, თირკმლიდან კენჭების  
ამოღება და მრავალი სხვა რთული ოპერაცია. 1891 წელს  
იოსელიანი არჩეული იყო პიროგოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ  
რუს ექიმთა მე-4 ყრილობის დელეგატად. პროგრესული იდეე-  
ბის მატარებელი გ.იოსელიანი მუდამ მოწინავე საზოგადოე-  
ბის პირველ რიგებში იდგა. მთავრობა მას არაკეთილსამიქლო  
პიროვნებად თვლიდა და თვალყურს ადევნებდა. 1900 წელს  
შავრაზმელების მიერ გაგზავნილმა აგენტმა გ. იოსელიანი  
მოკლა მისივე სამუშაო ოთახში.

(ირ. ტატიშვილი, თამარ დეკანოსიძე. მოსკოვის უნივერსიტე-  
ტი და ქართველი ახალგაზრდობა თბილისი: 1960 წელი, გვ. 6)

ქუთაისი, 8 იანვარი 1884 წ.

## ესტატე მჭედლიძე გრიგოლ ვოლსკის

**ჩემო მეგობარო გრიშა!**

მომილოცავს ახალი წელიწადი და გააკოცებ ყოვე-  
ლის კარგი წადილით. კარგი ქენი, რომ სიხუმე დაარღვიე,  
გამოწვეული რომ იყო ათასგვარის საქმეებით. შენ თუ ცუდად  
გრძნობდი შენს თავს, არც მე ვიყავ უკეთესს გრძნობაში.  
ხორცს კი, ჩემმა დღემ, არა უშავს რა,-ამ შემთხვევაში შენს  
ხვედრს ჩემი ხვედრი ჯობდა. იფიქრე, ლუკმა ქე გაქვს, არ  
გშია, არც გცივა... მაგრამ, რაღა გითხრა. მეწვია უსაძაგლე-  
სი გრძნობა: სიმძულვარე და ზიზღი იმ პირთადმი, რომელთ-  
აც მე უგულთადესს წადილსა და მისწრაფებას მომაკლეს.  
ახლა ვზივარ ჩინოვნიკად კანცელარიაში и акуратно с 8 до  
2-3-х часов дня отписываю бумаги и пересматриваю дела самого  
грязного, кляузного свойства. ეს კიდევ არაფერი, რომ ოხერ  
კაცებში არ ჩავეარდნილიყავი. Раз даже епископу<sup>2</sup> говорил по  
случаю поступления доноса, что я попал в шайку разбойников и  
гнусных интриганов... საკვირველია, გრიშა, ვინც არ მეგონა,



ის ჩნდება ინტრიგის ბუდედ, ვფიქრობ, ეს კაცები უაშისოდ ვერ იცოცხლებენ. მაგრამ რას იზამ, ჩვენ ჩვეულებრივი კაცები ვართ და ვემორჩილებით ბევრს რამეებს, თუ კი ნამეტანს არ გვიზამენ. წინედ „შრომისათვის“ შრომაში მაინც ვხედავდი მოსვენებას და კაცურ მუშაობას, მაგრამ ახლა, ესეც ხელიდან გამომეღალა. „შრომა“ ცენზორის ჭირმა შეიძლება გადაიტანა, მაგრამ, მგონია ისინიც მოცვდნენ, ვისაც ვალად ედვა მისთვის მუშაობა<sup>3</sup>. ჩვენი კირილე<sup>4</sup> უფრო ამას აბრალებს „შრომის“ შეწყვეტას. ცდილობენ, როგორც ეტყობათ, რომ ცენზორი აქ მისცენ, მაგრამ, ამის იმედი, რასაკვირველია, არ უნდა გეკონდეს და „შრომა“ გაუქმებულად უნდა ვიგულოთ. „დროებაში“ დავიწყე წერა „გარეშე მაყურებლის“ სახელით, მარა მასალა შემომეღევა ხოლმე. შენც დამეთანხმები, რომ მე ვერაფერი კრიტიკოსი ვიყავი, მაგრამ, როგორც ერიო, მისთანა მღვდელიო, რომ უთქვამსო, ისე ვიყავი მეც. თუ ვარგვარ, ვფიქრობ, ისევე ამ ასპარეზზედ ვვარგვარ ჩვენს ლიტერატურაში; მაგრამ ახლა სადა ვწერო? „დროებაში“ კრიტიკოსობა (სხვა სახელი კი ჯობია, მაგრამ ენას არ ადგება) ვერ ხერხდება, რადგან მისი კრიტიკოსები სხვანი არიან და უნდა გითხრა, მაკვირვებენ თავიანთის ვითომ და რეალურის მიმართულებით. აიღე „ქეთევან წამებული“,<sup>5</sup> შენ არ ვიცი რა აზრისა ხარ და მე კი ეს პიესა თითქმის თავიდან ბოლომდის *кажется вздорною*; ტყუილია შიგ ყველაფერი, გარდა თვით ქეთევანისა, რომელშიაც არ აკლია გადაჭარბება, სირცხვილია და ვერა მოსაზრებით ვერ ამიხსნია ისტორიული ფაქტების ასე უდმერთოდ დამახინჯება. კაცს ისტორიული პირები გამოჰყავს სცენაზე და თავიდან ბოლომდის დამახინჯებული. **კონსტანტინეს** კლავენ სპარსეთში და არა ალაზნის პირაზედ, სადაც იგი მოიკლა პირველსავე შეტაკებაში. ის გამოჰყავსთ **ქეთევანის** საყვარლად, მისთვის ტანჯულად, მისთვის მოსრულად საქართველოში, მისთვის სჯულ შეცვლილად და არა იმისთანა პირად, როგორც იცნობს მას ისტორია, იმისთანა პირად

მეთქი, რომელიც მოვიდა ტახტისა და სამეფოს საშოვრად, რომელსაც არც კი უნახავს **ქეთევანი** და სხ. და სხ. ... **კონსტანტინე** კლავს თავის ძმას **დავითს** (ქეთევანის ქმარს), რომელიც იმის მოსვლამდის თავის სწეულებით მოკვდა... რამდენი ამისთანა გითხრა?!... რა უყოს თუნდ ჩემისთანა კრიტიკოსმაც ამგვარს პიესას? როგორ შეიძლება დაიწყო ლაპარაკი და სიყალბე არ გამოაჩინო და არ უსაყვედურო ავტორს ისტორიული ფაქტების დამახინჯება, როდესაც შეუძლო ისტორიული სიმართლე დაეცვა... და პიესაც ამით უკეთესიც გამოვიდოდა. ახლა რას იტყვი დრამის კულხედ, სადაც ანგელოზები ჩამოდიან და სხვა და სხვა. საზიზღარია ამგვარი მოქმედება. მაგრამ სად დავსწერო?! „დროებაში“ არ შეიძლება, რადგან მისი ბურჟია ავტორი, არც „ივერიის“<sup>6</sup>, რადგან მისი ერთგული თანამშრომელია. ამაში იყო კარგი „შრომა“, რომელსაც მადლობა ღმერთსა, თანამშრომლებში მწერლები არ ჰყავდა და ამიტომ შეიძლებოდა პირუთვნელად საუბარი ლიტერატურაზედ. „ივერიის“ რედაქცია სხვებსაც არ დაბეჭდავს ჩემს წერილებს, რადგან თვითონ არის ავად ცრუ პატრიოტობით, ანუ ერთმხრივი პატრიოტობით. მე ვიცი „სამშობლოზედაც“ არ მოეწონათ ჩემი სტატია, მაგრამ თუ არა თქვეს რა, მიტომ რომ ვერ მოახერხეს<sup>6</sup>, ასეა ჩემი საქმე. ახლა სხვა რა გითხრა რამე.

**ნ. წერეთელი**<sup>7</sup> მოკვდა, მოკვდა მისი მეუღლე **პელაგია** და ორი საზოგადო საქმის მტერი მოაკლდა ქვეყანას. მისი ნეკროლოდი დღეს უხერხულია და თავის დროზე დაიწერება, მარშალი დროებით ცნობილი **ალმასხან ნიჟარაძე**<sup>8</sup> გახლავთ.

**ვარია** დებიანვა<sup>9</sup> ესე იგი ადგილი იშოვა. მაგრამ რა შოვნა იყო, ამის ამბავი შორს წაგვიყვანს. ვაი, რომ კომედიის წერა არ შემარჯვება, თვარა მასალას ვერ ვიშოვიდი თუ?

**ვარია და ნინუცა ლორთქიფანიძე.** ხომ იცი, უგულითადესი ამხანაგები არიან, საშინჯი განარკვევის წინ მე დავდიოდი ლორთქიფანიძისას. შევკრებდი ხოლმე ბავშვებს და ვაძლევდი განარკვებს, მაგრამ უფრო ვიცინოდით ვინემ საქმეს

ვაკეთებდით (სულ მართალსაც არ ვამბობ). სულ იყვნენ ოთხნი: ვარია, ნინუცა, აბულადის ქალი და ხელთუფლიშვილისა<sup>10</sup> უკანასკნელის წინააღმდეგ იყვნენ თვით შკოლის მასწავლებლები და საზოგადოებაც. მასწავლებლები უძრახავდნენ სწავლებას და უფრო ყმაწვილებთან თავის დაჭერას. აბულადის ქალს უქებდნენ სითამამეს. ვარიასა და ნინუცას უბრალოდ გადაცემას. უბრალოდ თავის დაჭერას და შინაარსიანს განარკვებს, თუშცა ნამეტანად ეტყობოდათ მორცხვობა, განსაკუთრებით ნინუცას და ვარიას. თვითონ მზრუნველები არ ესწრებოდნენ. დაესწრენ მხოლოდ ერთს თუ ორს განარკვს. კირილე კი მუდამ დადიოდა და ის, რომ ხელთუფლიშვილის გაკვეთილის ამბავს მომიყვებოდა, თვითონაც სიცილით კვდებოდა და მეც ძალიან მაცინებდა. ყველანი ფიქრობდნენ, რომ ბურთი და მოედანი ვარიას და ნინუცას დარჩებოდა. მაგრამ არავის აწყენინეს და ყველას გაუყვეს საკენკი. ვარია თუა უკმაყოფილო ზოგიერთებზე, სწორედ მიტომ, რომ შეეცოთ მიდგომა და გარეშე გავლენის ქვეშ ყოფნა და შკოლის უფროსს ყველაზე უფრო. მაგრამ არაფერია, – კომპრომისი сдelaит. ამაზე ქეც იყო ფელეტონი ჩემი დროებაში“ და თუ ნახევრად იყო და მომბილებულად, მიტომ, რომ მეც ხათრი-ჯამი გავუწიე ყე<sup>11</sup>.

სხვა რაღა მოგწერო, ჩემო გრიშა? აქ ორი კაცია ახლა უფრო ჩამოჯინებული ქართველებზე: იანოვსკი და ეგზარხი<sup>12</sup>. პირველის ანგარიში შესანიშნავია მით, რომ აღიარებს, что у нас завелись политический интрижки. – что русский язык в пренебрежении в тех школах где учителями являются грузины и т.д...

ეგზარხი კი ქართველების ჭაჭანებას აღარ უშვებს სასწავლებლის სმოტრიტელებად, ზოგან დაცვადა და ზოგან ერთი წელიწადი აქვს მიცემული ვადა. თეიმურაზ ლეჟავას<sup>13</sup> გამოცვლა განმზადილი იყო, მაგრამ შევაჩერეთ და ჯერჯერობით კიდევ იქნება რამდენიმე ხანს. უმთავრესი მიზეზი

მუდამ ამისი ავადმყოფობა და ამის გამო კანცელარიის საქმეების აფუშვ-დაფუშვა. Наша канцелярия настоящий свинятник, примерная беспорядочность, полнейший хаос. ეპისკოპოსი<sup>14</sup>, რომ ამისთანა კაცი არ იყოს, აქ სამსახური ვადადარებას ჭამა იქნება.

ახლა მშვიდობას გვეუბნება მეორე წერილამდის შენი ერთგული ძმა და მეგობარი ევსტათი მჭედლიძე, რომელიც შენს მოსვლას და შენთან ცხოვრებასა და შრომას ისე ელის როგორც მანანას.

---

1 გრიშა – გრიშა ვოლსკი.  
 2 იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (1825-1896)  
 3 „შრომის“ უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1883 წლის 23 ივნისს.  
 4 **კირილე ლორთქიფანიძე.**  
 5 „ქეთევან წამებული“ ალ. ყაზბეგის პიესა დაიბეჭდა „ივერიაში“ 1883 წელს (№ 4,5,6,7,8.)  
 6 „სამშობლოზე“ წერილი ბოსლეველმა დაბეჭდა „შრომაში“ 1882 წლის 9 ივნისს (№22), სათაურით „თეატრალური შენიშვნა“.  
 7 **ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი.** ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, გარდაიცვალა 1883 წლის 10 ნოემბერს. მისი მეუღლე პელაგია ქაიხოსრო გურიელის ქალი იყო (1823-1883).  
 8 **ალმასხან ნიჟარაძე** – თავადაზნაურობის მარშალი (1822-1890)  
 9 **გარია**-გრიგოლ ვოლსკის და.  
 10 **გარია ვოლსკი, ელენე ხელთუფლიშვილი, ნინუცა ლორთქიფანიძე, აბულაძის ქალი (?)**.  
 11 ეს ფელეტონი დაიბეჭდა „დროებაში“ 1883 წელს, ორ ნომერში (№203, 204), „ქუთათური ფელეტონის“ სათაურით.  
 12 **იანოვსკი კირილე პეტრესძე.** კავკასიის ოლქის მზრუნველი (1823-1902) ეგზარხოსი, მთავარეპისკოპოსი **პავლე ლებედევი** 1882-1887 წლებში.  
 13 **თეიმურაზ ლეჟავა-ის.** ზევით.  
 14 ეპისკოპოსი გაბრიელი.

## გრიგოლ ვოლსკი კირილე ლორთქიფანიძეს

### ბატონო კირილე!

ეს-ეს არის პოსტალიონმა შემოიტანა წერილი, სადაც მაცნობებენ **ესტატე მჭედლიძის** უღმერთო და ავაზაკურ მოკვლას, ჩემი მწუხარება გამოუთქმელია, ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით საწყალ ესტატეს, ყველას მოგვაკლდა პატიოსანი მუშაკი და ერთგული თანამოზიარე... მაგრამ ჩემი უბედურება მეტის მეტია, მე აღარა მყავს, მე მომიკლეს უგულითადესი ძმა მეგობარი. ესტატეს ავაზაკური მოკვლა უმნიშვნელო საქმე არ არის და არც ჩვენ დაგამციროთ ამ მოვლენის საზოგადო მნიშვნელობა. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი კაცები, როგორც იყო ესტატე და თუ ჩვენ ვაფასებთ სადმე ამგვარ კაცებს, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმართ, რომ შესაფერი მნიშვნელობა მივცეთ ასეთს უბედურებას და ღირსეულად მივუსაჯოდ იმათ, ვისიც ფიზიკური ხელია გარეული ამ მოკვლაში. ნუთუ ეს უდროო სიკვდილიც ისე უმნიშვნელოდ ჩაიარს, როგორც სხვა ათასი ჩვენში, როგორც ერთი ვინმე ვიგინდარას მოკვლა, როგორც ვინმე მთვრალეების და უგუნურების ჩეხა-სიკვდილი? - ჩვენი სადგომო ვალია თუ ჩვენ ცოტაოდენი პატივისცემა მაინც გვაქვს საწყალ ესტატესადმი და ჩვენი საკუთარი თავის პატივისცემაც, თუ კი ჩვენ რამე შეგვეძლება და რამე გავლენა გვაქვს, არაფერი არ დავიზოგოთ, რომ აღმოვაჩინოთ ავაზაკები და ღირსეულად დავასაჯინოთ მართლ-მსაჯულებას. ჩვენი სირცხვილი და სრული დაძაბუნება იქნება, რომ ავაზაკს ამგვარი საქმე შეერჩეს, მოგვიკლან პატიოსანი წევრი და ამხანაგი და ჩვენ არ ვიხმართ ყოველი საშუალება, რომ სამერმისოდ მაინც დაცული იყოს საზოგადოება ამგვარ უცვარ და უსვინდისო დაკვლისაგან თავის ერთგულ მსახურის. სად, რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ? რაღა ამის შემდეგ

ჩვენი საქმე; ჩვენი ერთგულე-  
 ბა კეთილისადმი და პატიოს-  
 ნება, თუ ძაღლივით მოჰკლავს  
 ვინმე არამზადა ქუჩის ყურე-  
 ში, თუ მოსარჩლევ კი არავინ  
 გამოგვიჩნდება, არც არავინ  
 დაგვიტირებს და საფლავში  
 ჩაგვყვება მხოლოდ გულ-ცივი  
 და გულ-ქვავი წუთისოფლის  
 შხამი ნაღველი...



**კირილე ლორთქიფანიძე**

თუ ვინმე ფულიანი ტუზის  
**ფოლკენგაგენის** მარტო თავს  
 დაცემისათვის და დაჭრისათ-  
 ვის (покушение) ხუთი კაცი  
 ჩამოაღჩევს, ნუთუ **ესტატეს**  
 მოკვლისათვის უბრალო

სამართალსაც არ ვეღირსებით? გახეთქეს ახლა დიდი  
 მნიშვნელობა აქვს და ჩვენც უნდა ვიხმართ ეს საშუალე-  
 ბანი; რომ მივცეთ ამ საქმეს ღირსი მნიშვნელობა, აღმოვაჩ-  
 ინოთ მკვლელები და ამით დავამშვიდოთ საზოგადოების  
 აღშფოთებული სვინდისი. რით აღმოვაჩენო მკვლელს?- და  
 მით, რომ არ გაგჩუმდებით, ვიყაყანებთ, არ შევშინდებით,  
 მივაქცევთ ამ საქმეზე საზოგადოების ბეჭდის და ადმინის-  
 ტრაციის ყურადღებას. ეს არის ჩვენი ვალი დიდად სამწუხ-  
 არო და სამარცხვინო საქმე იქნება, რომ ჩვენ აქ არაფერი  
 გაგაკეთოთ, პოლიცია და ადმინისტრაცია ამ მკვლელობას  
 ისევე გულგრილად მოექცეს, როგორც სხვა ათას ჩვეუ-  
 ლებრივს მკვლელობას, როცა სახლში ქურდები მიუცვიფ-  
 იან ვისმე. არათუ სამარცხვინო იქნება საქმის ამგვარი  
 მიმართულება საზოგადო უბედურებაც იმიტომ, რომ ეს  
 იქნება ჩვენი სიძაბუნის და სიგლახის ნიშანი, იმის ნიშანი,  
 რომ პატიოსნება ფუჭი საქმეა და თუ მტკიცედ მოინდომე

მისი დაცვა, შენც ის დღე მოგელის, რაც შენს ერთგულ მეგობარს... გულსაკლავი და უნუგეშო პერსპექტივაა!.. თქვენა გვერთ ამ წერილს, კირილე, იმიტომ, რომ **ესტატეს** ჭირისუფალს არავის ვიცნობ, მთელი ინტელიგენცია ერთ დიდ ოჯახად მიმაჩნია და ყველანი ყველას ჭირისუფლად: თქვენ გვერთ, როგორც წარმომადგენელს ქუთაისის ინტელიგენციის წრისას.

**თქვენი პატივისმცემელი გრ. ვოლსკი.**

### **არტემ ახნაზაროვი (ჩიორა) გრიგოლ ვოლსკის**

1889 წ. 30/X.

„...დროა უწინდელი მუზა მოიხმო და იმას გაუზიარო სულის მქეჯნავი და გულის ამაფორიაქებელი ფიქრები. რაც შენ წერილში ზღვისას სწერ<sup>1</sup>, ის რომ ლექსად დაგეწერა, მზეს გეფიცები საუცხოო რამ გამოვიდოდა. მოგვაწოდე რამე, ნუ ზარმაცობ. ხოლო ამაზედ უპირველესად გვნახე, შენის ნახვით ნუ დაგვანატრულე, ერთი-ორი დღით გამოუსხლტი მაგ შეჩვენებულს თანამდებობას... გაზეთს გიგზავნი, გამოფენას ვედარ ჩამოუსწრებ, რადგან პირველ ნომბერს დაიხურება და აგერ ორ კვირაზედ მეტია ნახევრად თითქმის აალაგეს კიდეც... **ილია** ამ დღეებში დაიწყებს: თავის „აი ისტორიას“ და ჩქარაც უპირებს გათავებას. ამ სახლების აშენებამ მეტად გაიტაცა ჩვენი მეთაური და ყველაფერი დაავიწყა .კითხულობ თუ არ **მაიაშვილის**<sup>2</sup> წერილებს? თუ

<sup>1</sup> ჩვენი აზრით ახნაზაროვი ეხება გრ. ვოლსკის მიერ „ივერის“ 1888წლის 98-ე ნომერში მოთავსებულ ფელეტონს სათაურით, „ფოთის ამბები“, რომელშიც ვოლსკი ამხილებს ნავსადგურის უხეირო მშენებლობას და ფულების ფლანგვას.

<sup>2</sup> **გ. მაიაშვილი (გიორგი ზდანოვიჩი, 1855-1917)** პუბლიცისტი, ნაროდოვოლეცი, 50-ს პროცესის მონაწილე. 1877 წ. მიესაჯა 6 წლის კატორღა. სამშობლოში დაბრუნდა 1883 წელს. სოც. ფედ. პარტიის ლიდერთაგანი.





**მაკა საფაროვა-აბაშიძისა, ვალერიან გუნია,  
 არტემ ახნაზაროვი, ივანე ახალშენიშვილი**

კითხულობ როგორ მოგწონს? აქ და, როგორც ამბავი მოდის, პროვინციაშიაც დიდი ყურადღებით კითხულობენ და მოსწონთ კიდევც...

ჩვენს რედაქციაში ეხლა დიდი ჩოჩქოლი და ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს რედაქციის საქმე. ნანიას არჩევას, თუ აურჩევლობას ველით. ამ ხანებში რომ ჩამოხვიდოდე კარგს იზამ, ამ ლაპარაკში და გადაწყვეტაში საჭირო იქნები. ნუ დაიზარებ, ჩამოდი როგორმე, დროებით ნუთუ არ გაგათავისუფლებენ?

სიყვარულით მოგიკითხეს ყველა შენმა მცნობებმა და შენს ნახვასაც დიდად მონდომებული არიან, **ილიასაც** ბევრჯერ უკითხავხარ, შენი მარად **არტემა**“.

(საქართველოს ლიტ. მუზეუმი, №8765/2).

## ივანე მაჩაბელი გრიგოლ ვოლსკის

### „ამაო გრიშა!

ამ ზაფხულს ქალაქში, რომ ვიყავი, რუსული გაზეთის გამოცემასზე გვექონდა ლაპარაკი და გთხოვეთ რედაქტორობა გეკისრა, აღგვითქვი კიდევ, მაგრამ დაბეჯითებით არ გვექონია ლაპარაკი. თუ აზრი არ გამოგიცვლია და მე სრული იმედი მაქვს ამგვარის გაზეთის საჭიროებას თუ შენ უკეთ გრძნობ ჩვენზედ, ჩაჯექ ვაგონში და საჩქაროდ ჩამოდი ქალაქში ერთის ან ორის დღით, რომ თხოვნა შევადგინოთ და გავგზავნოთ. იმედი მაქვს პეტერბურგშიაც დაგვეხმარებიან,



ივანე მაჩაბელი

ველით საჩქაროდ შენს პასუხს, ანუ უკეთესად რომ ვთქვათ, შენ თვითონ გელით, რომ ეს საქმე წინ წავსწიოთ. იმედს გვაძლევენ, რომ იანვრამდე იქნება გაზეთი, ვინც კი აქაურ რუსულ გაზეთებში მუშაობს, პატარა ნიშან-წყალი ეტყობა ნიჭისა, თითქმის ყველა გვპირდება დახმარებას. აქ მანდაურ კრედიტის (საკმეზეც) მოვილაპარაკებთ. გელით მოუთმენლად, შენი ერთგული ი. მაჩაბელი (ლიტ. მუზ. 8793/2)


1893 წლის 24 ოქტომბერი

ჩემი ადრესი: Тифлис, Вера  
 Ольгинская, 40  
 Ив. Георг. Мачабели

\*\*\*

**ნიკოლოზ ტარიელის ძე და-  
დიანმა**<sup>1</sup> ცხოვრების ნაკლოვანე-  
ბათა მხილებისა და სიმართლის  
ღაღადებისთვის გრ. ვოლსკის შემ-  
დეგი აკროსტიხი უძღვნა:

უგულო თავის გრძნობას ამან სცა  
ჰაზრის მახვილი,  
„მრწამსი კუჭისა“ ამხილა და მისი  
ნაკოდ- ნაბრძვილი,  
წრფელის გრძნობითა გამოსთქვა  
ლექსი ძმობისა ნამდვილი,  
იწვია მწყობრი წინ-მსვლელთა თან  
ბანი, თან მოზახილი,



ნიკოლოზ დადიანი

ფეხ-და-ფეხ მისდევს ვარსკვლავსა, ცოდნის სინათლის  
მკროთმეფსა,  
ახალი აღთქმის მნიშვნებსა; გამოსხნის მახარობელსა,  
რიჟრაჟსა განათლებისას, უმეცრებისა მქრობელსა  
იცის, რომ შეგება და შეგელა მოაქვს ამათსა მცნობელსა,  
ძალსა და ღონეს უერთებს თვით მადლსა მასა მკობელსა,  
ებრძვის ბნელსა და სიავეს, ეტრფის ქვეყანას მშობელსა.

---

<sup>1</sup> ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი გარდაიცვალა 1896 წ. 12 სექტემ-  
ბერს, იყო აკროსტიხების, ანუ ზმაკიდურების ავტორი. მან ქართველ  
მოღვაწეებზე დაწერა „საამდროო გამოცანები“, რომელიც ქუთაისში  
გამოსცა „მეურნის“ რედაქციამ 1897 წელს.

## გრიგოლ ვოლსკის წერილი იაკობ გოგებაშვილს

2011 წლის 14 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ბათუმის ხელოვნების მუზეუმში უნიკალური საარქივო მასალების გამოფენა მოაწყო. ნიშანდობლივია, რომ დასათვალიერებლად წარმოდგენილი დოკუმენტების დიდი ნაწილი ქართული ენის თავდადებული გუშაგისა და მამამთავრის **იაკობ გოგებაშვილისადმი** იყო მიძღვნილი.

ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა წერილმა რომლის ავტორი **გრიგოლ ვოლსკი** (1859-1909), ხოლო ადრესატი **იაკობ გოგებაშვილია** (1840-1912). ვიტრინაში წერილის მხოლოდ ერთი გვერდი იყო თვალსილუღი, მე (აღბათ ყველას) კი მისი მთელი შინაარსი მაინტერესებდა. ბედზე დარბაზში ბრძანდებოდნენ გამოფენის უშუალო მომწყობნი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ბუბა კუდავა** და მეცნიერ-თანამშრომელი **ანა ბაქანიძე**, რომელთა დახმარებით რამდენიმე დღეში მივიღე ამ დოკუმენტის მთლიანი ტექსტი. იგი სამი ფურცლისაგან (6 გვერდი) შედგება და მოყვითალო ქაღალდზე შავი მელნითაა დაწერილი.

წერილი საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ დღემდე, გრიგოლ ვოლსკისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წიგნებში ეს დოკუმენტი არავის გამოუყენებია. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ერთი წერილით შეგიძლია შეაფასო გრიგოლ ვოლსკის, როგორც საქართველოს, ქართველი ერის დიდი დამცველი და პატრიოტი, ქართული ენის მოამაგე და დედამამშობლოსთან ახლადღაბრუნებული აჭარის მოსახლეობის დიდი მოჭირნახულე.

წერილის ავტორი შესანიშნავად იცნობს აჭარას, მის წარსულს, მოსახლეობაში ჯერ კიდევ მოკიაფე ქართულ ცნობიერებას, რომელსაც წერა-კითხვის მასობრივად

გავრცელების გზით გაღრმავება-გაღვივება სჭირდება. ამავე დროს **გრ. ვოლსკი** სასტიკად ამითრახებს როგორც შინაურ ისე, გარეშე „ძალად მაცხოვნე მზრუნველებს“, რომლებიც მოწინავე ქართველ მოღვაწეებს უხშობენ ძმებთან, აჭარლებთან მისასვლელ გზას და მოქმედების საშუალებას-ხელი შეუწყონ მათ განათლებასა და მათში ეროვნული ცნობიერების გაღრმავებას.

გრ. ვოლსკის მხედველობაში ჰყავს ცარიზმის მოხელე **ფ.ზ. ლევიტსკი**, რომელიც ერთხანს (1882 წ.) ერევნის გუბერნიაში სახალხო სკოლების დირექტორად იყო გამწესებული. 1884 წლიდან მას თბილისში, სასწავლო ნაწილში სახალხო სკოლების დირექტორად ვხედავთ, როგორც ქართული ენის მტერს და მოძულეს. სწორედ მისი განკარგულებით, 1895 წელს აკრძალეს ქართული ენის სწავლება ოჩამჩირის ორკლასიან ქართულ სასწავლებელში. **ფ.ზ. ლევიტსკი**, არაერთხელ დაესხა თავს **იაკობ გოგებაშვილს** და მის „რუსსკოე სლოვოს“, აგრეთვე „ბუნების კარსა“ და „დედა-ენას“ და ცდილობდა სკოლებისთვის თავს მოეხვია საკუთარი „კურს რუსსკოგო იაზიკა“, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ქართულმა გაზეთმა ამ ავანტიურას „დაუჯერებელი ამბავი“ უწოდა, ხოლო იაკობ გოგებაშვილის უპირატესობა აღიარა თვით იმპერიის ისეთმა დიდმა რუპორმა, როგორიც იყო გაზეთი „კავკაზი“: „მიუხედავად იმისა, რომ ფრიად ავტორიტეტულ და სასწავლო უწყებაში დიდი გავლენის მქონე პირთა მიერ (ფ.ლევიტსკი, რ.ს.) აგრეთვე შედგენილია სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის, ამ გამოკვლევებმა ვერ შეძლეს მეტოქეობა გაეწიათ ბ-ნ გოგებაშვილის წიგნებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს სწორედ თავისი ცხოველმყოფელობით და, მაშასადამე, მათი ავტორის პედაგოგიკური შეხედულებების სისწორით“.

გრ. ვოლსკი ამ წერილში, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სასწავლო უწყების მესვეურ-მოხელეს **ფ.ლევიტსკის**,

რომელსაც განათლების მოსისხლე მტერს უწოდებენ. მან ქობულეთსა და ხულოში გახსნა ე.წ. ნორმალური სკოლები, მაგრამ ისინი არანორმალური არიან, რადგანაც ამ ფარისეველმა და იეზუიტმა აქ მასწავლებლებად გაგზავნა აზეირბაიჯანელი თათრები; ალბათ მიიჩნია. რომ აჭარლები თათრები არიანო. ამას შედეგად ის მოჰყვა რომ ხულოს სკოლიდან ყველა მოსწავლე გაიფანტა, რის გამოც ეს სპარსელი მასწავლებელიც იქიდან აიბარგაო.

იმპერიის მოხელე **ფ. ლევიტსკი** იძულებული გახდა ხულოში ქართველი მასწავლებელი **ალექსანდრე მგელაძე** (1864-1932) დაენიშნა. სწორედ ამიტომ თხოვს გრ. ვოლსკი დიდი პედაგოგს **იაკობ გოგებაშვილს** იშუამდგომლოს (თანაც ფარულად) „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რათა ხულოსა და ქობულეთის სკოლებისათვის მას, ან ბათუმის სკოლის მასწავლებელს **ისიდორე რამიშვილს** (1859-1937) გამოუგზავნონ სასკოლო ნივთები: რვეულები, ფანქრები და, რაც მთავარია, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“.

წერილის შინაარსი იმდენად პატრიოტული, ამავე დროს მკაცრი, გაბედული და ყოვლისმომცველია, რომ ის უფრო ფართო მეცნიერულ გამოკვლევას ექვემდებარება.

საუბარს აღარ გავაგრძელებ, უმჯობესია მკითხველი თავად გაეცნოს ამ წერილს, რითაც ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ გრიგოლ ვოლსკის სახით ქართველ ხალხს ჰყავდა ერთგული შვილი, დიდი ილიას იდეების გამტარებელი, სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის და ქართული ეროვნული მოძრაობის მამაცი მეთაური.

**ძვირფასო ძმაო,  
იაკობ!**

ერთი ფრიად მძიმე სათხოვარი მაქვს და, იმედია, ეცდები, რამდენადაც შენგან დამოკიდებულია, – აასრულო ეს სათხოვარი. კარგად იცი, რომ აჭარა-ქობულეთი, სადაც

ჩვენდა სასიხარულოდ, აქამდის ასე საუცხოოდ შენახულია და დაცულია ქართველობა, ჩვენებური ზნე-ხასიათი და დედა-ენა, დიდად მოწყურებულია დაეწაფოს სწავლას. ხალხი, როგორც საზოგადოდ ქართველობა, ნიჭიერია და მკვირცხლი. პატრონი ეჭირვება. ამ პატრონობას ჩვენ არავინ გვანებებს, ხალხი თხოულობს სულიერის შიმშილის დაკმაყოფილებას. ჩვენ რაოდენამდე ვეცდებოდით და შევიძლებდით ამ საღვთო შიმშილის დაკმაყოფილებას, სულიერის საზრდო-პურის მიწოდებას, მაგრამ ძალათ მაცხონე მზრუნველები, რომელთაც ხელში უგდიათ ქვეყნის ბედი, ღალატობენ კაცობრიობას, კაცთა სიყვარულს, სინდისს და სამართალს, არ გვიშვებენ ძმათა საშველად, გვაცალკევენ და, იუდას თანაზიარნი, პურის მაგიერ ქვას აწვდიან გულუბრყვილოებს. ჩვენი განათლების გამგენი სიყვარულის წილ ღვარძლსა სთესენ და ნათელის წილ ჰფენენ წყვილიადს. შეჩვენებულნი იყოს იმათი საქმე და სახელი!



**იაკობ გოგებაშვილი**

ისინი ჰგმობენ ჭეშმარიტების და კაცობრიობის პროგრესს. იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ იმათი უკეთური თესლი, ვითარც ბუნების და კაცთა არსების წინააღმდეგი, ვერ მოისხამს ნაყოფს, მეტადრე იმ ნაყოფს, რომელსაც ელიან ბუნების და ჭეშმარიტების უგუნური მებრძოლნი. **ლევიცკი**, მუნჯურის მეთოდის შემოქმედი, ქობულეთში და ზემო-აჭარას (ხულოში) აწესებს სკოლებს, რომელთაც ნორმალური ჰქვია სახელად და რომელნიც,-შენ კარგად იცი,-ყოფლად უნორმალნი არიან... ჩვენი განმანათლებელნი სწორედ



ისე იქცევით, როგორც შეჭურვის კაცობრიობის მოღალატე ავაზაკს: სკოლას, ე.ი. განათლების კერას, უწოდებენ იმას, რისთვისაც უფრო უფრიანია დახშობა-დაბნელების ბუდისა და განათლების ხაფანგის სახელი. ძალიან მაკვირვებს ჩვენი ჭკუა-მოკლეობა, როცა „ივერიაში“ ვკითხულობ ხოლმე გაჭიანურებულ კორესპოდენციას ვიდაც ონოპინტრე მასწავლებლისას, რომელიც ჰგოდებს და სწუხს, რომ ჩვენი სკოლა აქამდის ვერ გადავაკეთეთ ორ-კლასიან სკოლად, ვერ ვაქციეთ „ნორმალურ“ სკოლადო... ვაი, ჭკუის უბადრუკობაე! **ლევციკი**, როგორც იყო, ეს განათლების მოსისხლე მტერი, ჰგზავნის ქობულეთში და ხულოში ადერბეიჯანელ თათრებს... ვითომცდა იმიტომ, რომ აქაური თათრებია! ხათრს უშვრება, თავისიანს უნიშნავს, დედა ენაზედ აწყებინებს სწავლას, რაღა!... აი, სადამდის მიდის ფარისეველობა და ვირ-ემშაკური უნამუსობა! რა ვქნათ, პირში ბურთი გვაქვს ჩაჩრილი: დაგვდგომია მათრახ-ამოწვდილი არამზადა თავზედ და ლმობიერის, იეზუიტურის სახის გამომეტყველებით გვთხოვს ვიწამოთ, რომ მუხას ვაშლი ასხიაო. ჩვენც ვიკლავთ გულში მდუღარე ცეცხლს და, ვითარცა ყურმოჭრილის მონის ვაღია, თაყვანებით ვუკრავთ თავს იმას, ვისაც ღირსეულად ეკუთვნის ჩვენგან მხოლოდ ზიზღი, მძულვარება და ფურთხი. ხულოში, როცა გაეფანტა მოსწავლენი, სპარსელმა ანუ თათარმა მასწავლებელმა თითონაც იკადრა აბარგება... **ლევციკიმ**, სკოლა რომ არ დახურულიყო და სირცხვილი არ ეჭამა, მეტი რა გზა ჰქონდა, ჩვენებური მასწავლებელი გაგზავნა, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, დავალებული აქვს, რომ ამ „ნორმალურს“ სკოლაში ქართული ენის ჭაჭანებაც მოსპოს: ქართულის ხსენება აჭარის სკოლაში მომაკვდინებელი ცოდვაა, ამ მხარის „გადაქართულების“ მასწავლებელი, ესა მხარე ხომ თათართა მხარეა!... მასწავლებელი კაი ყმაწვილია, ჩინებული ქართველი. იმან მაინც უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა და ჩუ-



















მად ემსახუროს ნამდვილ განათლებას. ამისათვის საჭიროა სამოსწავლო ნივთები: რეგულები, კარანდაშები, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“. ის აასრულებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის მისსიას, ჩუმად და მკვიდრად, ოღონდ სჭირდება დახმარება, რომელიც არ უნდა იყოს ოფიციალური, პირიქით, ნამალევად და ჩუმად გვმართებს მოქმედება. იმათ ძალადობას და იეზუიტურ საქციელს ასეთის ხერხით თუ შევებრძოლებით, თორემ ცუდადაა ჩვენი საქმე. შენ, ძმაო **იაკობ**, გვიშუამდგომლე ამ შემთხვევაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წინაშე, რათა იმან მოგვაშველოს საჭირო ნივთები, – რეგულები, საწერ-კალმები, კარანდაშები და „დედა ენა“. ჯერ ესეც კმარა. მერე „ბუნების კარიც“ დაგვჭირდება. ეს საქმე შენზედ მომინდვია. ისე გააკეთე და მოაგვარე, როგორც თითონ დაინახო საუმჯობესოდ და საჭიროდ. დემერთმა ნუ ჰქნას, რომ ვინმემ შეიტყოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ამ საქმეში გარევა და იმისგან დახმარების აღმოჩენა აჭარის სკოლისათვის. თუ გამოაგზავნით რასმე და მოგვაშველებთ, ან ჩემს სახელზედ გამოაგზავნეთ, ან ისიდორე რამიშვილის სახელზედ. ახლანდელი ბათუმის მასწავლებელი (**ისიდორე რამიშვილი**) ჩინებული კაცია, სწორედ ისეთი, როგორიც ეჭირვებოდა ბათუმის სკოლას. მეორეც კარგია. ეს და **წერეთელი** ძალიან შორიშორს არიან. ახლა მასწავლებლების მხრით კმაყოფილნი ვართ. იმას, რასაც გთხოვთ, ახლა უნდა გამოგზავნა. ამ ნააღდგომებს მასწავლებელ **ა. მგელაძე**, რომელიც ახლა აქ არის, ისევ ხულოში წავა და ბარემ წიგნებიც თან გავატანოთ. დაყოვნება არა ღირს. ახლავე შეუდგება ყმაწვილების წვრთნას ქართულ ენაში. მე დავასრულე, ძმაო იაკობ, ჩემი გრძელი ეპისტოლე და სათხოვარი. ველი პასუხს.

შენი ერთგული ძმა და  
პატივისმცემელი გრ. ვოლსკი.  
31 მარტს 1898 წ. ქ. ბათუმი

## გრიგოლ ვოლსკი არტემ ახნაზაროვისადმი

1902 წ. თებერვალი

„როგორღა იქნება, ედება ბოლო ერთ აწეწილ კუნჭულს ჩემი საქმისას, პროკურორმა დააბრუნა... ჩემი და ჩვენი ხმოსნების საქმე... შეიკრიბებიან 26 თებერვალს ამ საქმის განსახილველად, უეჭველად მიიღებენ პროკურორის დასკვნას. ამჟამად სამუდამოდ მოისპობა ეს საქმე ქარაფშუტულად მამაძაღურად ატეხილი. გამოდის, რომ რვა თვე ტყვილად გვამყოფებდნენ ვითომდა სამართლის რისხვის შიშის ქვეშ... ვენაცვალე მაგათ სამართალს და ნამუსიან ბიჭობას! გამოდის, რომ მე ორჯერ ვყოფილვარ „ზამესტიტელად“ არჩეული სრულიად კანონიერად, რომ მქონია უფლება თავმჯდომარეობის, რომ **ივანოვი** არა მკითხე თავმჯდომარე ყოფილა...

ეს კარგი, საქმე, ვთქვათ, მოისპო, მერე და ივანოვი, უკანონო თავმჯდომარე ნამდვილი დამნაშავე და განგებ ამ უწმინდურის ალიაქოთის ამტეხი არხეინად უნდა იყოს!

მე კი ჩემი ვქენი... ვოლსკი კინაღამ Под суд-ში მივეცი, მთელი „დუმაც“ თან კინაღამ მივაყოლე, თავზე ღაფი ვასხით თვითონ წამოპოლორჭიკებული ვიყავ სხვის თაროზე და ჯამაგირს ვიღებდი, კანონი, ნამუსი და საზოგადოება ფეხებზე მეკიდა, როგორც ყოველთვის და ახლაც მკიდიანო!... რა უფლებით იყო ამდენ ხანს ზამესტიტელად?

ეხ! ეხ! რაც გინდა ის თქვი და იმათ თავისი გაიტანეს, გვიანი სამართალი იგივე უსამართლობაა!...

როგორც კი 26-ში მომივა დეკემბა იმწამსვე „ივერიას“, „ცნობის ფურცელს“ და „ნოვოე ობოზრენიეს“ გაუგზავნი მოკლე ცნობას, რომ საქმე მოისპო. გააფრთხილე თუ ძმა ხარ, რუსული რედაქციები, რომ უთუოდ გამოაცხადონ ჰა

отсутствие всякого состава преступления». (საქ. ლიტ. მუზეუმი 8652/2)

გრიგოლ ვოლსკი პასუხისმგებლადან, რომელსაც იგი მაშინდელი გაზეთებისათვის „უნდო“ პირად გაუხდია, თავის დახსნას მჭერმეტყველებით ახერხებს. მას თბილისში ყოფნისას მოუხიბლავს მოლიბერალო გენერალი **მაღამა** და ამ უკანასკნელის მეშვეობით პროკურორს საქმის ძიება შეუწყვეტია.

## გრიგოლ ვოლსკი არტემ ახნაზაროვისადმი

„ძვირფასო ძმაო და მეგობარო არტემ!

„ივერია“ ისე მომჯობინდა, რომ მე, იმის ძველი თანამშრომელი და რაზმის კაცი, აღტაცებული ვარ... არ ველოდი, გული გატეხილი მქონდა. ვკითხულობ დიდის ინტერესით და გული სიამით და იმედით მიძგერს, ვაშა, ბიჭებო, ვაშა!

**გიგოს, ილიას, ნიკოს.** ბატონ რედაქტორს\* და ყველას, ძველ თანამშრომლებს, საღამო, მოკითხვა და ძმური კოცნა.

ოხ, რა რიგად ამეშლება ხანდახან წერის უინი და სადერდელი, მაგრამ სადაა საამისო მოცლა და გუნების დიდხანს გაყოლა ამ დასაქცევ და დაუცხრომელ ბრძოლასა და ჟრიალულში...

როდის ვიქნები ისეთი ბედნიერი, რომ ისევ მერგოს წერთი ბრძოლა და შრომა, ფიქრით ტრფიალი და საპოეზიოდ გატაცება. ვაითუ, ისე ამომხდეს სული, ისე დავბერდე და დავუძღურდე, რომ ნატვრა არ ამისრულდეს“.

**1902 წლის 24 თებერვალი  
(ლიტ. მუზ. №8771/2)**

---

\* გიგო – გრიგოლ ყიფშიძე; ილია – ილია ჭავჭავაძე; ნიკო – ?; ბატონი რედაქტორი – ალექსანდრე სარაჯიშვილი.

## გრიგოლ ვოლსკი დომინიკა დარასელიასადმი

...რა ვქნა ცხოვრება ბრძოლაა... შენ იცნობ გრიშას და იცი, რომ ასე ადვილად არ იტეხს გულს და შეიძლება უარესიც აიტანოს. თავსლაფი დავასხი იმათ კაცობას და სინდისს, ვინც ძალადობას ეფარება, როცა სხვა არაფერი გაუდის, ჩემი კაცური ღირსება ამით არა თუ დამცირებულა, პირიქით, კიდევ ამადღდა, ამით შეურაცხყოფენ სინდისს, საზოგადოების უფლებას და თავის საკუთარ ღირსებას. საზოგადოების თანაგრძნობა სრულიად ჩემს მხარეზეა, ვერ წარმოიდგენ რა ნაირად აღელვებულია ხალხი, თითქმის სულ ყველა. განურჩევლად-ჩვენებური, რუსი, სომეხი და გადამთიელი. ხარობს მხოლოდ საზოგადოებისაგან შერცხვნილი და შეფუერთებული... ივანოვი და ამისთანები...

...წლელს ისე მოხდა, რომ 24 იანვარს (შემთხვევაა უბრალო), სწორედ ჩემის დაბადების დღეს, დანიშნული იყო ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრის (უპრავის წევრის) არჩევა, რადგან ივანოვს გაუთავდა ვადა, მთხოვეს მეყარა ისევ კენჭი. დავდგით ყუთი მე და ივანოვმა. სხვა მოცილვე არავინ ყოფილა სულ იყო 23 ხმა, ამ 23-ში ივანოვს აქმოუვიდა მხოლოდ 8 თეთრი, დანარჩენი 15 შავი. მე ამომივიდა 8 შავი და 15 თეთრი, ესეიგი ის გაშავებული შეიქმნა... მოიშორა ქალაქმა ის წუწკი და საზარელი კაცი, დარჩა უალაგოდ მეტი გზა არა აქვს, უნდა წავიდეს აქედან, მისცემენ სამადლოდ (როგორც ჯაშუშს)რაიმე ადგილს სადმე სხვაგან...

(საქ. ლიტ. მუზეუმი 8726/2 26. V. 1903 წელი;  
საქ. ლიტ. მუზეუმი 8716/2; 2. II. 1905 წელი).

## გამოსათხოვარი წერილები და ლექსები გრიგოლ ვოლსკი<sup>1</sup>

**„არ არის მეკვდარი, ვინც მოკვდეს  
 და ხალხს შესწიროს დღენია;  
 მეკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ  
 სახელი არ დარჩენია“.**

ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდს კიდევ მოაკლდა ერთი წევრი, – გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი. ყოველი ადამიანი, რამდენადაც ძლიერი ბუნებისაღ უნდა იყოს, საჭიროებს ისეთ საზოგადოებრივ განწყობილებას, სადაც მას ახალისებენ, ამხნევენ, სადაც მისი ძალა კპოვებს დაფასებას, საზრდოს და შემოქმედების წყაროს. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდით, რომ ბევრი ქართველი თავის შთამომავლობასაც მაღავეს, არამც, თუ აშკარად საზოგადო მოღვაწეობას ერიდება. ამ ასი წლის განმავლობაში მთელმა ქართლკახეთმა გვარებიც გადიკეთა, ალბად იმ აზრით, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს მათ ქართველობაში. საზოგადო ასპარეზი ჩვენ ცხოვრებაში. დაიცალა და პირვე-



**მიხეილ ჯავახიშივილი**

<sup>1</sup> წერილს არა აქვს ავტორის ხელწერა. 1909 წ. დაარსებულ აღმანახ „ქართველი ერის“ დამაარსებელი და რედაქტორი იყო **მიხეილ ჯავახიშივილი**. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ გამოსათხოვარი წერილის ავტორი თვითონ რედაქტორია, ამას თვით წერის ჯავახიშივისეული მანერაც ადასტურებს (რ.ს).

ლი ადგილი მოხელეებმა დაიჭირეს. ასეთ დროს, როცა ირგვლივ გულ-გრილობა და ხასიათის დაცემულობა გამეფებულა, როცა აშკარა ლაპარაკიც კი შეუძლებელი გახდა, სწორედ იშვიათი სანატრელია ისეთი ტიპის ადამიანები, როგორც იყო განსვენებული გრიგოლი. მუდამ საზოგადო აზრით მცხოვრები, მუდამ საზოგადოებრივ მისწრაფებათა მატარებელი, მუდამ ადგენებული მოტრფიალე ჩვენი განვითარებისა, გატაცებული და მოხარული, როცა რაიმეს საკეთილოს დაინახავდა ჩვენში და შეწუხებული, როცა ჩვენს სიგლახეს ხედავდა. აურაცხელ მელათა და ქვემძრომთა შორის მუდამ პირდაპირი და გულ-ახდილი, უშიშარი და შეუპოვარი, სადაც სხვები სდუმდნენ, მტერთან მეტრძოლი, მოყვარესთან გულის გამთბობი, გამამხნევებელი და სულის ჩამდგმელი – აი, ვინ იყო გრიგოლი.

ადამიანს ერთი დიდი ნაკლი აქვს. ის ყოველთვის ცდილობს თავის დაბეჩავების მიზეზი თავის გარეშე ეძებოს და ამით თავი იმართლოს. მართალია, ჩვენი ცხოვრების პირობები აუტანელია, მართალია, ჩვენ შეოქმედებით ძალას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ყოველ მხრივ ფრთა ეკვეცება, მართალია, ამ გარემოებას საერთო დაკნინება, საზოგადოებრივ ინტერესებისადმი გულგრილობა და წვრილმანი კინკლაობის ჟინი მოჰყვა, მაგრამ ისიც მართალია, რომ დიდი წილი ამ ჩვენ დაძაბუნებაში ჩვენვე გვიძევს. ქედი მეტად მოვიხარეთ, მეტად თავი დავიმცირეთ და ჩვენის ღირსების და ვინაობის დაცვის მაგიერ, გუნდრუკის კმევას შევუდექით. გათამამდნენ ჩვენი ორგულნი, წამოყვეს თავი შავმა ძაღლებმა და ბოლოს იქამდისაც მივიდა საქმე, რომ არამც თუ აწმყოს და მომავალს გვისპობენ, ჩვენ წარსულსაც უარყოფენ. ვინ ხართ, რა ხართ? - მოწყალების შემცქერალნი, მეტი არაფერიო. მიიხედ-მოიხედავ, სად უნდა პოვო შენი ვინაობის დაცვა? წარსული სდუმს, როცა მას აწმყო პატივისცემით არ ეპყ-

რობა, როცა მთელი საზოგადოებრივი ჯგუფიც კი განზუღდება. და აი, ასეთ დროს მხოლოდ რამდენიმე პირი დარჩენილა, რომელნიც კიდევ ინახავენ წარსულის პატივისცემას, რომელთაც სწამთ თავისი მომავალი, აფასებენ თავის ვინაობას და ამით ეუბნებიან საძიძვნათ გამზადებულ ყორნებს: შესდექით, აჩქარებულხართ! ჩვენ ღირსეულად გვიცოცხლია, ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთ! მართალიცაა! სცოცხლობს გრიგოლი! ის მუშაობს მომავლისთვის, იგერიებს მტერს სიტყვით თუ კალმით, აარსებს კულტურულ დაწესებულებას, სადაც ცდილობს მომავალი აღზარდოს, ცდილობს გაადვიდოს თავის თანამშრომლებში თავისი ვინაობის პატივისცემა, სამშობლოს სიყვარული და ადამიანობა, ცდილობს თავი მოუყაროს მათ და შექმნას ძალა ერთობისა. ის არის პიროვნება, ძლიერი ხასიათით. ძლიერი საზოგადოებრივი აზრით რომელთანაც იმედი გელვძიება, მუშაობა გენატრება, ფრთა შეგესხმება. იყავი, გრიგოლ, შემდეგაც, ქართველთა ხსოვნაშიაც ისევ წარჩინებული ქართველი, ფხიზელი მოქალაქე, გულ-ღია ადამიანი! დე, მოგბადონ შენ შენმა მოძმეებმა და მრავლად ირჩიონ ის გზა, რომელიც შენთვის ისევ ეკლიანი იყო.

ალმანახი „ქართველი ერი“, №1, 11 ოქტომბერი, 1909 წ.



## „გრიგოლ ვოლსკი (ნეკროლოგი)

5 დვინობისთვეს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი. ქართველ მოღვაწეთა მცირედ გუნდს მოაკლდა ერთი შესანიშნავი მებრძოლი, ქართველი ხალხის ბედნიერებისთვის პირნათელი და შეუდრეკელი მებრძოლი.

განსვენებული ეკუთვნის გასულ საუკუნის მე-80 წლების მოღვაწეთა გუნდს. დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, საიდანაც მე-80 წლების დასაწყისში გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ ის გატაცებით იღებდა მონაწილეობას მაშინდელ სტუდენტთა მოძრაობაში. მაშინ ის იყო რეაქცია იწყებდა მძვინვარებას. საჭირო იყო აბოზოქრებულ შავრაზმულ ტალღას წინააღმდეგობა დახვედროდა და თუ მისი დაძლევა არ მოხერხდებოდა, მაინც რამდენადმე შეეჩერებიათ. გრიგოლ ვოლსკის თაოსნობით მოსკოვში შესდგა ქართველთა სათვისტომო ორგანიზაცია, რომელმაც თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მოსკოვულ სტუდენტობას შორის. ამ სათვისტომოს ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო გრიგოლი.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აწ განსვენებული დაბრუნდა საქართველოში, რომელიც მას გატაცებით უყვარდა. ხელობით ექიმში, ის ცოტა დროს მისდევდა თავის სპეციალობას, შემდეგ დაანება თავი ექიმობას და მთელი თავისი ძალდონით საზოგადო საქმეში ჩაება. ეს მოხდა გასულ საუკუნის მე-90 წლებში ბათომში. ის იყო მაშინ შემოღებულ იქნა ქალაქის თვითმმართველობა. ვოლსკის მეცადინეობით ადგილობრივ მცხოვრებთაგან შედგა ცხადი პროგრესული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა გამკლავებოდა ყველა თვითმმართველობის შემსუთველ ძალებს. ამ ჯგუფის მეოხებით ქალაქის ხელმძღვანელებად გაყვანილ იქნენ **ასათიანი** და ვოლსკი, პირველი - ქალაქი თავად, ხოლო მეორე - გამგეობის წევრად. გამგეობის წევრად ვოლსკიმ დაჰყო თორმეტი წელზე მეტი. ამ დროის განმავლობაში

ის მედგრად ებრძოდა ბათომის საზოგადოების ბნელ ძაღვებს, რომელთა უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი იყვნენ, „ჩერნომ ვესტინიკის“ რედაქტორი **პალმი** და ნოტარიუსი **გრიელსკი**, ბრძოლა მეტად სამძიმო იყო, ადგილობრივი ადმინისტრაცია მხარს უჭერდა შავრაზმულ მოძრაობას; და მხოლოდ განსვენებულის შეუდრეკელ ძლიერებას შეეძლო არ დაეხია უკან ამ უთანასწორო ბრძოლაში. ვოლსკის გამგეობის წევრად ყოფნის დროს ბათომი გამშვენებდა, ევროპულ ქალაქად იქცა: მთელ ბათომში ქუჩები მოკირწყლეს და გაამშვენებდნენ, მოაწყვეს ელექტრონის განათება, დაარსდა ბათომის გინაზია ქალაქის მიერ აშენებულ სახლში, დაარსდა ქალაქის საავადმყოფო, მოაწყვეს წითელი ბაზარი, ააშენეს ქალაქის თვითმმართველობისთვის ახალი სახლი, ხოლო განსვენებულის მდიდარს ბუნებას არ აკმაყოფილებდა მარტო ქალაქის საქმეები. ის იღებდა მხურვალე მონაწილეობას ყოველივე ქართულ საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ბათომში დაარსდა წერაკითხვის საზოგადოების განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ იყო ვოლსკი. ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდმა დააარსა აქ ქართული სკოლა, რომელსაც მეტად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ამავე დროს შეუდგნენ ქართულ ეკლესიის აგებას.

უკვე სტუდენტობიდანვე განსვენებული იღებდა მონაწილეობას ქართულ ლიტერატურაში **უმწიფარიძის** ფსევდონიმით. სწერდა ლექსებს და პუბლიცისტურ წერილებს, სთარგმნიდა მოთხრობებს როგორც რუსულიდან ქართულად, ისე ქართულიდან რუსულად. მის ლექსებში გამოსჭვივის ღრმა და გულწრფელი სიყვარული დამონებულ ქართველ ხალხისათვის. ვოლსკი იყო გატაცებული პატრიოტი, ხოლო მისი პატრიოტიზმი იყო არა ფეოდალური, არამედ დემოკრატიული. ძლიერი სულის აღფრთოვანებით დაწერილია მისი ლექსი: „შენ გეგტრფი მარად“, რომელსაც დღეს საქართველოს ყოველ კუთხეში მღერაინ.

ვოლსკი ღრმა მცოდნე იყო სამშობლოს ლიტერატურისა და 1907 წ. ზაფხულში მან თავი დაანება ბათომს რომლის აღორძინებას მან ამდენი ძალ-ღონე შესწირა და გადმოვიდა

